ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ქეთევან ეფაძე

ქართული და აფხაზური იდენტობების ფორმირება სტალინურ და პოსტსტალინურ საქართველოში (1950-1970 -იანი წლები)

კულტურის კვლევების დოქტორის აკადემიური ხარისხის (PhD) მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან კაკიტელაშვილი
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების
ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2022

ანოტაცია

ნაშრომი კონსტრუქტივისტული მიდგომის ფარგლებში შეისწავლის ქართული და აფხაზური კონფლიქტური იდენტობების ფორმირებას 1950-1970-იან წლებში. საისტორიო ნარატივების ანალიზის საფუძველზე მასში ნაჩვენებია, რომ სტალინიზმის პერიოდის ეროვნულმა პოლიტიკამ საბჭოთა საქართველოში, სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად, ეთნიკური ნაციონალიზმი წაახალისა. ამ პროცესში იდენტობის დისკურსმა ქართველი ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის ნაშრომში რადიკალური ფორმით იჩინა თავი, რასაც მოყვა გამოხმაურება აფხაზური მხრიდან. 1950-იანი წლების ბოლოს, წარსულზე დაწყებულმა დებატებმა ისტორიულ ნარატივებში გადაინაცვლა.

1970-იანი წლების ბოლოს, დესტალინიზაციის პროცესში დაწყებული დავა კონფლიქტური იდენტობების ფორმირებით დასრულდა. სწორედ ამ პერიოდიდან აფხაზი ისტორიკოსების ტექსტებში გაჩნდა განაცხადი დამოუკიდებელი აფხაზური ეროვნული პროექტის შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ქართველი ისტორიკოსების შეხედულებას იდენტობის კონცეფციასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა კავშირი, საქართველო, აფხაზეთი, იდენტობა, ნარატივი, ისტორია

სარჩევი

შესავალი 1

თავი 1. საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა საქართველოში, ქართული და აფხაზური ეროვნული პროექტები 28

1.1.იდოლოგიური საწყისები 28

1.2.კორენიზაცია 37

1.3.ადრეული სტალინიზმი 48

1.4. გვიანი სტალინიზმი 62

თავი 2. საბჭოთა ისტორიოგრაფია 67

2.1. მარქსისტულ-ლენინისტური ისტორია 67

2.2. ქართული საისტორიო სკოლა 72

2.3. საქართველოს მარქსისტულ-ლენინისტური სახელმძღვანელოები აფხაზთა შესახებ 76

2.4. ალტერნატიული ნარატივი: პავლე ინგოროყვას თეორია 84

თავი 3. დებატები წარსულზე: კონფლიქტური ნარატივებისა და იდენტობების შექმნა 96

3.1.აფხაზთა გამოხმაურება ინგოროყვას ნაშრომზე 96

3.2.ახალი ისტორიული ნარატივები 107

3.3.ნარატივების დაპირისპირება 1960-იან წლებში 120

3.4.ნარატივების დაპირისპირება 1970-იან წლებში 128

დასკვნა 144

ბიბლიოგრაფია 151

აბრევიატურა

სსრკ - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი

სსრ - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

ასსრ - ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

კპ -კომუნისტური პარტია

სკპ - საქართველოს კომუნისტური პარტია

ცკ - ცენტრალური კომიტეტი

მს - მინისტრთა საბჭო

ცკ(ბ) - ცენტრალური კომიტეტის ბიურო

ობკომი - საოლქო კომიტეტი

ჩეკა - სახალხო კომისარიატის საგანგებო კომისია

სლმა - საქართველო ლიტერატურის მუზეუმის არქივი

სკპა- საქართველოს კომუნისტური პარტიის არქივი

შესავალი

საკვლევი საკითხი

ეროვნული იდენტობა, იდენტობის სხვა ფორმების მსგავსად, კონსტრუირებას ექვემდებარება. ტარას კუზიო აღნიშნავს, რომ მას ვერ მივიჩნევთ ფიქსირებულ კატეგორიად, რადგან „კონსტრუირების პროცესი დროთა განმავლობაში განსხვავებულად მიმდინარეობს, მოითხოვს ცვლილებებს, არასდროს მთავრდება და სრულდება.“[1] იდენტობის შექმნა გულისხმობს, ერთი მხრივ, „ჩვენ“ ჯგუფად საზოგადოების წევრთა აღქმას და გაზიარებული კულტურის ფარგლებში შიდა საზღვრების დადგენას, ხოლო მეორე მხრივ, „სხვა“ ჯგუფთან, ან ჯგუფებთან შეპირისპირებას და გარეგანი საზღვრების გამოკვეთას.[2]

ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესს ეროვნული ელიტები (ინტელიგენცია და პოლიტიკოსები) სხვადასხვა ფორმით ახორციელებენ. მაგალითად, ჯგუფის წევრთა წარმოდგენა ერთან კუთვნილების შესახებ შეიძლება ჩამოყალიბდეს ისტორიის სახელმძღვანელოებით, ლიტერატურული ტექსტებით, მემორიალური თარიღებით, აღნიშვნებით, ვიზუალური პერფორმანსებით, ოფიციალური გამოსვლებით და ა.შ.

მულტიეთნიკურ საზოგადოებებში ეროვნული იდენტობის კონსტრუირება შეიძლება პრობლემურ საკითხადაც იქცეს. თუ, ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ვერ ხერხდება შეთანხმება ეროვნულ საზღვრებზე სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის, თავს იჩენს ეროვნული პროექტების შექმნის კონკურენტული და პარალელური პროცესები.

განსაკუთრებით მწვავე ვითარება ამ მხრივ პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკებში გვხვდება. სხვადასხვა სახის, მათ შორის სისხლიანი კონფლიქტების წარმოშობამ კავკასიის რეგიონსა და აღმოსავლეთ ევროპაში მკვლევართა ყურადღება 1990-იანი

---

[1]Taras Kuzio, “Identity and Nation-Building in Ukraine, Defining the Other,” *Ethnicities 1*, no. 3 (2001): 344.

[2]Wsevolod W Isajiw, “Definitions and Dimensions of Ethnicity: A Theoretical Framework.” *Library University of Toronto*. January 1993, shorturl.at/flmxC (ნანახია 01.07.2022).

წლებიდანვე მიიქცია. შეიქმნა არაერთი მონოგრაფია,[3] სამეცნიერო სტატია[4] და დისერტაცია,[5] რომელშიც შესწავლილი იყო თანამედროვე კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები და შედეგები. ისინი ცდილობდნენ აეხსნათ, რამ განაპირობა შეუთანხმებლობა ეროვნულ საზღვრებზე, რა იწვევდა სხვადასხვა ჯგუფებში იდენტობის კონსტრუირების პარალელური და კონკურენტული პროცესების წარმოქმნას. ხშირად ავტორები წარსულის გამოცდილებას იშველიებდნენ აწმყოში გაჩენილი დაპირისპირებების ასახსნელად. სადაო ისტორიების არსებობა კი, კონფლიქტების წარმოშობის ხელშემწყობ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნდათ.[6]

ისტორიულმა ნარატივებმა საქართველოს კონფლიქტების გაჩენასა და გაღრმავებაშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო ომების კერად გადაიქცა. ტერიტორიული კონფლიქტი აფხაზეთში 1992 წელს დაიწყო და ერთ წელზე მეტხანს გაგრძელდა. ამ მოვლენამ ტრავმა მიაყენა ათასობით ქართველ ოჯახს, რომლებიც იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ საკუთარი სახლები და მშვიდობიანი თავშესაფარი საქართველოს სხვა რეგიონებში ან, საზღვარგარეთ ეძებნათ.[7]

აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა თაობის დევნილებისთვის აფხაზეთის ომი სწრაფად და მოულოდნელად დაიწყო. ამ მოვლენას ისინი არ ელოდნენ და არც მასთან

---

[3]Thomas Goltz, *Georgia Diary: A Chronicle of War and Political Chaos in the Post-Soviet Caucasus, Expanded Edition* (London and New York: Routldge, 2015); სტივენ ჯონსი, *საქართველოს პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ* (თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013).

[4]Rauf Garagozov, "Collective Memory and Memory Politics in the Central Caucasian Countries," *Central Asia and the Caucasus* 6, no. 36 (2005): 51-60. Viktor Shnirelman, "Aryans or Proto-Turks? Contested Ancestors in Contemporary Central Asia", *Nationalities Papers* 37, no. 5 (2009): 557-587; Ronald Suny, "Contemporary Issues in Historical Perspective, Constructing Primordialism: Old Histories for New Nations," *The Journal of Modern History* 73, no. 4 (2001): 862-896.

[5]Svante Cornell, "Autonomy and Conflict: Ethnoterritoriality and Separatism in the South Caucasus – Cases in Georgia," Ph.D. dissertation, Uppsala University 2002, shorturl.at/ayOSV (წანახია 03.12.2020); Claire Kaiser, "Lived Nationality: Policy and Practice in Soviet Georgia, 1945-1978," *Publicly Accessible Penn Dissertations* 2016, http://repository.upenn.edu/edissertations/1975, (წანახია 07.06.2020).

[6]Shnirelman, "Aryans or Proto-Turks?" 570-575; Suny, "Contemporary Issues,", 878-879; Garagozov, "Collective Memory and Memory Politics," 52, 60; Cornell, "Autonomy and Conflict", 175.

[7]Ketevan Epadze, "Searching for a place, the Case of IDPs of Abkhazia," *Analytical Bulletin*, N10 (2017): 86.

გამკლავების სტრატეგიები აღმოაჩნდათ.[8] თუმცა, დოკუმენტური წყაროები სხა სურათს გვაჩვენებს. შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება სავსებით მოსალოდნელი იყო, რადგან მას წინ უსწრებდა ნარატივების ბრძოლა და კონფლიქტური ქართული და აფხაზური იდენტობების შექმნა დე-სტალინიზაციის პერიოდში.

სწორედ საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბდა ერთი მხრივ აფხაზური, ხოლო მეორე მხრივ ოსური ისტორიული ტექსტები, რომლებიც ქართულ ტექსტებთან წინააღმდეგობაში საზღვრავდნენ საკუთარი ჯგუფის რაობას და ავტოქთონურ უფლებებს ტერიტორიაზე. ამ ისტორიულ განაცხადებს დაეფუძნა პერესტროიკის შემდგომი ეროვნული პროექტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რამაც შეუქცევადი სახე დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში მიიღო.[9]

უმცირესობების წინააღმდეგობის გაჩენას ქართულ საისტორიო ნარატივთან ხანგრძლივი წინაპირობები ჰქონდა. ამ ნაშრომში სწორედ იმ პერიოდებს შევისწავლით, რომელმაც მოამზადა ნიადაგი პოსტ-საბჭოთა პერიოდის კონფლიქტის წარმოქმნისათვის. ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, როგორ ჩამოყალიბდა სტალინურ და პოსტ-სტალინურ ეპოქაში ქართული და აფხაზური კონფლიქტური იდენტობები, რომლებიც სადაო და წინააღმდეგობრივ ისტორიულ ნარატივებს ეფუძნებოდა.

კონფლიქტური იდენტობების ჩამოყალიბების პერიოდთან დაკავშირებით მკვლევარებს განსხვავებული პოზიცია აქვთ. ამიტომ, შერჩეული ქრონოლოგიური ჩარჩოს ვალიდურობის დასაბუთებისათვის მნიშვნელოვანია რამდენიმე სიტყვა ითქვას საკვლევი პერიოდების შესახებ.

სხვადასხვა ავტორები მიიჩნევენ, რომ ქართულმა და აფხაზურმა ეროვნულმა პროექტებმა რუსეთის იმპერიის პერიოდში დაიწყო ჩამოყალიბება, ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ კი, მათ შორის გაჩნდა წინააღმდეგობა. მაგალითად ჯორჯ ჰიუიტი ნაშრომში „აფხაზეთი: იდენტობის და კუთვნილების პრობლემა“ აღნიშნავს: „თვითგამორკვევის უფლება პირველად აფხაზი ხალხის საბჭომ გააჟღერა (რეგიონში ბოლშევიკური ორგანიზაციის დაარსებამდე), 1917 წელს თბილისში გამართულ

[8]იქვე, 96.

[9]Nino Chikovani, “The Georgian historical narrative: From pre-Soviet to post-Soviet nationalism,” *Dynamics of Asymmetric Conflict: Pathways toward Terrorism and Genocide 5*, no. 2 (2012): 111-112.

შეხვედრაზე“.[10] ჰიუიტი ამ ფრაზით ცდილობს აჩვენოს, რომ აფხაზურ ეროვნულ პროექტს ბოლშევიკურ იდეებთან საერთო არ ჰქონია და აფხაზებში ეროვნული წარმოსახვა რევოლუციამდე პერიოდშიც არსებობდა.

გია ნოდია კიდევ უფრო ადრეულ პერიოდს უბრუნდება და თვლის, რომ „თანამედროვე აფხაზური პროექტი მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა.“[11] თუმცა ავტორი რამდენიმე ფრაზით შემოიფარგლება და ამ საკითხს ვრცლად არ მომოიხილავს, რითაც ბუნდოვანს ტოვებს აფხაზური პროექტის რაობას.

არც ჰიუვიტთან და არც ნოდიასთან არ არის ნაჩვენები, რას ეფუძნებოდა აფხაზური ნაციონალიზმი მე-19 საუკუნეში; ვინ ქმნიდა ეროვნულ დისკურსს და რაოდენ წარმატებულად ვრცელდებოდა იგი აფხაზ საზოგადოებაში. ამ საკითხების აქტუალობა ჩვენი ნაშრომისთვის იმით არის განპირობებული, რომ გვაძლევს ქრონოლოგიური ჭრილის განსაზღვრის შესაძლებლობას და, შესაბამისად, გვეხმარება იმის გამოკვეთაში, თუ როდის და რა ისტორიულ ვითარებაში დაიწყო კონფლიქტური ქართული და აფხაზური იდენტობების ფორმირება. ამ საკითხებზე ქვემოთ ვრცლად შევჩერდებით.

ასევე გვხვდება ავტორები, რომლებიც იდენტობის პროექტზე დაპირისპირების დასაწყისად გვიანი სტალინიზმის ეპოქას მიიჩნევენ. მაგალითად, ნინო ქემოკლიძე აჩვენებს, რომ 1940-იანი წლების ბოლოდან აფხაზი ინტელიგენციის წევრთა გამოხმაურება აფხაზეთში მიმდინარე რეფორმებზე აფხაზური ნაციონალიზმის გამოვლინებას წარმოადგენდა,[12] რომელიც დესტალინიზაციის პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა და 1970-იან წლებში შეუქცევადად დაუპირისპირდა ქართულ ნაციონალიზმს.[13]

---

[10]George Hewitt, “Abkhazia: A problem of Identity and Ownership,” *Central Asian Survey 12*, no. 3 (1993): 277-278;

[11]Ghia Nodia, “Causes and Visions on Conflict in Abkhazia,” *Berkeley Program in Soviet and PostSoviet Studies Working Paper Series* 1997-1998, https://escholarship.org/uc/item/4qr0m8wn (ნანახია 20.11.2020).

[12]Nino Kemoklidze,“Georgian-Abkhaz Relations in the post-Stalinist era,” *Georgia After Stalin Nationalism and Soviet Power,* edited by Timothy K. Blauvelt and Jeremy Smith (London and New York: Routledge 2016), 130.

[13]იქვე, 131-135.

ტიმოთი ბლაუველტი კიდევ უფრო აკონკრეტებს აფხაზთა ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პერიოდს და მას კორენიზაციის პროცესს მიაწერს.[14] იგი მიიჩნევს, რომ 1930-იანი წლებიდან აფხაზთა სტატუსის შემცირებამ ბიძგი მისცა ეთნიკური შუღლის გაღვივებას ქართველებსა და აფხაზებს შორის დე-სტალინიზაციის პერიოდიდან.[15]

ამ დებულებების გარდა არსებობს სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც გვაჩვენებს, რომ აფხაზური ეროვნული პროექტი იმპერიის პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო შემდგარი, დასრულებული და საყოველთაო და მან მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში დაიწყო ჩამოყალიბება.

პირველ ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ მე-19 და მე-20 საუკუნეების პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში. იგი არ იყო მომწიფებული ეროვნული პროექტის ჩამოყალიბებისთვის. 1860-იანი წლების ბოლოს აფხაზებს გადასახლების რამდენიმე ტალღა შეეხოთ და თითქმის აღარ დარჩათ ინტელიგენციის წარმომადგენლები,[16] რომელთაც აფხაზური ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაზე და გაძლიერებაზე უნდა ეზრუნათ. ამაზე მიანიშნებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში იშვიათად გვხვდება აფხაზი ინტელექტუალების მიერ შექმნილი ეროვნული ნარატივები, ლიტერატურული, ისტორიული და სხვა სახის ტექსტები, რომელიც მასობრივად იყო გავრცელებული აფხაზ ხალხში და აჩვენებდა განაცხადს იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა ჩათვლილიყო აფხაზად და ვინ არა.

ამ პერიოდის ავტორებიდან ჩვენთვის ცნობილია გიორგი შერვაშიძე და დიმიტრი გულია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შერვაშიძის შემოქმედებაში არ ჩანდა დამოუკიდებელი აფხაზეთის შექმნის სურვილი. ზურაბ პაპასქირი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მას „სავსებით ნათლად ჰქონდა გაცნობიერებული თავისი

---

[14]Timothy K. Blauvelt, "From words to action!" Nationality policy in Soviet Abkhazia (1921–38)." *The Making of Modern Georgia, 1918–2012 The First Georgian Republic and Its Successors,* edited by Stephen F. Jones (London and New York: Routledge, 2014), 357.

[15]იქვე, 549.

[16]Станислав Лакоба, Хухуты Бгажба, *История Абхазии с древнейших времен до наших дней* (Сухум: Алашарбага, 2007), 237-240.

ეთნო-ტომობრივი აფხაზობა," თუმცა ამავდროულად „უდავოდ იყო ქართველი ისტორიულ-კულტურულად".[17]

შესაძლოა ამ გარემოების გამო მოხდა ისე, რომ შერვაშიძე არც კი იხსენიება რევოლუციამდელ აფხაზ პოეტებს შორის 1941 წლის გამოცემაში, რომელიც აფხაზი პოეტების და მწერლების შემოქმედებას მიმოიხილავს. ყურადღებას იმსახურებს წინასიტყვაობის ავტორის მიხეილ დელბას შენიშვნაც: „ოქტომბრის დიად რევოლუციამდე აფხაზეთს მხოლოდ ერთი მწერალი ჰყავდა, რომელიც ამავე დროს იყო აფხაზური ლიტერატურის დამფუძნებელი [...] დიმიტრი გულია".[18] დელბა გულიას შემოქმედებაში ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ეროვნული მოტივების მიბაძვას ხედავს და თვლის, რომ პოეტმა ეს მოტივები აფხაზურ საზოგადოებას მოარგო.

ტექსტში ასევე ნაჩვენებია, რომ გულიას შემოქმედება მხოლოდ საბჭოთა პერიოდში გახდა სახალხო და პოპულარული - იკითხებოდა მეურნეობებში და ისწავლებოდა სკოლებში.[19] ამ წყაროდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთადერთ აფხაზ მწერალს, რომელიც ეროვნულ მოტივებზე წერდა აფხაზური საზოგადოების დიდი ნაწილი არ იცნობდა, ეს ფაქტი მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისთვის, რამდენადაც ქვემოთ განხილული მოდერნისტი ავტორების თანახმად, ერის კონსტრუირების ბაზისს შემოქმედებითი ინტელიგენციის ნარატივები წარმოადგენს. ასეთი ნარატივების მაგალითები იშვიათია პრე-საბჭოთა პერიოდის აფხაზეთში.

მეორე ფაქტორი საგარეო გავლენას უკავშირდება. რუსეთის იმპერიის მმართველობის დროს აფხაზეთში, ძირითად, ვრცელდებოდა რუსული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტექსტები და არა აფხაზური. მათში საუბარი იყო აფხაზთა ეთნიკურ ინდივიდუალიზმზე, მათ ავტოქთონურ წარმომავლობაზე აფხაზეთში და ქართველებთან არსებულ განსხვავებებზე. მათ შორის აღსანიშნავია ევგრაფ კოვალევსკის

[17]ზურაბ პაპასქირი, „შარვაშიძეთა სამთავრო სახლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურულ-პოლიტიკური იერ-სახის შესახებ," თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2010, shorturl.at/eiB13 (ნანახია 18.06.2020).

[18]В. Голцьев, *Поэты Абхазий* (Москва: государственное издательство, 1941), 6.

[19]იქვე, 7.

„ნარკვევები კავკასიის ეთნოგრაფიდან“, ლ. ვორონოვის „აფხაზეთი არ არის საქართველო“ და რუსი სამღვდელოების ტექსტები აფხაზეთის არქიტექტურის შესახებ.[20] წყაროებიდან ჩანს, რომ რუსულ ნარატივებს და მცდელობას აღეზარდა ლოიალური კადრები აფხაზებს შორის, აფხაზებში ანტიქართული განწყობები უნდა შეეტანა.

ერთ-ერთი ასეთი წყაროა გაზეთი ცნობის ფურცელი, რომელშიც 1905 წელს გამოქვეყნდა უცნობი ავტორი მეტსახელად „სოხუმელის“ წერილი „სკოლა, ქართველები და ქართული ენა, სკოლა აფხაზეთში“. ავტორი აფხაზეთში რუსული გავლენების და აფხაზების ქართველებთან დაშორების შესახებ წერდა.იგი აღნიშნავდა: „აფხაზეთში არსებობს ორკლასიანი სასწავლებელი, მთიულთა (აფხაზთა) ბავშვთათვის გახსნილი.ამ სკოლას, როგორც სხვა ყველა სკოლებს სოხუმის ოლქში, აზრადა აქვს გარუსება მოწაფეებისა. ათასში ერთხელ გიმნაზიაშიც გაგზავნის ხოლმე მთავრობა სახელმწიფო ხარჯით აქ კურს-დამთავრებულს. მაგრამ არ გეგონოთ, სადმე მახლობელ ქალაქის გიმნაზიაში გზავნიდეს, აი, თუნდა ქუთაისისაში [...] ბიუროკრატიამ იცის, რომ ქუთაისი ქართველთა ქალაქია. იცის, რომ სოხუმიდან გამოგზავნილი ბავშვი ქართულ საზოგადოებაში დატრიალდება, ქართულს ადვილად ისწავლის და ქართული ტენდენციებიც განუვითარდებაო. ასეთის ‘უხერხულობის’ ასაცილებლად მთავრობამ რამდენიმე სტიპენდიაც დააარსა სოხუმის ოლქის ბავშვთათვის სტავროპოლის გიმნაზიაში. გზავნიან ბავშვებს სამშობლოდან შორს, უცხო მხარეში, უცხო ხალხში, რომ ყოველი მშობლიური გრძნობა გულიდან ამოჰგლიჯონ.“[21]

როგორც ვხედავთ რუსული გავლენები მე-19 საუკუნის ბოლოს უკვე საგრძნობი იყო აფხაზეთში. მიუხედავად ამისა, ზემოთ დასახელებულ რუსულ ტექსტებს ვერ მივიჩნევთ აფხაზური ეროვნული პროექტის საფუძვლად, რადგან ისინი არ იყო შექმნილი აფხაზი ავტორების მიერ, მათი მეშვეობით აფხაზი ელიტა არ ახორციელებდა

[20]Евграф Ковалевьский, „Очерки этнографии Кавказа,“ *Вестник Европы*, N3 (1867): 135; Епископ Агаеодор, *Успенско Драндский общежительный монастирь в Абхазии* (Ставрополь: Типография М. Т. Тимофеева, 1894), 8-11; Лев А. Кавелин, *Абхазия и в ней Ново Афонской Симоно Кананитский монастырь* (Москва: Типография В. О. Рихтер, 1885), 10-12; Л. Воронов, Абхазия - не Грузия (Москва: Верность, 1907), 4-5.

[21]სოხუმელი, „სკოლა, ქართველები და ქართული ენა“, *ცნობის ფურცელი*, N2786 (1905): 3.

კომუნიკაციას უმრავლესობასთან. თანაც მათში აფხაზთა და ქართველთა შორის განსხვავებაზე იყო საუბარი და არა საკუთრივ აფხაზთა რაობაზე.

შემდგომი ფაქტორი პოლიტიკურ ორიენტაციას უკავშირდება. რევოლუციამდე აფხაზებს არ ჰქონდათ გარკვეული არა მხოლოდ შიდა ჯგუფური, ეროვნული კუთვნილება, არამედ საკუთარი პოლიტიკური ორიენტაცია, მტრის და მეგობრის ხატები, რაც იდენტობის პროექტის ფორმირების აუცილებელი პირობაა.[22] რუსეთის იმპერია დიდი ხნის მანძილზე ითვლებოდა მტრად აფხაზებისთვის, ადგილობრივი მოსახლეობის თურქეთში გადასახლების გამო, თუმცა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ეს განწყობა გაქრა. გარდა ამისა, აფხაზი ინტელიგენციის ერთი ნაწილი ჩრდილოკავკასიელებთან კავშირში განიხილავდა აფხაზი ხალხის ბედს და ქართველები მტრად მიაჩნდა. მეორე ნაწილი კი საქართველოსთან პოლიტიკური გაერთიანების მომხრე იყო.[23]

შემდგომ ფაქტორს მე-19 და მე-20 საუკუნეების აფხაზთა იდეოლოგიური კუთვნილება წარმოადგენს. ამ კუთხით მნიშვნელოვან დასაყრდენს გვაძლევს კორი უელტის ახალი კვლევა, რომელშიც ნაჩვენებია, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში, ნაციონალიზმის საპირსპირო იდეოლოგიას - სოციალიზმს ძლიერი მხარდაჭერა ჰქონდა აფხაზეთში და აფხაზთა მობილიზება სწორედ ბოლშევიკური და არა ეროვნული მოტივების გამო დაიწყო.[24] ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზი გლეხები ვიწრო იდენტობის ფარგლებში განსაზღვრავდნენ საკუთარ თავს და საბჭოთა ლიდერების დაპირებები პიროვნული ინტერესებისთვის ესახებოდათ და არა საერთო ეროვნული კეთილდღეობისთვის.

განსხვავებული სურათი ჩანს რევოლუციის შემდგომ პერიოდში. ქვემოთ ნაჩვენებია, რომ კორენიზაციის, ანუ ეროვნული გაძლიერების პროგრამას დიდი წარმატება მოყვა აფხაზეთში. დაიწყო ახალი ისტორიული და ლიტერატურული

---

[22]Nodia, “Causes and Visions”, 11.

[23]იქვე, 21.

[24]Cory Welt, “A fateful moment: Ethnic Autonomy and Revolutionary Violence in the Democratic Republic of Georgia (1918–21).” *The Making of Modern Georgia, 1918–2012 The first Georgian Republic and Its Successors*, edited by Stephen F. Jones (London and New York: Routledge, 2014), 448.

ნარატივების ფორმირება, რომლებიც აფხაზებს დამოუკიდებელ ერად განიხილავდა, მათ შორის აღსანიშნავია დიმიტრი გულიას ნაშრომი „აფხაზეთის ისტორია“.[25]

გარდა ამისა, გაჩნდა გამოცემები აფხაზურ ენაზე და სახალხო განათლების არაერთი კერა. ეს პროცესი აჩვენებს, რომ აფხაზთა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება სწორედ საბჭოთა პერიოდში დაიწყო და მას სათავეში ედგნენ საბჭოთა აფხაზი ინტელქტუალები და პარტიული კადრები. აქ ჩამოთვლილი ფაქტორების გამო ეროვნული პროექტების დაპირისპირებას სწორედ საბჭოთა ერას ვუკავშირებთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1920-იან და 1930-იან წლებში ქართულ და აფხაზურ ნარატივებს შორის არ არსებობდა დაპირისპირება. ქვემოთ ნაჩვენებია, რომ ეს პროცესი მხოლოდ პოსტ-სტალინურ პერიოდში დაიწყო და მას ნიადაგი შეუმზადა საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლების მიერ ეთნიკურობის კატეგორიის - ისტორიული ნარატივების - ინსტრუმენალიზაციამ. სწორედ ეროვნულმა პოლიტიკამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი დაპირისპირების წარმოქმნისთვის.

ეროვნულ საკითხზე დებატები კონკრეტული ტექსტის - პავლე ინგოროყვას ნაშრომის „გიორგი მერჩულეს“ გარშემო წარმოიშვა 1950-იანი წლების ბოლოდან და 1970-იანი წლებში კონფლიქტური ნარატივების ფორმირებით დასრულდა. შესაბამისად, კვლევაში ვაჩვენებთ, რომ სწორედ ამ ქრონოლოგიურ ჭრილს.

საკვლევი პრობლემის აქტუალურობა

ქართველებსა და აფხაზებს შორის საბჭოთა პერიოდში არსებულ ურთიერთობებს არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. ზოგ მათგანში ეს საკითხი ცენტრალურ პრობლემად იყო წარმოჩენილი.[26] ზოგ ავტორთან კი, კვლევის ერთ-ერთ მიმართულებად.[27] ქართველი

---

[25]Д. Гулия, *История Абхазии* (Тифлис: 3-я типография Полиграфтреста ВСНХ Грузии, 1925).

[26]ზურაბ პაპასქირი, *ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან: 1917-1993* (თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა, 2007). ლევან იზორია, „აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა (1945-1993), სადოქტორო ნაშრომი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი 2015, http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/lizoria.pdf (ნანახია 27.12.2020). Баджур Сагариа, et.al., *Абхазия: Документы свидетельствуют 1937-1953. Сборник материялов* (Сухум: Алашара, 1992); Игорь Марыхуба, *Абхазия в Советскую эпоху и Абхазские письма (1947-1989). Сборник документов, том I* (Сухум: республика Апсны, 1994); Григорий Лежава, *Между Грузией и Россией. Исторические корни и современные факторы Абхазо -Грузинского конфликта (XIX-XX)* (Москва: Российская академия наук, 1997); Timothy K. Blauvelt,

ავტორების ზურაბ პაპასქირისა და ლევან იზორიას მიხედვით, საბჭოთა პერიოდის დებატებს ეროვნულ საკითხზე 1920-იან წლებში, საბჭოთა ხელისუფლების მიერ აფხაზური სეპარტიზმის წახალისებამ ჩაუყარა საფუძველი. ამ ხედვით, ინგოროყვას ნაშრომი წარმოადგენდა პასუხს კორენიზაციის პროცესში შექმნილ აფხაზურ თეორიებზე.[28]

აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე ქართველი ავტორების დიდი ნაწილი არ იზიარებს ინგოროყვას მოსაზრებებს. ამასთან დაკავშირებით ზურაბ პაპასქირი აღნიშნავს:“ ჩვენ არაერთხელ გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება პავლე ინგოროყვას შეხედულებისადმი აფხაზთა ეთნიკური ვინაობის საკითხთან დაკავშირებით და აღვნიშნეთ, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია მთლიანობაში (ზოგიერთი მეცნიერის გამოკლებით) არ იზიარებს პ. ინგოროყვას თვალსაზრისს და არ მიიჩნევს საეჭვოდ ადრეული შუა საუკუნეების აფსილ-აბაზგთა და აფხაზთა აფხაზურ ადიღეურ წარმომავლობას.“[29]

ამის საპირისპიროდ აფხაზი ავტორები იგორ მარიხუბა და თეიმურაზ აჩუღბა მიიჩნევენ, რომ ისტორიის ფალსიფიკაცია ქართველებმა სტალინისა და ბერიას ხელშეწყობით დაიწყეს, ხოლო აფხაზური ნარატივები ქართული ნარატივების საწინააღმდეგოდ შეიქმნა.[30]

ქართველი და აფხაზი ავტორები მეტწილად პრობლემის გარშემო არიან კონცენტრირებულნი და ნაკლებად ინტერესდებიან შედარებითი ანალიზით სხვა რესპუბლიკებთან. ამ მხრივ, მნიშვნელოვან დასაყრდენს გვაძლევს უცხოელი ავტორების

“Language Education and Ethnic Resentment in Soviet Abkhazia, 1939–53.” *Ab Imperio, N1,* (2020): 197-219; Bruno Coppieters, “In Defense of the Homeland: Intellectuals and the Georgian-Abkhazian Conflict.” *Secession, History and the Social Sciences*, edited by Bruno Coppieters & Michel Huysseune (Brussels: VUB University Press, 2002.

[27]Kaiser, *Lived Nationality*.

[28]პაპასქირი, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* 160; იზორია, „აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა“, 46.

[29]პაპასქირი, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* 159-160.

[30]Марыхуба, *Абхазия в Советскую Эпоху*, 159-160;Теймураз Ачугба, *Этническая история Абхазов: XIX-XX.* Этнополитические и миграционные аспекты (Сухум: Академия наук Абхазии 2010), 246.

მოსაზრებაც, რომლებიც საერთო საბჭოური სურათიდან ამოდიან და არ მხოლოდ მაკროპროცესების განხილვით არ ინტერესდებიან.

ტერი მარტინი ამტკიცებდა, რომ ბოლშევიკების ხანგრძლივვადიანი სტრატეგია მიზნად ისახავდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას. ამ მიზნის მისაღწევად ისინი საბჭოთა ერების ეროვნულ კულტურას აძლიერებდნენ და მომავალში მის ჩანაცვლებას სოციალისტური კულტურით გეგმავდნენ. თუმცა, ამ სტრატეგიამ არ იმუშავა, რადგან სხვადასხვა ხალხებმა სოციალიზმი, როგორც იდეოლოგია, ნაციონალიზმზე წინ არ დააყენეს. ეროვნული სენტიმენტები დიდი ბარიერი აღმოჩნდა ცენტრალური ხელისუფლების მოდერნიზაციის გეგმისთვის. ამის გამო, საბჭოთა ლიდერები იძულებული გახდნენ შეექმა ორმაგი იდენტობა - „ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური“ და ამის პარალელურად გაძლიერებინათ რუსიფიკაცია,[31] რასაც დაყოფილი ერებიდან სისტემისადმი ლოიალური და ერთიანი საზოგადოების შექმნა უნდა მოჰყოლოდა მომავალში.

მსგავს მოსაზრებას იზიარებდა იური სლეზკინიც. იგი აღნიშნავდა, რომ ნაციონალიზმის არსებობა საბჭოთა სახელმწიფოში კომუნისტებს არ სჭირდებოდათ. თუმცა, მათ ერების “რეალურობას“ გვერდი ვერ აუარეს და ეროვნული იდენტობის დათრგუნვის ნაცვლად მის მიზანმიმართულ გაძლიერებას შეუწყვეს ხელი, რაც სოციალიზმის აყვავების პარალელურად მიმდინარეობდა. ამ პარადოქსს სლეზკინმა ირონიულად უწოდა ბოლშევიკი ლიდერების „ეთნოფილია“ და დაასაბუთა, რომ კორენიზაცია წარმოადგენდა პოლიტიკურ კომპრომისს სოციალიზმის დასანერგად და საბჭოთა ხალხების გულის მოსაგებად.[32]

საბჭოთა ხელისუფლების მიერ იდენტობების ფორმირების ორმაგ სტანდარტზე საუბრობდა ფრანსინ ჰირშიც. იგი აღნიშნავდა, რომ სტალინიზმის პერიოდში საბჭოთა ნაციონალიზმის მოდელი უცნაურ ფენომენს წარმოადგენდა, რადგან ერთი მხრივ ეხმიანებოდა „დასავლეთ ევროპის პროტოტიპს,“ რაც ტერიტორიული ერების შექმნაში

[31]Terry Martin, „Modernization or neo-traditionalism? Ascribed Nationality and Soviet Primordialism,” in *Stalinism New Directions: Rewriting History*, ed., Sheila Fitzpatrick (London and New York: Routledge 2000), 353.
[32]Slezkine, “The USSR as a Communal Apartment,“ 418.

გამოიხატა; ხოლო მეორე მხრივ კი, ეთნიკურ ნაციონალიზმს, რაც ეთნიკური ენის, კულტურისა და ისტორიის დაწინაურებაში აისახა.[33]

2000-იანი წლების ბოლოდან, იდენტობის ფიქსირებული („ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური") კონსტრუქტის არსებობა ახალმა კვლევებმა ეჭვქვეშ დააყენა.[34] სხვადასხვა ავტორებმა დაიწყეს საუბარი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, არარუს ელიტებში ერის წარმოსახვის ალტერნატიული პროცესების არსებობაზე, რომელიც ცენტრის პოლიტიკის გავლენით და მასთან წინააღმდეგობაში ჩამოყალიბდა.

ახალ კვლევებში ეროვნული იდენტობების ფორმირების პროცესი ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ ელიტებს შორის მოლაპარაკების ჩარჩოში განიხილებოდა. მოლაპარაკება წარმოჩენილი იყო არა როგორც საბოლოო შეთანხმება ეროვნულ საკითხზე, არამედ როგორც პროცესი, რომელიც იცვლებოდა და დამოკიდებული იყო მოლაპარაკებაში მყოფ მხარეებზე და მათ ინტერესებზე.

მაგალითად, ჯერემი სმიტი თვლიდა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სხვადასხვა აქტორები - მათ შორის რესპუბლიკური ელიტები, თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს ეროვნული საკითხების გადაჭრაში და არა ერთიანი პოლიტიკა.[35] მსგავსი მოსაზრება ჩანდა კლერ კაიზერთან"[36] დიანა კუდაიბერგენოვასთან,[37] ტიმოთი ბლაუელტთან.[38]

დასახელებული ავტორები ეროვნული საკითხებზე მსჯელობისას ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობის დინამიკის მნიშვნელობაზე კონცენტრირდებოდნენ და ელიტებს შორის შიდა შეთანხმებების არსებობაზე მიუთითებდნენ.

---

[33]Hirsh, "The Soviet Union as a Work in Progress," 278.

[34]Marlen Laruelle, "The Concept of Ethnogenesis in Central Asia: Political Context and Institutional Mediators (1940–50)," *Kritika: Explorations in Russian and Eurasian History* 9, no. 1 (2008): 169-188; Diana Kudaibergenova, "Imagining community in Soviet Kazakhstan. An historical analysis of narrative on nationalism in Kazakh-Soviet literature," *Nationalities Papers* 41, no. 5 (2013): 839-854; Zbigniew Wojnowski,"The Soviet people: national and supranational identities in the USSR after 1945," *Nationalities Papers* 43, no. 1 (2015): 1-7; Kaiser, "Lived Nationality", 68; Jeremy Smith,"Was there a Soviet Nationality Policy?" *Europe- Asia Studies* 71, no. 6 (2019): 972-993.

[35]Smith,"Was there a Soviet," 19.

[36]Kaiser, "Lived Nationality," 16-17.

[37]Kudaibergenova, "Imagining community," 840-844.

[38]Blauvelt, "Language Education," 211-213.

დასავლეთის სოვეტოლოგების მიერ შექმნილი ნაშრომები გამოკვეთს ჩვენი კვლევის აქტუალურობას. ზემოთ ვნახეთ, რომ წინააღმდეგობრივი ისტორიული ნარატივების და იდენტობების კონსტრუირების პროცესი ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებში არ არის შესწავლილი ნაციონალიზმის თეორიის ჭრილში. თეორიული დასაბუთებით, შესაძლებელია, საკვლევი საკითხი ეროვნული იდენტობის ფორმირების საერთო საბჭოურ სურათში განვიხილოთ და არა მისგან განცალკევებით.

კვლევის მიზანი

ნაშრომში მიზნად ვისახავთ კონსტრუქტივისტული მიდგომის ფარგლებში ვაჩვენოთ როგორ ჩამოყალიბდა სტალინურ და პოსტ-სტალინურ ეპოქაში ქართული და აფხაზური კონფლიქტური იდენტობები, რომლებიც სადაო და წინააღმდეგობრივ ისტორიულ ნარატივებს ეფუძნებოდა.

კვლევითი ჰიპოთეზა

ჩვენი ვარაუდით, ეთნიკურობის კატეგორიის - ეროვნული ისტორიული ნარატივების - ინსტრუმენტალიზაციით საბჭოთა ხელისუფლებამ საბჭოთა საქართველოში, სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად, ეთნიკური ნაციონალიზმი წაახალისა, რომელმაც ცალკეულ შემთხვევებში დისკურსის რადიკალიზაციით იჩინა თავი. ამის მაგალითად პავლე ინგოროყვას ნაშრომია მოყვანილი, რომელსაც მოჰყვა გამოხმაურება აფხაზი საზოგადოების მხრიდან წარსულზე დავის დაწყებამ, ხელი შეუწყო კონფლიქტური ეროვნული იდენტობების კონსტრუირებას ისტორიულ ნარატივებში.

საკვლევი კითხვა

მთავარი საკვლევი კითხვებია: როგორ და რატომ ჩამოყალიბდა კონფლიქტური ეროვნული იდენტობის პროექტები საბჭოთა პერიოდის ქართულ და აფხაზურ ისტორიულ ნარატივებში?

კვლევის მეთოდები

ემპირიული მასალას ნაშრომში დეკონსტრუქციის მეთოდით გავაანალიზებთ. დეკონსტრუქცია ფართოდ გამოიყენება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში წერილობითი ტექსტების შესწავლისას. იგი საშუალებას გვაძლევს გავაშიშვლოთ

„ნარატივები და ვაჩვენოთ მათში ავტორიტეტული ცენტრები.“[39] ეს არის მთხრობელის მიერ არჩეული იდეები, რომელიც მართავს ნარატივის ხაზს და შინაარსს. ტექსტის ყველა ნაწილი რამდენიმე იდეის გარშემოა ორგანიზებული. მათი გამოკვეთა ნათელს ჰფენს დომინანტურ პერსპექტივას კვლევის გარშემო და ავტორის სათქმელს.[40]

ქართული და აფხაზური ნარატივების ანალიზისას დეკონსტრაქციის მეთოდის გამოყენების აუცილებლობას აჩვენებს ის ფაქტიც, რომ აფხაზურ ნარატივში არსებული ავტორიტეტული ცენტრი, ანუ ავტორთა სუბიექტური ხედვა საკუთარი ჯგუფის ეროვნულ პროექტზე, ქართულ პროექტთან წინააღმდეგობაშია აგებული. ეს იმას ნიშნავს, რომ მათი შეპირისპირება საშუალებას მოგვცემს ვაჩვენოთ ის ხაზები, რომელსაც ერთი ნარატივი გამორიცხავს, მეორე კი ემხრობა, და პირიქით. ასევე, დავადასტუროთ ზემოთ გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს ტექსტები, ეროვნულ საკითხზე ორი ჯგუფის დაპირისპირებას და კონფლიქტური იდენტობების კონსტრუირებას ასახავს.

რამდენადაც დავა ეროვნული იდენტობის მთავარ კომპონენტზე ტერიტორიაზე წარმოიშვა, ნარატივების დეკონსტრუქციისას ყურადღება მიექცევა: რაში ეთანხმებიან და ეწინააღმდეგებიან ავტორები ერთმანეთს; რომელ საკითხებთან დაკავშირებით ჩნდება ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები, რაც ერთი და იმავე ისტორიის გარშემო წინააღმდეგობრივ მიმართულებებს ავითარებს.

ნარატივების დეკონსტრუქციას თემატური ანალიზით მოვახდენთ. გასაანალიზებელი ტექსტი იყოფა სხვადასხვა თავებად, რომელიც გარკვეული თემების გარშემოა ორგანიზებული. ანალიზისთვის შევარჩიეთ ის საკითხები, რომლებიც ეჭვქვეშ დააყენა პავლე ინგოროყვას ნაშრომმა და რამაც გამოიწვია დავა დესტალინიზაციის პერიოდიდან გამოცემულ ტექსტებში.

მათ შორისაა:

- ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის აფხაზი ტომები (მე-4-8 საუკუნეები);

[39]David M. Boje, *Narrative Methods for Organizational and Communication Research* (London, Thousand Oaks and New Delhi: Sage Publications, 2001), 19.
[40]იქვე, 21, 22.

- აფხაზეთის სამეფოს შექმნა (მე-8 საუკუნე);
- ერთიანი ფეოდალური ქართული სახელმწიფოს შექმნა (მე-10 საუკუნე);
- აფხაზები ფეოდალური ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში (მე-11-17 საუკუნეები).

წყაროების კვლევისთვის ასევე გამოიყენება შინაარსობრივი ანალიზის მეთოდი, რომელიც მკვლევარს საშუალებას აძლევს მთლიანი ტექსტი საკვლევ მოვლენამდე დაიყვანოს, მისთვის საინტერესო მიმართულება ამოარჩიოს და ინტერპრეტაციას დაუქვემდებაროს. ეს მეთოდი გამოიყენება როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მონაცემების დასამუშავებლად.[41]

ნაშრომში თვისებრივი მონაცემებია შესწავლილი - ტექსტის ავტორთა აღქმები, დამოკიდებულებები და ძირითადი მესიჯები საკვლევი საკითხის სხვადასხვა ასპექტზე.

საკვლევი წყაროები

ემპირიული ანალიზისთვის შევარჩიეთ ქართველ და აფხაზ ავტორთა ტექსტები, რომელიც შუა საუკუნეების პერიოდს ეხება და საბჭოთა საქართველოში იდენტობის ჩამოყალიბების გავლენიან მედიუმებს წარმოადგენდა. წინააღმდეგობრივ პროექტებზე წარმოდგენას გვიქმნის 1950-იან წლებიდან გამოქვეყნებული ისტორიული ნარატივები, რომელიც ერებს შორის საზიარო წარსულს ეხება და ამასთანავე, განსხვავებულად წარმოაჩენს ქართველთა და აფხაზთა რაობას ისტორიული განვითარების მანძილზე.

ამ ნარატივების ავტორთა ინტერპრეტაციებში იკვეთება კონფლიქტური ხაზები ჯგუფების განსახლების და მათ შორის ურთიერთკავშირის შესახებ, რაც ქმნის სადაო არგუმენტებს ეროვნული იდენტობის მთავარ კომპონენტზე - ტერიტორიაზე.

ნარატივების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ იდენტობის პროექტების დინამიკას გვიანი სტალინიზის პერიოდიდან დესტალინიზაციის პერიოდის ჩათვლით.

ქართულ ნარატივებს მიეკუთვნება:

[41]Tracy G. Harwood and Tony Garry, "An Overview of Content Analysis," *The Marketing Review*, no. 3, (2003): 479.

- 140-იანი წლების მარქსისტულ-ლენინისტური ისტორიის სახელმძღვანელოები, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა დაწერეს:„საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე“ (1940, 1943, 1946).
- პავლე ინგოროყვას სტატიიების სერიის ერთ-ერთი ნაწილი - „დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფოს“ დაარსების ისტორიისთვის“ (1951) და წიგნი „გიორგი მერჩულე“ (1954).
- 1958 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიის მარქსისტულ-ლენინისტური სახელმძღვანელო, რომელიც ქართველი ისტორიკოსების გუნდმა პროკოფი რატიანმა, გიორგი მელიქიშვილმა, შოთა მესხიამ, ვალერიან დონდუამ და მურმან დუმბაძემ დაწერეს: „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე“.
- ქართველი ისტორიკოსის ნიკო ბერძენიშვილის ნაშრომი „საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 3“ (1964).
- 1961, 1968 წლებში გამოცემული მარქსისტულ - ლენინისტური ისტორიის სახელმძღვანელოები „საქართველოს ისტორია VII-X კლასებისთვის“. აღსანიშნავია ისიც, რომ 1968 წელს გამოცემული წიგნი 1970-იან წლებშიც ისწავლებოდა.
- 1970-იან წლებში გამოცემული საქართველოს ისტორიის რვატომეულის ოთხი ნაწილი: ტომი I - გიორი მელიქიშვილის რედაქციით (1970), ტომი II - შოთა მესხიას რედაქციით (1973), ტომი IV - მამუკა დუმბაძის რედაქციით (1973) და ტომი III -ზურაბ ანჩაბაძის და ვიქტორ გუჩუას რედაქციით (1979).

აფხაზურ ნარატივებს მიეკუთვნება:

- გიორგი ანჩაბაძის მიერ 1959 წელს გამოცემული ნაშრომი „შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან“, 1976 წელს გამოცემული წიგნი „ნარკვევები აფხაზი ხალხის ეთნიკური ისტორიიდან“.
- შალვა ინალ იფას მიერ 1960 და 1965 წელს გამოცემული ნაშრომი „აფხაზები“ და 1975 წლის წიგნი „აფხაზეთის ეთნო-კულტურული ისტორიიდან“.

გარდა ამისა, ისტორიული კონტექსტის გასაგებად, ნაშრომში შესწავლილია სხვადასხვა სახის წყაროები - საარქივო მასალები, წერილები, ოფიციალური დოკუმენტები, ჟურნალ-გაზეთების სტატიები, აკადემიური ნაშრომები და სხვა.

თეორიული ჩარჩო

ნაშრომში კონსტრუქტივისტული მიდგომის ფარგლებში გავაანალიზებთ კონფლიქტური ეროვნული იდენტობების ფორმირებას საბჭოთა პერიოდის ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებში. 1960-იანი წლებიდან, კონსტრუქტივიზმი ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში დომინანტური პერსპექტივა გახდა. მის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს იდეა სოციალური სამყაროს ცვალებადობის და მასში სოციალური აქტორების - პოლიტიკოსების, ინტელექტუალების, საზოგადოებრივი ჯგუფების ჩარევის შესახებ. კონსტრუქტივიზმი ცნების ფართო მნიშვნელობით მოიაზრებს იმას, რომ „ყველაფერი რაც ჩვენ ბუნებრივად გვეჩვენება, ადამიანური ძალისხმევის და ინტერპრეტაციის შედეგია.“[42]

1980-იანი წლებიდან კონსტრუქტივიზმი ნაციონალიზმის თეორიებთან კავშირში განიხილება. სხვადასხვა ავტორების მიერ, ეროვნული ისტორიების და ერების უცვლელობის იდეის კრიტიკამ გზა გაუხსნა კონსტრუქტივისტულ მიდგომას, რომლის თანახმადაც ერი და ნაციონალიზმი არ არის ობიექტური კატეგორიები, შექმნას და გარდაქმნას ექვემდებარება.[43]

---

[42]Kanchan Chandra, *Constructivist Theories of Ethnic Politics* (United kingdom: Oxford University Press, 2012), 18.
[43]Christian Wicke, “Constructivism in the History of Nationalism Since 1945,” Writing History of Nationalism edited by Stefan Berger and Eric Storm (London: Bloomsbury, 2019), 131-132.

ამასთანავე, ნაციონალიზმის თეორიის პრიმორდიალური და პერენიალური პარადიგმების საწინააღმდეგოდ, რომლებიც ეროვნულ იდენტობებს ბუნებრივ და უცვლელ მოცემულობად განიხილავდა, კონსტრუქტივიზმის მიმდევრებმა დაიწყეს ერების ფორმირების და ცვლილების შესწავლა ვიზუალურ და ტექსტურ ნარატივებზე, კულტურულ სიმბოლოებზე და სხვა მედიუმებზე დაყრდნობით.[44]

ნაციონალიზმის ინტერდისციპლინური დარგის ფუძემდებლისა და თეორეტიკოსის ენტონი სმიტის მიხედვით, კონსტრუქტივისტული მიდგომის ფარგლებში შეიძლება მოვაქციოთ ნაციონალიზმის მოდერნისტული და ეთნოსიმბოლისტური პარადიგმები.

მიუხედავად იმისა, რომ მოდერნისტები ერებს ახალ, ხოლო ეთნოსიმბოლისტები ძველ ერთობად განიხილავენ, ორივე პარადიგმა აღიარებს მათი კონსტრუირების შესაძლებლობას მოდერნულ ეპოქაში.[45] ნაციონალიზმის მოდერნისტული სკოლიდან ყველაზე ხშირად ციტირებადი ავტორები არიან ერნსტ გელნერი, ერიკ ჰობსბაუმი, და ბენედიქტ ანდერსონი. ხოლო ეთნო-სიმბოლისტური მიდგომის პიონერად თავად სმიტი გვევლინება.

გელნერი ერის კონსტრუირების აუცილებელ პირობად მიიჩნევდა უმაღლესი კულტურის (high culture) არსებობას, რომელიც გაზიარებულია არა მხოლოდ ელიტურ უმცირესობაში, არამედ მთლიანად საზოგადოებაში და აკავშირებს მათ საერთო იდენტობით. ავტორის თანახმად, უმაღლესი კულტურა კონკრეტული სახელმწიფოს საზღვრებში ვრცელდება, სანქცირებულია საგანმანათლებლო ინსტიტუტებით და დაცულია პოლიტიკური ძალაუფლებით. „მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობებში შეიძლება ერების განსაზღვრა, სადაც ხალხის ნება და კულტურა ერთმანეთს უკავშირდება და პოლიტიკურ ერთობას აყალიბებს„ - აღნიშნავდა გელნერი.[46]

ერიკ ჰობსბაუმის მიხედვით ერი, ისევე როგორც მასთან ასოცირებული სხვა კატეგორიები - ნაციონალიზმი, ერი-სახელმწიფო, ეროვნული სიმბოლოები თუ

---

[44]იქვე, 134.

[45]Anthony D. Smith, *Nationalism and Modernism: A critical Survey of Recent Theories of Nations and Nationalism* (London and New York: Routledge, 2003), 2, 198

[46]Ernest Gellner, *Nations and Nationalism* (Ithaca and New York: Cornell University Press, 1983), 55.

ისტორიები, სოციალური ინჟინერიის შედეგს წარმოადგნეს, რომელიც „უმეტესწილად გამიზნულად მიმდინარეობს და ყოველთვის ინოვაციურია, თუნდაც, მხოლოდ იმის გამო, რომ ისტორიული გამოგონება მოითხოვს ნოვატორობას."[47]

ერის წევრებს შორის დამაკავშირებელ ხიდად ჰობსბაუმი ტრადიციებს - განმეორებად რიტუალებს და სიმბოლოთა კომპლექსებს მიიჩნევს, რომელსაც ქმნიან და ფორმალურ ხასიათს ანიჭებენ უმეტესად პოლიტიკური ინსტიტუტები. ტრადიციების გამოგონების პროცესი არ მომდინარეობს უმტკივნეულოდ. ის ძველი, ტრადიციული საზოგადოებების ნგრევის და მათგან ახალი საზოგადოების შექმნის პროცესის თანმდევი ნაწილია, მოითხოვს ტრადიციული ნორმების უარყოფას და ახალთან ადაპტირებას.[48]

ბენედიქტ ანდერსონი თვლიდა, რომ ერი წარმოსახვითი საზოგადოებაა, რომელიც სუვერენიტეტისკენ ისწრაფვის. იგი ეფუძნება „ძმურ" კავშირებს ჯგუფის წევრებს შორის, ანუ სიახლოვის და ერთობის შეგრძნებას, რომელიც გამოგონილია, წარმოსახვითია. ამ წარმოსახვის დასაცავად, ანდერსონის სიტყვით, ბოლო ორი საუკუნის მანძილზე „გააზრებულად სწირავდნენ სიცოცხლეს."[49] ერის აღმოცენებას ავტორი ბეჭდური კაპიტალიზმის განვითარებას უკავშირებს, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ კომუნიკაციის დაჩქარებას ელიტებსა და საზოგადოების სხვა წევრებს შორის.[50] ამ პროცესმა შესაძლებელი გახადა რელიგიური ენის ჩანაცვლება სახალხო ენით, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა მასებისთვის, კონკრეტული ადმინისტრაციული ძალაუფლების ქვეშ და კონკრეტულ ტერიტორიულ საზღვრებში.[51]

ეთნო-სიმბოლური პარადიგმის ავტორი ენტონი სმიტი გამოვიდა ნაციონალიზმის მოდერნული პარადიგმების ზოგადი სქემიდან და იმ ერების

---

[47]Eric Hobsbawm, "Introduction: Inventing Traditions," *The Invention of Tradition, 15th edition*, edited by Eric Hobsbawm and Terence Ranger, (United Kingdom: Cambridge University Press, 2000), 13.

[48]Hobsbawm, "Introduction," 4,5.

[49]Benedict Anderson, *Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism, Revised Edition* (London and New York: Verso, 2006), 7.

[50]იქვე, 37.

[51]იქვე, 39, 41.

მაგალითები განიხილა, რომლებიც პრე-მოდერნულ ეპოქაში ეთნიკური ფორმირებების სახით არსებობდნენ.

სმიტი მიიჩნევდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ერების წინამორბედად ეთნიკური ერთობები გვევლინებიან, რომლებიც ინარჩუნებენ მდგრადობას დროთა განმავლობაში. თუმცა, ამასთანავე, ავტორი განასხვავებდა მათ ნაციონალიზმის ეპოქაში შექმნილი თანამედროვე ერებისგან.[52] სმიტის შეხედულებით, თანამედროვე ერები ეროვნული ელიტების მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად იქმნებიან, რაშიც მოიაზრებდა საზოგადოების წევრთა დაკავშირებას მითებითა და სიმბოლოებით. ავტორის აზრით, მათი გაზიარება და გადაცემა ხელს უწყობს ძველი ეთნიკური საზოგადოებების გამოღვიძებას და მის ბაზაზე თანამედროვე ერების ფორმირებას.[53]

ეს მოსაზრებები აჩვენებს, რომ ეროვნული იდენტობების კონსტრუირების გზა ელიტურ უმცირესობასა და საზოგადოებას შორის კომუნიკაციაზე გადის, ხოლო კომუნიკაციების საშუალებები დასახელებულ ავტორებთან განსხვავებულია.

ჰობსბაუმთან და სმიტთან უპირატესობა სიმბოლოების კომპლექსს ენიჭება, ანდერსონი და გელნერი საგანმანათლებლო პრაქტიკაზე ამახვილებენ ყურადღებას. კომუნიკაციის პროცესი ახდენს ერთობის განცდის ჩამოყალიბებას საზოგადოების წევრებს შორის, უწყობს ხელს საზიარო კულტურის და ცნობიერების ჩამოყალიბებას და გავრცობას. ერები არ არსებობენ ამ წარმოსახვითი სივრცის გარეშე. სწორედ მასში თავსდება ნებისმიერი ეროვნული პროექტი პოლიტიკური ამბიციებით და მომავლის ხედვით. ამავე წარმოსახვების გარშემო ხდება საზოგადოების მობილიზება ეროვნული ელიტების მიერ.

ეროვნული პროექტი, ნაციონალური იდეოლოგიის ბაზაზე ყალიბდება. გია ნოდიას აღნიშვნით, ეს არის „იდეალური კონსტრუქტი“, რომელიც საზოგადოების წევრებს ბაზისურ კითხვებზე აძლევს პასუხს, ეხმარება მათ საკუთარი ვინაობის, მტრებისა და მეგობრების, პოლიტიკური სტატუსის, ტერიტორიული მოწყობის და

[52]Smith, *Nationalism and Modernism*, 181.

[53]იქვე, 191.

ცივილიზაციური ორიენტაციის განსაზღვრაში. ეროვნული პროექტები იცვლება, მაგრამ ბაზისური იდეები, რომელსაც ის ეყრდნობა, ინარჩუნებს სიმყარეს.[54]

ეს იდეალური კონსტრუქტი შეიძლება სამოქალაქო ან ეთნიკურ მოდელით იყოს წარმოდგენილი. პირველი მათგანის თანახმად, ერი პოლიტიკური საზოგადოებაა, რომელსაც აქვს საკუთარი ტერიტორია, ეკონომიკური ინტერესები, ცენტრალიზებული ინსტიტუტები, კულტურა და სამოქალაქო იდეოლოგია. ამ კონცეფციის ჩამოყალიბების შედეგად ინდივიდებს ეძლევათ უფლება აირჩიონ საკუთარი ეროვნული იდენტობა.

სრულიად განსხვავებულ პერსპექტივას აჩვენებს ეთნიკური მოდელი. იგი ერს წარმოადგენს უცვლელ ეთნიკურ ერთობად, რომლის წევრობაც მემკვიდრეობით გადაეცემა და წინაპართა კულტურასთან მყარადა გადაჯაჭვული. ეს კონცეფცია გამორიცხავს არჩევანის შესაძლებლობას. მსგავსი მოდელის მქონე საზოგადოებებს სჯერათ რომ ეროვნული იდენტობა ფიქსირებული კატეგორიაა და არ ექვემდებარება ცვლილებას.[55]

საბჭოთა პერიოდში ეროვნული იდენტობის ფორმირების გასაგებად ნაციონალიზმის თეორიების ცოდნა მნიშვნელოვანია. ისინი გვთავაზობს პასუხებს სხვადასხვა რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში, ერის მშენებლობის პროცესის გასაგებად. ეს თეორიები ასევე გვეხმარება იდენტობის დისკურსების დანახვასა და დეკონსტრუქციაში, რადგან მათი შექმნა არა მხოლოდ მარქსისტული, არამედ ეროვნული იდეოლოგიების გავლენითაც ხდებოდა.

ეს პროცესი მოიაზრებდა კომუნიკაციას საბჭოთა ინტელიგენციასა და საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებს შორის. კომუნიკაციის პროცესი თავსდებოდა იმ პერიოდის პოლიტიკურ პარადიგმაში. მასში ჩაქსოვილი იყო ის ძირითადი წარმოდგენები, რომელთა ჩამოყალიბება მარქსისტი და მოდერნისტი საბჭოთა ლიდერების მიერ, ეთნიკურობის ინსტიტუციონალიზაციის შედეგად ხდებოდა.

საბჭოთა ინტელიგენციის მიერ შექმნილი ისტორიული ტექსტები, ეთნიკური ნაციონალიზმით იყო გამსჭვალული და პრიმორდიალური იდენტობების შექმნას

[54]Nodia, „Causes and Visitons", 12.

[55]Anthony D. Smith, *National Identity* (England: Penguin Books, 1991), 9-11.

უწყობდა ხელს. ისინი სხვადასხვა ხალხების გმირობის, დიდების და უცვლელობის ხატებზე იყო აგებული.

საბჭოთა პერიოდის ავტორებს ევალებოდათ ეწერათ საკუთარი ეთნოსების წარსულზე. პოლიტიკური კონიუნქტურა მოითხოვდა ისტორიული ფესვებით დაინტერესებას. საბჭოთა ეთნოფედერალური მოწყობა კი, წარმოშობდა კონკურენციას სხვადასხვა ჯგუფებში, ისტორიულ ტერიტორიებზე. ამის გამო, ეროვნული პროექტების წარმოსახვა ერთი ჯგუფის ისტორიულ ტექსტებში, მეორე ჯგუფისთვის ხშირად არ იყო მისაღები, რადგან მათ განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდათ ისტორიაში საკუთარი ადგილის და ზოგადად, წარსულის შესახებ.

ძირითადი ცნებები

საკვლევი საკითხის გასაგებად ასევე, მნიშვნელოვანია განიმარტოს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში ფართოდ დამკვიდრებულ ორი ცნება - ***იდენტობა და ნარატივი,*** და მათ შორის ურთიერთკავშირი. ეს ცნებები გვეხმარება ნაციონალიზმის კონსტრუქტივისტული მიდგომა საფუძვლიანად გავშალოთ და მკაფიო გავხადოთ ნაშრომის მეთოდოლოგიური არჩევანი.

მკვლევრები საუბრობენ იდენტობის ინდივიდუალურ და კოლექტიურ დონეებზე, თუმცა, უნივერსალური დეფინიცია არ არსებობს და იგი იცვლება დისციპლინიდან დისციპლინამდე.

იდენტობის მკვლევარების შეხედულებით, ცნების განსაზღვრება დამოკიდებულია ემპირიულ კონტექსტზე. ამ პოსტულატის მიხედვით, იდენტობა პროცესია და არა მდგომარეობა, რომელიც ინდივიდს შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ, ეს ავტორები იდენტობას და იდენტიფიკაციას სინონიმებად განიხილავენ, რითაც ხაზს უსვამენ მის არასტატიკურობას და ცვალებადობას.[56]

იდენტობის ასეთი განსაზღვრება სოციალური ქმედებების ან მოძრაობების ასახსნელად შეიძლება საუკეთესო ალტერნატივა იყოს, თუმცა ნაშრომში განხილული მაგალითის ახსნაში ვერ დაგვეხმარება, რამდენადაც კოლექტიური იდენტობის ის სახე -

[56]Richard Jenkins, *Social Identity*, *3rd edition* (London and New York: Routledge, 2008), 4; Margaret Somers, "The Narrative Constitution of Identity: A Relational and Network Approach," *Theory and Society,* no. 23 (1994): 615.

ეთნიკური იდენტობა, რომელიც ნაშრომშია განხილული, არ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას და სტაბილურობას ინარჩუნებს შედარებით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.

ნაშრომში იდენტიფიკაცია განიხილება, როგორც კონკრეტულ დროსა და სივრცეში, ელიტების დისკურსის საფუძველზე დაწყებული პროცესი, ხოლო იდენტობა, როგორც ამ პროცესის შედეგი, რომელიც გულისხმობს მიჯაჭვულობას სუბიექტურ პოზიციასთან,[57] ამ შემთხვევაში ერის წევრობასთან. ასევე, ის მოიაზრებს დროებითი სტაბილიზაციის განცდას,[58] რასაც ინდივიდი კოლექტივში საკუთარი ადგილის და სოციალური როლის განსაზღვრის შედეგად მოიპოვებს.

თანამედროვე ავტორები მიუთითებენ იმაზე, რომ იდენტობის შექმნა არ ხდება თავისთავად, მას სჭირდება „იდენტობის სამუშაო" (Identity Work)[59] სწორედ აქ გვეხმარება **ნარატივის** ცნება.

იდენტობის მსგავსად, ნარატივის დეფინიციაც დისციპილინების მიხედვით იცვლება. ისტორიის მეცნიერებაში იგი წარსულის ახსნის და რეპრეზენტაციის მეთოდს წარმოადგენს. მაგალითად, ნარატივის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჰეიდენ უატი თვლის, რომ მოვლენები პირველადი სახით ღირებულებებისგან ნეიტრალურია. მათთვის მნიშვნელობის მინიჭება რომელიმე ტიპის სიუჟეტში (ეპოსი, ტრაგედია, კომედია ა.შ) განთავსებით ხდება. ავტორის აზრით, ამ პროცესის შედეგად წარმოქმნილი დისკურსი, შეიძლება, არანაკლებ „რეალური" იყოს წარმოსახვისთვის, ვიდრე ის, რაც სინამდვილეში მოხდა.[60]

სოციალური მეცნიერების წარმომადგენლები (სოციოლოგები, სოციალური ფსიქოლოგიის მკვლევარები), საუბრობენ ნარატივების ონტოლოგიურ ბუნებაზე, რამდენადაც მათი კვლევის ობიექტი აწმყოშია და არა წარსულში.

---

[57]Stuart Hall, "Who needs Identiy,"*Questions of Cultural Identity*, edited by Stuart Hall and Paul Du Gay, (London, Thousand Oaks, New Delhi: Sage publications 1996), 6.

[58]Suny, "Contemporary Issues," 865.

[59]Aidan McGarry and James M. Jasper, *The Identity Dilemma: Social Movements and Collective Identity* (Philadelphia, Rome, Tokyo: Temple University Press, 2015), 4-6.

[60]Hayden White, *The Content of the Form. Narrative Discourse and Historical Representation* (Baltimore and London: The John Hopkins University Press, 1984), 43.

სოციალური ფსიქოლოგი მარკ ფრიმანი მიიჩნევს, რომ ინდივიდები საკუთარ ცხოვრებას მათ შესახებ არსებული მოთხრობების (საკუთარის და სხვების) პრიზმაში აღიქვამენ და რეალობასაც მათში არსებული მნიშვნელობებით განსაზღვრავენ. ინდივიდი სწორედ ნარატივების მეშვეობით იკავებს ადგილს კულტურით განპირობებულ რეალობაში როგორც სუბიექტი, რომელსაც აქვს ძალა გარდაქმნას რეალობა და საკუთარი ადგილი ამ რეალობაში.[61]

ავტორის თანახმად, ნარატივების გარეშე არსებობა ნიშნავს "იცხოვრო მარადიულ, არსებითად უმნიშვნელო აწმყოში, რომელსაც არ აქვს ფორმა და თანმიმდევრობა. ეს იქნებოდა სამყაროს დანაწევრება და გათიშვა მოვლენათა დაუსრულებელ სერიებად."[62]

იდენტობის ნარატიული თეორია თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში ფართოდაა გაზიარებული. გარდა იმისა, რომ მკვლევრები მიუთითებენ ნარატივებით იდენტობის ჩამოყალიბების შესაძლებლობაზე, ისინი ხაზს უსვამენ იმასაც, რომ ნარატივებით შესაძლებელია იდენტობის როგორც კონსტრუირება, ასევე რეკონსტრუირება, რაც მრავალშრიანი პროცესია და დამოკიდებულია დროის, სივრცისა და ძალაუფლების ფაქტორებზე.[63]

იდენტობის ნარატიული მიდგომა გვეხმარება ავხსნათ, როგორ ყალიბდებოდა საბჭოთა კავშირში ეროვნული იდენტობები ეთნიკური მოდელით. საბჭოთა ლიდერები საბჭოთა სისტემის იდეოლოგიურ დასაყრდენად მარქსიზმს მიიჩნევდნენ.

მარქსიზმი მოდერნული თეორიაა და იგი აღიარებს ერების შექმნის შესაძლებლობას. თუმცა, იდენტობები რომელსაც საბჭოთა ლიდერები საბჭოთა რესპუბლიკებში ახალისებდნენ თავისი ბუნებით პრიმორდიალური იყო და არა მოდერნული. ამას ხელს უწყობდა ეთნიკური კატეგორიების ისტრუმენტალიზაცია, მათ შორის ისტორიული ნარატივებისაც. ამ ტექსტუალური რესურსის გავლენით

---

[61] Mark Freeman, *Rewriting the Self: History, Memory and Narrative* (London and New York: Routledge, 1993), 110-111.

[62]Freeman, *Rewriting the Self*, 111.

[63]Nira Yuval-Davis, "Belonging and the Politics of Belonging." *Contesting Recognition Culture, Identity and Citizenship,* edited by Janice McLaughlin et. al. (Great Britain: Palgrave Macmillan, 2011), 22.

საბჭოთა მოქალაქეები საკუთარ თავს ვიწრო ეთნიკური ჯგუფის ფარგლებში წარმოიდგენდნენ. მათ კოლექტიურ წარმოსახვაში ერის გაგება ეთნიკურობამდე დაიყვანებოდა.

სწორედ საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის გავლენით, განუვითარდათ საბჭოთა მოქალაქეებს იმის აღქმა, რომ ისინი უწყვეტად სახლობდნენ საკუთარ ტერიტორიებზე, უწყვეტად იწყვნენ დაკავშირებული წინაპრებთან და ეროვნულ კულტურასთან. საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა ახალისებდა ამგვარი წარმოდგენების გაჩენას საბჭოთა მოსახლეობაში. ამ გზით, საბჭოთა ხელისუფლება საბჭოთა ერებს ართმევდა პოლიტიკურ ძალას და კულტურულ ამბიციებს უკმაყოფილებდა.

ეს პროცესი 1930-იანი წლებიდან კიდევ უფრო გაღრმავდა და გაძლიერდა. უწყვეტობის იდეის წახალისება განსაკუთრებით გვიანი სტალინიზმის პერიოდში ხდებოდა. რაც ასევე სტალინის ტერიტორიულ ინტერესებთან იყო დაკავშირებული.

ამ პროცესებმა ბიძგი მისცა წინააღმდეგობრივი წარმოსახვების გაჩენას სხვადასხვა ჯგუფებში. საბჭოთა ხალხებმა გადაწყვიტეს საკუთარი უპირატესობის დამტკიცება სხვებთან და ეთნიკური ფესვების რაც შეიძლება შორეულ ისტორიულ წარსულში გადატანა. ამ გზით ისინი კონკურენციას უწევდნენ მათ, ვინც გვერდით სახლობდა. ცხადია ამ პროცესში ჩნდებოდა სადაო ტერიტორიები, წინაპრები, კულტურული მემკვიდრეობა და ალბათობა, რომ ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის შესუსტების შემდეგ, დავები შეუქცევად სახეს მიიღებდა.

საბჭოთა ეთნოფედერალურ სახელმწიფოში მეზობელი ჯგუფების დაპირისპირება და მათ ნარატივებში ამ დაპირისპირებების ასახვა სტალინის სიკვდილის შემდეგ ნორმად იქცა. თითქმის ყველა მეზობელ სახელმწიფოში არსებობდა სადაო ისტორიები.

ამავე პოლიტიკის ხაზს ატარებდა პავლე ინგოროყვას თეორიაც. იგი გახდა საწყისი წერტილი, პირველი ისტორიული შინაარსის ნარატივი, რომელმაც ქართველთა და აფხაზთა დებატებს დაუდო სათავე. ეს ტექსტი გვიანი სტალინიზმის დროს დაიწერა, როდესაც გაჩნდა სივრცე ეთნო-ნაციონალური შინაარსის ლიტერატურული

და საისტორიო ნაშრომების შესაქმნელად. ამ მხრივ, ინგოროყვას ნაშრომი არ ყოფილა გამონაკლისი.

მაგალითად ვიქტორ შნირელმანი აჩვენებს რომ მსგავს ნაშრომები სხვა საბჭოთა რესპუბლიკებშიც იქმნებოდა. ზოგი მათგანი უკვე არსებულ ისტორიულ წყაროებს ეფუძნებოდა, ზოგი ავტორი კი, წყაროების არარსებობის შემთხვევაში საკუთარ ფანტაზიასაც მიმართავდა.[64] კუდაიბერგენოვას ნაშრომში ჩანს, რომ კონკურენტული ისტორიები გამოიყენებოდა, როგორც მეზობლებთან საკუთარი უპირატესობის დასამტკიცებლად, ასევე, ცენტრალურ ხელისუფლებასთან წინააღმდეგობის გასაწევადაც, თუკი, ცენტრალური ხელისუფლება არ ახალისებდა რომელიმე ჯგუფის ინტერესებს.[65]

აფხაზეთის შემთხვევის განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე გარემოება. პირველ რიგში, ინგოროყვას თეორია წარმოადგენდა არა ქართულ ეროვნულ პროექტს, არამედ ერთ-ერთ, ალტერნატიულ დისკურსს ეროვნული პროექტის შესახებ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ინგოროყვას თეზისები არ იყო გაზიარებული ქართულ ინტელიგენციაში და მოსახლეობაში, აფხაზებში მან წარმოშვა ეთნიკური იდენტობის დაკარგვის საფრთხის შეგრძნება, რასაც მათ კონკურენტული ნარატივების შექმნით უპასუხეს.

დე-სტალინიზაციის პერიოდში ცენტრალური ხელისუფლება არათუ ეწინაარმდეგებოდა აფხაზურ პროტესტს, არამედ ახალისებდა კორენიზაციის პერიოდის დროს მინიჭებული უფლებების წახალისებას ერთადერთი გამონაკლისით, აფხაზეთი აღარ აღიქმებოდა დამოუკიდებელ სოციალისტურ რესპუბლიკად და რჩებოდა საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში.

თუმცა ეთნიკური ამბიციების დაკმაყოფილება არ გამოდგა საკმარისი გარანტი აფხაზური პროტესტის შესაჩერებლად. წინაარმდეგობა, რომელიც დე-სტალინიზაციის პერიოდიდან დაიწყო, მომდევნო პერიოდებშიც გაგრძელდა. ამ პროცესმა

[64]Viktor Shnirelman, "Aryans or Proto-Turks? Contested Ancestors in Contemporary Central Asia". Nationalities Papers 37, no. 5 (2009.): 557-587.

[65]Kudaibergenova, "Imagining community," 839 – 845.

მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მომდევნო პერიოდის აფხაზთა იდენტობა და იგი დააპირისპირა ქართულ პროექტთან.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ეს ნაშრომი ორგვარ სიახლეს სთავაზობს ქართველ მკითხველს: პირველი რიგში, იგი გამოკვეთს აფხაზეთის კონფლიქტის ისტორიულ წინაპირობებს და აჩვენებს როდის და რატომ დაიწყო წინააღმდეგობრივი ეროვნული იდენტობების ფორმირება ქართველებსა და აფხაზებს შორის. მეორე რიგში კი, გვანახებს კონფლიქტური იდენტობის პროექტების ცვლილებას და განვითარებას საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის კონტექსტის შესაბამისად ნაციონალიზმის თეორიის ჭრილში.

კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობები

ჩვენი კვლევის შედეგები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართველების და აფხაზების საერთო საბჭოური წარსულის შეფასებაში და წარმოდგენას გვიქმნის ამ ორი ჯგუფის ეროვნულ პროექტებზე, რომლებიც პერესტროიკის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბდა.

1970-იანი წლების ბოლო ეროვნული მოძრაობების გაძლიერებამ ორივე ჯგუფში წინ წამოსწია სადაო ისტორიული ნარატივები. პერესტროიკის შემდეგ ეს ნარატივები საჯარო სივრცეშიც ჩნდებოდა და აწმყოს პოლიტიკური მოთხოვნების ლეგიტიმაციისთვის გამოიყენებოდა.

ამ საკითხების გათვალისწინება 1992-1993 წლების აფხაზეთის კონფლიქტის გაგებაშიც დაგვეხმარება. ნაშრომი გათვლილია მკითხველთა ფართო წრეზე, მათ შორისაა: ქართულ-აფხაზური კონფლიქტით დაინტერესებული სტუდენტები, საბჭოთა ისტორიის მკვლევარები, მშვიდობის მშენებლობაში ჩართული პირები და ჯგუფები.

თავი 1. საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა საქართველოში, ქართული და აფხაზური ეროვნული პროექტები

1.1. იდოლოგიური საწყისები

1917 წლის რევოლუციამდე ბოლშევიკებს არ ჰქონდათ ერთიანი გეგმა ეროვნულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ამის მიზეზი ის იყო, რომ მათი ოფიციალური იდეოლოგია, მარქსიზმი, ნაციონალიზმს გამარტივებული პოზიციიდან უყურებდა. კარლ-მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის ნაშრომები ისტორიული მატერიალიზმის კონცეფციაზე იყო აგებული, რომლის თანახმად, ყველა ეპოქაში, საზოგადოების განვითარებას კლასთა ბრძოლა ედო საფუძვლად.

ამ პოსტულატის მიხედვით, გაბატონებული კლასი ძველ წყობილებას ძალადობრივი რევოლუციით ამხობდა და ახალს ამყარებდა. მაგალითად, ანტიკური სამყაროს მონათმფლობელები ფეოდალებმა ჩაანაცვლეს, ხოლო მათ შემდეგ ბურჟუაზიული კლასი გაბატონდა. ბურჟუაზიის შემცვლელად პროლეტარები მოიაზრებოდნენ, რომლებსაც, მშვიდობიანი რევოლუციის შედეგად, უკლასო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის უნდა მიეღწიათ.[66]

მარქსიზმი არ აღიარებდა ნაციონალიზმის ძალას. ამ კონცეფციის მიხედვით, ყოველი სოციალური ფორმაცია მისთვის დამახასიათებელ საზოგადოებას ქმნიდა. მაგალითად, კაპიტალიზმის ეპოქამ ეროვნულად მოაზროვნე საზოგადოებები შექმნა, რადგან ბურჟუაზიას ხელს აძლევდა საერთო ენაზე მოლაპარაკე ხალხების გაერთიანება კაპიტალისა და საქონლის შეუფერხებლად გადაადგილებისთვის. თუმცა, ნაციონალიზმი შეიძლებოდა ყოფილიყო პროგრესულიც. რადგან, მარქსისტული ხედვით, მხოლოდ განვითარებულ ერებს შეეძლოთ ბურჟუაზიის დამხობა და სოციალისტური რევოლუციის განხორციელება, რასაც შედეგად სოციალიზმის გამარჯვება უნდა მოჰყოლოდა.[67]

---

[66]John Armstrong, *The Soviet Union an Introduction*,4th edition (New York: Praeger publishers, 1978), 32-33.
[67]Smith, *Nationalism and Modernism*, 47.

მარქსს და ენგელსს, მარტივი მიზეზის გამო, არასდროს დაუსვამთ კითხვა, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო პროლეტარიატის დიქტატურის მიღწევის შემთხვევაში მე-19 საუკუნის ორი მძლავრი მოძრაობის - ნაციონალიზმისა და სოციალიზმის ურთიერთობის საკითხი. მარქსი და ენგელსი სოციალიზმის გარდა ყველა იდეოლოგიას „მცდარ აზროვნებას“ (false consciousness) უწოდებდნენ. მათი აზრით, ნაციონალიზმის შემქმნელ ინტელექტუალურ ელიტას დამახინჯებული წარმოდგენა ჰქონდა საკუთარი იდეების ძალაუფლებაზე, რადგან ნაციონალიზმს კაპიტალისტური სისტემის წარმონაქმნად აღიქვამდნენ, რომელიც პოსტ-კაპიტალისტურ სამყაროში აღარ იარსებებდა. [68]

მარქსიზმის თანახმად, ყველა მოვლენას ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა. წარმოების ძალები ქმნიდა ბაზისს, სხვა დანარჩენი კი - ხელოვნება, რელიგია, ფილოსოფია, ოჯახური ურთიერთობები და ა.შ ბაზისით ნაკარნახევ ზედნაშენს. წარმოების ძალების ცვლილება იწვევდა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმის ცვლილებას. ამ კონცეფციის მიხედვით, ყოველი სოციალური ფორმაცია მისთვის დამახასიათებელ საზოგადოებას ქმნიდა.[69]

მაგალითად, კაპიტალიზმის ეპოქამ ეროვნულად მოაზროვნე საზოგადოებები შექმნა, რადგან ბურჟუაზიას ხელს აძლევდა საერთო ენაზე მოლაპარაკე ხალხების გაერთიანება კაპიტალისა და საქონლის შეუფერხებლად გადაადგილებისთვის. თუმცა, ნაციონალიზმი შეიძლებოდა ყოფილიყო პროგრესულიც. რადგან, მარქსისტული ხედვით, მხოლოდ განვითარებულ ერებს შეეძლოთ ბურჟუაზიის დამხობა და სოციალისტური რევოლუციის განხორციელება, რასაც შედეგად პროლეტარიატის დიქტატურა უნდა მოჰყოლოდა.[70]

კომუნისტური პარტიის მანიფესტი, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს „ბოლშევიკების ბიბლია“, იმ პერიოდში დაიწერა, როცა დასავლური საზოგადოებები ერი-სახელმწიფოების ჩამოყალიბებას ასრულებდნენ, ხოლო მუშათა კლასს განვითარებული ჰქონდა ეროვნული აზროვნება. მარქსს და ენგელსს ამის უარყოფა არ

[68]Ron Eyerman, „False Consciousness and Ideology in Marxist Theory,“ *Acta Sociologica 24*, no.1-2 (1981): 43.
[69] Smith, Nationalism and Modernism, 47.
[70] იქვე.

უცდიათ. მანიფესტი პროლეტარებს ეროვნებისგან დამოუკიდებელი, კლასობრივი ინტერესების დაცვისკენ მოუწოდებდა და სწორედ ამ მიზნით აცხადებდა: „მუშებს არ აქვთ სამშობლო. მათ არ შეიძლება წაართვათ ის, რაც არ აქვთ.“[71]

ამ ფრაზაში მარქსი და ენგელსი, მუშათა კლასისთვის სასურველ მომავალს ხატავდნენ და არა აწმყოს. იმ ეპოქაში, როდესაც ისინი მარქსიზმის თეორიას აყალიბებდნენ, ნაციონალიზმი ითვლებოდა ყველა კლასის გამაერთიანებელ ძალად. თუმცა, მათი რწმენით, ეროვნული იდენტობის ჩამოშორებით, „დამორჩილებული კლასები“ საბოლოოდ გაეთიშებოდნენ „გაბატონებულ კლასებს.“

ამაზე მეტყველებს ზემოთ მოყვანილი ციტატის გაგრძელებაც: „პროლეტარიატმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოიპოვოს პოლიტიკური ბატონობა. ამაღლდეს ეროვნული კლასის მდგომარეობამდე, ჩამოყალიბდეს ერად, თუმცა, თვით იგი ჯერ კიდევ ეროვნულია, მაგრამ სრულიადაც არა იმ აზრით, როგორც ეს ბურჟუაზიას ესმის.“[72]

ნაციონალიზმთან დაპირისპირების პრობლემა ნათლად ჩანდა ნაშრომში „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ (1871). მარქსი აღნიშნავდა, რომ ტერიტორიული გაფართოებისკენ სწრაფვამ ევროპაში „დაპყრობის პოლიტიკა“ გააცოცხლა, ანუ ბრძოლა ეროვნული ტერიტორიების გამორკვევისთვის. ევროპელი პროლეტარები თავდაუზოგავად მონაწილეობდნენ „ხმლის, მამულისა და კაპიტალის“ რაინდების ბრძოლაში, მხარს უჭერდნენ ბურჟუა ნაციონალისტებს სამშობლოს დამოუკიდებლობის სახელით, საკუთარ სარჩოს არ იშურებდნენ ჯარების გამოსაკვებად. საბოლოოდ კი ეს ბრძოლები მუშათა კლასის ინტერესების საზიანოდ მოქმედებდა.[73]

ამასთანავე, მარქსი ოპტიმისტურად უყურებდა პროლეტარიატის მომავალს და ეროვნული წინააღმდეგობების ჩამოშორებას: „ერებს მოსდის იგივე, რაც ცალკე პირებს: ამას გვასწავლის ყოველი ისტორია. რათა მათ თავდაცვის შესაძლებლობა წაერთვას, ისინი უნდა განიძარცვონ ყოველი თავდაცვის საშუალებისგან. საჭირო არ არის მათთვის მხოლოდ ყელში ხელის ჩაჭიდება. საჭიროა მათი დახოცვა.[74]

---

[71]კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი, *კომუნისტური პარტიის მანიფესტი* (თბილისი: სახელგამი 1954), 63.
[72]იქვე, 63.
[73]კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი, *რჩეული ნაშრომები: ტომი I* (თბილისი: სახელგამი 1950), 570-572.
[74]მარქსი და ენგელსი, *რჩეული ნაშრომები,* 567.

ამ სიტყვებით მარქსიზმის ფუძემდებლები მოიაზრებდენ იმას, რომ ისტორია (კლასთა ბრძოლა) თავისთავად გამოიწვევდა ეროვნული სენტიმენტების გაქრობას. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ რწმენის გამო მარქსს და ენგელს არასოდეს განუსაზღვრავთ ერის ან, ნაციონალიზმის მოდელი. ამ დანაკლისმა, ბოლშევიკი ლიდერები ძლიერი გამოწვევების წინაშე დააყენა.

ლენინი და მისი მიმდევრები იზიარებდნენ მარქსისა და ენგელსის შეხედულებებს ისტორიული მატერიალიზმის შესახებ. ნაციონალიზმის წარმოშობასაც, კომუნისტი წინაპრების მსგავსად, კაპიტალიზმის ფეოდალიზმზე გამარჯვებას უკავშირებდნენ,[75] რაც საბოლოოდ ეკონომიკურ საფუძვლამდე დადიოდა.

ლენინი ცდილობდა კლასთა ბრძოლა რუსეთის იმპერიაში არსებული რეალობისთვის მოერგო, რამდენადაც, გერმანელი კომუნისტებისგან განსხვავებებით, მას სჯეროდა, რომ სოციალისტური რევოლუციის განხორციელება ნახევრადფეოდალურ რუსეთშიც შეიძლებოდა. მთავარი საშიშროება, რომელსაც ლენინი რევოლუციური მოძრაობის დაწყებისას ხედავდა, ის იყო, რომ რუსეთის მუშათა კლასს აკლდა საკუთარი ინტერესების განსაზღვრის ცნობიერება, ამიტომ თვლიდა, რომ ეს მუშათა პარტიას უნდა გაეკეთებინა მისი სახელით.[76]

რევოლუციისკენ მოწოდებებს სახალხო მობილიზაციის გარეშე რეალური ძალა არ ჰქონდა. იმპერიის დიდ ნაწილს არარუსი მოსახლეობა შეადგენდა და მათ დარაზმვას სოციალისტური რევოლუციისთვის სჭირდებოდა საფუძველი, მოტივაციის შემქმნელი ძალა, რისთვისაც ეს ხალხები მუშათა პარტიის ბრძოლაში ჩაერთვებოდნენ.

ლენინი პრაქტიკოსი რევოლუციონერი იყო და თეორიული სამუშაოს შესრულების გარდა, უწევდა კომუნიზმის იდეების თარგმნა რუსეთის იმპერიის ხალხებისთვის გასაგებ ენაზე. ამის გამო, ბოლშევიკების მარქსისტულ პროგრამაში მოხვდა ისეთი საკითხი, რასაც მარქსიზმი არ ითვალისწინებდა, ეს ეხებოდა ერების **თვითგამორკვევის უფლებას.**

---

[75]Владимир Ленин, Иосиф Сталин, *О национальном вопросе* (Москва: библилтека отдела по национальной политике, 2013), 13.

[76]Armstrong, *The Soviet Union*, 36.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერმინის განმარტება, ყველაზე ხშირად ლენინის სახელს უკავშირდება, პირველი სტატია თვითგამორკვევის შესახებ რუსეთის იმპერიის ფარგლებში სტალინმა გამოაქვეყნა 1913 წელს. ტექსტი აღწერდა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ურთიერთმიმართებას და ეროვნული საკითხის გადაჭრის შესაძლებლობებსაც სთავაზობდა მკითხველს.

სტალინი თვლიდა, რომ გაბატონებული კლასი საკუთარი ინტერესებისთვის იყენებდა მუშებსა და გლეხებს. შედეგად, ჩაგრული კლასის ყურადღება სოციალური უთანასწორობიდან საერთო ეროვნულ ინტერესებზე გადაჰქონდა.[77] თუმცა, კლასობრივი უთანხმოების გაღვივება შესაძლებელი იქნებოდა, თუკი ბოლშევიკები მხარს დაუჭერდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას: „ერი სუვერენულია და ყველა ერი თანასწორია," - აღნიშნავდა სტალინი.[78]

საინტერესო იყო თვითგამორკვევის სტალინისეული კონცეფციაც. იგი თვლიდა, რომ არარუს ერებს უნდა ჰქონოდათ შესაძლებლობა, სურვილისამებრ მოეწყოთ ცხოვრება, რაც მომავალი სოციალისტური გაერთიანებიდან აუცილებელ გამოყოფას არ მოიაზრებდა. სტალინის პოსტულატის მიხედვით, მათ უნდა გაეთვალისწინებინათ საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული შესაძლებლობები და ამის მიხედვით აერჩიათ კონსტიტუციის ფორმაც და ეროვნული განვითარების გზაც.[79]

თუმცა ამავდროულად, სტატიაში ეჭვქვეშ იყო დაყენებული თვითგამორკვევის საკითხში თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა, რამდენადაც სტალინი არ ემხრობოდა ეროვნული ავტონომიების შექმნის იდეას. მისი აზრით, ასეთი ავტონომიები შეიცავდა საფრთხეს ინტერნაციონალური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში, რადგან ხელს შეუწყობდა ერების დაშორებას და ლოკალური ნაციონალიზმების გაძლიერებას.[80]

სტალინი სამხარეო ავტონომიების დაარსებას უჭერდა მხარს, რაც ითვალისწინებდა სხვადასხვა ერებით დასახლებული ტერიტორიული ერთეულების

---

[77]Ленин & Сталин, *О Национальном Вопросе,* 92-94.

[78]იქვე, 95.

[79]იქვე, 96.

[80] იქვე.

შექმნას და უმცირესობებისთვის ეროვნული უფლებების დაცვის გარანტიის მიცემას ისეთ საკითხებში, როგორიც იყო მშობლიური ენის განვითარება, სკოლების დაარსება, რწმენის თავისუფლების შესაძლებლობა. სტალინი თვლიდა, რომ ეროვნული საკითხის ამ გზით გადაჭრა ხელს შეუწყობდა ინტერნაციონალური საზოგადოების ჩანასახების გაჩენას.[81]

როგორც ჩანს, ეს კონცეფცია არ აღმოჩნდა საკმარისად მიმზიდველი სახალხო მობილიზაციისთვის, სწორედ ამიტომ 1914 წელს ერთა თვითგამორკვევის უფლებას ვრცელი სტატია ლენინმაც მიუძღვნა. მის ტექსტში მკაფიოდ ჩანდა, რომ ბოლშევიკები დათმობაზე მიდიოდნენ არარუს ერებთან და თვითგამორკვევის უფლებაც უფრო ვრცელი მნიშვნელობით განიხილებოდა.

ლენინი არარუს ერებს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას სთავაზობდა: „თუ გვსურს გავიგოთ თვითგამორკვევის უფლების მნიშვნელობა არა მისი იურიდიული დეფინიციით და აბსტრაქტული განსაზღვრებებით, არამედ ეროვნული მოძრაობების ისტორიულ-ეკონომიკური წინაპირობების გათვალისწინებით, აუცილებლად მივალთ დასკვნამდე: ერის თვითგამორკვევა მოიაზრებს მის სახელმწფოებრივ გამოყოფას უცხონაციონალური კოლექტივებისგან და ცხადია, დამოუკიდებელი ეროვნული საელმწიფოს ჩამოყალიბებას.“[82]

ლენინის ამოსავალი წერტილი ერთა უთანასწორობის საკითხი იყო. იგი იზიარებდა მოსაზრებას, რომ ყველა ნაციონალიზმს არ ჰქონდა თანაბარი პირობები განვითარებისათვის. მაგალითად, კოლონიალიზმის ქვეშ მყოფ ხალხებს კოლონიზატორებმა წაართვეს ერი-სახელმწიფოს (მოდერნული გაგებით) შექმნის „ფუფუნება“. ამიტომ, მათი ეროვნული უფლებების დაცვა რუსეთის იმპერიის საზღვრებში ბოლშევიკებს უნდა აეღოთ საკუთარ თავზე. ცხადია, მუშათა კლასისთვის მიმზიდველი იდეების გამოთქმისას, ლენინს საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა. იგი აკვირდებოდა ეროვნულ მოძრაობებს აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში და მათ

[81]იქვე, 133, 135.

[82]იქვე, 14.

დათრგუნვაში ხედავდა საფრთხეს, რადგან ამ რეგიონებში იგივე პროცესები მიმდინარეობდა, რაც დასავლეთ ევროპაში მე-19 საუკუნის 70-იან წლებში დასრულდა.[83]

დროში არსებული განსხვავებებიდან გამომდინარე, ლენინს სამართლიანად მიაჩნდა რუსეთის იმპერიის ხალხებში გაჩენილი ეროვნული მოძრაობების მხარდაჭერა, რადგან ერი-სახელმწიფოს შექმნა კაპიტალიზმის ეპოქის თანმდევი პროცესი იყო და ტრადიციული საზოგადოების სოციალისტურ გარდაქმნამდე უნდა დასრულებულიყო. გარდა ამისა, არარუს ერებში წარმოქმნილ ნაციონალიზმს იგი პროგრესულ ძალად მიიჩნევდა, რადგან „მჩაგვრელი ნაციონალიზმის“ წინააღმდეგ იყო მიმართული. თუმცა, სტატიიდან ჩანდა, რომ ეროვნული მოძრაობების მხარდაჭერას მოკლევდიანი ხასიათი უნდა ჰქონოდა.[84]

ლენინმა მარქსიზმის ბოლშევიკური პროგრამის ამოცანები რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ერებისთვის მკაფიოდ დასახა: ეროვნული თვითგამორკვევის შემდეგ, როდესაც ერებს შორის თანასწორობა დამყარდებოდა, ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხები შეერეოდნენ ერთმანეთს და ინტერნაციონალურ საზოგადოებას ჩამოაყალიბებდნენ.[85]

ამ იდეოლოგიურ საწყისებზე დაიწყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაფუძნება, თუმცა, დროთა განმავლობაში, პოლიტიკურმა მოვლენებმა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის სისუსტე გამოავლინა და ბოლშვიკური პროგრამაში ხარვეზების არსებობა დაადასტურა.

საბჭოთა ლიდერების შეხედულება ეროვნული განსხვავებების გაქრობასა და ისტორიული მატერიალიზმის სწორხაზოვნებასთან დაკავშირებით 1920-იანი წლების ბოლოს გადაიხედა. ამ პერიოდში ლენინი ცოცხალი აღარ იყო, სტალინი კი საბჭოთა კავშირის ბელადობისთვის ემზადებოდა. მას ჰქონდა შესაძლებლობა, პრაქტიკაში დაენახა ეროვნული თვითგამორკვევის უკუეფექტი. ეროვნული განსხვავებები გაქრობის ნაცვლად გაძლიერების ტენდენციას ამჟღავნებდა, რაც ხელს უშლიდა ინტერნაციონალური საზოგადოების ჩამოყალიბებას.

---

[83]იქვე, 23-24.
[84]იქვე, 73.
[85]იქვე.

ამის გამო, 1928 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ლენინიზმი და ეროვნული საკითხი“, სტალინმა ხმამაღალი განაცხადი გააკეთა: „ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია ლიკვიდირებულია ეროვნული ბარიერები - სასაზღვრო პუნქტები და მესაზღვრეები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ერები შეერწყნენ ერთმანეთს და საბჭოთა ერების ენები ერთი საერთო ენით შეიცვალა.“[86] სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, ერები განაგრძობდნენ არსებობას და უფრო მეტიც, საბჭოთა ხელისუფლებამ ნაციონალიზმის განიარაღების მიზნით, ეროვნული უფლებების დაცვის ისეთი პროგრამა შექმნა, რომ ბევრ ერს, სწორედ კორენიზაციის მერე გაუჩნდა პრეტენზიები ეროვნულ სახელმწიფოზე.

საბჭოთა ხელისუფლება 1930-იანი წლების დასაწყისში არსებულ სიტუაციას შეეგუა და ეროვნული განსხვავებების არსებობა იმ არგუმენტით გაამართლა, რომ მსოფლიო ერები ჯერ კიდევ შორს იყვნენ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისგან. მათი შერწყმა და ერთიანი კომუნისტური საზოგადოების შექმნა კი, მხოლოდ მაშინ დაიწყებოდა, როდესაც მსოფლიო მოსახლეობა „ერთიან კომუნისტურ მეურნეობაში“ ჩაერთვებოდა, განადგურდებოდა ეროვნული დაპყრობები და შუღლი.[87]

სტალინის აზრით, სოციალისტურ რევოლუციას რუსეთში ჰქონდა კონკრეტული შედეგი - ბურჟუაზიული ერების ბაზაზე შეიქმნა ახალი ტიპის სოციალისტური ერები, რომლებიც განსხვავდებოდნენ მათი წინამორბედებისგან.[88] საბჭოთა ერების ბელადის სიტყვებიდან ჩანდა, რომ ინტერნაციონალური საზოგადოების შექმნა ბოლშევიკებმა მომავლისთვის გადაწიეს და დროებით, „ერთ ქვეყანაში სოციალზმის გამარჯვებით“ დაკმაყოფილდნენ.

იდეოლოგიური წინაპირობები გვეხმარება საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის კონტექსტის აღქმაში და იმის გაანალიზებაში, თუ რატომ გატარდა კორენიზაციის პროგრამა, რატომ გაძლიერდა ცენტრალიზაცია და რატომ გადაერთო საბჭოთა ხელისუფლების ფოკუსი მცირე ერებიდან დიდ ერებზე 1930-იანი წლებიდან. ამ

[86]იქვე, 146.
[87]იქვე, 144.
[88]იქვე, 145-147.

ფაქტორებმა წამყვანი როლი ითამაშეს პოსტ-სტალინურ პერიოდში კონფლიქტების წარმოქმნასა და გაძლიერებაში.

პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ლენინისა და სტალინის ხედვას წილად ხვდა წარუმატებლობა, რადგან მათ ვერ განსაზღვრეს ნაციონალიზმის ძალა. ქვემოთ ვაჩვენებთ, რომ კორენიზაციის პროექტის დაწყება მარქსიზმში ნაციონალური საკითხების შესახებ გამარტივებული წარმოდგენის არსებობამ განაპირობა. ბოლშევიკი ლიდერების რწმენით, ნაციონალიზმი და ეროვნული იდენტობა სოციალიზმის ეპოქაში უნდა გამქრალიყო. მათი მიზანმიმართული გაძლიერებით კი ისინი სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად ამზადებდნენ ნიადაგს. ეს ვარაუდი მცდარი აღმოჩნდა. პრაქტიკაში მარქსისტული ხედვა არ გამართლდა. ეროვნება გახდა ის ძლიერი კუთვნილება, რომელსაც საზოგადოების მობილიზაციის ფუნქცია, არც კორენიზაციის დროს დაუკარგავს და არც შემდეგ.

ქვემოთ ასევე ნაჩვენებია, რომ სამომავლო ხედვის განსაზღვრაში დაშვებულმა შეცდომამ, საბჭოთა ხელისუფლება მოდერნიზაციის ალტერნატიულ პროგრამამდე მიიყვანა. ეს პროგრამა გულისხმობდა ახალი ეროვნული მოდელის შექმნას, რომელშიც სოციალიზმი და ნაციონალიზმის შერწყმა მოხდებოდა და რომლის მატარებლებიც ეკონომიკურად განვითარებული ერები იქნებოდნენ, რადგან ბოლშევიკებს სწამდათ, რომ მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერ ერებს შეეძლოთ სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობა. ამ მოდელის მიხედვით, დასაშვები გახდა ეროვნული სენტიმენტები, თუმცა ისინი საბჭოურ ყალიბში დატუსაღდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვადა, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა საბჭოთა ხალხს საკუთარი ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარება უნდა ეჩვენებინათ, 1930-იან წლებში ამოიწურა. შემდგომ ნაწილებში ვაჩვენებთ, რომ დაახლოებით ერთი დეკადის მანძილზე დაგროვებული შეფასებების საფუძველზე ხელისუფლებამ ეროვნულ საკითხს გადახედა და ორი დასკვნა გამოიტანა. პირველ რიგში, ვინც, ვერ შეძლო ეკონომიკური მაჩვენებლებით საბჭოთა ხელისუფლების ინტერესები დაეკმაყოფილებინა, ერის-მშენებლობის დამოუკიდებელ პროექტს გამოეთიშა. მათ სხვა ერების ფარგლებში გააგრძელეს არსებობა.

თუმცა, განსხვავება არსებობდა დიდ ერებთან დაკავშირებით. კორენიზაციის ტესტი ბევრმა მათგანმა წარმატებით გაიარა, ამიტომ ისინი ერონული გაძლიერების პროგრამის ფარგლებიდან არ გაურიცხავთ. თუმცა, რუსიფიკაციის პროგრამის დაწყების გამო, ცვლილებები მათაც შეეხოთ. გვიანი სტალინიზმის პერიოდში ყველა საბჭოთა ერმა პირველობა რუს ერს დაუთმო და სტალინის ეროვნულ პოლიტიკის ავანსცენაზე მოკრძალებული ადგილი დაიკავა.

1.2. კორენიზაცია

რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ხალხების შემოსაკრებად ბოლშევიკებმა რევოლუციის ორგანიზების პერიოდში გააჟღერეს დევიზი უმცირესობათა თვითგამორკვევის შესახებ. თავდაპირველად ეს დევიზი სოციალისტური იდეოლოგიის გარშემო ეთნიკური ჯგუფების მობილიზებას ემსახურებოდა, ხოლო რევოლუციის შემდეგ „რუსული შოვინიზმის“ დამარცხების პროპაგანდისთვის გამოიყენეს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტალინი რუსული ნაციონალიზმის საფრთხეებთან ერთად, საშიშროებას ხედავდა ქართულ ნაციონალიზმშიც, რომელიც აფხაზებისა და ოსების დისკრიმინაციის საფუძვლად წარმოედგინა.[89] ამ ფაქტორმა დიდი როლი ითამაშა საქართველოს ეროვნული პროექტის ცვლილებაში, ქვეყნის ტერიტორიულ და პოლიტიკურ მოწყობაში.

ქართული ეროვნული პროექტი არ იყო საბჭოთა პროდუქტი. იგი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა და დაემთხვა საქართველოს რუსეთის იმპერიაში ყოფნის პერიოდს. ქართული ნაციონალიზმის ფუძემდებელმა ილია ჭავჭავაძემ საქართველოს ტერიტორია ენობრივი და რელიგიური მარკერებით განსაზღვრა. 1861 წელს კრიტიკულ ესეში „ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდან შეშლილის თარგმანზედა“ ილია წერდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე

[89]Martin, *The Affirmative Action Empire,* 2-3,7-8.

დაგვრჩა მამა-პაპათაგან - მამული, ენა და სარწმუნოება და თუ მათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცნი ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას.“[90]

მოგვიანებით ილიამ ცვლილება შეიტანა ეროვნულ პროქტში და იდენტობის მარკერებს შორის ყველაზე მნიშვნელოვნად საერთო თანაცხოვრების ისტორია მიიჩნია. მან უისტორიო ხალხი უბინაო კაცს შეადარა, რომელმაც „არ იცის, ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის“[91] სწორედ ამ პერიოდიდან გაჩნდა საქართველოში მასტერ ნარატივის შექმნის მცდლობა. პირველად არქეოლოგმა და ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ სცადა თანამედროვე ქართველი ერის რაობა საკუთარ ნაშრომებში განესაზღვრა.[92] ქართული საისტორიო მასტერ ნარატივის ფუძემდებლად ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევა, რომელმაც დახვეწა არსებული კვლევები და მეთოდოლოგიურად გამართული ტექსტები შექმნა.[93] ჯავახიშვილის ნაშრომები სახელმძღვანელოდაც გამოიყენებოდა ქართულ სკოლებში.[94]

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ პირველი ქართული ეროვნული პროექტი კულტურული ნაციონალიზმის საფუძველზე ჩამოყალიბდა, რადგან ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები აცნობიერებდნენ რუსეთის იმპერიის გავლენას საქართველოზე და პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეას არ აჟღერებდნენ. მათი ძირითადი ორიენტირი კულტურულ-საგანმანათლებლო და ეკონომიკურ რეფორმებს ეხებოდა.[95]

---

[90]ილია ჭავჭავაძე, „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდან შეშლილის თარგმანზედა,“ ცისკარი N4 (1861): 593.

[91]ივანე ჯავახიშვილი, *ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია* (ტფილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა 1938), 3.

[92]დიმიტრი ბაქრაძე, „საქართველო ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევა“, *ივერია, N11* (1978); დიმიტრი ბაქრაძე, „საქართველო: ეთნოგრაფიული და ისტორიული გამოკვლეევა,“ ივერიამ N8 (1978); დიმიტრი ბაქრაძე, „საქართველო ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევა“, *ივერია,* 3 ნოემბერი (1888); დიმიტრი ბაქრაძე, *ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე* (ტფილისი: სტამბა ე.გ. მესხისა 1889).

[93]Nino Chikovani, “The De-Sovietisation and Nationalisation of History in Post-Soviet Georgia,” *Myth and Conflicts in the South Caucasus: Instrumentalisation of Historical Narratives*, edited by Oksana Karpenko and Jana Javakhishvili (International Alert, 2013) 73-74.

[94]ივანე ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია,* წიგნი პირველი (ტფილისი: შრომა 1908).

[95]Natalie Sabanadze, Globalization and Nationalism, Central European University 2010, https://books.openedition.org/ceup/556?lang=en (ნანახია 20.12.2021).

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ ეროვნულ პროექტს მე-20 საუკუნეში პოლიტიკური ამბიციები ნამდვილად გააჩნდა, რამაც 1918-1921 წლების რესპუბლიკის დროს შეისხა ხორცი. ამ მოკლე პერიოდში, საქართველო სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენდა პოლიტიკური ინსტიტუტებით, კანონმდებლობით, ოფიციალური იდეოლოგიით,[96] ტერიტორიით და მკაფიოდ განსაზღვრული საგარეო ორიენტაციით.[97]

გასაბჭოება, ბევრი ერისგან განსხვავებით, ქართველებისთვის დიდი დარტყმა აღმოჩნდა. მან უკვე არსებული ეროვნული იდეები დათრგუნა და საბჭოურ ყალიბში დაატუსაღა, რამაც ქართულ ნაციონალიზმს ჩამოაშორა პოლიტიკური იდეალი - დამოუკიდებლი ერი-სახელმწიფოს განვითარების შესაძლებლობა.

განსხვავებული სურათი იყო აფხაზეთში. უმცირესობების თვითგამორკვევის დევიზმა წარმატებით იმუშავა აფხაზ მოსახლეობაში, რომელთაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ პერიოდში არ ჰქონდათ მყარი და საყოველთაო ეროვნული სენტიმენტები, თუმცა ძლიერი სოციალისტური მისწრაფებები გააჩნდათ. ველტი აჩვენებს, რომ თვითგამორკვევა აფხაზებისთვის ნიშნავდა საკუთრების უფლების დაცვას მიწაზე და კონკურენტების ჩამოშორებას, ამიტომ ბოლშევიკურმა დევიზმა მყარად მოიკიდა ფეხი ადგილობრივ მოსახლეობაში.[98] აფხაზებისთვის გასაბჭოება ნიშნავდა არა ეროვნული პროექტის დაკარგვას, არამედ მის შეძენას და განვითარებას.

აფხაზეთში არსებული განწყობები წარმატებით გამოიყენეს ქართველმა ბოლშევიკებმა. 1921 წლის იანვარში, მათ დახმარების თხოვნით მიმართეს რუს ბოლშევიკებს, რათა რევოლუციური მოძრაობები აფხაზეთში, აჭარასა და ბორჩალოში დაეწყოთ.[99] ეს ტერიტორიები შემთხვევით არ იყო დასახელებული. აფხაზები თვითგამორკვევას ითხოვდნენ, აჭარასა და ბორჩალოში კი, ასევე არასტაბილური

---

[96]Malkhaz Matsaberidze, "The Democratic Republic of Georgia: forgotten lessons for our democracy," *The Making of Modern Georgia, 1918–2012 The first Georgian republic and its successors*, edited by Stephen F. Jones (London and New York: Routledge, 2014), 318-321.

[97]Nodia, "Causes and Visions", 19, 22.

[98]Welt, "A fateful moment", 448.

[99]ლევან თოიძე, *აფხაზეთის პრობლემები* (მოსკოვი: რუსეთის ქართული საზოგადოება, 1996), 6.

სიტუაცია იყო, ვინაიდან ამ რეგიონებზე თვალი ეჭირათ სამხრეთ კავკასიელ მეზობლებს.[100]

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას დიდი არჩევანი არ ჰქონდა. ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიის დაშლის შემდგომ გაჩენილი ტერიტორიული პრობლემები ქვეყნის შიგნით და მეორე მხრივ, მეზობლებთან არსებული ტერიტორიული დავები საფრთხეს ქმნიდა ტერიტორიული და პოლიტიკური ერთიანობის შენარჩუნებისთვის. ამ ვითარებაში დამოუკიდებლობის აქტს რეალური ძალა აღარ გააჩნდა. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ჯარი შემოვიდა. მომდევნო დღეს, რევოლუციურმა კომიტეტმა ქვეყანა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა, რის შემდეგაც მენშევიკური მთავრობა საფრანგეთში გაიხიზნა.[101]

გარდა იმისა, რომ გასაბჭოება მძიმე დარტყმა იყო ქართული ეროვნული პროექტისთვის, მან ასევე შექმნა სახარბიელო ასპარეზი აფხაზებთან დაპირისპირებისთვის. ლოურენს ბროერსის თანახმად, გასაბჭოების დღიდან ქართველებმა დაკარგეს აფხაზებთან ეროვნულ საკითხზე მოლაპარაკების შესაძლებლობა. ავტორის აზრით, სწორედ საბჭოთა წყობილებამ ჩამოაყალიბა აფხაზთა კოლექტიურ წარმოდგენაში შეურიგებლობა ანტისაბჭოურ ქართულ ნაციონალიზმთან.[102]

ამ პროცესის სათავე კორენიზაციის პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ. ეს იყო ოთხი ეროვნული ფორმის - ტერიტორიის, ენის, ელიტებისა და კულტურების - წახალისება.[103] სტივენ ჯონსის განმარტებით, კორენიზაციის მიზანი იყო მოემზადებინა სხვადასხვა ეთნოსები მულტიეროვნულ საბჭოთა სახელმწიფოში მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის, რაც ითვალისწინებდა მათი ეროვნული და კულტურული

---

[100] Charlotte Hille, *State Building and Conflict Resolution in the Caucasus* (Leiden and Boston: Brill, 2010), 84 – 85.
[101]იქვე, 98, 99.
[102]Laurence Broers, "Unpacking the meta-conflict Claims to sovereignty, self-determination and territorial integrity in the Georgian–Abkhaz conflict," *The Making of Modern Georgia, 1918–2012 The first Georgian republic and its successors*, edited by Stephen F. Jones (London and New York: Routledge, 2014), 565.
[103]Martin, *Affirmative Action Empire*, 23, 151;

მისწრაფებების დაკმაყოფილებას. გარდა ამისა, ადგილობრივი ელიტების აღზრდით პარტია საკუთარი ლეგიტიმურობის განმტკიცებასაც გეგმავდა.[104]

ტერიტორიული მოწყობის საკითხში წამყვანი როლი ეთნიკურობას მიენიჭა,[105] რომელიც რუსული ეთნოგრაფიული სკოლის ფარგლებში გაიაზრებოდა და ხალხების დაჯგუფების საფუძველსაც წარმოადგენდა.[106] საბჭოთა კავშირში მცხოვრები ყველა ხალხი ერი უნდა გამხდარიყო, რაც აუცილებელი საფეხური იყო სოციალისტური ტრანსფორმაციისკენ მიმავალ გზაზე. თუმცა ეს ხალხები კულტურული და ეკონომიკური განვითარების მიხედვით დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. საბჭოთა ლიდერებმა შეიმუშავეს კლასიფიკაციის სისტემა მათ დასაჯგუფებლად, გამოყვეს დაწინაურებული და ჩამორჩენილი ხალხები, თუმცა ყველა მათგანი საბჭოთა ერის სახელით მოიხსენიებოდა.[107]

ამ სქემის მიხედვით, ქართველები დასავლეთის ერებთან ერთად კულტურულად დაწინაურებულ ერთობად აღიქმებოდნენ საბჭოთა ლიდერების მიერ, ხოლო საქართველოში მცხოვრები უმცირესობებიდან - აფხაზები და ოსები ჩამორჩენილ ჯგუფებად მოიაზრებოდნენ. კორენიზაციას უნდა აღმოეფხვრა კულტურული განსხვავებები და ერები კულტურული და ეკონომიკური განვითარების მიხედვით გაეთანაბრებინა.

ეს შეთავაზება მისაღები იყო აფხაზებისთვის, რადგან მათ მიეცათ შანსი, შეექმნათ საკუთარი ეროვნული პროექტი, რომელიც მართალია საბჭოთა პროექტიც იქნებოდა ამავდროულად, თუმცა კულტურულად თვითმყოფადი და ქართულისგან განცალკევებული. სწორედ ამ პოლიტიკის ფარგლებში ჩამოყალიბდა სახარბიელო პირობები საბჭოთა საქართველოში ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ეროვნული პროექტის შექმნისთვის.

---

[104]Stephen Jones, "The Establishment of Soviet Power in Transcaucasia: The Case of Georgia 1921-1928*," Soviet Studies 40*, no.4 (1988): 616.

[105]Slezkine, "The USSR as a Communal Apartment," 416, 417, 427.

[106]Valery Tishkov, *Ethnicity, Nationalism and Conflict in and after the Soviet Union* (London and New Delhi: Sage Publications, 1997), 1, 7.

[107]Martin, *Affirmative Action Empire*, p. 23;

საქართველოს გასაბჭოებას მოჰყვა ქვეყნის ტერიტორიული ფრაგმენტაცია. ეთნიკური იდენტობების მიხედვით საზღვრების გავლება საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან მასში შემავალი მცირე ერების გულის მოგების ერთ-ერთ მთავარ ბერკეტს წარმოადგენდა. ამგვარი მოწყობა საშუალებას აძლევდა ცენტრს მოხერხებულად ემართა ეთნოფედერალური ინსტიტუტები, საკუთარი ინტერესების საკეთილდღეოდ მოეხდინა მასში გაწევრიანებული კადრების მობილიზაცია. ამ კადრებს შეეძლოთ ეთნიკური ჯგუფებში სოლიდარობის მოპოვება და მათში ლოიალობის გაღვივება საბჭოთა პოლიტიკური პროგრამებისადმი.[108]

ალექსანდერ მორისონის მიხედვით, საბჭოთა ეთნოფედერალური მოწყობის პრაქტიკა არცთუ ახალი იყო და „ცარისტული" ხელისუფლებიდან ათვისებულ გამოცდილებას ემყარებოდა. განსხვავებული ფორმით და მსგავსი პრინციპით (ტერიტორიული ფაქტორით მანიპულირება), ცარისტული ხელისუფლება მართავდა მისადმი დაქვემდებარებულ ხალხებს. ბოლშევიკი ლიდერები უარყოფდნენ იდეურ კავშირს იმპერიასთან, ოფიციალურად მაინც. თუმცა, სწორედ წარსულის გაკვეთილები დაეხმარა მათ ადვილად სამართავი ადმინისტრაციული ერთეულების შეექმნასა და იმპერიული რუსეთის გეოგრაფიული ფრაგმენტაციის თავიდან არიდებაში.[109]

1921 წელს აფხაზეთმა, საქართველოს მსგავსად, სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსი მიიღო, აჭარამ ავტონომიური რესპუბლიკის, ხოლო 1922 წელს ავტონომიური ოლქის სტატუსი მიენიჭა ცხინვალის რეგიონს (ე.წ. სამხრეთ ოსეთი).[110] ამავე პერიოდში საქართველო აზერბაიჯანთან და სომხეთთან ერთად ტრანსკავკასიის ფედერაციაში გაწევრიანდა.

სტალინის განმარტებით, ფედერალური სტრუქტურა საუკეთესო გამოსავალი იყო კავკასიელი მეზობლებისთვის, წარსულში არსებული მტრობის დასავიწყებლად და მშვიდობიანი თანაცხოვრების დასაწყებად. თუმცა, გაერთიანების რეალური მიზანი ის იყო, რომ მსგავსი სტრუქტურა ამცირებდა რომელიმე სახელმწიფოს გამოყოფის შანსებს,

---

[108]Philip G. Roeder, "Soviet Federalism, and Ethnic Mobilization", *World Politics 43*, no. 2 (1991), 197-200.

[109]Alexander Morison, "The Russian Empire and the Soviet Union: Too Soon to Talk of Echoes?" *Echoes of Empire,* edited by Berni Sebe et. al. (London and New York: Tauris 2015), 158.

[110]Jones, "The Establishment of Soviet Power," 617.

რამდენადაც თვითგამორკვევის უფლება მხოლოდ ფედერაციას ენიჭებოდა.[111] გარდა ამისა, ცალკე ადმინისტრაციული ერთეულების მართვა ამ გზით უფრო იოლი ხდებოდა, რადგან სხვა დამოუკიდებელ მოქმედებებში ისინი შეზღუდულები იყვნენ.

1924 წელს საბჭოთა კავშირის სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება დასრულდა. ამ დროისთვის აფხაზეთი დამოუკიდებელ ეროვნულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა. თუმცა, ამავდროულად მას მჭიდრო მეზობლური და სამართლებრივი კავშირები ჰქონდა საქართველოსთან.

1922 წელს აფხაზეთისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის გაფორმდა სამოკავშირეო ხელშეკურლება, რომლის თანახმადაც აფხაზეთი საქართველოს გავლით შედიოდა ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციაში და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. თუმცა წარმოშვა საკანონმდებლო წინააღმდეგობა. 1925 წელს მიღებული აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია ერთდროულად ეთანხმებოდა (1 თავი, მე-4 მუხლი) და ეწინააღმდეგებოდა (2 თავი, მე-5 მუხლი) საქართველოსთან სამოკავშირეო ხელშეკრულების არსებობას.[112] საბჭოთა ხელისუფლებას ორმაგი სტანდარტები ნაკლებად ანაღვლებდა. მისი მიზანი ტრადიციული აფხაზი საზოგადოების სოციალისტურ საზოგადოებად გარდაქმნა იყო. ამის გამო, საკანონმდებლო ხარვეზებით არავინ დაინტერესებულა პოსტ-საბჭოთა პერიოდამდე.

ელიტების წახალისების ფონზე, 1923-1926 წლებში აფხაზეთის კომუნისტურ პარტიაში აფხაზი წევრების რაოდენობა 10 %-დან 24. 5 %-მდე გაიზარდა,[113] ხოლო 1929 წლისათვის ამ ნიშნულმა 32 %-ს მიაღწია.[114] გარდა ამისა, 1925 წელს დაარსდა აფხაზური

---

[111]Robert J. Kaizer, *The Geography of Nationalism in Russia and the USSR* (Princeton and New Jersey: Princeton University Press, 1994), 109.

[112]ბორის კვარაცხელია, *რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი“) და საერთაშორისო თანამეგობრობა* (თბილისი, უნივერსალი 2015), 21.

[113]Jones, “The Establishment of Soviet Power,” 617.

[114]Arsene Saparov, *From Conflict to Autonomy in the Caucasus* (London and New York: Routledge 2015), 151.

ენისა და ლიტერატურის კათედრა, რომელიც ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებთან ერთად აფხაზური ენის სხვადასხვა ასპექტებს იკვლევდა.[115]

ამავე პერიოდიდან გაჩნდა წიგნები აფხაზურ ენაზე და აფხაზური ბეჭდური მედია,[116] ხოლო 1928 წლიდან აფხაზური ენა, მოდერნიზების მიზნით, სხვა საბჭოთა ხალხების ენებთან ერთად, ლათინურ დამწერლობაზე გადაიყვანეს. დაარსდა რეგიონული კვლევების ინსტიტუტი.[117] დაფუძნდა პროლეტარ მწერალთა აფხაზური ასოციაცია, რომელიც მოგვიანებით აფხაზ მწერალთა კავშირად გადაკეთდა.[118]

1930-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთში ეწყობოდა კინო-ინსტალაციები, ფუნქციონირებდა მუსიკალური სტუდიები, უკრავდა სიმფონიური ორკესტრი. დაწინაურდა საგანმანათლებლო სექტორიც. 1934 წლის მონაცემებით არსებობდა 15 საშუალო სკოლა (5 ქართული, 4 რუსული, 3 აფხაზური, 1 ბერძნული და 1 სომხური) და 70 დაწყებითი საშუალო სკოლა (25 ქართული, 15 სომხური, 11 აფხაზური, 10 ბერძნული, 7 რუსული და 2 შერეული), რომელშიც მოსწავლეები მშობლიურ ენაზე იღებდნენ განათლებას.[119]

ქართული ინტელიგენციის ზოგიერთმა წევრმა გააპროტესტა კორენიზაციის პოლიტიკა აფხაზეთში. 1920-იან წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის სახელზე იწერებოდა მიმართვები, რომლებშიც აღნიშნული იყო, რომ საქართველო განსხვავდებოდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისგან, რადგან რევოლუციის პერიოდში ის შემდგარ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

ამ არგუმენტის მოშველიებით, ქართული ელიტის ნაწილი ითხოვდა ტერიტორიული საზღვრების გავლებას ქართველთა ეროვნული ინტერესების შესაბამისად და ქართველებთან კულტურულ-ისტორიულად დაკავშირებული ერების,

---

[115]Георгий Дзидзария, „Доклад директора Абхазского института члена корр. АН Грузий ССР Г. А. Дзидзария," *Абхазскому Институту 50 Лет*, Ред. Шалва Инал -Ифа (Тбилиси: Мецниереба, 1985) 17.

[116]Баджур Сагариа и Арвелод Куправа, „Формирование Абхазской Социалистической Наций," *Абхазскому институту 50 Лет*, Ред. Шалва Инал -Ифа (Тбилиси: Мецниереба, 1985) 50.

[117]Дзидзария, „Доклад директора," 16, 17.

[118]Saparov, *From Conflict to Autonomy*, 150.

[119]„Материалы к Отчету Правительства Асср Абхазий: VII Създу Советов" (Сухум: ЦИК АССР Абхазии 1934), 34-35.

მათ შორის აფხაზთა ინკორპორაციას ქართველობაში. მაგალითად, ქართველი ლიტერატურის მუზეუმში, პავლე ინგოროყვას არქივში შემონახულია წერილები, რომლებიც საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის კრიტიკას ეხება. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე წერილი დაუთარიღებელია, თუმცა შინაარსიდან გამომდინარე პირველი მათგანი 1920-იანი წლების დასაწყისში უნდა იყოს დაწერილი, ხოლო მეორე 1920-იანი წლების ბოლოს.

„მორიგი საკითხები საბჭოთა პოლიტიკისა საქართველოში“ - ამ ტექსტში, ინგოროყვამ, ქართველთა პოლიტიკური სუვერენიტეტის დაცვა მოითხოვა. ტექსტიდან გამოსჭვივის ერთგვარი იმედგაცრუებაც საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, რომელმაც არ შეასრულა რევოლუციამდე გაცემული დაპირება და ქართველებს ეროვნული სახელმწიფოს ქონის უფლება წაართვა. ავტორი ასახელებს სამ მნიშვნელოვან არგუმენტს, რის საფუძველზედაც საქართველოს დამოუკიდბლობა გამართლებულად მიაჩნდა:

1) საქართველოში ერი სახელმწიფოს მშენებლობა ჯერ კიდევ რევოლუციამდე დასრულდა, რის გამოც ქართველები წინ იყვნენ (ავტ: ისტორიული განვითარების მარქსისტული სქემით) იმ ერებთან შედარებით, რომელთა ეროვნულ მოძრაობებს ბოლშევიკები უჭერდნენ მხარს. ამიტომ, ინგოროყვა საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის საჭიროებას ვერ ხედავდა: „საქართველო ერთად-ერთი მკაფიოდ ჩამოყალიბებული ნაციონალური სახელმწიფოებრივი ერთეული არის, რომელსაც შეხვდა საბჭოთა ძალა-უფლება თავისი ბუნებრივი, თანდათანი მსვლელობის დროს სამხრეთისა და აღმოსავლეთისაკენ. სხვა ნაციონალური ერთეულების სოვეტიზაცია, არავითარ ანალოგიას არ წარმადგენენ. ეს ერთეულები ან არ იყვნენ ჩამოყალიბებული ნაციონალურ სახელმწიფოებად და მათ სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია მიიღეს მხოლოდ საბჭოთა ძალა-უფლების დამყარების შემდეგ [...] ან სადაც კი სოვიეტიზაციის მომენტის დროს არსებობდა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, როგორც, მაგალითად, უკრაინასა და აზერბაიჯანში,

იგი მოკლებული იყო სასიცოცხლო ძალას და დამოუკიდებლობის იდეა, სახელმწიფო ტრადიციების უქონლობის გამო, არ იყო პოპულარული ფართე მასებში.“[120]

2) საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას, ქართული პოლიტიკური ელიტის (ბოლშევიკური გაგებით - ბურჟუაზიული ელიტის) გარდა, მხარს უჭერდნენ „მშრომელი მასები“. უფრო მეტიც, ლიტერატურათმცოდნე ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ისინი „ნერვიულად ეკიდებოდნენ“ ამ საკითხს და 1918 წელს დამოუკიდებლობის აღდგენა რუსული იმპერიალიზმის მიერ დათრგუნული „უწმინდესი უფლებების რესტავრაციად“ მიაჩნდათ.[121]

3) საქართველოს რუსეთის იმპერიასთან ურთიერთობის ხანგრძლივი გამოცდილება ჰქონდა და „განახლებულ“ რუსეთთან შეხვედრას ქართველები ეჭვის თვალით უყურებდნენ. ინგოროყვას აზრით, ამ შეხვედრას, კეთილი დასასრული იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუკი საბჭოთა ეროვნულ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები გამოსწორდებოდა და ქართველები დამოუკიდებლობას მიიღებდნენ.[122]

დასასრულს, ლიტერატურათმცოდნე საბჭოთა ხელისუფლებას სთავაზობდა რეკომენდაციებს: მას მიზანშეწონილად მიაჩნდა საქართველოში „წითელი ლაშქრის“ ჩამოყალიბება და რუსული „ლაშქრის“ გაყვანა; საქართველოში მოქმედ დაწესებულებათა დენაციონალიზაციის შეჩერება, რაც „სტიქიურად“ ხდებოდა ყველა ქალაქსა და პროვინციაში; „ლტოლვილთა ემიგრაციის“ შეწყვეტა საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში და ბოლოს, საქართველოს ტერიტორიული საზღვრების გავლებისას ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინება. იგი აქცენტს აკეთებდა თურქეთის მიერ „ბათომის სამხრეთ სექტორის და ფოცხვოვ-არტაანის“ მითვისებასა და ასევე საქართველოდან „სამურზაყანო აფხაზეთის“ - ენგურიდან გაგრამდე ტერიტორიის, ჩამოჭრაზე. ამასთანავე, აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის ინტერესებშივე შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა, რადგან საუკუნეების მანძილზე

[120] სლმა, *პავლე ინგოროყვას ფონდი, №27682*, 1920-იანი წლები, 1-2.
[121]იქვე, 2.
[122]იქვე, 3.

აფხაზები საქართველოში მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, კულტურულად, პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად დაკავშირებული იყვნენ ქართველებთან.[123]

ამ წერილს გამოხმაურება არ მოჰყოლია. ასევე არ არსებობს გამოხმაურება ავტორის მეორე წერილზე, რომელიც 1920-იანი წლების ბოლოს უნდა იყოს დაწერილი. ინგოროყვამ კვლავ გააკრიტიკა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა, ამჯერად საბჭოთა მოსახლეობის საკავშირო აღწერის გამო. მას არასწორად მიაჩნდა ქართველ ერში შემავალი ეთნოგრაფიულ ტომების გამოყოფა და ენობრივ საფუძველზე მათი ცალკე ერებად დარეგისტრირება.

ლიტერატურათმცოდნე თვლიდა, რომ მსგავსი მიდგომის გამოყენებისას, სამეცნიერო აკადემია ერთმანეთში ურევდა „გვაროვნობითსა და სახეობითს“ ცნებებს. მაგალითად, ქართველი გვაროვნობითი ცნება იყო, ხოლო მეგრელი და სვანი - სახეობითი, რომელიც ქართული გვაროვნობითის ნაწილს წარმოადგენდა. სახეობითი ცნების გვაროვნებითად გამოცხადება კი, „მკვდარი მწიგნობრული სქემა“ იყო და არასწორ სურათს აძლევდა საბჭოთა ხელისუფლებას. „ეს ტომები არა მარტო რასიული შთამომავლობით, არამედ ეროვნული შეგნებითაც ერთი ქართველი ერის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ეს იმდენად მარტივი და ცხადი დებულებაა ამის შესახებ სიტყვის გაგრძელება ზედმეტად მიგვაჩნია“ - წერდა ინგოროყვა.[124]

ლიტერატურათმცოდნე იმასაც აღნიშნავდა, რომ მსგავსი მიდგომა ბოლშევიკების მტრებს (ავტ: ამ სიტყვით მოიხსენიება საქართველოს ემიგრაცია, იგულისხმება მენშევიკური მთავრობა) აძლევდა საბაბას ელაპარაკათ ანტიქართული, რუსიფიკატორული პოლიტიკის შესახებ, რომელიც იმპერიის პერიოდში ხორციელდებოდა.[125]

აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზეთში ეროვნული პროექტის შექმნას მოწონებით არ შეხვდნენ არც ქართულ ბოლშევიკურ ელიტაში. ზურაბ პაპასქირი აჩვენებს, რომ აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფას ქართველი ბოლშევიკების ნაწილი დროებით

---

[123]იქვე, 4-16.

[124] სლმა, *პავლე ინგოროყვას ფონდი, №27690*, 1920-იანი წლები, 1-2.

[125]იქვე.

მდგომარეობად აღიქვამდა და არა ხანგრძლივვადიან პროექტად.[126] თუმცა, ქართველი ინტელიგენიცის წევრებისა და ბოლშევიკების პროტესტმა უკვალოდ ჩაიარა. 1920-იანი წლების მანძილზე აფხაზეთში, სხვა სოციალისტური რესპუბლიკების მსგავსად ეროვნული გაძლიერების პროგრამა შეუფერხებლად მიმდინარეობდა და მას წარმატებული შედეგებიც მოყვა.

აფხაზებს ჰქონდათ საკუთარი ტერიტორია, საბჭოთა კავშირი ხელს უწყობდა აფხაზური ენის შესწავლასა და საზოგადოებრივ გამოყენებას, აფხაზი კადრები დაწინაურებულ იყვნენ მმართველ პოზიციებზე და აფხაზური კულტურის ხელშეწყობისათვის ყველა ხელსაყრელი პირობა გაჩნდა. კორენიზაციის ეტაპზე, აფხაზებმა მიიღეს დაპირებული რესურსები, შესაძლებლობები და თანასწორობა, თუმცა როგორც უკრაინელი მკვლევარი სერჰი იეკელჩუკი აღნიშნავს: „1920-იან წლებში საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა თანასწორი ეროვნებებისა (nationalities) და უთანასწორო კლასების სახელმწიფოს, ხოლო 1930-იანი წლებიდან თანასწორი კლასებისა და უთანასწორო ერების სახელმწიფოდ გადაიქცა“. [127]

1.3. ადრეული სტალინიზმი

როგორც უკვე ვნახეთ, თვითგამორკვევის იდეის ლოზუნგით საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო ეროვნული ცნობიერების ზრდა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფ ერებში. ჰირში აჩვენებს, რომ კორენიზაციამდე მათი დიდი ნაწილი საკუთარ თავს ლოკალური იდენტობის ფარლგებში განსაზღვრავდა, როგორიც იყო მაგალითად პროვინცია ან რელიგია.[128] ამის მიზეზი კი ის იყო, რომ რევოლუციური რუსეთის გამოცდილება განსხვავდებოდა იმ ქვეყნების გამოცდილებისგან, რომელზე

[126]პაპასქირი, *ნარკვევები*, 84

[127]Serhy Yekelchyk, *Stalin's Empire of Memory* (Toronto, Buffalo, London: University of Toronto Press 2004), 4.

[128]Hirsh, "The Soviet Union as a Work in Progress," 259.

დაკვირვებითაც დაიწერა მარქსიზმის თეორია. რუსეთის იმპერიის მოსახლეობაში, დასავლეთ ევროპის მოსახლეობისგან განსხვავებით, ყველას არ ჰქონდა გაცნობიერებული ერის კონცეფცია და ერის მშენებლობის პროცესი ბევრ ჯგუფში, მხოლოდ კორენიზაციის პროცესში დაიწყო.

თუმცა, მოდერნიზაციის პროცესმა ბოლშევიკებს იმედები გაუცრუა. რევოლუციის შემდეგ, ლენინს და მის მომხრეებს, ეროვნული გაძლიერების პროგრამის დაწყება სოციალისტური ტრანსფორმაციის წარმატების გარანტად მიაჩნდათ, რის გამოც არარუს ერებს „დიდი სახიფათო პრინციპი" - მჩაგვრელი რუსული ნაციონალიზმი ჩამოაშორეს და მისგან დამოუკიდებელი განვითარების შესაძლებლობა მისცეს.[129]

ეროვნული ფორმების - ენის, ტერიტორიის, კულტურებისა და ადგილობრივი ელიტების წახალისება აძლიერებდა ლოკალურ ნაციონალიზმს არარუს ერებში. თუმცა, ცენტრალური ხელისუფლება ამ პროცესში საფრთხეს ვერ ხედავდა, რადგან ბოლშევიკების ანგარიშით, მომავალში ეროვნული იდენტობები საერთო სოციალისტურ იდენტობას უნდა გადაეფარა,[130] ეროვნება კი - გენეტიკური მარკერი გამხდარიყო, რეალური პოლიტიკური ძალის გარეშე.[131]

საბოლოო ჯამში, ეს მოლოდინები არ გამართლდა. ინდუსტრიალიზაციის პროცესში გარკვეული ეკონომიკური და სოციალური წარმატების მიღწევა მოხერხდა, მაგრამ საბჭოთა ერების კონსოლიდაციისთვის სახარბიელო ნიადაგის ჩამოყალიბება არ მოხდა. ეთნიკური იდენტობები საბჭოთა ერების გამყოფ ბარიერებად გადაიქცა. სტალინიზმის ფენომენი, როგორც ხშირად მოიხსენიებენ 1930-იან წლებში სტალინის ხელისუფლებაში მოსვლას და მოდერნიზაციის ახალი პროცესის დაწყებას.

საინტერესოა იმითაც, რომ ბევრ საკითხში (ეროვნული თვითგამორკვევა, კლასობრივი იდენტობა, ეროვნული განსხვავებები და აშ.) სტალინი გასცდა მარქსიზმს, რამდენადაც სოციალისტური ერების მშენებლობა დასრულდა არა ერების ბუნებრივი შერევისთვის ნიადაგის შემზადებით, არამედ მოდერნიზაციის პროექტის ცვლილებით

---

[129]Martin, *Affirmative Action Empire,* 19.

[130]Martin, „Modernization or neo-traditionalism?" 354.

[131]Suny, "Contemporary Issues," 876.

და ორმაგი იდენტობების მშენებლობით, რომელთაგან ერთი კლასობრივი იყო, მეორე კი ეროვნული.

შეიძლება ითქვას, რომ სტალინიზმის ფენომენი, წარმოადგენდა პასუხს ნაციონალიზმის თეორიის არარსებობით გამოწვეულ კრიზისზე, რომლის გადასაჭრელად მარქსისტულ-ლენინისტური თეზისები საკმარისი არ აღმოჩნდა. საბჭოთა ლიდერებს 1930-იან წლებში ჰქონდათ შესაძლებლობა დაენახათ, რომ ნაციონალიზმისგან მოსალოდნელი საფრთხე უფრო დიდი და ძლიერი იყო, ვიდრე ისინი კორენიზაციის დაწყებამდე ვარაუდობდნენ. ეროვნული იდენტობა კი გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა სოციალიზმის მშენებლობისთვის. სწორედ ამიტომ, მათ ალტერნატიული მოდერნიზაციის გეგმა შეიმუშავეს და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური კურსი თანდათან ცენტრალიზაციისკენ შეცვალეს,[132] რომელიც უმცირესობებს აღარ სთავაზობდა სივრცეს ეროვნული უფლებების დაცვისთვის.

ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდში სტალინი ფუნდამენტური ცვლილებებისთვის ემზადებოდა - 1924 წელს სამართლებრივად შემდგარი სახელმწიფო საბჭოთა სოციალისტური ერების ფედერაციად უნდა გარდაექმნა, რომელიც ერთდროულად უნდა ყოფილიყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიც და სამშობლოც. მსგავსი გარდაქმნა მოითხოვდა კორენიზაციის პოლიტიკის შემობრუნებას ხელისუფლებისათვის სასურველი მიმართულებით, რაც მოიაზრებდა საბჭოთა ხალხების კონსოლიდაციას საერთო იდენტობის ქვეშ, რომელიც ეროვნულ იდენტობასთან ერთად იარსებებდა.

ახალი პოლიტიკის მიხედვით, ეროვნული განსხვავებების არსებობა დასაშვებად იქნა მიჩნეული. თუმცა, იყვნენ ერები, რომელთაც ჰქონდათ არსებობის უფლება და იყვნენ ისეთებიც, რომელთა ცალკე ერად ყოფნა ხელისუფლებამ უსარგებლოდ ეჩვენა, ამიტომ მათ სხვა ერის შემადგენლობაში უნდა გაეგრძელებინათ არსებობა.

ცვლილებების ინიცირება 1931 წელს დაიწყო, როდესაც სტალინმა კომუნისტური პარტიის კონფერენციაზე საჯაროდ წარმოთქვა, რომ მუშებს ჰქონდათ საკუთარი სამშობლო - საბჭოთა სახელმწიფო. ეს განცხადება ეწინააღმდეგებოდა კომუნისტური

[132]Martin, „Modernization or neo-traditionalism?" 360.

პარტიის მანიფესტში წარმოდგენილ მომავალს, რომელშიც პროლეტარიატი კლასობრივი იდენტობის მარკერით, სამშობლოსა და ეროვნების მიღმა იყო განხილული. მოდერნიზაციის ახალი პროექტის მიხედვით დასაშვებად იქნა მიჩნეული ერების არსებობა. 1930-იანების საბჭოთა კავშირი სხვადასხვ ერებისგან შემდგარ ზესახელმწიფოს წარმოადგენდა, რომლის მოსახლეობასაც ეთნიკურად განსაზღვრული ტერიტორია, პარტიული პრივილეგიები და კულტურული უფლებები ჰქონდათ.

თუმცა, მხოლოდ ერების არსებობა საბჭოთა ლიდერების ინტერესებში არ შედიოდა. მათ საბჭოთა ერებში საკუთარ „ეთნიკურ სამშობლოსთან" მიჯაჭვულობა უნდა შეემსუბუქებინათ და ზესახელმწიფოს სიყვარული ესწავლებინათ. ინდოქტრინაციის ახალი გეგმა მოიაზრებდა ერთდროულად ნაციონალისტური და სოციალისტური იდეოლოგიების შეზავებას და მათ ბაზისზე ახალი ჰიბრიდული იდენტობის შექმნას. ამ იდეოლოგიურ სინთეზში იერარქიაც დაცული უნდა ყოფილიყო და სოციალიზმი ნაციონალიზმზე მაღლა დამდგარიყო. ამის მანიშნებელი გახდა „საბჭოთა პატრიოტიზმის" კონცეფცია, რომლის აქტუალიზებასაც პროპაგანდისტები ყველა რესპუბლიკაში ცდილობდნენ.

ეს კონცეფცია გულისხმობდა საბჭოთა ერების ემოციურ და კულტურულ მიჯაჭვულობას საბჭოთა კავშირთან,[133] ანუ ეროვნული სამშობლოს მიღმა, დიდ სოციალისტურ სამშობლოსთან კუთვნილების ჩამოყალიბებას და გაძლიერებას.

მოდერნიზაციის პროექტის ცვლილების კიდევ ერთი სიგნალი კორენიზაციის წამხალისებელი ინსტიტუტების დახურვა გახდა. ამ გზით, ეროვნული გაძლიერების საყოველთაო პროგრამამ პოლიტიკური აქტუალურობა დაკარგა და დაიწყო გადარჩევა - საბჭოთა ხელისუფლების ფოკუსი მცირე ერებიდან დიდი ერების ეროვნულ გაძლიერებაზე გადაერთო.[134] ანუ, განისაზღვრა ის ჯგუფები, რომლებიც მოდერნიზაციის ახალ პროგრამაში სტალინური ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი უნდა გამხდარიყვნენ.

---

[133]David Brandenberger, *National Bolshevism, Stalinist Mass Culture and the Formation of Modern Russian Identity 1931-1956* (Cambridge and London: Harvard University Press 2002), 28.

[134]Gerhard Simon, *Nationalism and Policy Toward the Nationalities in the Soviet Union: From Totalitarian Dictatorship, to Post-Stalinist Society* (San Francisco and Oxford: Westview Press 1991), 143.

უდა აღინიშნოს ისიც, რომ ცენტრალიზაციისკენ ნაბიჯების გადასადგმელად ხელისუფლებას დრო და ფიქრი დასჭირდა, რადგან 1930-იანი წლების ბოლოს კვლავ ღიად რჩებოდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი: რის მიხედვით უნდა განესაზღვრათ ეროვნება და ეროვნული უფლებები? როგორ უნდა დაეყოთ საბჭოთა ხალხები ეროვნული განვითარების მიხედვით? ვის რა ეროვნული უფლება უნდა რგებოდა? 1930-იან წლებში ყველა ერი ლაპარაკობდა და წერდა მშობლიურ ენაზე, რაც საბჭოთა სახალხო განათლების რეფორმის შედეგი იყო მაგრამ, იყვნენ ერები რომელთაც არ ჰქონდათ საკუთარი ტერიტორია ან გამართული ეკონომიკა და რომლებიც, დიდი ერებისაგან განსხვავდებოდნენ ფორმის, ზომის და განვითარების მიხედვით.

ფრანსინ ჰირში აჩვენებს, საბჭოთა ხელისუფლებამ, ერების კლასიფიკაციის დილემა რუსი ეთნოგრაფების სკოლას მიანდო. რელიგია და ენა იდენტობის არასაკმარის მარკერად დასახელდა, რადგან საბჭოთა მოსახლეობა ზედმეტად ჭრელი და განსხვავებული იყო. ამის გამო, ერის საბოლოო დეფინიცია ბოლომდე ბუნდოვანი დარჩა. გართულებების თავიდან ასარიდებლად კი, თვითიდენტიფიკაცია გახდა ის ძირითადი ინსტრუმენტი, რომლის გავლენითაც აღწერის დროს წყვეტდნენ ვინ რომელ ერს ეკუთვნოდა. მარტივად რომ ვთქვათ, მოსახლეობას ეროვნული იდენტობის არჩევის უფლება მიეცა. ეს იმას ნიშნავდა, რომ სტატისტიკის სამსახურის თანამშრომელი, რომელიც საველე გამოკითხვის დროს ეროვნების შესახებ სვამდა კითხვას, პასუხს იმის მიხედვით იწერდა, თუ რას უპასუხებდა რესპოდენტი და პასუხის შეცვლის უფლება „კატეგორიულად აკრძალული იყო.“[135]

უნდა ითქვას ისიც, რომ ეროვნების „არჩევის“ შესაძლებლობა მხოლოდ აღწერის დროს ეძლეოდა მოსახლეობას, ხოლო მონაცემების დამუშავების შემდეგ იგი უცვლელ კატეგორიად იქცეოდა და საბჭოთა მოქალაქის სოციალური იდენტობის განუყრელი ნაწილი ხდებოდა. ეროვნებას შეეძლო განესაზღვრა ინდივიდის კარიერული დაწინაურება, უნივერსიტეტში ჩაბარება, პრიორიტეტი სხვადასხვა სოციალური სერვისის მიღებისას და ა.შ.[136]

---

[135]Hirsh, “The Soviet Union as a Work in Progress,” 271.

[136]Slezkine, “The USSR as a Communal Apartment,“ 451.

ამ რთული და წინააღმდეგობრივი კლასიფიკაციის შედეგად საბჭოთა ერების იდენტობების რიცხვი 190-დან 99-მდე შემცირდა. იმ ჯგუფებისთვის, ვინც ეროვნული განვითარებით „სწორ გზაზე მიდიოდა“, მაგრამ ვერ აღწევდა მაღალ ეროვნულ საფეხურს პრობლემა მარტივად გადაიჭრა. მოსახლეობის აღწერის შედეგების დათვლის შემდეგ, დაიწყო მათი შერევა დიდ ერებთან. ხოლო იმ ხალხებისთვის, რომლებიც მეტ-ნაკლებად მიესადაგებოდნენ სტალინის 1913 წლის დეფინიციას ერის შესახებ, ჰქონდათ საკუთარი ტერიტორია, განვითარებული ეკონომიკა და საბჭოთა სოციალისტური რევოლუციის მიღწევებს აკმაყოფილებდნენ, ხელისუფლებამ ეთნიკური და ტერიტორიული კონსოლიდაციის წახალისება დაიწყო.[137]

საბჭოთა სისტემაში მიმდინარე ცვლილებებმა აფხაზეთშიც იჩინა თავი ორ დონეზე. ერთი მხრივ, დაიწყო ეროვნულ-ბოლშევიკური იდენტობების ფორმირება, ისევე როგორც მთელ საბჭოთ სისტემაში. მეორე მხრივ კი, აფხაზთა დაახლოება ქართველებთან. მეორე საკითხზე ვრცლად შევჩერდებით ტექსტში, რადგან ჩვენი კვლევის ფარგლებში ამ პროცესის ჩვენებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. სწორედ ამ ცვლილებებმა შექმნა სახარბიელო ფონი ქართული და აფხაზური პროექტების დაპირისპირებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს კორენიზაციის პროცესში, ამ პოლიტიკის უკუეფექტიც მკაფიოდ ჩანდა. 1930-იანი წლების დასაწყისში აფხაზ გლეხებში არსებობდა ეროვნული ცნობიერება და ისინი საკუთარ თავს იმ საერთო ტერიტორიული სივრცის ფარგლებში განსაზღვრავდნენ, რომელსაც აფხაზეთის სოციალისტური რესპუბლიკა ერქვა და არა ვიწრო პროვინციული იდენტობის ფარგლებში, როგორიც იყო რელიგია, დასახლება და ა.შ. მაგალითის სახით უნდა ვახსენოთ აფხაზი გლეხების ყრილობა სოფელ დურიფშში, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიული სტატუსის შემცირების გასაპროტესტებლად გაიმართა.

1931 წლის 19 თებერვალს აფხაზეთის საბჭოების მიერ განხილული განაცხადის საფუძველზე, საქართველოს საბჭოებმა გამოსცეს რეზოლუცია, რის თანახმადაც

[137]Hirsh, “The Soviet Union as a Work in Progress,” 275-276.

აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის ფორმით გაწევრიანდა.[138] მეორე დღეს გლეხებმა აფხაზური პოლიტიკური ელიტისგან თურქეთში მიგრაციაზე მოითხოვეს ნებართვა. ოფიციალური პირების განცხადებით, პროტესტი კოლექტივიზაციის რეფორმამ გამოიწვია,[139] თუმცა თანამედროვე ქართველ და აფხაზ ისტორიკოსთა მოსაზრებებით ეს ვერსია საბჭოთა ხელისუფლების თვალის ასახვევად იყო მოგონილი და შეკრების რეალურ მიზეზს აფხაზეთის სტატუსის შემცირება წარმოადგენდა.[140]

აღნიშნული მოსაზრება ლოგიკურად ჟღერს, ვინაიდან სოფელი დურიფში, ძირითადად, აფხაზებით იყო დასახლებული და ამასთანავე, პროტესტის გამოხატულების მსგავს ფორმას აფხაზეთის მრავალეთნიკურ სოფლებში ადგილი არ ჰქონია.

ეს პროტესტი იმას მიანიშნებდა, რომ კორენიზაციის პოლიტიკამ გააძლიერა როვნული ცნობიერება აფხაზებში. თუმცა ეროვნული ტერიტორიის ქონა, ენისა და კულტურის ხელშეწყობა და ადგილობრივი ელიტების დაწინაურება არ გამოდგა საკმარისი გარანტი იმისათვის, რომ აფხაზებს სოციალისტური იდეოლოგია საკუთარ ეროვნულ იდენტობაზე წინ დაეყენებინათ. ეროვნულმა გაძლიერებამ ისინი საბჭოთა სისტემისადმი ლოიალურები ვერ გახადა, რაც პრობლემა იყო საბჭოთა ხელისუფლებისთვის. ეროვნული უფლებების დაცვისაკენ მიმართული პროტესტი მიანიშნებდა იმაზე, რომ 1930-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა სახელმწიფო კრიზისის წინაშე იდგა.

აღსანიშნავია ისიც, რომ პრობლემა არსებობდა არამარტო ადგილობრივ მოსახლეობაში, არამედ ბოლშევიკ ლიდერებშიც. როგორც მარტინი აღნიშნავს, საბჭოთა კადრებად გამოზრდილ მოსახლეობაში (სხვადასხვა რესპუბლიკაში) ბევრმა

---

[138]Stanislav Lakoba, "History: 1917-1989," *Abkhazians*, edited by George Hewwit (St. Martin's Press, New York, 1998), 94.

[139]Арвелод Куправа, *Материалы по историй Абхазий Советского периода* (Сухум: Академия наук Абхазии, Абхазский институт гуманитарных исследований Д. И. Гулия 2012), 357.

[140]ზურაბ პაპასქირი, *ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. 1. უძველესი დროიდან 1917 წლამდე (*თბილისი: მერიდიანი 2004), 119.

ეროვნულად დაიწყო ფიქრი.[141] იგივე სურათი ჩანდა საბჭოთა აფხაზეთშიც. ეროვნული გაძლიერების პროგრამის შედეგად აფხაზი ბოლშევიკური ელიტა სტალინის მოდერნიზაციის პროექტს ეწინააღმდეგებოდა.

ამ წინააღმდეგობის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ დაპირისპირება აფხაზეთის არ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ნესტორ ლაკობასა და საქართველოს კპ ცკ პირველ მდივანს ლავრენტი ბერიას შორის. ბერიას ინიციატივას აფხაზეთში რუსების, სომხებისა და ქართველების ჩასახლებასთან დაკავშირებით, წინააღმდგობა მოჰყვა ლაკობასგან.[142] ამას ემატებოდა ისიც, რომ ნესტორ ლაკობა, წარმატებით იყენებდა თავის კავშირებს მოსკოვში თბილისის გვერდის ავლით, მას შემდეგაც, რაც აფხაზეთი საქართველოს ავტონომიის სახით შემოუერთდა, რითაც არღვევდა საბჭოთა კავშირში დაწესებულ იერარქიას.[143]

ეს იმას ნიშნავდა, რომ ლაკობა არ აღიარებდა არც აფხაზეთის სტატუსის ცვლილებას და არც მის დაქვემდებარებას საქართველოსთან. ამას გარდა, ის ცდილობდა ეთნიკური ცვლილებები არ დაეშვა ავტონომიაში და დიდხანს ეწინააღმდეგებოდა კოლექტივიზაციის რფორმას აფხაზ გლეხებში.[144]

ლაკობა წონიანი ფიგურა იყო აფხაზეთში და მიუხედავად მისი პირადი ნაცნობობისა რევოლუციონერებთან, იგი პრობლემას ქმნიდა მათთვის. ეს პრობლემა ლავრენტი ბერიამ გადაჭრა, რომელიც 1930-იან წლების მეორე ნახევრიდან საქართველოს სსრ-ში პირველი პირი იყო. მან გამოიყენა ის გზა, რასაც სხვა მოწინაღმდეგეებთან იყნებედა.

1936 წელს, ლაკობა ბერიასთან შეხვედრის შემდეგ გარდაცვლილი იპოვეს. გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად გულის შეტევა დასახელდა, თუმცა, არაოფიციალურ წრეებში გაჩნდა ეჭვები აფხაზი ლიდერის მოწამვლის შესახებ. ეს ეჭვი გააძლიერა ლაკობას ოჯახის თანმიმდევრულმა განადგურებამაც. გარდა ამისა, აფხაზი

---

[141]Martin, Terry, *The Affirmative Action Empire*, 151.

[142]Amy Knight, *Beria, Stalin's First Lieutenant* (Princeton, New Jersey: Princeton University Press 1993), 72.

[143]Blauvelt, "Language Education", 198-199.

[144]О. Х. Бгажба, С. З. Лакоба, *История Абхазии с древнейших времен до наших дней (Сухум: Алашарбага, 2007), 318-323.*

ბოლშევიკის მკვლელობით საბჭოთა აფხაზეთში რეპრესიების ტალღა გაიხსნა. რამდენიმე თვეში, სახალხო კომისარიატის საგანგებო კომისიის (ჩეკა) ყოფილი აფხაზი ოფიცერი - აგრბა, გაგზავნეს აფხაზეთში საკადრო ცვლილებების განსახორციელებლად.[145]

ამ პერიოდიდან აფხაზეთში სხვადასხვა რეფორმები გატარდა, რომელსაც თანმიმდევრულად მიმოვიხილავთ და შევაფასებთ. პირველი მნიშვნელოვანი რეფორმა საკადრო პოლიტიკა იყო, რომლის დროს აფხაზი პარტიული კადრების დიდი ნაწილი ჩანაცვლდა, მათ შორის ქართველი კადრებით.[146] ახალი საკადრო სივრცე რეპრესიების შედეგად გაჩნდა, რომლის დროსაც აფხაზი ბოლშევიკების და მათ შორის ლაკობას მხარდამჭერების დიდი ნაწილი გაანადგურა.

1930-იანი წლების რეპრესიების პერიოდში, უშუალოდ სტალინის ან, მისი პირადი გარემოცვის ბრძანების საფუძველზე, საქართველოში 3 485 პირი გამოსალმეს სიცოცხლეს. მათ შორის, უმრავლესობას ქართული პოლიტიკური ელიტის წევრები და ინტელექტუალები შეადგენდნენ.[147] ამ რიცხვში იყვნენ აფხაზებიც. აფხაზეთის პროკურატურის მონაცემებით სტალინურ ტერორს 1937-1938 წლებში 2000 ადამიანი ემსხვერპლა.[148] ამ ცნობებში არ არის გამოყოფილი მსხვერპლთა შორის რამდენი პირი იყო ეთნიკურად აფხაზი, ამიტომ საბოლოო სურათის შეფასებისთვის მონაცემები არ არის საკმარისი.

გარდა ამისა, აფხაზი ისტორიკოსების განაცხადი იმასთან დაკავშირებით, თითქოს რეპრესიების ტალღა აფხაზეთში საქართველოს რესპუბლიკურმა ხელისუფლებამ განახორციელა და არა საბჭოთამ,[149] დამატებით არგუმენტაცია საჭიროებს. ეს იყო მეთოდი, რომლის დახმარებითაც სტალინის ხელისუფლებამ ერთი მხრივ, სხვადასხვა რესპუბლიკების ხელისუფლებიდან ჩამოიშორა პოლიტიკური

---

[145]Knight, *Beria*, 70-72.

[146]Бгажба, Лакоба, *История Абхазии, 331.*

[147]Levan Avalishvili, "The Great Terror of 1937 -1938 in Georgia. Between two reports of Lavrenti Beria," *Caucasus analytical Digest* 22, no.1 (2010): 4.

[148]Теимураз Ачугба, *Этническая история Абхазов XIX-XX вв* (Сухум: Академия наук Абхазии, Абхазский институт гуманитарных исследований Д. И. Гулия 2010), 237.

[149]იქვე.

კონკურენტები, მეორე მხრივ კი აირიდა ეროვნული წინააღმდეგობები, რომლებიც კორენიზაციის შედეგად არსებობდა და ხელს უშლიდა ალტერნატიული მოდერნიზაციის პროექტს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა დემოგრაფიულ სურათს შეეხო. 1935-1939 წლების მოსახლეობის აღწერის დროს გალის რაიონში (ისტორიული სამურზაყანო) მცხოვრები აფხაზები, მეგრელებთან, სვანებთან და აჭარლებთან ერთად, ქართველებად დაარეგისტრირეს. აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზთა ეს ნაწილი ბილინგვურ ჯგუფს მიეკუთვნებოდა და საუბრობდა როგორც აფხაზურად, ასევე მეგრულად.[150]ამ ფაქტზე მსჯელობისას აფხაზი ისტორიკოსები არსად იხსენიებენ იმ ფაქტს, რომ რუსეთის იმპერიის პერიოდში საწინააღმდეგო ტენდენციები მიმდინარეობდა და მაგალითად, გალში მცხოვრებ ქართველებს აფხაზებად არეგისტრირებდნენ.[151] ამიტომ, ეროვნების შეცვლაზე საუბრისას, კვლავ არგუმენტებია საჭირო. აქ მოყვანილი წყაროების გათვალისწინებით ნაკლებადაა გარკვეული ვისი დარეგისტრირება ხდებოდა ქართველად - ეთნიკური აფხაზის, თუ იმპერიის პერიოდში ეროვნებაშეცვლილი ქართველების? გარდა ამისა, საყურადღებოა ზემოთ მოყვანილი ცნობა ფრნსინ ჰირშის პუბლიკაციიდან, რომელიც აჩვენებს, რომ ეროვნების არჩევის უფლება თავად რესპოდენტზე იყო დამოკიდებული მოსახლეობის რეგისტრაციის დროს.

გვერდს ვერ ავუვლით იმასაც, რომ მეგრელების, სვანებისა და აჭარლების - ქართველებად დარეგისტრირება აფხაზ ისტორიკოსებს უცნაურად ეჩვენებათ[152], ვინაიდან კორენიზაციის პერიოდში სეპარატისტული ტენდენციების წახალისება ამ ჯგუფებშიც მიმდინარეობდა. ჰირში აჩვენებს, რომ მოსახლეობის პირველი საბჭოური აღწერის დროს ქართველური ჯგუფები ცალკე ერებად აღრიცხეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში არ არსებობდა მკაფიო კრიტერიუმი ერის სტატუსის განსასაზღვრად. საბჭოთა ხელისუფლებას არ სურდა რელიგიის გამოყენება იდენტობის მარკერად.

---

[150]Игорь Марыхуба, *Абхазия в Советскую эпоху и Абхазские письма (1947-1989). Сборник документов Том 1* (Сухум: Республика Апсны, 1994), 57.

[151]პაპასქირი, *ნარკვევები*, 211.

[152]Марыхуба, *Абхазия в Советскую Эпоху*, 57.

თუმცა, მიუხედავად ამისა აჭარლები არაქართულ ერად აღრიცხეს სწორედ რელიგიური ფაქტორის გამო. ენა არ იყო საკმარისი პირობა ეროვნების განსასაზღვრად, თუმცა მეგრელები და სვანები ცალკე ერებად ჩაიწერნენ საბჭოთა ერების სიაში.[153] ეს ტენდენციები მხოლოდ 1940-იან წლებში შეიცვალა.

აფხაზეთში დემოგრაფიული სურათის ცვლილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ბერიას ინიციატივამ, თუმცა ეს რეფორმა ეკონომიკურ პოლიტიკად უნდა მიმოვიხილოთ, რადგან მისი პირდაპირი მოტივი აუთვისებელი მიწების გამოყენება და აგრარული საკითხების მოწესრიგება იყო. 1939 წელს სახალხო კომისარის მიერ გამოცემული რეზოლუციის თანახმად, შეიქმნა მიგრაციის დეპარტამენტი, რომელიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ახალი დასახლებების ორგანიზებაზე იყო პასუხისმგებელი.[154]

ხალხთა გადასახლება 1930-იანი წლების ბოლოს დაიწყო აფხაზეთში, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აფხაზთა რიცხვის შემცირებაზე მოსახლობის საერთო შემადგენლობაში და სხვა ერების რიცხვის ზრდაზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აფხაზურ წყაროებში საუბარია მხოლოდ ქართულ დასახლებებზე და სხვა ეთნოსების ჩასახლების ფაქტები უგულებელყოფილია, რაც ართულებს კონსტრუქციული სურათის აგებას. ამ საკითხზე მოსაზრებების გამოთქმა საჭიროებს დამატებით წყაროებს, მათ შორის საარქივო მასალების გაცნობას აფხაზეთის კომუნისტური პარტიის არქივიდან, რათა მოხდეს მონაცემთა შევსება და არსებული მოსაზრებების გადახედვა. საბჭოთა კავშირია ტერიტორიებიდან აფხაზეთის ავტონომიაში მოსახლეობის ჩასახლება მხოლოდ საქართველოდან რომ არ ხდებოდა, ამაზე მეტყველებს აფხაზეთის დე-ფაქტო სახელმწიფოში არსებული დემოგრაფიული სურათიც.

ერთ-ერთი მტკივნეული რეფორმა ენობრივ პოლიტიკის ცვლილება იყო. 1939 წელს აფხაზური ენა ქართულ დამწერლობაზე გადაიყვანეს. დამწერლობების შეცვლა მასობრივად განხორციელდა საბჭოთა კავშირში 1936 წლიდან 1941 წლამდე. იმ ერების

---

[153]Hirsh, “The Soviet Union,” 255-256.

[154]Баджур Сагариа, et. al., *Абхазия: Документы Свидетельствуют,* 6.

ენები, რომლებიც ტერიტორიული და ეკონომიკური თვალსაზრისით ვერ მოხვდნენ საბჭოთა ხელისუფლების ფავორიტთა რიცხვში, გადაიყვანეს რუსულ დამწერლობაზე.[155] უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში რუსი ერი აღარ ითვლებოდა მჩაგვრელი ნაციონალიზმის მატარებლად. თუკი 1920-იან წლებში რუსები სხვა ერების მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის გამო იყვნენ დასჯილი და „დისკრიმინირებულნი," 1930-იანი წლების შუა პერიოდიდან მათ საბჭოთა სისტემაში პრივილეგირებული ადგილი დაიკავეს - ეროვნული წარსულით, ენით, კულტურით და წინაპრებით.[156]

რუსთა ეროვნული გაძლიერება განსხვავდებოდა სხვა საბჭოთა ერების ეროვნული გაძლიერებისგან. იგი გახდა „პირველი თანსწორებს შორის" და საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი ვექტორი, რუსიფიკაციის (ენობრივი და კულტურული) მიმართულებით განვითარდა.[157] თუმცა, რუსიფიკატორული ენის პოლიტიკაში გამონაკლისს წარმოადგენდნენ ის ერები, რომელთა რესპუბლიკებში არსებობდა საკუთარი დამწერლობა. ამ ნიშნით, აფხაზებისა და სამხრეთ ოსების ენა ქართულ ანბანზე გადავიდა.[158]

აქ დასახელებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ანტიქართული განწყობების ჩამოყალიბებაში აფხაზთა შორის. ადმინისტრაციული, საკადრო, დემოგრაფიული და ენობრივი რეფორმები, რომლებმაც აფხაზთა პრივილეგიების დაკარგვა და ზოგი ავტორის აზრით ქართველთა დომინაცია გამოიწვია[159] მტკივნეულად აღიქვეს აფხაზებმა. ამის მიზეზი ის იყო, რომ პოლიტიკის აღსრულებას ქართული კომუნისტურ პარტია ედგა სათავეში.

აფხაზური შეხედულებების ჩამოყალიბებაში, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბერიასა და სტალინის ქართულმა წარმოშობამაც, რადგან ეს ფაქტი ქართული ეროვნული პროექტის დაცვას დაუკავშირდა და ისტორიის დამახინჯებული

---

[155]პაპასქირი, *ნარკვევები*, 134, 135;

[156]Slezkine, "The USSR as a Communal Apartment," 443.

[157]Suny, "Contemporary Issues," 875.

[158]პაპასქირი, *ნარკვევები*, 134, 135.

[159]Blauvelt, „Language Education," 200.

რეპრეზენტაციის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. აფხაზებს მხედველობიდან გამორჩათ, ის გარემოება, რომ ეროვნული პოლიტიკის ვექტორი მოსკოვიდან მოდიოდა და არა რესპუბლიკიდან.

ასევე არასწორად იყო აღქმული ქართული ნაციონლიზმის მისწრაფებები. საბჭოთა ქართული ნაციონალიზმი, ისევე როგორც ზოგადად ნაციონალიზმი საბჭოთა სისტემაში, მხოლოდ კულტურული ფენომენი იყო. მასში არ იყო პოლიტიკური ამბიციები. თუმცა, ამ ამბიციების არსებობის შემთხვევაში ის ვერ იქნებოდა დისკრიმინატორული. მე-19 საუკუნეში და შემდგომ, ქართული ნაციონალიზმი არ ყოფილა ასიმილატორული აფხაზთა მიმართ. ჯგუფებს შორის ურთიერთობები დაფუძნებული იყო მოლაპარაკების იდეაზე, რაც მაგალითად, 1918-1921 წლების რესპუბლიკის დროსაც გამოჩნდა. 1919 წელს ქართველ და აფხაზ ელიტებს შორის შეთანხმების საფუძველზე აფხაზეთი ავტონომია გახდა.[160] ანუ, საქართველოს მმართველი ელიტა დათანხმდა აფხაზებისთვის გარკეული დამოუკიდებლობის მიცემას.

გარდა ამისა, საქართველოში მძიმე ვითარება სუფევდა. 1930-იანი წლების საბჭოთა პერიოდის ქართული ინტელიგენცია, ბოლშევიკური კადრების ნაწილი და მოსახლეობა, მძიმე რეპრესიების გადატანაზე და გადარჩენაზე იყო ორიენტირებული. ამ კრიიკულ მომენტში მათ არ ჰქონდათ სხვა ერის ხარჯზე გაფართოების გეგმა.

კითხვის ნიშნები ჩნდება ლავრენტი ბერიას საქმიანობასთან დაკავშირებით. ის იყო პირველი პირი საქართველოს კომუნისტურ პარტიაში, კურირებდა აფხაზეთში გატარებულ რეფორმებს. თუმცა იყო კი ქართული საბჭოთა ნაციონალიზმის ქომაგი? ქართული ეროვნული პროექტის დამცველი? ეს ის კრიტიკული კითხვებია, რომლებიც წარსულის შეფასებისას უნდა დაისვას.

გარდა ამისა, თუ დავუშვებთ, რომ ბერიას ეროვნული იდეოლოგიის საკუთარი აღქმა გააჩნდა და მის გაძლიერებას გეგმავდა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც რამდენი ქართველი იზიარებდა მის შეხედულებებს? არ არსებობს ერთი კაცის ეროვნული პროექტი, იგი ყოველთვის კოლექტიურია და ერის წევრებში გაზიარებული.

[160] Welt, “A fateful moment”, 443.

ამ გარემოებების გამო, აფხაზ ისტორიკოსებს მეტი სიფრთხილე და დაკვირვება მართებთ, როდესაც აფხაზეთში გატარებული რეფორმებს ქართველობას მიაწერენ.

დამახინჯებული წარმოდგენები გააძლიერა იმანაც, რომ კორენიზაციის პროცესიდან მცირე ერების გამოთიშვის და ასიმილაციური ტენდენციების წახალისების შემდეგ, დაიწყო „ხალხთა მეგობრობის“ კონცეფციის არტიკულირება, რაც ეხმიანებოდა სტალინის ეროვნულ პოლიტიკას და მრავალეროვნული საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის იდეას. ერთი მხრივ, ამ კონცეფციის სუბიექტები გახდნენ „დიდი“ ერები[161] და მეგობრობის მითი მათ შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების გამოცდილების შექმნას ემსახურებოდა. ხოლო მეორე მხრივ, კონცეფციაში ჩადებული იყო არარუსი ერების თანამშრომლობის იდეა დიდ რუს ერთან[162] რომელსაც, ბოლშევიკური ხელისუფლება, საბჭოთა ერების წინამძღოლად მოიაზრებდა.

ხალხთა მეგობრობის მითს ამყარებდა ნიკო მარის თეორია ერების შერეულ წარმოშობის შესახებ[163] და საბჭოთა ხელისუფლებას აძლევდა ბერკეტს მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ეთნოფედერალური გადაწყობის ლეგიტიმაციისათვის.

ახალი პოსტულატის მიხედვით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიძლებოდა, სხვადასხვა ეთნოსების წარმოშობის ადგილი ყოფილიყო, რომლებიც მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ ერთმანეთთან და რომელთა შორის არასოდეს არსებულა მტრობა და შუღლი. ამავე პოსტულატის მიხედვით აფხაზებს ქართველ ერში განესაზღვრათ ადგილი. აფხაზი გმირები კი, ქართველთა და აფხაზთა საერთო წინაპრებად გადაიქცნენ. ეს ცვლილებები კიდევ უფრო ასუსტებდა აფხაზთა პრივილეგიებს აფხაზეთში და არ ტოვებდა სივრცეს აფხაზთა ეროვნული პროექტის განვითარებისთვის.

---

[161]Hirsh, “The Soviet Union,” 276.

[162]Tillet, Lowell. *The Great Friendship* (Chapel Hill: The University North Carolina Press, 1969), 85.

[163]Shnirelman,“Fostered Primordialism,” 57.

1.4. გვიანი სტალინიზმი

1940-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მთავარ ფოკუსი მეორე მსოფლიო ომსა და მის შედეგებთან გამკლავებაზე იყო გადატანილი, განსაკუთრებული ყურადღება სასაზღვრო პოლიტიკას - საშინაო და საგარო საზღვრების დაცვას ექცეოდა.[164] დევიდ ვულფი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში „საზღვრების შექმნის კონცეფცია ცენტრალური ფაქტორად გვევლინება სტალინის პოლიტიკის და მეთოდების გასაგებად," რადგან იგი გვაჩვენებს „ტერიტორიების გაფართოების შესაძლო მასშტაბებს სხვადასხვა მიმართულებით - პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთისთვის გადაცემული მიწებიდან დაწყებული იმ სრუტეებით დამთავრებული, რომლისკენაც მიისწრაფვოდნენ რუსი მეფეები. ისტორია, ხშირად იყო სტალინის მეგზური ტერიტორიული საზღვრების წარმოსახვაში, რაშიც ცარისტულ რუსეთსაც კი უსწრებდა. 1937 წლის ბანკეტზე მან შეაჩვენა რუსი მეფეები, მაგრამ აღნიშნა: 'მათ გააკეთეს ერთი კარგი რამ - უზარმაზარი სახელმწიფო შეაკოწიწეს კამჩატკამდე. ჩვენ ეს სახელმწიფო მივიღეთ მემკვიდრეობით."[165]

ამ ფრაზიდან ჩანს, რომ 1930-იანი წლების ბოლოდან ცარისტული პოლიტიკა აღარ იყო მიუღებელი სტალინური ხელისუფლებისთვის. საბჭოთა კავშირის ბელადი სიამაყით საუბრობდა საბჭოთა სახელმწიფოს კავშირზე ცარისტულ რუსეთთან. ეს მიდგომა მალევე აისახა პროპაგანდისტების დისკურსზე. მათ აქტიურად დაიწყეს წარსულზე საუბარი და იმის მტკიცება, რომ თანამედროვე ერებს შორის არათუ აწმყოში, არამედ წარსულშიც არასდროს არსებულა მტრობა და შუღლი.[166] რუსეთის იმპერიასა და მის დაქვემდებარებულ ხალხებს შორის არსებული კონფლიქტების გადასაფარად კი, შეიქმნა „ნაკლები ბოროტების" თეორია, რომელიც მე-19 საუკუნეში იმპერატორის კარის მიერ არარუსი ერების დაპყრობას ამართლებდა. ცენტრალური ხელისუფლება საბჭოთა ხალხებს არწმუნებდა, რომ მე-19 საუკუნის სხვა იმპერიების დაპყრობის პოლიტიკა

---

[164] David Wolff, "Stalin's Postwar Border Making Tactics: East and West," *The Soviet Union and World War Two 52*, no. 2-3 (2011.): 275, 279.

[165] იქვე, 275-276.

[166] Tillet, *The Great Friendship*, 63.

გაცილებით მკაცრი და დაუნდობელი იყო ვიდრე რუსეთისა, შესაბამისად იმპერატორმა ისინი უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩენისაგან იხსნა.[167]

თუკი ადრეულ პერიოდში რუსეთის იმპერიას „ევროპის ჟანდარმის“ და „ხალხთა ციხის“ სახელით მოიხსენიებდნენ, 1940-იანი წლების დასაწყიში ეს ვითარება საპირსპიროდ შემობრუნდა. მაგალითად, საბჭოთა პრესაში ნაჩვენები იყო, რომ რუსეთის იმპერიის პოლიტიკა არც ისე კონტრრევოლუციური იყო, როგორც ადრე მიიჩნეოდა.

სტალინის განცხადების საფუძველზე გადაიხედა ტერიტორიული ექსპანსიის საკითხიც. რუსმა ისტორიკოსებმა ჩათვალეს, რომ უნდა აღენიშნათ იმ პირთა მიღწევებიც, რომელთაც შექმნეს ‘დიდი რუსეთი’ (‘ველიკაია დერჟავა’), რადგან სწორედ მათი დამსახურებებით დიდმა რუსეთის მემკვიდრემ - საბჭოთა კავშირმა შეძლო თავისი ხალხის ჰიტლერისგან დაცვა.[168]

1942 წელს, გაჩნდა სტატიები რუსი ერის ისტორიული მემკვიდრეობასა და ბოლშევიკების შორის კავშირზე. ამავე პერიოდიდან რუსი ერების სამხედრო ტრადიციებთან ერთად არარუსი ერების ეთნიკური ისტორიებიც გამოჩნდა ასპარეზზე, მაგალითად, დაიწყო სხვადასხვა საბჭოთა ხალხის ისტორიული წინაპრებისგან გმირების შქმნა და დიდების წლების პროპაგანდა. ამასთანავე ხშირად ხდებოდა „ხალხთა მეგობრობის მითის“ არტიკულირებაც, თუმცა ძირითადად წარსულიდა გამოხმობილი ისტორიული ფრაგმენტები რუს ერთან კავშირში განიხილებოდა, რომელიც ბრანდერბერგერის სიტყვით ამ დროისათვის აღიარებული იყო, როგორც ‘primus inter pares.’[169]

ცხადია, წარსულთან მიბრუნება სტალინს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის სჭირდებოდა. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი მოტივი საბჭოთა

---

[167]Arup Banerji, *Writing History in the Soviet Union, Making the Past Work* (New Delhi: Social Science Press 2008), 74.

[168] David Brandenberger, „It is Imperative to Advance Russian Nationalism as a First Priority: Debates within Stalinist Ideological Establishment -1941-1945,” *A State of Nations: Empire and Nation Making in the Age of Lenin and Stalin*, edited by Ronald Grigor Suny and Terri Martin (Oxford and New York: Oxford University Press, 2001), 280

[169]იქვე, 277-278.

კავშირის ტერიტორიული სტაბილურობის შენარჩუნება იყო. ცენტრალიზაციის პრინციპის გაძლიერებით კი, რაც პირდაპირ იყო დაკავშირებული რუსი ერის და კულტურის დაწინაურებასთან, იგი გეგმავდა კონტროლის დამყარებას საბჭოთა ერებზე. ყალბი პატრიოტული გრძნობების გაღვივებით ცდილობდა სოლიდარობის გაძლიერებას ცენტრალიზებული, რუსოცენტრული საბჭოთა სახელმწიფოსადმი.

ამავე პოლიტიკას ეხმიანებოდა ერების უწყვეტობის იდეის გააქტიურებაც. საბჭოთა ხელისუფლება უარყოფდა მიგრაციის პროცესებს და აცხადებდა, რომ თანამედროვე საბჭოთა კავშირის მიწები, ოდითგანვე იმავე ეთნიკური შემადგენლობით იყო წარმოდგენილი, როგორც აწმყოში.[170] ამ გზით სტალინი ცდილობდა ეჩვენებინა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ჰქონდა წარსული. მართალია, როგორც სისტემა ის არ არსებობდა მე-20 საუკუნემდე, თუმცა მის ფარგლებში არსებულ ტერიტორიებზე, ერთი და იგივე ხალხი სახლობდა, რომლებიც მეგობრობდნენ ერთმანეთთან. ეს მოსაზრება იქამდე დაიყვანებოდა, რომ თანამედროვე სოციალისტური სისტემის შექმნა ლოგიკურ და ბუნებრივ პროცესად იყო წარმოჩენილი და არა უხეშ ჩარევად სხვადასხვა ხალხების ცხოვრებაში.

საბჭოთა კავშირში განვითარებულმა ახალმა მიმართულებებმა აფხაზეთშიც იჩინა თავი. ერების მონოლითური წარმოშობის აქტუალიზების კონტექსტში აფხაზთა და ქართველთა დაახლოების პოლიტიკა კიდევ უფრო გაძლიერდა. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით აფხაზური სკოლების რეფორმა იყო. 1945 წლიდან დაიწყო. სკოლების რეორგანიზაციის პროცესში გაუქმდა სწავლა აფხაზურ ენაზე, ხოლო ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებები ქართულენოვან სკოლებად გადააკეთეს. რეფორმის შესახებ განცხადების გაკეთება დაევალა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მიხეილ დელბას, რომელმაც აფხაზურ გაზეთში „აფსნი კაპშ“ განმარტა: „წმინდა ბოლშევიკურად რომ ვაღიაროთ, აფხაზეთში არსებული სასკოლო სისტემა აფერხებს აფხაზი ერის კულტურულ განვითარებას.. (..) პროგრამა არ არის სათანადოდ

[170]Laruelle, “The Concept of Ethnogenesis”, 174-175.

შედგენილი და სწავლება რუსულ, აფხაზურ და ქართულ ენებზე სირთულეს წარმოადგენს სკოლის მოსწავლეებისთვის“.[171]

აფხაზურ სკოლებში მართლაც არსებობდა ხარვეზი, რადგან აფხაზური ენა არ იყო საკმარისად ადაპტირებული სწავლების სტანდარტებთან. ამის გამო, მას მხოლოდ დაწყებით კლასში შეისწავლიდნენ, ხოლო შემდგომ სწავლა რუსულ ენაზე ხორციელდებოდა. თნაც, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სკოლების რეფორმები 1938 წლიდან დაიწყო მთელ საბჭოთა სისტემაში. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციის თანახმად, რეფორმა “მტრული ელემენტების“ აღმოფხვრის მიზნით დაიგეგმა და იმ ეროვნული სკოლების წინააღმდეგ იყო მიმართული, რომლებიც ლოიალობას არ იჩენდნენ საბჭოთა სახელმწიფოსადმი.[172]

თუმცა აფხაზეთში გატარებული რეფორმა სხვა შემთხვევებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ აფხაზური სკოლები არა რუსულ, არამედ ქართულენოვან სკოლებად გადაკეთდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ისევე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, ცენტრალურმა ხელიუფლებამ საქართვლოშიც წაახალისა ეროვნული კონსოლიდაცია და გააძლიერა აფხაზთა ქართველებთან დაახლოების პროცესი.

საგულისხმოა ისიც, რომ 1940-იანი წლების აფხაზურ ელიტაში არსებობდა პროტესტში ეროვნულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. 1947 წელს აფხაზი ისტორიკოსმა გიორგი ძიძარიამ და ფილოლოგებმა - ბაგრატ შინკუბამ და კონსტანტინ შაყრილმა წერილი რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის მდივანის ალექსეი კუზნეცოვის მიმართეს. ავტორები აფხაზეთში ეროვნული პოლიტიკის დამახინჯებისა და ლენინურ-სტალინური კურსიდან გადახვევის შესახებ იუწყებოდნენ. ისინი სასკოლო რეფორმასთან ერთად აპროტესტებდნენ - ქართული ენისთვის დომინანტური სტატუსის მინიჭებას,[173] აფხაზური ტოპონიმიკის (მაგ: ეშერას დაერქვა ზემო ეშერი) შეცვლას, აფხაზური წარწერების გაქრობას სხვადასხვა დაწესებულებებიდან, აფხაზი კადრების შემცირებას კომუნისტურ პარტიაში, წამყვან

[171]Марыхуба, *Абхазия в Советскую Эпоху,* 82.

[172]Лежава, *Между Грузией и Россией*, 112.

[173]იქვე, 81- 82.

თანამდებობებზე ქართველი კადრების დანიშვნას და სხვადასხვა რაიონებიდან ქართველების ჩამოსახლებას აფხაზეთში.[174]

ამ წერილიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბოლო წინადადება სადაც, ავტორები აღნიშნავენ: „დაახლოებით 1940 წლიდან სიტყვათა კომბინაცია 'აფხაზი ერი' გამოვიდა ოფიციალური გამოყენებიდან. აფხაზები აღარ ითვლებიან ერად. შეუძლებელია კვლევების გამოქვეყნება აფხაზების ისტორიისა და ენის საკითხებზე."[175] წერილი აჩვენებდა, რომ აფხაზები არ ეგუებოდნენ ეროვნული პრივილეგიების დაკარგვას და იდენტობის იმ პროექტის გაუქმებას, რომელიც მათ კორენიზაციის პროცესში შესთავაზა საბჭოთა ხელიუფლებამ.

აფხაზურ წერილში დასახელებული საჩივრების შესასწავლად რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ აფხაზეთში მიავლინა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური მდივანი პეტრე შარია. სიტუაციის შესწავლის შემდეგ მომზადებულ ანგარიშში შარიამ აღნიშნა, რომ წერილის ავტორებმა - ძიძარიამ, შინკუბამ და შაყრილმა სელექციურად შერჩეული ფაქტების საფუძველზე მცდარი დასკვნები გამოიტანეს, რითაც აფხაზეთის კომუნისტური პარტიის სახელი შელახეს.[176] ეს განცხადება არ უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ ქართული კომუნისტური პარტიის ერთპიროვნულ გადაწყვეტილბად. აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს კარგად იცნობდნენ მოსკოვშიც და არანაირ რეაგირებას არ ახდენდნენ, რაც შეიძლება მხოლოდ იმით აიხსნას, რომ ეროვნული პოლიტიკის ცვლილების ინიციტატივა სწორედ ცენტრიდან მოდიოდა.

საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი. ისტორიკოს გიორგი ლეჟავას განცხადებით, აფხაზური სკოლების რეფორმასთან დაკავშირებული პროტესტი არ დასრულებულა 1947 წელს. ამ მოვლენებიდან ორი წლის შემდეგ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, ფილოლოგმა გიორგი სერდიუჩენკომ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს მიხეილ სუსლოვს წერილი გაუგზავნა, რომელშიც ამხელდა სტალინური ეროვნული პოლიტიკის დამახინჯებას აფხაზეთში და სამხრეთ

[174]იქვე, 84.

[175]იქვე, 86.

[176]Лежава, *Между Грузией и Россией*, 121.

ოსეთში, თუმცა წერილი მოიხსნა დღის წესრიგიდან პარტიის გადაწყვეტილებით და სტალინის სიკვდილამდე მსგავსი შინაარსის განცხადებები აღარ განუხილავთ.[177]

თავი 2. საბჭოთა ისტორიოგრაფია

2.1. მარქსისტულ-ლენინისტური ისტორია

დიდი სტალინი გვეუბნება: ვისწავლოთ,

კარგად შევისწავლოთ სამშობლო ისტორია.

შევიყვაროთ იგი![178]

საბჭოთა კავშირში ისტორიის წერა ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. სტალინი ისტორიას ინსტრუმენტული მიდგომით უყურებდა და 1930-იანი წლების დასაწყისში სამეცნიერო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიის არაფორმალურ ფუნქციას პოლიტიკური პროგრამების ლეგიტიმაცია წარმოადგენდა.[179]

საბჭოთა ისტორიკოსებს მოეთხოვებოდათ პროფესიულ კომპრომისზე წასვლა კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ. ბოლშევიკური გაგებით, ეს ნიშნავდა უარის თქმას „ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის“ სტანდარტებზე და მარქსისტულ-ლენინისტური კანონით ხელმძღვანელობას.

ისტორიკოსების ახალი თაობისთვის, რომელმაც მოღვაწეობა 1930-იანი წლების შემდგომ დაწყო, ახალი დირექტივებით მუშაობა ძნელი არ იყო, თუმცა, რამდენადაც მაგალითები აჩვენებს, ისინიც უშვებდნენ შეცდომებს პოლიტიკური მოვლენების შეფასებისას, რაც სტალინის უნდობლობას იწვევდა. ძველ ისტორიკოსებს კი

---

[177]იქვე, 130.

[178]ციტატა მოყვანილია საქართველოს ისტორიის პირველ მარქსისტულ-ლენინისტურ სახელმძღვანელოდან: ივანე ჯავახიშვილი et. al., *საქართველოს ისტორია. უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე* (თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა სასწავლო პედაგოგიური სექტორი, 1940), 5.

[179]Nancy W. Heer, *Politics and History in the Soviet Union* (Cambridge and London: The Mit Press, 1971), 16-17.

განსაკუთრებით არ სწყალობდა საბჭოთა ხელისუფლება. მათ უხდებოდათ საკუთარი შრომების გადაწერა სამსახურის, პროფესიული სტატუსის და სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

ისტორიკოსთა საქმიანობას სტალინი კრიტიკულად 1931 წელს გამოეხმაურა, მას შემდეგ რაც ახალგაზრდა ბოლშევიკმა ისტორიკოსმა ა. გ სლუტსკიმ ჟურნალში „პროლეტარსკაია რევოლუცია“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა ლენინის შეხედულებებს როზა ლუქსემბურგთან და მეორე ინტერნაციონალთან დაკავშირებით. კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჟურნალისგან ახსნა განმარტება მაშინვე მოითხოვა და სლუტსკი „ანტი-სახელმწიფოებრივი“ და „ტროცკისტული იდეების“ მხარდაჭერაში დაადანაშაულა. თუმცა ჟურნალის მხრიდან ბოდიშის მოხდა არ აღმოჩნდა საკმარისი სტალინისთვის და მან თავად გასცა პასუხი ახალგაზრდა ისტორიკოსს.

1931 წელს გამოქვეყნდა სტალინის წერილი „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის“, რომელშიც მკაცრად იყო გაკრიტიკებული სლუტსკის შეხედულებები. ამავდროულად, სტალინმა ეჭვქვეშ დააყენა ისტორიკოსების შესაძლებლობა, შეეფასებინათ პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენები, პოლიტიკური ცოდნის გარეშე. სტალინის კრიტიკის შემდეგ, მარქსისტი ისტორიკოსები საბჭოთა რესპუბლიკებში დაიგზავნენ არსებული ისტორიული ნაშრომების შესასწავლად და კომუნისტური პარტიისთვის ანგარიშების მოსამზადებლად.[180]

ამავე პერიოდში საჯაროდ გააკრიტიკეს მარქსიზმის ისტორიული სკოლის წამყვანი ფიგურა მიხეილ პოკროვსკი „სარისკო შეფასებების“ და სქემატიზმის გამო.[181] ისტორიკოსებზე თავდასხმა მიანიშნებდა იმას, რომ ხელისუფლება ცვლილებებისთვის ემზადებოდა, თუმცა გარკვეული ბუნდოვანება არსებობდა ისტორიის წერასთან დაკავშირებით. რადგან კრიტიკის ობიექტი გახდა როგორც, ძველი ისტორიული სკოლა, ასევე მარქსისტი ისტორიკოსებიც.

---

[180]Banerji, *Writing History,* 53-54.

[181]George Enteen, *The Soviet Scholar-Bureucrat: M.N pokrovskii and the Society of Marxist Historians* (University Park and London: Pennsylvania State University Press, 1978), 189-190.

საჯარო დისკუსიამ ისტორიის მეცნიერებაზე წინ წამოსწია სასკოლო სახელმძღვანელოების საკითხი. სტალინი თვლიდა, რომ მათ აკლდა ფაქტები, მოვლენები, სახელები, არასწორად აშუქებდა სხვადასხვა სოციო-ეკონომიკურ ფორმაციებს და „არაფრად ვარგოდა.“[182]

სტალინი თვლიდა, რომ მარქსისტი ისტორიკოსები სქემატურად უდგებოდნენ წარსულს და სახელმძღვანელოები თეორიული განსჯებით იყო დატვირთული, ხოლო არამარქსისტ ისტორიკოსთა შრომებში „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის“ გავრცელებას ხედავდა.[183] ეს უკმაყოფილება იმით იყო გამოწვეული, რომ მას ახალი ტექსტები სჭირდებოდა,რომელშიც მოხდებოდა ეროვნული ისტორიიდან ამოღებული ფაქტობრივი მასალის კომბინირება სოციალისტურ შინაარსთან და რომელთა დახმარებითაც, საბჭოთა ხელისუფლება იდენტობის პროექტების ლეგიტიმაციას შეძლებდა.

ეროვნული წარსულების, თარიღების, სახელების, მოვლენების აღორძინებით და მარქსიზმ-ლენინიზმთან დაკავშირებით, სხვადასხვა ერის ისტორიული მასალა ერთსა და იმავე იდეოლოგიურ სტრუქტურაში უნდა განთავსებულიყო, ისტორიული მოვლენები ერთი და იგივე პრინციპით უნდა აეხსნათ, რის შედეგადაც საბჭოთა ერებს, მაგალითად, ქართველებს, სომხებს ან უკრაინელებს, რომლებიც ამაყობდნენ საკუთარი ისტორიით, წინაპრებით თუ ეროვნული თარიღებით, ინფორმაცია უნდა დაემახსოვრებინათ სხვა საბჭოთა ერების მსგავსად - როგორც სოციალისტებსა და მარქსისტ-ლენინისტებს.

ამ პრინციპის მიხედვით, ეროვნული ნარატივებიდან უნდა გამქრალიყო ყველაფერი რაც ეწინააღმდეგებოდა სოციალისტური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესს. ამ გზით ხელისუფლებას სხვადასხვა ერის ისტორიული დისკურსი მარქსიზმში არსებული მნიშვნელობებითა და იდეებით უნდა აევსო, რასაც მილიონობით ადამიანის ეროვნული იდენტობა, ბრანდენბერგერის შემოტანილი

[182]Banerji, *Writing History,* 58.

[183]Enteen, *The Soviet Scholar-Bureaucrat*, 188-190.

ტერმინით რომ ვთქვათ, ახალი ჰიბრიდით -„ეროვნული ბოლშევიზმით“ უნდა შეეცვალა.[184]

სტალინის შენიშვნები არ იყო საკმარისი ისტორიული ნარატივების შესაცვლელად. ისტორია თანდათან პოლიტიზირებული დისციპლინა ხდებოდა, რის გამოც წერის ახალი სტანდარტი საბჭოთა ხელისუფლებას უნდა შეექმნა. ძველ და ახალ მეცნიერებს სჭირდებოდათ გზამკვლევი იმის გასაგებად, თუ რომელი ფაქტობრივი მასალა გამოეყენებინათ წერის პროცესში, როგორ გაეანალიზებინათ შერჩეული მასალები და რა დასკვნები გამოეტანათ. საწყის ეტაპზე, ისტორიკოსებს აუხსნეს, რომ მათი ამოცანა მარქსისტულ-ლენინისტურ ნარატივების შექმნა იყო, სადაც უნდა გამოჩენილიყო პროლეტარიატის ბრძოლა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისთვის. ამასთანავე, საბჭოთა ხელისუფლება აღარ ეწინააღმდეგებოდა ეროვნული თარიღების, გმირებისა და ბრძოლების გამოჩენას, განსაკუთრებით კი რუსეთის ისტორიასთან მიმართებით.[185]

ეს აბსტრაქტული მითითებები ისტორიკოსების მდგომარეობას მაინც ვერ ამსუბუქებდა და წარსულის შესახებ წერა ბეწვის ხიდზე გავლას ჰგავდა, რამდენადაც ბუნდოვანი რჩებოდა სტალინისეული ისტორიის კონცეფცია.

1934 წელს პოლიტბიუროს ბრძანებით ისტორიის სახელმძღვანელოს ნიმუშის დასადგენად სპეციალური კომისია შეიქმნა. პარტიის წარმომადგენლებს და დარგის სპეციალისტებს უნდა გადაეხედათ კონკურსის შედეგად მიღებული სასკოლო სახელმძღვანელოების სხვადასხვა ვერსიები. თუმცა კომისიას გაუჭირდა საბოლოო ნიმუშის დადგენა, რამდენადაც სტალინი პირადად აკომენტარებდა ყოველ საკონკურსო ტექსტს და ვერცეთმა მათგანმა მისი მოწონება ვერ დაიმსახურა. კონკურსის საბოლოო გამარჯვებული 1937 წელს გამოვლინდა. ეს იყო „ისტორიის მოკლე კურსი“ რომლის ავტორი სოლიდური ფულადი პრიზით დააჯილდოეს, ხოლო წიგნი რამდენიმე მილიონ ეგზემპლარად დაიბეჭდა.[186]

---

[184]David Brandenberger, „It is Imperative to Advance Russian Nationalism,” 275-299.

[185]იქვე, 60-62.

[186]იქვე, 66.

გამარჯვებული ნაშრომის თეორიულ ნაწილში მოცემული იყო ისტორიის წერის ახალი სტანდარტი და ამასთანავე იგი ხოტბას ასხამდა სტალინს, როგორც „მარქსიზმ-ლენინიზმის“ კლასიკოსს, რომელიც ზედმიწევნით იცნობდა დიალექტიკის მეთოდს, სოციალური განვითარების კანონებს და ჭვრეტდა კაცობრიობის ისტორიულ ბედს.[187]

ისტორიის ახალი კონცეფცია თითოეულ ეპოქას წარმოების ძალებისა და ხალხთა ურთიერთობების ფორმებით განსაზღვრავდა (მაგალითად, შუა საუკუნეების პერიოდზე წერისას ისტორიკოსებს უნდა წარმოეჩინათ როგორი სახით განვითარდა ფეოდალური ეკონომიკური ფორმაცია სხვადასხვა ერებში და რა მახასიათებლები გააჩნდათ ფეოდალურ საზოგადოებებს. რაც მთავარია, ყველა ისტორიული ეპოქაში უნდა გამოჩენილიყვნენ დაპირისპირებული კლასები ერთი ერის შიგნით და ფორმაციების ცვლილება ისტორიკოსებს კლასთა ბრძოლით უნდა აეხსნათ). მოკლე კურსი ასევე იუწყებოდა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი არ წარმოადგენდა დოგმას და იგი მხოლოდ გიდის როლს ასრულებდა ისტორიკოსებისთვის. თუმცა, როგორც ავრიჩი აღნიშნავს, ეს მითითება კარგად შენიღბული პროპაგანდა იყო, იმის დასაფარად რომ მარქსისტულ-ლენინისტური ისტორია დოგმას წარმოადგენდა ყველა მკვლევარისთვის.[188]

მოკლე კურსის გავრცელების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ სხვადასხვა რესპუბლიკაში ახალი ეროვნულ-ბოლშევიკური ისტორიების შექმნა დაიწყო, რომელიც ეროვნული წარსულისა და მარქსიზმის თეორიის უჩვეულო ჰიბრიდს წარმოადგენდა. სტალინის ისტორიის კონცეფციის მიხედვით, გადაიწერა ან შეიქმნა სხვადასხვა ერის ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი და საბჭოთა პერიოდების ისტორია.

---

[187]Paul Avrich, “The Short Course and Soviet Historiography,” *Political Science Quarterly 75*, no. 4 (1960): 541.
[188]იქვე,544.

2.2. ქართული საისტორიო სკოლა

ბევრი საბჭოთა ერისგან განსხვავებით, საქართველოს საკუთარი წერილობითი ისტორია გასაბჭოებამდე ჰქონდა. მასტერ ნარატივი, რომელშიც წარმოდგენილნი იყვნენ წარსულის ცენტრალური ფიგურები, მოვლენები და ფაქტები, ჯერ კიდევ 1910-იან წლებში ჩამოყალიბდა და მისი ავტორი ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი იყო.[189] მეცნიერი დიდი რეპუტაციითა და პატივისცემით სარგებლობდა ქართულ სამეცნიერო წრეებში და მის მიერ დაწერილ ისტორიასაც საქართველოში ნდობით ეკიდებოდნენ. თუმცა, ეს ვითარება 1930-იანი წლებიდან შეიცვალა.

სტალინის დაინტერესებამ ისტორიით საქართველოს ისტორიულ სკოლაზეც იქონია გავლენა და ბოლშევიკური პარტიის პირველი სამიზნე სწორედ, ივანე ჯავახიშვილი გახდა. განათლების სახალხო კომისარის ბრძანებით 1931 წელს, მეცნიერს პროფესორის სტატუსი ჩამოართვეს და უნივერსიტეტი დაატოვებინეს.[190]

ამავე პერიოდიდან, ჯავახიშვილი „მემერჯვენე პროფესორად“ და „სოციალისტური კადრების მოსამზადებლად გამოუდეგარ მასწავლებლად“ შეირაცხა. ისტორიკოსი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ამ ბრალდებების საფუძვლზე, პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი, მის სამეცნიერო მოღვაწეობას „აბუჩად იგდებდა და ამასხარავებდა.“[191]

1936 წელს ჯავახიშვილის კრიტიკას უნივერსიტეტის პროფესორებიც შეუერთდნენ. მცირე გამონაკლისების გარდა (ყაუხჩიშვილი, ჯანაშია, ბერძენიშვილი) კოლეგები კრიტიკული ტონით ეხმიანებოდნენ ისტორიკოსის სამეცნიერო საქმიანობას და მის წინააღმდეგ მიმართული საჯარო დისკუსიაც კი გამართეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის კარლო ორაგველიძისა და საქართველოს მთავარი პროკურორისა და სსრკ

---

[189]Chikovani, “The De-Sovietization and Nationalisation of History”, 73-74.

[190]როინ მეტრეველი, „მარადისობის გზა,“ *მარადისობის გზა- ივანე ჯავახიშვილი 140*, რედაქტორი ნანა ხაზარაძე და ქეთევან ახობაძე (თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 2017), 11.

[191]ვახტანგ გურული, ჯვარცმულის *უკვდავება და ჯვარმცმელთა სირცხვილი (ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების ფურცლები) დოკუმენტური მასალები, 1930-1936* (თბილისი: უნივერსალი 2011), 52.

„სამეულის“[192] ერთ-ერთი წევრის - ილარიონ ტალახაძის გამოსვლები. ორაგველიძე თვლიდა, რომ ჯავახიშვილი „ბურჟუაზიულ-მემამულურ ნაციონალისტურ თვალსაზრისს“ ატარებდა, ხოლო მისი ნაშრომები არამარქსისტული პოზიციიდან აშუქებდა წარსულს და გარდა ამისა, წინააღმდეგობაში მოდიოდა სტალინის შეხედულებასთან: „დგას რა თავის ბურჟუაზიულ-იდეალისტურ თვალსაზრისზე, უარყოფს სტალინის შეხედულებას. მისი აზრით, ერი არ არის ისტორიული კატეგორია, იგი მუდამ არსებობდა და იარსებებს.”[193]

ამ პერიოდში, სამეცნიერო წრეები კვლავ სტალინის 1913 წლის ერის დეფინიციით ხელმძღვანელობდნენ, რომელიც ერის წარმოშობის და განვითარების მოდერნისტულ ხედვაში შეიძლება მოვათავსოთ. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა პრიმორდიალური ეროვნების შექმნას უწყობდა ხელს. ერის, როგორც უცვლელი ერთობის გაგება პირველად ოფიციალურ დისკურსში 1938 წელს გამოჩნდა.[194]

აქედან გამომდინარე, ორაგველიძის შენიშვნის არსი სრულიად გასაგები ჩანს და აქვე იკვეთება სხვა გარემოებაც. ჯავახიშვილის „არამარქსისტობა“ ყველასათვის ცნობილი ფაქტი იყო და არც თავად ისტორიკოსს უარყვია. მაგრამ, სტალინთან დაპირისპირების ბრალდება საფრთხეს უქმნიდა არა მხოლოდ მეცნიერის პროფესიულ საქმიანობას, არამედ მის ფიზიკურ არსებობას, უნივერსიტეტის მოქმედ რექტორს კი ბოლშევიკური პარტიის თვალში ქულების დაწერის შესაძლებლობას აძლევდა.

ილარიონ ტალახაძემ ლაკონური სიტყვა წარმოთქვა, რომელიც მხოლოდ ჯავახიშვილს არ ეხებოდა და რითაც მიახვედრა ისტორიკოსები, რომ არც ისინი დაზღვეული „ბრალდებულის სკამზე“ აღმოჩენისაგან. „ჯავახიშვილი არის ქართული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის დასაყრდენი, ბურჯი და დანარჩენი ისტორიკოები, რა თქმა უნდა, მე მყავს მხედველობაში ახალი ისტორიკოსები, ასე თუ ისე სარგებლობენ მით და სამწუხარო ის არის, რომ ისინიც კი, ვისაც უდავოთ სურს გაწყვიტოს პროფ.

[192]შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელისგან, პარტიული მდივნისა და პროკურორისგან შემდგარი ჯგუფი, რომელსაც სასჯელის უმაღლესი ზომის განაჩენი გამოჰქონდა სსრკ-ში.
[193]იქვე, 55.
[194]Martin, „Modernization or neo-traditionalism”, 349.

ჯავახიშვილთან და მიუახლოვდეს მარქსიზმს, 99%-ს სესხულობენ ჯავახიშვილისგან და მხოლოდ 1%-ს ეძებენ მარქსიზმში.“[195]

ტალახაძის თანადებობიდან სტატუსიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, ეს იყო ერგვარი მინიშნებაც მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და მუქარაც. იგი ისტორიკოსებს ახსენებდა, რომ ბოლშევიკურ პარტიას ახალი მარქსისტულ-ლენინისტური ისტორიული ნარატივები სჭირდებოდა „ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური“, რომლის დაწერაც რესპუბლიკებში დიდხანს გაიწელა. დაკვეთა, კი პირდაპირ სტალინისგან მოდიოდა და შეცდომის დაშვების უფლება არცერთ ისტორიკოსს არ ჰქონდა, რამდენადაც მეცნიერთა პროფესიული საქმიანობა პირდაპირ იყო დაკავშირებული მათ ფიზიკურ გადარჩენასთან.

ახალი ნარატივების შექმნის საკითხი დიდ გამოწვევას წარმოადგენდა ქართველი ისტორიკოსებისთვის. 1936 წელს კარლო ორგაგველიძის მიერ გამოცემული ბუკლეტიდან ჩანს, რომ ისტორია, როგორც საგანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან საერთოდ ამოიღეს ახალი ნარატივების შექმნამდე და მხოლოდ უნივერსიტეტებში ისწავლებოდა საქართველოს ისტორიის მოკლე კურსი. ორაგველიძე იმასაც აღნიშნავდა, რომ საქართველოს საგნის შესწავლას ართულებდა წყაროებისა და კადრების არარსებობა, ისტორიული ლიტერატურა ღარიბი იყო მონაგრაფიებით, ქართულ ენაზე არ ითარგმნებოდა უცხოური მასალები, არ ქვეყნდებოდა ქართული ძეგლები და მხოლოდ რამდენიმე სტუდენტს ჰქონდა სურვილი კვლევა ამ მიმართულებით გაეგრძელებინა.[196]

მოხსენებაში ორაგველიძეს ფილიპე მახარაძის გაკრიტიკებაც არ დავიწყებია. მახარაძის საპასოხოდ, რომელიც საქართველოს ისტორიაში მხოლოდ ომებსა და სისხლიან მოვლენებს ხედავადა, ორაგველიძე წერდა: „ისტორიის კვლევის საგანი არსებობდა და არსებობს, მაგრამ სამწუხაროდ არ აღმოჩდნენ ისტორიკოსები, რომლებსაც დაეძლიათ მისი შესწავლის ამოცანა.“[197]

---

[195]გურული, *ჯვარცმულის უკვდავება,* 62-63.

[196]კარლო ორაგველიძე, *საქართველოს ისტორიის საკითხებისთვის* (თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936), 6-7.

[197]იქვე, 5.

ეს ფრაზა მიანიშნებს იმაზეც, რომ 1930-იან წლებში ისტორიული ნარატივების წერას მეცნიერები სიფრთხილით ეკიდებოდნენ. ერთი მხრივ, მარქსისტ ისტორიკოსთა სკოლა საქართველოში ძლიერი არ იყო, რადგან მარქსიზმ-ლენინიზმის ისტორიის ინსტიტუტი ძირითადად მარქსის, ენგელსისა და ლენინის თხზულებების თარგმნით და გამოცემით იყო დაკავებული. ის მარქსისტი ისტორიკოსები კი, ვინც რევოლუციურ პერიოდში კარგად ერკვეოდნენ, საქართველოს თითქმის 2000 წლიან ისტორიას დამოუკიდებლად ვერ დაწერდნენ, რადგან საკმარისი ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნდათ.

მეორე მხრივ, ამ პერიოდში, საქართველოში მოღვაწეობდნენ არამარქსისტული ისტორიული სკოლის წარმომადგენლები, მაგალითისთვის საკმარისია მოვიყვანოთ სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი ან სიმონ ყაუხჩიშვილი. ისინი ივანე ჯავახიშვილის მოწაფეები იყვნენ და მისი იდეების გავლენას განიცდიდნენ. მათ კარგად იცოდნენ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდი თუმცა, არ ჰქონდათ მარქსისტულ-ლენინისტური მეთოდით მუშაობის იმდენი გამოცდილება, რომ ახალი ნარატივი დაეწერათ.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის დილემას ართულებდა თავად ნარატივის სტრუქტურა იყო, რომელიც ხანგრძლივი მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა, ძნელად ერგებოდა მარქსისტულ-ლენინისტურ სქემას, ამიტომ მისი გადაწერა ავტორის გარეშე რთულ ამოცანას წარმოადგენდა. ეს იყო საკითხი, რომელიც საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ კიდევ ორი წლის განმავლობაში ვერ გადაჭრა და რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჯავახიშვილის, როგორც ისტორიკოსის რეაბილიტაციაში.

საქართველოს პირველი მარქსისტულ-ლენინისტური სახელმძღვანელოდან ირკვევა, რომ ივანე ჯავახიშვილმა მოწაფეებთან - სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილთან ერთად ნაშრომზე მუშაობა 1939 წლიდან დაიწყო. ისტორიკოსთა გუნდს შეუერთდა მარქსისტი ისტორიკოსი გიორგი ხაჭაპურიძე, რომელმაც უახლესი პერიოდის შესახებ მოამზადა ნარატივი.

წიგნი 1940 წელს გამოიცა, როგორც სატესტო ვერსია. 1943 და 1946 წლებში კი გადამუშავებული ვერსია გამოიცა, რის შედეგადაც უახლესი პერიოდი ჩამოშორდა ძველ ნარატივს და თხრობა მე-19 საუკუნით დასრულდა. ამ დროს ჯავახიშვილი ცოცხალი აღარ იყო, ამიტომ ტექსტიახალი გამოცემისათვის მისმა მოწაფეებმა მოამზადეს, ხოლო ხაჭაპურიძე ავტორთა გუნდს გამოაკლდა.

1946 წლის ისტორიის სახელმძღვანელომ საბჭოთა სისტემაში ამ დროისათვის არსებული უმაღლესი ჯილდო - სტალინური პრემია დაიმსახურა.

2.3. საქართველოს მარქსისტულ-ლენინისტური სახელმძღვანელოები აფხაზთა შესახებ

ამ ქვეთავში გაანალიზებული იქნება 1940, 1943 და 1946 წლებში გამოცემული საქართველის ისტორიის მარქსისტულ-ლენინისტური სახელმძღვანელოები. ანალიზის ფარგლებში, აქცენტი გაკეთდება იმ საკითხებზე, რომლებიც ნაშრომის შესავალ ნაწილში იყო ნახსენები. დეკონსტრუციის გზით ნაჩვენები იქნება ქართველი ისტორიკოსების ხედვა ქართველებისა და აფხაზების საერთო წარსულის შესახებ, რაც ამავდროულად ირეკლავდა მათ წარმოდგენას ერის თანამედროვე პროექტზე.

- **აფხაზი ტომების განსახლება და ურთიერთკავშირი ქართველებთან.** 1940-იან წლებში გამოცემულ მარქსისტულ-ლენინისტურ სახელმძღვანელოებში სამი აფხაზური ტომია ნახსენები, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროზე სახლობდნენ: აბაზგები, აფსილები და მისიმიანები. ისინი ემორჩილებოდნენ ლაზიკის მეფეს მე-6 საუკუნემდე. შემდგომში, ერთ-ერთმა ტომმა - აბაზგებმა, გაწყვიტა კავშირი ლაზიკასთან და ბიზანტიის

უშუალო ვასალი გახდა.[198] ეს პოლიტიკური ნაბიჯი სახელმძღვანელოს ავტორებთან ინტერპრეტირებულია როგორც აბაზგეთის გათანაბრება ლაზიკასთან, რამდენადაც ლაზები, ამ პერიოდში, თვითონ იყვნენ ბიზანტიის ვასალები. VI საუკუნემდე რა ენაზე საუბრობდნენ დასახელებული ტომები - უცნობია მკითხველისთვის. თუმცა, VI საუკუნიდან, ქრისტიანობის გავრცელების გამო ბერძნულმა ენამ დაიკავა დომინანტური პოზიცია აბაზგეთში, ხოლო VIII-X საუკუნეებში ქართული გახდა ადმინისტრაციული და ეკლესიის მსახურების, სამოქალაქო ურთიერთობებისა და განათლების ენა აფხაზეთის სამეფოში.[199] ტექსტის ამ ნაწილში ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები - აბაზგები, აფსილები, მისიმიანები და სანიგები - არ იყვნენ ლაზები, თუმცა VI საუკუნემდე ემორჩილებოდნენ ლაზიკის მეფეს. ავტორებმა დანამდვილებით არც აფხაზ ტომთა ენობრივი კუთვნილების შესახებ იციან, მაგრამ ტექსტიდან ჩანს, რომ აბაზგების, აფსილებისა და მისიმიანებში ქართული კომუნიკაციის ენა მე-8 საუკუნიდან გახდა. აფხაზთა ვინაობის საკითხი თაფხაზთა სამეფოს შექმნის აღწერისას უფრო მკაფიოდ არის გამოკვეთილი.

- **აფხაზეთის სამეფოს შექმნა.** სახელმძღვანელოების თანახმად, VIII საუკუნეში, აბაზგთა ტომის მეთაურმა ლეონ II დაიპყრო ქართული სამეფოები - ლაზიკა და არგვეთი, გააერთიანა აფხაზური ტომები და ჩამოაყალიბა აფხაზთა სამეფო, ხოლო საკუთარი თავი აფხაზთა მეფედ გამოაცხადა.[200] 1940 წლის სახელმძღვანელო აფხაზთა გაერთიანებას ამ ეპიზოდით ასრულებს, ხოლო 1943 წლის სახელმძღვანელოებში

[198] ჯავახიშვილი et. al., *საქართველოს ისტორია,* 80, 84; ივანე ჯავახიშვილი et. al., *საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე* (თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა 1943), 106, 110.

[199] ჯავახიშვილი et. al., *საქართველოს ისტორია 1940,* 91, 113; ჯავახიშვილი et. al., *საქართველოს ისტორია 1943,* 118.

[200] ჯავახიშვილი et. al., *საქართველოს ისტორია 1940,* 103; ჯავახიშვილი et. al., *საქართველოს ისტორია 1943,* 134.

აღნიშნულია: „ამ გაბატონებული დინასტიის მიხედვით თვით სამთავროსაც „აფხაზთა სამეფო“ ეწოდა. თუმცა მოსახლეობის შემადგენლობაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა. მე-9 - მე-10 საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ისევ საკუთრივ ქართველი ტომები - ქართები, მეგრელები და სვანები შეადგენდნენ.“ [201] ამ აბზაცში მკაფიოდ ჩანს ეთნიკური საზღვრები ქართველ და აფხაზ ტომებს შორის და გარდა ამისა, ციტატა მიგვანიშნებს იმაზეც, რომ 1940 წლის სახელმძღვანელოს გადამუშავების დროს, ისტორიკოსებმა არ უარყვეს აფხაზთა ინდივიდუალობა და ისინი ქართველებთან ერთად მცხოვრებ, კულტურულ-ისტორიულად დაკავშირებულ ერთობად წარმოაჩინეს.

- **ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა.** სახელმძღვანელოების თანახმად, საქართველოს გაერთიანების საკითხის აქტუალობა გარე მტრებისგან თავდაცვამ და სამეფოებში შიდა სიმტკიცის საჭიროებამ განაპირობა. თავდაპირველად ბრძოლა გაერთიანებისთვის კახეთის სამეფომ დაიწყო, თუმცა ის თანდათან ჩამოშორდა ბრძოლის ასპარეზს და IX საუკუნიდან გაერთიანების პროცესის დასრულებას ორი მოქიშპე სამეფო ცდილობდა - ტაო კლარჯეთისა და აფხაზეთის. თუმცა, ტაო კლარჯეთის მმართველი დავით III კურაპალატი ჭკვიანი სტრატეგი აღმოჩნდა, მან გამოიყენა კავშირები ბიზანტიის იმპერიასთან და ქართლის ფეოდალ იოანე მარუშისძესთან და საკუთარი შვილობილი ბაგრატ IV (რომელიც აფხაზეთის მეფის დისწული იყო) ჯერ ქართლში გაამეფა, ხოლო შემდეგ აფხაზეთში. 978 წელს საქართველოს გაერთიანების პროცესი დასრულდა და აფხაზეთი ერთიანი საქართველოს ნაწილი გახდა.[202] ტექსტის ამ ნაწილში, აფხაზეთის სამეფო ქართული სამეფოს კონკურენტად არის წარმოდგენილი, თუმცა საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს

[201] ჯავახიშვილი et. al., *საქართველოს ისტორია 1943,* 134;

[202]ჯავახიშვილი et. al., *საქართველოს ისტორია 1940,* 113; ჯავახიშვილი et. al., *საქართველოს ისტორია 1943,* 145.

გაერთიანებას ავტორები საერთო საზოგადოებრივ ინტერესებს უკავშირებენ და არა ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებს.

- **აფხაზები ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში.** სახელმძღვანელოები შემდგომ პერიოდებს ვიწროდ მიმიხილავენ. XVII საუკუნეზე საუბრისას კი არაფერს ამბობენ ეთნიკურ ცვლილებებზე ან, ტომთა ჩამოსახლებაზე. თუმცა, ამ პერიოდის აღწერას აქვს წინა საუკუნეების ვრცელი მიმოხილვა, რომელშიც ჩანს აფხაზეთის საქართველოდან თანდათან გამოყოფის პროცესი, რომელიც ავტორთა აზრით, ერთიანი სახელმწიფოს სამეფო სამთავროებად დაშლის შემდეგ დაიწყო და XV საუკუნიდან აფხაზეთში არსებობდა დამოუკიდებლობის სურვილი,[203] ხოლო ოსმალთა შემოჭრის შემდეგ, აფხაზეთს აღარ ჰქონდა მჭიდრო კავშირები საქართველოსთან. ამავე პერიოდის აღწერისას ჩანს საინტერესო ცვლილება. 1940 წლის სახელმძღვანელო აღწერს, რომ ოსმალები ცდილობდნენ ადიღეური და აფხაზურ-ჩერქეზული მოდგმის ტომების დაპყრობას და ამ გზით „საქართველოს აფხაზეთში“ ფეხის მოკიდებას.[204] ამ სახელმძღვანელოსგან განსხვავებით, 1943 წლის სახელმძღვანელო ახსენებს, მხოლოდ აფხაზეთს.[205]

მკითხველისთვის უცნობია, რას გულისხმობენ ავტორები ტერმინში „საქართველოს აფხაზეთი“? თუ ვივარაუდებთ, რომ ისინი აფხაზეთს ორ ნაწილად ჰყოფდნენ და მიმოიხილავდნენ, როგორც აფხაზებით დასახლებულ ტერიტორიას და როგორც ქართველებით დასახლებულ ტერიტორიას, მაშინ შეიძლება ამ ტერმინის ექვივალენტად მივიჩნიოთ 1943 და სახელმძღვანელოში გაჩენილი (ზემოთ მოყვანილი) ფრაზა: „მე-9-მე-10 საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ისევ საკუთრივ ქართველი ტომები - ქართები, მეგრელები და სვანები შეადგენდნენ“ - საიდანაც ასევე გამომდინარეობს დასკვნა, რომ აფხაზეთი წარმოადგენდა ქართველებით

---

[203]ჯავახიშვილი et. al., *საქართველოს ისტორია 1940,* 271-272 ; ჯავახიშვილი et. al., *საქართველოს ისტორია 1943,* 260-261.

[204]ჯავახიშვილი et. al., *საქართველოს ისტორია,* 1940 *, 299.*

[205]ჯავახიშვილი et. al., *საქართველოს ისტორია,* 1943, 280.

დასახლებულ ტერიტორიას და არაქართული ტომებით დასახლებულ ტერიტორიას. თუმცა, ეს მოსაზრება დავის საგანია და შეიძლება მისი სხვაგვარი ინტერპრეტაციაც.

1946 წლის სახელმძღვანელო იმეორებს 1943 წლის ნარატივს აფხაზთა იდენტობასთან მიმართებით, თუმცა მასში ჩნდება ცვლილება. ისტორიკოსები მიმოიხილავენ ქართველი ერის წარმოშობის საკითხს აღნიშნავენ, რომ შუა საუკუნეების აფხაზები „ქართულ ეროვნულ-კულტურულ ერთობლიობას“ ეკუთვნოდნენ.[206] ამ ფრაზაში ჩანს, რომ წინა სახელმძღვანლოებისგან განსხვავებით, აფხაზები ქართველი ერის ნაწილად არიან მიჩნეულნი კულტურული მარკერების საფუძველზე. სახელმძღვანელოში შესული ცვლილების მნიშვნელობის გამოსაკვეთად ნიშანდობლივი იქნება იმის ხსენება, რომ ახალი ტექსტი ქართველმა ისტორიკოსებმა სტალინთან შეხვედრის შემდეგ შექმნეს.

ნიკო ბერძენიშვილის მიერ 1945 წელს გაკეთებული ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ 1945 წელს სტალინმა ქართველი ისტორიკოსები სოჭში, თავის აგარაკზე მიიწვია ისტორიის მარქსისტულ-ლენინისტურ სახელმძღვანელოზე მიერ მიერ გაკეთებული კომენტარების განსახილველად.[207]

ყურადღებას იმსახურებს წერილის კომენტატორის ედიშერ ხოშტარია ბროსეს სიტყვა: „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი სულ რაღაც ნახევარი წლის დამთავრებული იყო, რომ იოსებ სტალინმა 1945 წლის ოქტომბერში სოჭში/ მაცესტაში დასვენებისას საქართველოს ისტორიის საკითხებზე სასაუბროდ თავისთან იხმო აკადემიკოსები ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი. იგი გაცნობოდა ივ. ჯავახიშვილის და ს. ჯანაშიას ავტორობით[208] და ს.ჯანაშიასავე რედაქციით გამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს (1943წ) და ავტორებისათვის თავისი აზრის გაზიარება სურდა. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს ისტორიით დაინტერესება ახლად ომგადახდილი საბჭოთა კავშირის მეთაურის, უმაღლესი მთავარსარდლის მხრივ შემთხვევითი არ იქნებოდა. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა

---

[206]ივანე ჯავახიშვილი et. al., *საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე* (თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1946), 11.

[207] ედიშერ ხოშტარია-ბროსე, „ნიკო, ბერძენიშვილი. შეხვედრა სტალინთან,“ ცისკარი, N1 (1998): 96 -105.

[208]ამ სახელმძღვანელოს ავტორებს შორის ნიკოლოზ ბერძენიშვილიც იყო.

უმნიშვნელოვანეს როლს ანიჭებდა ამ ქვეყანას საბჭოთა სახელმწიფოს აღმოსავლურ პოლიტიკაში - ომში გერმანიის მოკავშირე თურქეთის პრობლემა და მასთან ურთიერთობა მოსაგვარებელი იყო."[209]

როგორც ჩანს, ბერძენიშვილის ჩანაწერის გაცნობის შემდეგ, ხოშტარია-ბროსემ სტალინის ქართველ ისტორიკოსებთან შეხვედრა გეოპოლიტიკურ ინტერესებს დაუკავშირა. ზემოთ ვაჩვენეთ, რომ სტალინის პარადოქსულმა დაინტერესებამ ტერიტორიული საზღვრების საკითხით ცარისტული პოლიტიკის მიმართ ლოიალობის ჩამოყალიბება და რუსოცენტრული თემების წინ წამოწევაც კი განაპირობა. ამიტომ, მოკლედ ამ საკითხსაც უნდა შევეხოთ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირი სიფრთხილით უყურებდა თურქეთის საგარეო პოლიტიკას და მისგან შავ ზღვაზე გასასვლელს ითხოვდა.[210] ცნობილია, რომ სტალინის დავალებით ისტორიკოსებს თურქეთის ტერიტორიებზე ქართველთა ავტოქთონურობის დასაბუთება დაევალათ. თურქული კვალის გასაქრობად კი მასობრივად დაიწყო თურქულენოვანი სახელწოდებების შეცვლა მთელი საქართველოს მასშტაბით, განსაკუთრებული ყურადღება სასაზღვრო რეგიონებს ექცეოდათ.[211]

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტი, რომელსაც აფხაზებთან დაკავშირებით, შეეძლო სტალინის ინტერესებზე ემოქმედა. აფხაზების დიდი ნაწილი მე-19 საუკუნეში რუსეთ-თურქეთის ომის დროს ოსმალეთს უჭერდა მხარს. რუსეთის იმპერიის დროს აფხაზები 30 წელიწადი (1877-1907) იწოდებოდნენ „დამნაშავე მოსახლეობად" თურქეთის მხარდაჭერის გამო.[212] გარდა ამისა, თურქეთში გადასახლების სურვილი აფხაზებმა 1931 წელსაც გამოთქვეს, აფხაზეთის სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსის შემცირების დროს.[213] ამიტომ გასაკვირი არ

---

[209]ხოშტარია-ბროსე, „ნიკო, ბერძენიშვილი. შეხვედრა სტალინთან," 96.
[210]Wolff, "Stalin's Postwar Border Making Tactics," 275, 279.
[211]სკპა, ფონდი 14, აღწერა 165, საქმე 21, ფურცელი 70-71, 1947.
[212]Джемал Гамахария, Бадри Гогия, *Абхазия-историческая область Грузии (историография, документы и материалы, коментарии) с древнейших времен до 30-х годов XX века* (Тбилиси: Агдгома, 1997), 368-369.
[213]პაპასქირი, ნარკვევები, 119.

არის საბჭოთა ხელისუფლებას პან-თურქული და პან-ისლამური სენტიმენტების გამოღვიძების საფრთხე დაენახა აფხაზეთშიც.

ამ მოსაზრებას ეხმიანება ის ფაქტიც, რომ ქართულ-აფხაზური ერთობის დისკურსის არტიკულირებისას ხდებოდა მე-18-19 საუკუნეების აფხაზი მთავრის ქელეშ ბეგ-შერვაშიძის ფიგურის აქტუალიზებაც, რომელიც აფხაზეთს 18 საუკუნისა ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში მართავდა. იგი დიდხანს ლავირებდა რუსეთსა და თურქეთს შორის, რამაც ამ ისტორიული ფიგურის შესახებ არაერთგვაროვანი ნარატივის ფორმირებას შეუწყო ხელი.

საბჭოთა ხელისუფლებამ 1930-იანი წლების ბოლოს ქელეშ-ბეგი პრო-რუსულ მმართველად და პროგრესულ ლიდერად გამოაცხადა, რომელსაც პრო-თურქული ორიენტაციის ვაჟმა სიცოცხლე მოუსწრაფა. ამ ხატის შექმნაში მნიშველოვანი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ ამ დროს აქტუალური გახდა რუსეთთან არარუსი ერების მეგობრობის იდეა.[214]

თუმცა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დისკურსი შეცვალა და აფხაზეთის პრინცს თურქეთის აგენტი და ისლამური კულტურის გამავრცელებელი დაერქვა და შეიცვალა მისი იმიჯიც. ახალი დისკურსის თანახმად, ქელეშ ბეგი ცდილობდა ანტი-რუსული განწყობების ჩანერგვას მოსახლეობაში, აფხაზების დაშორებას ქრისტიანულ ფესვებთან და კულტურასთან.[215]

ქელეშ-ბეგის დემონიზაციას ჰქონდა თავისი მოტივი. მისი ხატის ცვლილებით, საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა იმის ხაზგასმას, რომ თურქეთის მხარდამჭერი იყო მხოლოდ აფხაზური ელიტა და არა მთლიანად მოსახლეობა. ეს იმას ნიშნავდა, რომ აფხაზები უნდა გამიჯვნოდნენ პრო-ისლამურ და პრო-თურქულ გავლენებს.

ამავე პოლიტიკურ კონტექსტს უნდა დავუკავშიროთ სტალინის დაინტერესება საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოთი და შეხვედრა ქართველ ისტორიკოსებთან. ამ მოსაზრებას აძლიერებს ისიც, რომ ნიკო ბერძენიშვილის ჩანაწერში გვხვდება საინტერესო ეპიზოდი, რომლიც ეხება სტალინის შეხედულებას თურქულ

[214] Ираклий Антелава, по истории Абхазии (Грузия: Грузинский филиал Академии наук СССР.1939: 67-104.
[215] Гулия, О Моей книге, 18.

კულტურაზე: „ოსმალური და ირანული კულტურისა არა სწამს [...] 'ხალხი გადაასახლეს და კულტურულად მთელი საფეხურით უკან დასწიეს'- ამბობს სპარსელებზე. ლაპარაკი ეხება ფერეიდნელებს. და განა ასევე არ დაემართა ყველას, ვინც კი ირანის თუ ოსმალეთის კულტურა გაიზიარა? სამცხე-საათაბაგო, აჭარა... და დანარჩენი ქართველები და ადერბაიჯანი. 'მაჰმადიანობამ დასძლია ქრისტიანობა... სიმარტივით, სიცხადით, პრაქტიკული ხასიათით."[216]

ამ ეპიზოდიდან შეიძლება ვიმსჯელოთ სტალინის მოტივზე დაეთრგუნა ისლამური კულტურა აფხაზეთში და გაეძლიერებინა ქრისტიანული. როგორც ჩანს, პრო-ისლამური სენტიმენტების საფრთხისგან თავისდასაღწევად კი იგივე მეთოდს იყენებდა, რასაც რუსეთის იმპერია. სტალინი ქრისტინული კულტურის გაძლიერებით და დიდ რუს ერთან დაახლოებით, საბჭოთა თურქეთთან ახლომდებარე სასაზღვრო ზოლში ლოიალურობის და მხარდაჭერის გაღვივებას გეგმავდა.

ამავე იდეას აგრძელებს ბერძენიშვილის შემდეგი ციტატაც: „ამხ. სტალინის 'Грузины' უფრო ფართე ცნების შემცველია, ვიდრე ჩვენ გვესმის. უფრო ფართე, ვიდრე ქართ-ზან-სვანური. ამხანაგი სტალინი გრძნობს საჭიროებას ამ ტერმინის შინაარსის გაფართოებისას. ის აქაც გენიალურია: ისტორია მეცნიერებაა, ჭეშმარიტებაა, ის საფუძვლიანი სილოგიზმია, რეალური და არა ფორმალური და ამდენადვე ის თანამედროვეობასთან სრულს თანხმობაშია. მეცნიერს უნდა ჰქონდეს უნარი ამ თანხმობის აღმოჩენისა. ჭეშმარიტებაა ტერმინი 'ქართველი' უნდა გაფართოვდეს. ეს აუცილებელია, როგორც ისტორიული მეცნიერების თვალსაზრისით, ისე ადრინდელი საქართველოს პოლიტიკის თვალსაზრისით."[217]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისტორიკოსებმა ახალი სახელმძღვანელოს შექმნის ამოცანას თავი მოხერხებულად გაართვეს. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ამ პერიოდის საბჭოთა ეროვნულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, რომელთაც აფხაზთა ეროვნულ პროექტს არ დაუტოვეს სივრცე არსებობისთვის. გარდა ამისა, სტალინის გეოპოლიტიკური ინტერესებიც ქმნიდა სახარბიელო ფონს აფხაზების

[216] ხოშტარია-ბროსე, „ნიკო, ბერძენიშვილი, 105.
[217]იქვე,

ქართველებთან დაახლოებისთვის. თუმცა, ქართველმა ისტორიკოსებმა თავიდან აირიდეს დისკურსის რადიკალიზაცია და მათ აქცენტი გააკეთეს ქართველებსა და აფხაზებს შორის საერთო ისტორიის და კულტურული სიახლოვის მნიშვნელობაზე.

ამ გზით, ქართველმა ავტორებმა დააკმაყოფილეს სტალინის სურვილი ნარატივში ასახულიყო ქრისტიანული კულტურის გავრცელების მასშტაბები ისტორიულ საქართველოში, რომელიც ფეოდალურ ეპოქაში მცხოვრებ ხალხებს ერთმანეთთთან აახლოებდა. პრო-ისლამური და პრო-თურქული სენტიმენტების არსებობის ფაქტი, საერთო ქრისტიანული სახელმწიფოს და გაზიარებული კულტურის მნიშვნელობამ გადაფარა.

ამ მოხერხებული ნაბიჯით, სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა საქართველოს ისტორიის ახალ მარქსისტულ-ლენინისტურ სახელმძღვანელოში აფხაზებს ეთნიკური ინდივიდუალიზმი შეუნარჩუნეს.

2.4. ალტერნატიული ნარატივი: პავლე ინგოროყვას თეორია

ქართველი ისტორიკოსების ნარატივი 1950 წელს ეჭვქვეშ დააყენა ქართველმა ლიტერატურათმცოდნემ პავლე ინგოროყვამ. უკვე ვნახეთ, რომ ინგოროყვა აქტიურად იყო ჩართული საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, საბჭოთა ხელისუფლების პროგრამებს აკვირდებოდა და ეხმაურებოდა. ამასთანავე, იგი აქტიურად მონაწილეობდა ქართული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციაში და ადრეული კორენიზაციის ეტაპზე იყო რედაქტორი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირთან არსებული ჟურნალისა „კავკასიონი.“[218] თუმცა, საბჭოთა ხელისუფლებამ აქტიურობა „შოვინიზმში“ ჩაუთვალა, რის გამოც ჟურნალი დაიხურა. „კავკასიონი“-ს გაციფრებულ ვერსიას პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე ახლავს წარწერა - „აკრძალა ხელისუფლებამ, როგორც ’შოვინისტური გამოცემა’“. აკრძალვის შემდეგ,

[218]სლმა, პავლე ინგოროყვას ფონდი, №22631, 1955.

ჟურნალი გამოვიდა სახელწოდებით „ახალი კავკასიონი“. თუმცა ამ გამოცემამაც წინამორბედის ბედი გაიზიარა.[219]

1940-იანი წლებიდან ლიტერატურათმცოდნემ ისტორიულ საკითხებზე დაიწყო მუშაობა და პირველი საისტორიო ნაშრომი „ლეონტი მროველი - ქართველი ისტორიკოსი ’ჰამბავთა მწერალი’ მე-8 საუკუნისა“ 1941 წელს გამოაქვეყნა ჟურნალში „ენიმკის მოამბე“, რომელსაც სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი გამოსცემდა. ტექსტის შესავალ ნაწილში ინგოროყვამ განაცხადა, რომ ნაშრომის მიზანს ლეონტი მროველის ძეგლის თარიღის დადგენა და ასევე „ტექსტის შესახები ზოგიერთი სპეციალური საკითხები“ წარმოადგენდა.“[220]

ავტორს არც შესავალში და არც შემდგომ თავებში განუმარტავს, რას გულისხმობდა „სპეციალურ საკითხებში“. მან ლეონტი მროველის თხზულებებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ ქართველი ტომების ერთიანობის იდეას დიდი ხნის ისტორია ჰქონდა. ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის ხანიდან მოყოლებული, ქართლის, ანუ იბერიის სამეფო მოიცავდა ეგრისის სამეფოს (დასავლეთ საქართველო). გარდა იმისა, მეცნიერმა ცალკე პარაგრაფი დაუთმო დასავლეთ საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის აღწერას, პირველწყაროზე დაყრდნობით მან აღნიშნა, რომ ძველი ეგრისი დასახლებული იყო სვანური და მეგრული ტომებით.[221]

ამასთანავე, ლიტერატურათმცოდნე აღნიშნავდა, რომ ლეონტი მროველის ნაშრომში აფხაზების შესახებ ინფორმაცია არ არსებობდა, რაც იმით ახსნა, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში აფხაზი ტომები მნიშვნელოვან როლს არ თამაშობდნენ კავკასიის და საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე: „ლეონტი არათუ აფხაზთა წარმოშობის საკითხს არ ეხება, არამედ მთელი თხზულების მანძილზე არ მოიხსენიებს აფხაზებს. ცხადია აფხაზთა ტომი იმ ხანაში ჯერ კიდევ არ თამაშობდა რაიმე მნიშვნელოვან როლს კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში. ამის მიხედვით ლეონტი მროველის თხზულება

---

[219]ჟურნალი „კავკასიონი“, *პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,* http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/5375 (წანახია 15.02.2018).

[220]პავლე ინგოროყვა, „ლეონტი მროველი, ქართველი ისტორიკოსი, ’ჰამბავთა მწერალი’ მე-8 საუკუნისა,“ *ენიმკის მოამბე* (1941): 94.

[221]იქვე, 128, 131-133.

დაწერილია უფრო ადრე ვიდრე დაიწყებოდა აფხაზთა ტომის ის დიდი მოძრაობა და პოლიტიკური ექსპანსია, რამაც ასეთი მნიშვნელოვანი კვალი დასტოვა ძველი საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში."[222]

ტექსტის შემდგომ ნაწილში ინგოროყვა აღნიშნავდა, რომ მე-8 საუკუნეში აღმოსავლეთის პროვინციებიდან დასავლეთისაკენ მასობრივი ემიგრაცია დაიწყო, რამაც ეგრისში იბერიული ტომების დამკვიდრება გამოიწვია. მათთან ურთიერთობის პროცესში კი, აფხაზთა დინასტია „გაქართლელდა" და ქართული კულტურის გამტარებელი გახდა.[223]

ტექსტიდან ჩანს, რომ ლიტერატურათმცოდნეს აფხაზები საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართულ ტომებად მიაჩნდა, რომელნიც ინტეგირებულნი იყვნენ ქართულ კულტურულ სივრცეში და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს გაერთიანებაში. ეს დებულება იმეორებდა საქართველოს ისტორიის მარქსისტულ-ლენინისტურ სახელმძღვანელოში გადმოცემულ ნარატივს აფხაზთა ვინაობის შესახებ, არ უარყოფდა აფხაზთა ეთნიკურ ინდივიდუალობას.

ინგოროყვას ახალ ნაშრომში აფხაზთა ვინაობის საკითხი შეიცვალა. სტატია აფხაზეთის სამეფოს შესახებ, 1950 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში" და წარმოადგენდა სტატიების სერიის „გიორგი მერჩულე" ერთ-ერთ ნაწილს. ნაშრომის პირველწყაროდ ინგოროყვამ მე-10 საუკუნის ქართველი მწერლის გიორგი მერჩულეს ჰაგიოგრაფიული თხზულება „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა" გამოიყენა. ლეონტი მროველის თხზულებისგან განსხვავებით, მასში აფხაზთა სამეფოს შესახებ ვრცელი ცნობები მოიპოვება. ინგოროყვას ინტერესიც მერჩულის თხზულებისადმი სწორედ ამით იყო განპირობებული.

ავტორის შეხედულებით, მერჩულეს თხზულება შეიცავდა საინტერესო ისტორიულ ცნობებს შუა საუკუნეების საქართველოს შესახებ და მასში მოცემული იყო საქართველოს კულტურული ერთიანობის ფორმულა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი

[222]იქვე, 127.
[223]იქვე, 130.

აღესრულების“.[224] მერჩულეს ეს ფრაზა, ინგოროყვამ სარწმუნო საბუთად მიიჩნია იმის დასადასტურებლად, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა, რადგან ამ პერიოდში აფხაზეთის სამეფოში მღვდელმსახურება ქართულ ენაზე სრულდებოდა. ხოლო, აფხაზები ისეთივე ქართველი ტომები იყვნენ როგორც ქართები, მეგრელები და სვანები, რითაც აიხსნებოდა მათი აქტიური მონაწილეობა საქართველოს გაერთიანებაში.[225]

ინგოროყვას სტატია ენობრივი, ტერიტორიული და რელიგიური კუთვნილებით ხსნიდა შუა საუკუნეების აფხაზთა იდენტობის საკითხს, თუმცა იგი ღიად ტოვებდა ორ კითხვას: წარმოადგენდა აფხაზური ენა ქართულის დიალექტს? თუკი შუა საუკუნეების აფხაზებსა და ქართველებს საერთო ენობრივი იდენტობა ჰქონდათ, რატომ ვერ საუბრობდნენ თანამედროვე აფხაზები ქართულად? როგორც ჩანს, იმ დროისათვის, ლიტერატურათმცოდნეს არ ჰქონდა არგუმენტები ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში არსებობდა ქართული და აფხაზური ენების გენეტიკური ნათესაობის იდეა, ენათმეცნიერებს არ მოეპოვებოდათ საკმარისი საფუძველი ამ თეზისის დასამტკიცებლად, რის გამოც იგი უფრო რწმენის საგანს წარმოადგენდა ვიდრე ცოდნის.[226]

ინგოროყვას ნარატივი აფხაზეთის, ანუ თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მხოლოდ ერთი ჯგუფის არსებობის შესაძლებლობას უშვებდა. თუმცა, ეს ნარატივი არ უნდა წარმოვიდგინოთ ქართული ეროვნული პროექტის გამოხატულებად. მისი გამოჩენა შეიძლება აიხსნას ერთი გარემოებით. საბჭოთა ხელისუფლების ეროვნულმა პოლიტიკამ ქართული ინტელიგენციის ზოგიერთი წევრის წარმოსახვაში ექსკლუზიური ეთნიკური ნაციონალიზმი წაახალისა და ხელი შეუწყო იდენტობის დისკურსის რადიკალიზაციას.

---

[224]გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება,“ *საუნჯე ჯი,* http://saunje.ge/index.php?id=1495&option=com_content&lang=ru (ნანახია 06.07.2022).

[225]პავლე ინგოროყვა, „დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფოს“ დაარსების ისტორიისთვის,“ *მნათობი*, N4 (1950): 104, 122.

[226]თინათინ ბოლქვაძე, *საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი: ნ. მარი, ი. სტალინი, არნ. ჩიქობავა* (თბილისი: უნივერსალი, 2018), 252.

აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზთა ვინაობის შესახებ აზრის გამოთქმას აფხაზეთის კვლევითი ინსტიტუტი სხვა მკვლევრებსაც სთხოვდა. ნიკო ბერძენიშვილის წერილიდან (გამოქვეყნდა 1966 წელს წიგნის დანართის სახით) ვიგებთ, რომ 1950 წელს მასაც მიმართეს იგივე თხოვნით. თუმცა, ბერძენიშვილმა აირიდა აღნიშნული საკითხის გამოკვლევა, რაც დროის უქონლობით ახსნა და აღნიშნა რომ აფხაზთა წარმოშობის საკითხი ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილი არ იყო და არ არსებობდა იმის ცნობა, რომ აფხაზები უფრო შორს იდგენენ იბერ-ლაზებისგან, ვიდრე, მაგალითად სვანები ან მესხები. თუმცა, მისთვის, როგორც ისტორიკოსისთვის, ენა არ წარმოადგენდა ეთნიკურობის განმსაზღვრელ ერთადერთ ფაქტორს.[227]

„რა ენაა ის, რომელზედაც დღეს აფხაზები საუბრობენ, - ეს ენათმეცნიერის საპასუხოა. როგორია აწინდელი აფხაზების ყოფა - ეს მხარეთმცოდნისა ან კიდევ ეთნოგრაფის მოსაკითხავია, მაგრამ ვინ არის აფხაზი კულტურულ-ისტორიულად ე. ი. რომელი ხალხის (და არა ტომის) წევრია ის, რომელ კულტურულ-ისტორიულ ერთეულს ეკუთვნის ის, ამის პასუხი ისტორიკოსის ამოცანაა და ჩვენში პასუხი ამ კითხვაზე სხვა არ შეიძლება იყოს თუ არა ის რომ, აფხაზეთი კულტურულ-ისტორიულად საქართველოს ორგანული ნაწილია, რომ კულტურულ-ისტორიულად საქართველოში 'აფხაზი' იმდენადვე (და არა უფრო მეტად) არსებობდა, რამდენადაც ქართი, ჰერი, კახი, მესხი, ჯავახი, კლარჯი, შავში, ეგრი, სვანი, ზანი და სხვა.“ [228]

დასასრულ, ბერძენიშვილი იმასაც აღნიშნავდა, რომ საუკუნეების მანძილზე ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული კულტურულ-ისტორიული და კავშირები ჯერ ოსმალების შემოჭრამ დაასუსტა, ხოლო მოგვიანებით ცარისტმა აგენტ-კოლონიზატორებმა, რომელთაც არ აწყობდათ საქართველოს ეროვნული ერთიანობა.[229] ამ წერილში საყურადღებოა ორი საკითხი. პირველ რიგში, ბერძენიშვილმა აფხაზთა ტომობრივი წარმოშობის იდეას გვერდი აუარა და აფხაზები ქართველი ერის ნაწილად მიიჩნია და არა ეთნიკურ ქართველებად. ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორიკოსის

---

[227] ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 277-279.
[228]ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები,* 277-278.
[229]იქვე, 281.

არგუმენტი, ინგოროყვას თეზისისგან განსხვავებით, ერის მოდერნულ კონცეფციაში თავსდებოდა და არა პრიმორდიალურში.

ამას გარდა, 1940-იანი წლებიდან ცარისტული პოლიტიკის კრიტიკა აღარ შედიოდა საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებში, რადგან მეორე მსოფლიოს ომის პერიოდში სტალინი „ცარისტ კოლონიზატორებს“ საბჭოთა ერების გმირებსა და წინაპრებს უწოდებდა.[230] მეორე მიზეზი საკმარისია იმის ასახსნელად თუ რატომ არ გამოქვეყნდა ბერძენიშვილის წერილი 1950 წელს.

სავარაუდოა, რომ აფხაზეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისაგან მსგავსი დავალება უნდა მიეღო აფხაზ ენათმეცნიერს დიმიტრი გულიას, რომელმაც 1951 წელს გამოაქვეყნა მცირე ბროშურა „ჩემი წიგნის - ‘აფხაზეთის ისტორიის’ შესახებ“. შესავალში გულიამ განაცხადა, რომ საქართველოს ისტორიის სიღრმისეული დამუშავებისათვის, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი ცალკეული ნაწილების, განსაკუთრებით კი აფხაზეთის ისტორიის შესწავლას, ვინაიდან აფხაზეთი საქართველოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, და მონაწილეობდა ქვეყნის ეროვნული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში.[231]

ამასთანავე, გულიამ უარყო სამი დეკადის წინ გამოთქმული მოსაზრებები კოლხების აფხაზური წარმოშობისა და ამ ტომთა ჰენიოხებთან ნათესაობის შესახებ, ხოლო საკუთარ ნაშრომს აფხაზეთის „ისტორიის ფალსიფიკაცია“ უწოდა და აღნიშნა ისიც, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები სხვა ქართველურ ტომებთან ერთად საქართველოს „ორგანულ ისტორიულ-კულტურულ წრეს“ წარმოადგენდა, თუმცა ქელაიშ ბეგ შერვაშიძემ, ოსმალეთის დავალებით, აფხაზეთის საქართველოსგან მოწყვეტას შეუწყო ხელი.[232]

გულიას მიერ გამოთქმული მოსაზრება ახლოს იდგა ბერძენიშვილის ვერსიასთან, რადგან ისიც ხაზს უსვამდა ქართველთა და აფხაზთა კულტურულ-ისტორიულ სიახლოვეს. მცირე ხანში გამოჩნდა ასსრ მს მდივნის მიხეილ დელბას ბროშურა „აფხაზების ენისა და ისტორიის საკითხების შესწავლის შესახებ“, რომელიც აქ

[230]Brandenberger, „It is Imperative to Advance Russian Nationalism”, 278.

[231]Гулия, *О Моей книге*, 3.

[232]იქვე, 10-18.

დასახელებული ავტორებისგან განსხვავებით აღწერდა აფხაზთა ეთნიკური ინიდივიდუალიზმის საკითხს.

დელბა აღნიშნავდა, რომ სტალინის „გენიალურმა დოქტრინამ“ ენისა და მარქსიზმის ურთიერთკავშირის შესახებ გაათავისუფლა საბჭოთა მეცნიერები და, განსაკუთრებით, აფხაზები ნიკო მარის „იდეური ხაფანგისგან“. დელბა ამტკიცებდა, რომ აფხაზი ტომები ქართული წარმოშობისანი იყვნენ, ხოლო აფხაზეთი საქართველოს ისტორიულ ნაწილს წარმოადგენდა. 1920-იან წლებში ნიკო მარის მცდელობa - გაეთიშა აფხაზი ტომების კავშირი ქართველებისგან, ხოლო აფხაზი ენისა ქართულისგან, შეცდომა იყო, რის გამოსწორებაც აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტს დაევალა.[233]

დელბას მიერ დაწერილ ტექსტში, წინა ტექსტებისაგან განსხვავებით, ღიად იყო ნახსენები ქართულ-აფხაზური გენეტიკური ერთობის იდეა და შეიძლება ითქვას, ყველაზე უკეთ აჟღერებდა ინგოროყვას თეზისს.

1953 წელს გამოჩნდა ახალი სტატია ჟურნალში „საისტორიო მოამბე“. ამ ჩანაწერს არ ახლავს გამოცემის ზუსტი თარიღი, თუმცა შინაარსიდან გამომდინარე ჩანს, რომ იგი სტალინის სიკვდილის შემდეგ უნდა დაბეჭდილიყო. ისტორიკოსებმა გიორგი ძიძარიამ და ირაკლი ანთელავამ გამოაქვეყნეს მოსკოვისა და ლენინგრადის საისტორიო არქივებიდან ამოღებული ცნობები, რომლებიც დიმიტრი შერვაშიძის სახლის მოურავის ა. პახომოვის მიერ იყო დაწერილი 1868 წელს.[234]

მოურავმა წერილის მეორე ნაწილი აფხაზური ადგილ-მამულებისა და აფხაზური საგვარეულოების აღწერას, ხოლო პირველი ნაწილი აფხაზეთის მმართველ დინასტიაში გაჩენილ ტერიტორიულ დავებს და ქელაიშ ბეგ შერვაშიძის ჩამომავალის დიმიტრი შერვაშიძის მემკვიდრეობითი უფლებების დაცვას დაუთმო. ტექსტის მიხედვით, მე-18 საუკუნის აფხაზეთის მამულების მითვისებას ცდილობდა დადიანთა საგვარეულო, რის გამოც მათ აფხაზი ხალხი აუჯანყდა.[235]

---

[233]Делба, *К вопросу язика*, 3-10.

[234]ირაკლი ანთელავა და გიორგი ძიძარია, „მასალები აფხაზეთის სამთავროს ისტორიისთვის,“ *საისტორიო მოამბე,* N7 (1953): 229.

[235]იქვე, 233-234.

ვინაიდან ჟურნალის ფორმატი საარქივო მასალების გამოქვეყნებას გულისხმობდა, ძიძარიას და ანთელავას ტექსტის ინტერპრეტაცია არ გაუკეთებიათ, თუმცა ცხადია, რომ პახომოვის წერილი შემთხვევით არ იყო შერჩეული და ავტორთა მიზანს ავტონომიაზე აფხაზური ლეგიტიმაციის განმტკიცება წარმოადგენდა. ეს არის კვლევის შედეგად აღმოჩენილი ბოლო გამოხმაურება ინგოროყვას სტატიაზე, რის შემდეგაც ქართულ-აფხაზური ნათესაობის იდეის არტიკულირება შეჩერდა, თუმცა დროებით.

ხრუშჩოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეიცვალა ეროვნული პოლიტიკა. პოლიტიკური ინტერესების ცვლილების კონტექსტში ქართველებს ჩამოერთვათ პრივილეგიებია ავტონომიაში, ხოლო აფხაზები ეროვნული პრივილეგიებით წაახალისეს. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ამ პერიოდიდან სწორედ აფხაზებმა მოიპოვეს დომინაცია ავტონომიაში, რაც სხვადასხვა ფორმით გამოიხატა.[236] საბჭოთა ხელისუფლებამ აღიარა ეროვნულ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები აფხაზეთში და მიიღო გადაწყვეტილება აფხაზური გამოცემების აღდგენის, სამეცნიერო ინსტიტუტების გახსნის, აფხაზური ენის გაძლიერების, და აფხაზი კადრების წახალისების შესახებ.[237]

1954 წელს პავლე ინგოროყვამ გამოაქვეყნა წიგნი „გიორგი მერჩულე“, რომელიც წინა წლებში დაბეჭდილი სტატიების გავრცობილ ვერსიას წარმოადგენდა. აფხაზთა სამეფოზე საუბარი, ინგოროყვამ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულების კრიტიკით დაიწყო და აღნიშნა, რომ დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზთა სამეფოს შესახებ, ქართულ ისტორიოგრაფიაში მცდარი შეხედულება იყო გავრცელებული და აღნიშნა: „აფხაზეთის ტერიტორია იმ ეპოქაში, როდესაც დაარსდა „აფხაზთა სამეფო“, ე.ი. მე-8 საუკუნეში, დასახლებული იყო ქართველი ტომებით და ეს არა მარტო ამ დროს, მე-8 საუკუნეში, არამედ საერთოდ, მთელი ძველი ისტორიის მანძილზე, ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში. აფხაზები და აფხაზეთში მოსახლე სხვა ტომები (აფსილები, მისიმიანები, სანიხები) - ეს ისეთივე წმინდა ქართული ტომები იყვნენ, ქართული წარმოშობისა, ქართულის დიალექტზე

[236]Nino Kemoklidze, “Georgian-Abkhaz Relations in the post-Stalinist era,” *Georgia After Stalin Nationalism and Soviet Power*, edited by Timothy K. Blauvelt and Jeremy Smith (London and New York: Routledge, 2016), 135.
[237]სკპა, ფონდი, 14, არქივი 28, საქმე 226, ფურცელი -1-4, 1954.

მოლაპარაკე, როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ქართველი ტომები - ქართები, მეგრელები და სვანები.“[238]

ინგოროყვამ აღნიშნა ისიც, რომ შუა საუკუნეების აფხაზი ტომები - აბაზგები, აფსილები და მისიმიანები - მესხების, კოლხებისა და სვანებისაგან ჩამოყალიბდნენ. მე-8 საუკუნეში დასავლეთ საქართველო აფხაზეთის სახელით მოიხსენიებოდა, ხოლო მე-10 საუკუნიდან ტერმინი „აფხაზეთი“ საქართველოს სინონიმი გახდა. სწორედ ამიტომ ქართველი მეფეები საკუთარ ტიტულატურაში ატარებდნენ სახელწოდებას „მეფე აფხაზთა“ და ხშირად, აფხაზეთის, ანუ სრულიად საქართველოს, მეფეებადაც მოიხსენიებოდნენ. გარდა ამისა, ინგოროყვამ დაამტკიცა, რომ მერვე საუკუნეში აფხაზთა მეფემ, ლეონ მეორემ, ლაზიკის ქართული სამეფო კი არ დაიპყრო, არამედ გაათავისუფლა ბიზანტიის ბატონობისგან, რადგან აფხაზთა მეფეები ქართული პოლიტიკის გამტარებლები იყვნენ.[239]

საკუთარი მოსაზრებების გასამყარებლად ლიტერატურათმცოდნემ ლეონტი მროვლის თხზულებაც მოიშველია. თუმცა, წყაროში დაცული ინფორმაცია წინა კვლევისგან (1941) განსხვავებულად განმარტა: „ლეონტი მროველი მათ (აფხაზებს) ცალკე არ ასახელებს, რადგან, როგორც ირკვევა არა სთვლის მათ ქართველებისაგან გამოყოფილ ცალკე ეთნიკურ ერთეულად. ისინი მას ქართველ ტომებად მიაჩნია.“[240]

ამ არგუმენტების გარდა, მეცნიერმა „სპეციალური ექსკურსი“ შესთავაზა მკითხველს, სადაც აჩვენა, რომ 136 ტოპონიმის წარმომავლობა აფხაზეთში - მდინარეების, მთების, დასახლებული პუნქტების და სხვა სახელწოდებები - ქართული იყო. ეს მოსაზრებები ბადებდა კითხვას - ვინ იყვნენ თანამედროვე აფხაზები, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი ენა, ტრადიციები, მეხსიერება? ინგოროყვამ ამ კითხვას

---

[238]პავლე ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე: ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან* (თბილისი: საბჭოთა მწერალი, 1954), 116.

[239]ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე,* 114-117.

[240]იქვე, 131.

ლაკონურად უპასუხა და ახსენა, რომ ეთნიკური ცვლილება დასავლეთ საქართველოში, მე-17 საუკუნეში განხორციელდა.[241]

მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურათმცოდნე მკითხველს დაჰპირდა მომდევნო თავებში დაწვრილებით საუბარს ეთნიკური ცვლილებების შესახებ, წიგნში აღარაფერია ნათქვამი აფხაზთა ჩამოსახლებაზე, რაც მიანიშნებს იმას, რომ ინგოროყვამ დანაპირები არ შეასრულა, ან შესაძლოა გამომცემლობამ ეს ნაწილი ამოკვეთა. ორიგინალი ხელნაწერი არ არის შენახული არც ინგოროყვას ოჯახის არქივში, არც ლიტერატურის მუზეუმის არქივში, ამიტომ მისი წიგნთან შედარება ვერ ხერხდება და ამ საკითხზე მკაფიო აზრის გამოთქმა ძნელია.

1954 წლის თეზისით, ლიტერატურათმცოდნემ პასუხი გასცა იმ კითხვებს, რომელიც სტატიის გამოცემის დროს უპასუხოდ დატოვა - ტექსტში ნათქვამი იყო, რომ შუა საუკუნეების აფხაზები ქართულ დიალექტზე მოლაპარაკე ქართული ტომები იყვნენ, რომელთაც არ ჰქონდათ კავშირი თანამედროვე აფხაზებთან. ამ მოსაზრების დამატებამ იმდენად შეცვალა აფხაზური ეთნოგენეზის თეორია, რომ თანამედროვე ქართვლებისა და აფხაზების დაახლოების ნაცვლად, მათ დაშორებას შეუწყო ხელი.

„გიორგი მერჩულეზე“ ქართული ინტელიგენციის წევრების გამოხმაურება იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ტექსტს იწონებდა მათი ნაწილი, თუმცა ყველა არ იზიარებდა ნაშრომში გამოთქმულ თეზისებს. 1955 წელს ქართველმა აკადემიკოსმა, ლინგვისტმა გიორგი ახვლედიანმა გამოაქვეყნა რეცენზია გაზეთში „ზარია ვოსტოკა“, სადაც მაღალი შეფასება მისცა ინგოროყვას მიერ გაწეულ შრომას და გაიზიარა აფხაზური ტომებისა და აფხაზთა სამეფოს ქართული წარმოშობის იდეა. დასასრულს, ახვლედიანმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ინგოროყვას მოსაზრება მკაფიო ისტორიული არგუმენტებით იყო დადასტურებული, რაც შეუძლებელს ხდიდა ავტორთან წინააღმდეგობის გაწევას.[242]

ლიტერატურის მუზეუმში დაცული მასალები აჩვენებს, რომ რამდენიმე წლის დაგვიანებით „გიორგი მერჩულე“ ბოლშევიკური რეჟიმის მოწინააღმდეგე ქართველ

[241]იქვე, 132-137.

[242]Ахвледиани Гиорги,”Ценный труд по истории Грузинской культуры,” *Заря Востока*, N61 (1955): 3.

ემიგრანტებშიც გავრცელდა და ისინიც ცდილობდნენ ავტორისათვის ხმის მიწვდენას. არქივში დაცულია წერილების ასლები, რომლებიც ინგოროყვას საკუთარი ხელით აქვს გადაწერილი და მხოლოდ ერთ მათგანს ახლავს ავტორის - ცნობილი ქართველი ფილოსოფოსისა და მწერლის გრიგოლ რობაქიძეს სახელი.

1961 წელს რობაქიძე ჟენევიდან წერდა ინგოროყვას: „ეს წიგნი დიდი გამარჯვებაა დიდი. თავისებურება მისი, არაჩვეულებრივი. კითხულობ მას და ხედავ საქართველო იზრდება ვითარცა ცოცხალ არსი, ვრცელდება თანდათან. მკვიდრდება ნელინელ, დგინდება, მტკიცდება. წიგნი ციხე-სიმაგრედაა აღმართული, ისეთ ციხესიმაგრედ, რომელსაც ვერარა შელახავს და ვერარა აიღებს. ამას ესეც უნდა დაერთოს ამ ძლევამოსილებაში დიდი მადლიცაა.“ [243]

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში დაცული წერილი, რომელსაც სახელგანთქმული მწერლები და პოეტები - კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე აწერენ ხელს, ასევე ინგორიყვას ნაშრომის მხარდაჭერაზე მიანიშნებს. შინაარსიდან ირკვევა, რომ მათი ერთობლივი გადაწყვეტილებით პავლე ინგოროყვას კანდიდატურა აკადემიის წევრების ასარჩევ კონკურსში წარადგინეს.

ამავე წერილში აკადემიკოსები საუბრობენ ინგოროყვას ღვაწლზე ქართული საისტორიო მეცნიერებაში და „გიორგი მერჩულეს“ დიდ აღმოჩენას უწოდებენ: „ამ კაპიტალურ ნაშრომში განხილულია მთელი რიგი საკვანძო საკითხებისა, განსაკუთრებით დასავლეთი და სამხრეთი საქართველოს ისტორიული წარსულიდან. დასავლეთი საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის საკითხი, აფხაზთა სამეფოს ხასიათი და რაობა, სამხრეთ საქართველოს პროვინციათა თავგადასავალი და სხვა. მთელ რიგ საკითხებში, რომლებიც აქ განხილული აქვს პ. ინგოროყვას, იგი გვაძლევს სახელმძღვანელო დებულებებს ზოგიერთი გავრცელებული მცდარი შეხედულებების

[243]სლმა, პავლე ინგოროყვას ფონდი, №28115-28, 1961.

შესასწორებლად. ეს შრომა ახალ საფეხურს წარმოადგენს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში.“[244]

თუმცა, წერილის ავტორთა შეხედულება აკადემიის სხვა წევრებმა არ გაიზიარეს, რის გამოც ინგოროყვას კანდიდატურა შესარჩევი კონკურსიდან მოიხსნა და ავტორს აკადემიკოსად არჩევაზე უარი ეცნობა.[245]

ეს ფაქტი მიუთეთებს იმაზე, რომ პოსტ-სტალინურ პერიოდში ქართული ელიტის ნაწილში არსებობდა ეთნო-ნაციონალური წარმოსახვა წარსულთან დაკავშირებით, თუმცა იგი არ იყო გაზიარებული საყოველთაოდ და მას არ ემხრობოდა სრულიად ინტელიგენცია.

ამ ფაქტის გათვალისწინებით, ინგოროყვას ნაშრომს ვერ დავარქმევთ ქართულ ეროვნული იდენტობის კონცეფციას. როგორც შესავალ ნაწილში ვაჩვენეთ ეროვნული პროექტი ყალიბდება ერის წევრებში საერთო წარმოსახვითი სივრცის შექმნით, რომელშიც წარსული ერთგვარადაა ინტერპრეტირებული და აღქმული. ამასთანავე, ვითარდება კუთვნილების შეგრძნება გაზიარებულ წარსულთან და ის ხდება სამომავლო ორიენტაციის განსაზღვრის წყაროც.

თუმცა, ინგოროყვას ნაშრომი და მისი მხარდაჭერა ზოგიერთი ქართველის მხრიდან, საერთო ეროვნულ პროექტზე საუბრის შესაძლებლობას გამორიცხავს. მიუხედავად ამისა, ეს ნაშრომი აფხაზებმა საერთო ქართულ ეროვნულ პროექტად მიიჩნიეს და ეროვნულ პროექტზე თავდასხმად აღიქვეს. ამგვარი აღქმა დიდი რისკს ქმნიდა ინტერეთნიკური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის. განსაკუთრებით, სახარბიელო პირობები დე-სტალინიზაციის პერიოდში გაჩნდა.

---

[244]საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივი, ფონდი 1, აღწერა 1532, საქმე 126, ფურცელი 1-31, 1955.

[245]გურამ ასათიანი, *თანამდევი სულები, ტომი III* (თბილისი: ნეოსტუდია, 2002), 182.

თავი 3. დებატები წარსულზე: კონფლიქტური ნარატივებისა და იდენტობების შექმნა

3.1. აფხაზთა გამოხმაურება ინგოროყვას ნაშრომზე

ინგოროყვას ნაშრომმა ნეგატიური გამოხმაურება გამოიწვია საბჭოთა აფხაზეთში. ადგილობრივები „გიორგი მერჩულეს“ შექმნას სტალინის სახელს უკავშირებდნენ და მიიჩნევდნენ, რომ თეორია აფხაზთა დეპორტაციის მიზნით იყო დაწერილი.[246] ეს წარმოდგენა დაკავშირებული იყო დეპორტაციების ადრეულ მაგალითებთან, რომლებიც კავკასიაში ეთნოგენეტიკური მითების გამოჩენას ახლდა თან. ასეთი შემთხვევები კი არცთუ იშვიათი იყო.

პროტესტის მასობრივად გამოვლენას ხელი შეუწყო ქართული ელიტის ზოგი წევრის მიერ ინგოროყვას მხარდაჭერამ. ამასთანავე, დესტალინიზაციის ტალღის გაძლიერებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა დაგროვილი უკმაყოფილების გამოთქმისთვის. ამ პერიოდიდან დაიწყო სტალინური ელიტის მიერ საბჭოთა ეროვნულ პოლიტიკაში დაშვებული „შეცდომების მხილება“. აფხაზეთის კომუნისტური პარტიისა და ინტილიგენციის წევრები ღიად საუბრობდნენ აფხაზეთში ეროვნული პოლიტიკის დამახინჯებაზე. ზოგი მათგანი საკუთარ თანამონაწილეობაზე მიუთითებდა და პატიებას ითხოვდა.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ დელბამ 1953 წელს აფხაზეთის ობკომს წერილობით მიმართა და პატიება ითხოვა აფხაზური სკოლების რეორგანიზაციის და აფხაზური ენის ქართულ დამწერლობაზე გადაყვანის საკითხში მისი მონაწილეობის გამო. ამავე წერილში დელბა შეეხო 1951 წელს გამოცემულ ბროშურას „აფხაზთა ენისა და ისტორიის შესახებ“, რომელშიც იგი იზიარებდა აფხაზთა ქართული წარმოშობის იდეას და აფხაზური ენის ქართულთან ნათესაობის იდეას, და აღნიშნა: „მე წამოვაყენე არასწორი შეხედულებები იმის თაობაზე, რომ აფხაზები არ წარმოადგენენ ეთნიკურად თვითმყოფად ერთეულს. რაც რეალურად იმას აღნიშნავდა,

[246]Марыхуба, *Абхазия в Советскую Эпоху,* 52.

რომ ისინი არ წარმოადგენენ ერს. ცალკეული გამონათქვამებისა და განსჯების საფუძველზე არასწორი დასკვნები გამოვიტანე. ამ მდგომარეობამ ობიექტურად მიგვიყვანა აფხაზური ენის თვითმყოფადობის უარყოფამდე და ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური აფხაზური კულტურის განვითარების საკითხში მისი შესაძლებლობების დაუფასებლობამდე."[247]

ერთი წლის შემდეგ აფხაზმა ლინგვისტმა დიმიტრი გულიამაც მოინანია აფხაზეთის ისტორიის შესახებ მცდარი მოსაზრებების გავრცელება და კომუნისტურ პარტიას წერილობით მიმართა საჯარო მიმოქცევიდან 1951 წელს მისი ავტორობით გამოქვეყნებული ბროშურის „ჩემი წიგნის აფხაზეთის ისტორის შესახებ", საჯარო მოხმარებიდან ამოღებასთან დაკავშირებით. გულიას მოსაზრებით, ეს ნაშრომი არასწორად აშუქებდა აფხაზეთის ისტორიის საკითხებს. საქართველოს სსრ კპ ცკ(ბ) 1954 წელს დააკმაყოფილა ენათმეცნიერი თხოვნა და წიგნის საჯარო გავრცელებიდან ამოღების გადაწყვეტილება მიიღო.[248]

„მონანიების" მასობრივმა ხასიათმა, ხელი შეუწყო აფხაზებში კოლექტიური ვიქტიმიზაციის გამყარებას და სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო ჩამოყალიბება ახალმა ნარატივმა, თითქოს საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა აფხაზეთში განსხვავებულად გამოვლინდა და საბჭოთა ხელისუფლება აფხაზების მიზანმიმართულ დისკრიმინაციას ეწეოდა.

ამას გარდა, აფხაზების წარმოდგენაში კი სტალინი და ბერია, მათი ქართული წარმომავლობის გამო, ქართველ ნაციონალისტების ხატად ჩამოყალიბდნენ, რომლებიც ეროვნულ ნიადაგზე აფხაზებს ავიწროვებდნენ. ამ ნარატივიდან გამორჩენილი იყო საქართველოს მოსახლეობა, რომელსაც ინგოროყვას ნაშრომი დესტალინზაციის პერიოდში ეროვნული პროქტის გამოხატულებად არ მიუღია.

გამარტივებულმა წარმოდგენამ გამოიწვია დიდი გამოხმაურება აფხაზეთში და აფხაზებმა საკუთარი ეროვნული პროექტის დაცვა ჯერ საჩივრის წერილებით, შემდეგ კი საისტორიო ნაშრომებით დაიწყეს.

---

[247]იქვე, 96.

[248]სკპა, ფონდი 14, აღწერა 28, საქმე 334, ფურცელი 1-187.

სავარაუდოა, რომ აფხაზებში წარმოშობილი პროტესტის საპასუხოდ დაიწყო საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ გამოხმაურება ინგოროყვას ნაშრომზე. პირველი ოფიციალური პოზიცია პარტიამ 1955 წელს გამოხატა ქართველი ელიტის სახელოვანი წევრის, ენათმეცნიერ გიორგი ახვლედიანის მიერ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 1955 წლის ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ რეცენზიასთან დაკავშირებით. ახვლედიანის ტექსტი გამოქვეყნებიდან ორი თვის შემდეგ, სსრ კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განიხილეს. საქართველოს კომუნისტურ პარტიისთვის ახვლედიანის შეხედულებები მიუღებელი რომ ყოფილიყო, რეცენზიის გამოქვეყნებას მყისიერი რეაგირება მოჰყვებოდა.

ეს გარემოება აჩენს ეჭვს, რომ პარტიის წევრებს საკუთარი პოზიციის გამოხატვისკენ აფხაზურმა საჩივრებმა უბიძგა. ამ სხდომაზე ცკ ბიურომ დაასკვნა, რომ ენათმეცნიერმა ნაჩქარევად გამოთქვა მოსაზრებები ინგოროყვას მიერ წამოწეულ „პრობლემურ საკითხებთან“ დაკავშირებით. საყვედური მიიღო გაზეთის რედაქციამაც, იმის გამო, რომ “არაპროფესიონალ ისტორიკოსს” დართო ნება რეცენზიის გამოქვეყნებისთვის. აღინიშნა ისიც, რომ კომუნისტური პარტია სამეცნიერო საზოგადოების დასკვნას ელოდებოდა და წიგნის მხარდაჭერისგან თავს იკავებდა.[249]

ქართველმა ისტორიკოსებმა ინგოროყვას ნაშრომის შესახებ სამეცნიერო დასკვნა 1956 წელს წარმოადგინეს. მასში დადებითად იყო შეფასებული ლიტერატურათმცოდნის წვლილი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში, თუმცა ავტორები აღნიშნავდნენ, რომ ტექსტი შეიცავდა ხარვეზებსაც აფხაზეთის ისტორიასთან მიმართებით, რის შესახებაც მათ დაწვრილებით არ უსაუბრიათ.[250] საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრებისთვის ისტორიკოსთა შეფასება საკმარისი არ აღმოჩნდა გადაწყვეტილების მისაღებად. მათ ნაშრომი არც აუკრძალავთ და არც მისი დაცვა დაუწყიათ. დესტალინიზაციის გაძლიერებასთან ერთად კი აფხაზური პროტესტი ძლიერდებოდა და დილემის სწრაფი გადაჭრა იყო საჭირო.

---

[249]სკპა, ფონდი 14, აღწერა 30, საქმე 118, ფურცელი 1-7.

[250]როსტომ ჩხეიძე, *პავლიანური რკალი. ორი თარიღი: პიროვნებისაც და წიგნისაც* (თბილისი: ჩვენი მწერლობა, 2015), 300.

ცხადი იყო, რომ ინგოროყვას ნაშრომი კონკურენციას 1946 წლის მარქსისტულ-ლენინისტურ სახელმძღვანელოს უწევდა, რომელიც საბჭოთა საქართველოში ეროვნული ისტორიის მასტერნარატივსაც წარმოადგენდა. ქართული ინტელიგენციის წევრებში არ არსებობდა შეთანხმება ოფიციალური ისტორიული ნარატივის ინგოროყვას თეორიის ჩანაცვლების შესახებ. საქართველოს კომუნისტურ პარტიას ამ დილემის გადაწყვეტა დამოუკიდებლად არ სურდა, რის გამოც 1956 წლის 5 ივლისს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტს საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს პირველი ტომის მაკეტის გადაგზავნა დაავალა პარტიული ორგანიზაციებისთვის, სამეცნიერო დაწესებულებებისა და საქართველოს ისტორიის სპეციალისტებისთვის საჯარო განხილვის მოსაწყობად.[251]

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ისტორიული ნარატივის შექმნა და მის გავრცელებაზე თანხმობის მიცემა პოლიტიკურ საკითხს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში, სტალინიზმის ეპოქისგან განსხვავებით აღარ არსებობდა ისტორიის წერის მკაფიო სტანდარტი,[252] ხოლო ისტორიკოსებს მეტი თავისუფლება ჰქონდათ ეწერათ წარსულზე, საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლება კვლავ ერთგული რჩებოდა ძველი პრინციპის და ხაზს უსვამდა იმას, რომ ისტორია პარტიული მეცნიერება იყო. შესაბამისად, ისტორიკოსების მოვალოებას სახელმწიფოს სამსახურში ყოფნა წარმოადგენდა და არა მეცნიერების.[253]

გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1956 წლიდან „გიორგი მერჩულეს“ წინააღმდეგ პროტესტი გაძლიერდა აფხაზეთში, რასაც ხელი შეუწყო სტალინის კულტის ოფიციალურმა კრიტიკამ. როგორც აფხაზი ისტორიკოსი იგორ მარიხუბა აჩვენებს, ლინგვისტი დიმიტრი გულია, ისტორიკოსები ბაჯურ საგარია და გრიგორი ლეჟავა, აფხაზური ობკომის თავმჯდომარე ივანე თარბა და საუბრობენ აფხაზეთში გატარებულ ეროვნული პოლიტიკაზე, რაც მათი აზრით, აფხაზთა დისკრიმინაციას ემსახურებოდ.[254]

---

[251]სკპა, ფონდი 14, აღწერა 31, საქმე 170, ფურცელი 1.

[252]Heer, *Politics and History,* 15.

[253]იქვე.

[254]Марыхуба, *Абхазия в Советскую Эпоху,* 114-118.

ამ ვითარებაში გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს მაკეტის განხილვას აფხაზეთში დიდი კრიტიკა მოჰყვა.

უფრო მეტიც, ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს მაკეტის გავრცელების შემდეგ, აფხაზეთის კომუნისტური პარტიის წევრები საჯაროდ აკრიტიკებდნენ ქართული კულტურული ელიტის და კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს. ყურადღებას იმსახურებს აფხაზური ობკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების თავმჯდომარის ასლან ოტირბას განცხადება. აფხაზეთის კომუნისტური პარტიის კონგრესზე მან საჯაროდ გააკრიტიკა აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი პავლე ინგოროყვას მხარდაჭერისთვის და ქართველი ისტორიკოსები, რომლებიც ახალ სასკოლო სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ. ოტირბას განცხადებით, ახალი სახელმძღვანელო იზიარებდა პავლე ინგოროყვას „ავადმყოფურ ფანტაზიებს“ და პროგრამაში არაფერი იყო ნათქვამი აფხაზებზე, როგორც დამოუკიდებელ ეთნოსზე მე-17 საუკუნემდე.[255]

შექმნილი ვითარების განსამუხტად, 1956 წელს ჟურნალში „მნათობი“ გაიმართა საჯარო დისკუსია პავლე ინგოროყვას ნაშრომთან “გიორგი მერჩულე“ დაკავშირებით. მასში მონაწილეობა ხუთმა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა მიიღო. პირველი ორი სტატია, რომელიც 1956 წელს ჟურნალის მეთორმეტე ნომერში გამოქვეყნდა. ხოლო, 1957 წელს დაბეჭდილი სტატიები წარმოადგენდა პასუხს ინგოროყვას თეორიის კრიტიკოსთა ტექსტებზე და ირეკლავდა ქართული ელიტის პოზიციას ეროვნული იდენტობის ფორმირების საკითხზე.

დისკუსია ისტორიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა გახსნა სტატიით „პავლე ინგოროყვას წიგნის ‘გიორგი მერჩულეს’ გამო“. ბერძენიშვილმა ხაზი გაუსვა იმას, ინგოროყვა მუშაობის პროცესში დაშორდა საკვლევ ობიექტს და ისეთ საკითხები მიმოიხილა, რაც ნაშრომით გათვალისწინებული არ იყო. თუმცა, სცადა კრიტიკის ტონი შეემსუბუქებინა და აღნიშნა, რომ უმადურება იქნებოდა: „ანგარიში არ გაგვეწია მკვლევარის მდგომარეობისთვის, როცა მის წინაშე, ამა თუ იმ ცნობის შესახებ ძეგლში რომ არის დაცული, არსებობს სამეცნიერო ლიტერატურა, ხშირად მცდარი და, რაც

[255]იქვე, 125.

კიდევ უარესია, ტენდენციური. ასეთ პირობებში ძნელია თავის შეკავება და ჩვენი მკვლევარიც, ბუნებრივია, ცდილობს საკითხი სისრულით შეისწავლოს.“ [256]

ისტორიკოსის კრიტიკა უმეტესწილად, ისტორიული ფაქტების მცდარ გამოყენებას და ნაშრომის არამარქსისტულ სტილს ეხებოდა: „ფეოდალური ურთიერთობების გამარჯვებით ახალი ურთიერთობა იწყება: ტომების დაშლა და ფეოდალური ხალხის წარმოქმნის ხანა იწყება. ამას უნდა მიქცეოდა მთავარი ყურადღება, ეს უნდა დაენახა გამომცემელს პირველ რიგში. აი, ამ ასპექტში უნდა განეხილა ამხანაგ პავლეს ის კლასიკური ფორმულაც ქართლის განმარტებისა“ - წერდა ბერძენიშვილი.[257]

მნათობის ამავე ნომერში გამოქვეყნდა ლინგვისტ ქეთევან ლომთათიძის სტატია „აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ“. ლომთათიძემ ინგოროყვას ნაშრომში დასაწყისიდანვე გამოყო აფხაზთა იდენტობის საკითხი და პავლე ინგოროყვა რამდენიმე არგუმენტის მოშველიებით გააკრიტიკა. პირველ რიგში, ლომთათიძემ სცადა იმის დასაბუთება, რომ „გიორგი მერჩულეში“ გამოყენებული წყაროები ფაქტობრივ უზუსტობას შეიცავდა, ხოლო ინგოროყვა არასწორ ინტერპრეტაციას აძლევდა მათ. გარდა ამისა, ლომთათიძე აღნიშნავდა, რომ ლიტერატურათმცოდნემ „უპატიებელი“ შეცდომა დაუშვა, რადგან გამოტოვა ისტორიული ქრონიკების მონაცემები და არასწორად გააანალიზა აფხაზეთში არსებული გეოგრაფიული დასახელებების წარმოშობა.[258]

დამატებით, ლომთათიძე ასაბუთებდა, რომ აფხაზეთის სამეფო იყო ქართული სამეფო და ყველა სერიოზული მკვლევარი იზიარებდა ამ აზრს. მაგრამ, აღნიშნავდა შემდგომ: „ეს როდის გულისხმობს იმას, რომ ამ ქართულ სახელმწიფოებრივ ერთეულში არ შედიოდნენ და არ მონაწილეობდნენ აფხაზები (აფხაზურ ენაზე მეყველი ტომებიც) ისევე როგორც, მეგრელ-ჭანები და სვანები“. [259]

---

[256]ნიკოლოზ ბერძენიშვილი, „პავლე ინგოროყვას წიგნის ‘გიორგი მერჩულეს’ გამო”, *ჟურნალი მნათობი*, N12 (1956), 125.

[257]იქვე, 128.

[258]ქეთევან ლომთათიძე, “აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ,“ 132-133.

[259]იქვე, 132.

გარდა ამისა, ლომთათიძემ ინგოროყვას ლინგვისტური კვლევიდან შეარჩია რამდენიმე ტოპონიმი და მათი გაანალიზების საფუძველზე განაცხადა, რომ აფხაზეთში არსებული ბევრი სახელწოდების წარმოშობა ქართული იყო თუმცა ეს არ იძლეოდა იმის მტკიცების საბაბს, რომ აფხაზები ქართველი ტომები ივყნენ და საქართველოში მხოლოდ მე-17 საუკუნეში გამოჩდნენ.[260]

ბერძენიშვილისა და ლომთათიძის კრიტიკიდან ჩანდა, რომ ეს ავტორები არ ეთანხმებოდნენ ინგოროყვას თეორიას და ცდილობდნენ ეჩვენებინათ ქართველთა და აფხაზთა კულტურულ-ისტორიული სიახლოვე, ნაცვლად ტომობრივისა. შესაბამისად ისინი, მოდერნული პარადიგმიდან განიხილავდნენ ქართველი ერის წარმოშობას და ლიტერატურათმცოდნეს ისტორიული ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციას საყვედურობდნენ. ამ წერილების საპასუხოდ გმოქვეყნდა სამი ქართველი მეცნიერის სტატია.

1957 წელს აკადემიკოს გიორგი ახვლედიანმა სტატიის „აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის“ შესავალშივე აღნიშნა, რომ ტოპონიმიკის შესწავლა ერთ-ერთ სამეცნიერო მეთოდს წარმოადგენდა ამა თუ იმ ტერიტორიაზე დასახლებული ხალხების ისტორიის შესასწავლად, რითაც ლეგიტიმურობა მიანიჭა პავლე ინგოროყვას ტოპონიმთა კვლევას და დაამატა, რომ იგი ეთანხმებოდა ლიტერატურათმცოდნეს სახელწოდებათა დიდი ნაწილის ეტიმოლოგიურ წარმოშობასთან დაკავშირებით. ამასთანავე, გიორგი ახვლედიანმა გააკრიტიკა პროფესორი ლომთათიძე, რამდენიმე არგუმენტის გამოყენებით. იგი თვლიდა, რომ ლომთათიძე ლინგვისტური ანალიზისას გვერდს უვლიდა „ქართულ-ქართველურ ენათა სამყაროს“ და თურქულ-ჩერქეზიული ენებით ცდილობდა სახელწოდებათა ახსნას.[261]

გარდა ამისა, ახვლედიანი აღნიშნავდა, რომ „გიორგი მერჩულეში“ განხილული 136 ტოპონიმიდან, ლომთათიძემ მხოლოდ რამდენიმე მათგანი გაანალიზა და ამ გზით სცადა ინგოროყვას მოსაზრებების გაბათილება. აკადემიკოსს არასწორად მიაჩნდა

---

[260]იქვე, 138-139.

[261]გიორგი ახვლედიანი, “აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისთვის,” 107-110.

ლინგვისტის ტონიც, რადგან იგი „შეუფერებლად“ იხსენიებდა გამოჩენილი მეცნიერის - პავლე ინგოროყვას სახელს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ახვლედიანის კრიტიკაში ჩანს შემდეგი ციტატა: „ამ არცთუ ისე დიდი მოცულობის რეცენზიაში ექვსჯერ მაინცაა განმეორებული აფხაზების მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლების ამბავი. ამას რომ მართლაც ამბობდეს პავლე ინგოროყვა, იმ შემთხვევაშიაც კი არ იყო საჭირო მისი ასე დაჟინებით განმეორება. მაგრამ პავლე ინგოროყვას აზრი აშკარად არასწორად აქვს გადმოცემული პროფესორ ქ. ლომთათიძეს, ვინაიდან მე-17 ს. მეორე ნახევრის ამბები ეხება მხოლოდ ერთ ნაწილს, ხოლო აფსუა ჯიქების ტომთა ჩამოსახლება იწყება, ავტორის აზრით, ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან, ამის შესახებ იტყვიან ალბათ ისტორიკოსებიც.“[262]

ტექსტიდან ჩანდა, რომ ავტორი ლიტერატურათმცოდნეს მოსაზრებებს ნაწილობრივ იზიარებდა, მაგრამ უფრო ინგოროყვას დაცვას ცდილობდა, ვიდრე მისი თეორიის. საყურადღებოა ისიც, რომ ახვლედიანის არგუმენტი არ მოიაზრებდა ქართველთა და აფხაზთა ტომობრივ ნათესაობას და კრიტიკის ავტორთა მსგავსად ერის მოდერნული კონცეფციიდან ამოდიოდა.

პავლე ინგოროყვას მხარდაჭერის მიზნით დაბეჭდა ისტორიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა სტატია „გიორგი მერჩულეს გარშემო“. ახვლედიანისაგან განსხვავებით მან უფრო მკაფიოდ გამოხატა საკუთარი პოზიცია „გიორგი მერჩულეს“ თეზისებთან დაკავშირებით და შესავალშივე აღნიშნა: „არ არის დიდი გონებამახვილობა საჭირო იმისათვის, რომ პირველივე წაკითხვისთანავე იგრძნო ადამიანმა „გიორგი მერჩულის“ ყოველი გვერდიდან მომდინარე ნათელი აზრი. გაშუქებული ქართულ, ბერძნულ და სხვა ენებზე არსებული წყაროების მიხედვით [...] აზრი დამყარებული იმ მთავარ ამოსავალ დებულებაზე, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა იქმნებოდა და მტკიცდებოდა ქართულ ტომთა ერთსულოვანი შემოქმედებითი მუშაობის წყალობით, იმ ქართველ ტომთა, რომლებმაც მთელ რიგ საუკუნეთა ქარტეხილში გამოატარეს ეს სახელმწიფოებრიობა და მოიტანეს ჩვენ დრომდე.“[263]

---

[262]იქვე, 107.

[263]სიმონ ყაუხჩიშვილი, „გიორგი მერჩულეს გარშემო,“ *მნათობი,* N 2 (1957): 116.

შესავალი დებულების გასამყარებლად და საქართველოს ისტორიოგრაფიაში „გიორგი მერჩულეს“ მნიშვნელობის გამოსაკვეთად ყაუხჩიშვილმა აღნიშნა, რომ ინგოროყვას კვლევაში, ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით გაანალიზებული იყო საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის საკვანძო საკითხები და ავტორმა, მართებული ანალიზით შეძლო დაედასტურებინა აფხაზთა სამეფოს შესახებ საქართველოს ისტორიაში გაბატონებული შეხედულების მცდარობა.[264]

ყაუხჩიშვილმა მხარი დაუჭირა ინგოროყვას მოსაზრებას აფხაზთა მეფის ლეონ II-ის შესახებ და განმარტა, რომ მე-8 საუკუნეში ლეონმა დასავლეთ საქართველო კი არ დაიპყრო, არამედ გაანთავისუფლა ბიზანტიელთა ბატონობისგან. რის შედეგადაც აფხაზეთი დასავლეთ საქართველოს აღსანიშნად გამოიყენებოდა, ხოლო საქართველოს გაერთიანების შემდეგ ტერმინი „აფხაზი“ აღნიშნავდა ქართველს. გარდა ამისა მას მართებულად მიაჩნდა ინგოროყვას შეხედულება აფხაზი ტომების ქართულ წარმოშობასთან დაკავშირებით და იზიარებდა იმასა, რომ აფხაზების მხარდაჭერა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში და აფხაზეთში არსებული ტოპონიმიკა კმაროდა აფხაზთა ვინაობის დასადასტურებლად.[265] ყაუხჩიშვილი ღიად უჭერდა მხარს ინგოროყვას მოსაზრებებს და ეთანხმებოდა მის თეზისებს შუა საუკუნების აფხაზთა ქართული წარმოშობისა და თანამედროვე აფხაზთა ახალმოსულობის შესახებ.

ინგოროყვას კიდევ ერთი მხარდამჭერი იყო აღმოსავლეთმცოდნე დავით კობიძე. სტატიაში „ტერმინი „აბხაზის“ მნიშვნელობა სპარსული წყაროების მიხედვით“, კობიძემ „გიორგი მერჩულეს“ დადებითი შეფასება მისცა და აღნიშნა რომ წიგნი „დიდ მოვლენას“ წარმოადგენდა ქართული მეცნიერების განვითარებისთვის. პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, კობიძემ ინგოროყვას თეზისების მხარდასაჭერად ტერმინის მნიშვნელობა გაარჩია და დაასაბუთა, რომ სპარსული წყაროები შავ ზღვას „ქართველთა ზღვად“ მოიხსენიებდნენ. ავტორის აზრით, ამ ტერმინის დამკვიდრება გამოწვეული იყო შავი ზღვის სანაპიროზე ქართული დასახლებების არსებობით. „რატომ არ უწოდეს მას „აფხაზთა ზღვა“? იმიტომ რომ ტერმინი აბხაზი სინონიმია ტერმინისა

[264]ყაუხჩიშვილი, „გიორგი მერჩულეს გარშემო,“ 116-117.
[265]იქვე, 121-124.

ქართველი“ და „ბიზანტიის იმპერიის ბატონობის გადაგდების ხანაში აღმოცენებული აფხაზთა სამეფო, როგორც ამას პავლე ინგოროყვა ამტკიცებს, მოსახლეობით, შინაარსითა და ფორმით ქართულ სახელმწიფოს წარმოადგენდა.“[266] ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით კობიძემ აღნიშნა, რომ პავლე ინგოროყვას შრომა მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენა იყო და ცვლიდა ქართველ ისტორიკოსთა შორის გაბატონებულ შეხედულებებს აფხაზეთის სამეფოს შესახებ.

კობიძის სტატიით ჟურნალში „მნათობი“ დაწყებული დისკუსია დასრულდა და ნათლად გამოჩნდა, რომ პავლე ინგოროყვას თეზისებს ჰყავდა მომხრეებიც და მოწინაღმდეგეებიც. ეს ფაქტი, არასასურველი აღმოჩნდა კომუნისტური პარტიისთვის, რომელსაც დისკუსიით აფხაზებში დაწყებული პროტესტის შეწყვეტა სურდა. თუმცა, სიტუაცია საპირისპიროდ შემობრუნდა, დისკუსიამ დებატების სახე მიიღო და კიდევ უფრო გაამწვავა დავა ისტორიაზე.

ახვლედიანის, კობიძისა და ყაუხჩიშვილის სტატიებმა აფხაზეთში ძლიერი პროტესტი და შეშფოთება გამოიწვია. მომრავლდა საჩივრის წერილები და ტელეგრამები მაღალი ჩინის მქონე პარტიის მუშაკებისადმი, გაიმართა აფხაზ მუშათა ყრილობა, აფხაზი არტისტების ნაწილმა უარი განაცხადა თბილისში დაგეგმილ კულტურულ ღონისძიებაში მონაწილეობაზე, რომელიც აფხაზურ ლიტერატურას და ხელოვნებას ეძღვნებოდა. საინტერესო იყო ისიც, რომ ისინი აფხაზეთის ავტონომიის საქართველოდან გამოყოფას ითხოვდნენ.[267]

აფხაზეთში შექმნილი ვითარება არასახარბიელო იყო ხრუშჩოვის ხელისუფლებისთვის, რამდენადაც 1956 წლის მარტის დემონსტრაციიდან, რომელიც სტალინის კულტის კრიტიკის საპასუხოდ წარმოიშვა საბჭოთა საქართველოში და მსხვერპლით დასრულდა, დიდი დრო არ იყო გასული. ამიტომ, მოსალოდნელი იყო, რომ აფხაზთა საჩივრების დაკმაყოფილება ქართველებში ეროვნულ წინააღმდეგობას გააძლიერებდა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საბჭოთა ხელისუფლებას

---

[266]დავით კობიძე, „ტერმინ ‘აბხაზის’ მნიშვნელობა სპარსული წყაროების მიხედვით,“ *მნათობი*, N 2 (1957): 128.

[267]Сагария, et. al., *Абхазия: Документы*, 559.

ავტონომიის გამოყოფის საკითხი არ განუხილავს, თუმცა იგი დაუპირსპირდა ინგოროყვას ნაშრომს და „გიორგი მერჩულე“ აკრძალულ წიგნად გამოაცხადა.[268]

აფხაზური პროტესტის გამო, საქართველოს სსრ კპ ცკ ბიურომ იმსჯელა 1957 წლის 12 აპრილს ჟურნალში „მნათობი“ განხილულ დებატებზე. სხდომაზე აღინიშნა, რომ პავლე ინგოროყვას ნაშრომის განხილვამ მცდარი კურსი მიიღო, ნაცვლად ნაწარმოების სრულად გაშუქებისა ავტორები კონცენტრირდნენ მხოლოდ აფხაზი ერის არასწორად გაშუქებულ ისტორიაზე, რაშიც დამნაშავეებად შეირაცხნენ როგორ ჟურნალის გამომცემლობა, ასევე დებატებში მონაწილე მეცნიერთა ნაწილი.[269]

ოქმში ნათქვამი იყო ისიც, რომ დაშვებული შეცდომების გამოსწორების ნაცვლად, ჟურნალმა ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა ახვლედიანის, ყაუხჩიშვილისა და კობიძის სტატიების გამოქვეყნებით, რომლებიც მხარს უჭერდნენ პავლე ინგოროყვას კონცეფციას. ჟურნალის რედაქტორ სიმონ ჩიქოვანს, კომუნისტური პარტიის კულტურის, განათლებისა და მეცნიერების განყოფილების თავმჯდომარე მიხეილ კვესელავას და ცენტრალური კომიტეტის მდივანს იდეოლოგიის დარგში დავით მჭედლიშვილს გამოუცხადეს შენიშვნა. შეცდომების გამოსწორების მიზნით გადაწყდა, რომ უნდა წაეხალისებინათ აფხაზების ეროვნული კულტურა - დაებრუნებინათ ძველი ტოპონიმიკა, დაეარსებინათ რადიოსადგური და პედაგოგიური ინსტიტუტი.[270]

დებატების შედეგებით და საქართველოს კომუნისტური პარტიის რეაგირებით, აფხაზეთის კომუნისტური პარტიის წევრები არ იყვნენ კმაყოფილნი. ამის გამო, ადგილობრივმა ელიტამ, 1957 წლის 19 აპრილს, ნიკიტა ხრუშჩოვის სახელზე წერილი გაგზავნა. აფხაზეთის ასსრ მს თავმჯდომარე არხიპ ლაბახუა და საქართველოს სსრ ცკ აფხაზური ობკომის მდივანი ივანე თარბა საბჭოთა კავშირის კპ ცკ მდივანს აუწყებდნენ, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია არ იღებდა საჭირო ზომებს აფხაზების მიმართ ეროვნული ჩაგვრის შესაჩერებლად. აფხაზები იწონებდნენ იმ ფაქტს, რომ პარტიამ ჟურნალში „მნათობი“ გამართულ დებატებს „მცდარი და მავნებლური“ უწოდა და სწორი შეფასება მისცა პავლე ინგოროყვას კონცეფციას, თუმცა აღნიშნავდნენ, რომ

[268]ნანა გულუა, *აფხაზეთი*, 170; სონღულაშვილი, *აფხაზი თუ აფსუა?* 11.

[269]სკპა, ფონდი 14, აღწერა 32, საქმე 49, ფურცელი 1-13.

[270]იქვე.

პარტიის წევრებს არ ეყოთ გამბედაობა გადაედგათ ქმედითი ნაბიჯები და „გამოეჯანსაღებინათ“ საქართველოს სსრ იდეოლოგიური ფრონტის ხელმძღვანელობა. წერილის ავტორები აზუსტებდნენ, რომ მჭედლიშვილი და საქართველოს კპ ცკ სამსახურების სხვა ხელმძღვანელი პირები მენშევიკური იდეოლოგიის მქონე ინტილიგენციას უჭერდნენ მხარს და ახალისებდნენ მოძმე აფხაზი ერის წინააღმდეგ მიმართულ დიკსრიმინაციას.[271]

ამ წერილიდან ჩანს, რომ აფხაზური ელიტა ეწინააღმდეგებოდა ინგოროყვას თეორიას, რომელიც ქართველთა ეროვნული იდენტობის კონცეფციად და აფხაზთა ეროვნული პროექტის წინაშე არსებულ საფრთხედ მიაჩნდა. ეს მოსაზრება გადიოდა მშვიდობიანი ურთიერთობების ჩარჩოდან და ზრდიდა კონფლიქტის ალბათობას. ამ პროცესზე ნეგატიურად აისახებოდა ისიც, რომ აფხაზები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავტონომიის საქართველოსგან გამოყოფას ითხოვდნენ. ტერიტორია ქართველთა ეროვნული იდენტობის მთავარი საყრდენი იყო და მისი დაკარგვის საფრთხე, ასევე ააქტიურებდა შიშს ქართველებში. მოვლენები შემდგომ პერიოდებშიც ჯაჭვური რეაქციის სახით მისდევდა ერთმანეთს და ამცირებდა შეთანხმების შესაძლებლობას ეროვნულ საკითხზე.

3.2. ახალი ისტორიული ნარატივები

ჟურნალში „მნათობი“ გამართული დებატების შემდეგ, ინგოროყვას თეორია აკრძალული ტექსტი გახდა. როგორც უკვე ვნახეთ, კომუნისტური პარტია მას არათუ ემიჯნებოდა, არამედ „არასწორად გაშუქებულ ისტორიას“ უწოდებდა, ხოლო ინგოროყვას მხარდამჭერებს შეცდომაში შესულ მეცნიერებს. ერთი შეხედვით, ეს საკმარისი პირობა უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ სამეცნიერო წრეებს თეორია დაევიწყებინათ და ოფიციალურ მიდგომას დამორჩილებოდნენ. თუმცა ასე არ მოხდა.

[271]Сагария et. al., *Абхазия: Документы*, 562.

აფხაზთა მწვავე გამოხმაურებამ და ავტონომიის საქართველოდან ჩამოჭრის სურვილმა, ქართველ ისტორიკოსებს უბიძგა ახალ სახელმძღვანელოში ეროვნული ტერიტორია შემოესაზღრათ. ამის გამო, მათ საჭიროდ ჩათვალეს მარქსისტულ-ლენინისტურ ისტორიულ ნარატივში ცვლილების შეტანა.

ამ კვლევის ფარგლებში ვერ მოხერხდა ახალი სახელმძღვანელოს პირველადი მაკეტის მოძიება, შესაბამისად, ჩვენთვის უცნობია რა ცვლილება განიცადა ტექსტმა პარტიული ორგანიზაციებიდან და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებიდან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე. თუმცა, 1958 წელს ცხადი გახდა, რომ ახალი ისტორიული ნარატივი მკვეთრად განსხვავდებოდა ძველი სახელმძღვანელოს ნარატივისგან.

ისტორიის ახალი სახელმძღვანელო - "საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე" - 1958 წელს გამოიცა. ძველი ისტორიკოსებიდან მხოლოდ ნიკო ბერძენიშვილი შეუერთდა ახალ ავტორთა გუნდს, რომელიც ისტორიის წამყვანი სპეციალისტებით იყო დაკომპლექტებული (პ. რატიანი, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, ვ. დონდუა და მ. დუმბაძე). სახელმძღვანლო ბოლო გამოცემიდან 12 წლით იყო დაშორებული. „დაძველება" იმაზე მიანიშნებდა, რომ ინგოროყვას თეორია დიდი ხნის მანძილზე კონკურენციას უწევდა „ოფიციალურ" (მარქსისტულ-ლენინისტური სახელმძღვანელო) ნარატივს. ახალმა ტექსტმა კი დაპირისპირების საკითხი გადაჭრა. 1958 წლის ნარატივში შევიდა ცვლილებები აფხაზების ვინაობისა და აფხაზეთის სამეფოს შესახებ.

- **აფხაზი ტომების განსახლება და ურთიერთკავშირი ქართველებთან.** სახელმძღვანელოს ავტორები მიიჩნევდნენ, რომ თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის - ეგრისის სამეფოს (ლაზიკას) ჩრდილოეთ ნაწილის მთიანეთი დასახლებული იყო აბაზგი ტომებით. რომელთა მეზობლად ცხოვრობდნენ მისიმიანები.[272] ამ თეზისით, ქართველი ისტორიკოსები ამტკიცებდნენ, რომ აფხაზეთის ცენტრალური ნაწილები

[272]ნიკო ბერძენიშვილი, et. al., *საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის ბოლომდე* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1958).103.

ქართული ტომებით იყო დასახლებული და მხოლოდ სამეფოს ჩრდილოეთით, მთიან ნაწილში ცხოვრობდნენ თანამედროვე აფხაზების წინაპრები. მოგვიანებით ისინი იმეორებდნენ ძველი სახელმძღვანელოს ვერსიას ენობრივი კონსოლიდაციის შესახებ და აღნიშნავდნენ, რომ მე-8 საუკუნიდან აფხაზი მეფეები ხელს უწყობდნენ ბერძნულის ჩანაცვლებას ქართულით. ამის შედეგად, ქართული ენა სახელმწიფო და ეკლესიის ადმინისტრირების ენად დამკვიდრდა სრულიად აფხაზეთში.[273]

- **აფხაზეთის სამეფოს შექმნა.** ქართველი ისტორიკოსები აღნიშნავდნენ, რომ მეექვსე საუკუნემდე აბაზგეთი და მისიმიანეთი ლაზიკას შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა იუსტინიანეს მცდელობების შედეგად ჩამოშორდა მას და ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბდა. წინა სახელმძღვანელოსგან განსხვავებით, ახალი გაერთიანება ამ ნარატივში „ეგრის-აფხაზეთის“ სახელით მოიხსენიება.[274] სახელწოდება მიანიშნებს იმაზე, რომ ქართველი ისტორიკოსები აფხაზეთს აფხაზებისა და ქართველების საერთო სამეფოდ მიიჩნევდნენ და ეს ტერიტორია ეგრესის მემკვიდრედაც მიაჩნდათ. ისტორიკოსები აღნიშნავდნენ, რომ ახალ სამეფოს, მე-8 საუკუნეში, აფხაზთა მეფე ლეონ მეორე ჩაუდგა სათავეში. მან შეძლო ბიზანტიელების გაძევება ეგრის - აფხაზეთიდან, რის შემდეგაც საკუთარი თავი მეფედ გამოაცხადა, ხოლო სამეფოს დედაქალაქად ქუთაისი აქცია. ისტორიკოსები მიიჩნევდნენ, ახალი სამეფოს დაარსება არ ნიშნავდა არც ლაზიკას აღორძინებას და არც აფხაზეთის სამეფოს შექმნას. ამ თეზისით ისინი ამყარებენ აზრს, რომ სამეფო ქართველებისა და აფხაზების საერთო საკუთრებას წარმოადგენდა.

  მიუხედავად ამ აღნიშვნისა, ტექსტი იუწყება, რომ ახალ სამეფოს „აფხაზების სამეფო“ ეწოდა მმართველი დინასტიის სახელის მიხედვით, თუმცა იგი ნამდვილ ქართულ ფეოდალურ სამეფოს წარმოადგენდა.

[273]იქვე, 124.

[274]იქვე, 123.

ავტორთა აზრით ამას ადასტურებდა ადგილობრივი მოსახლეობის შერევის ტენდენცია და ქართული ენის გავრცელება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. ისტორიკოსები აღნიშნავდნენ იმასაც, რომ აფხაზთა მეფე ლეონი და მისი შთამომაბლები იზიარებდნენ ქართულ კულტურას და პოლიტიკურ კურსს, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში.[275] ეს ეპიზოდი აჩვენებდა, რომ ქართველი ისტორიკოსები ეთანხმებოდნენ წინა სახელმძღვანელოს ნარატივს აფხაზთა და ქართველთა კულტურულ-ისტორიული ერთიანობის შესახებ. ამავდროულად, მათ სამეფოს ტერიტორია ეთნიკური მარკერით ჰქონდათ შემოსაზღვრული და მას აფხაზთა და ქართველთა საერთო ტერიტორიად განიხილავდნენ.

- **ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა.** ერთიანი ქართული სამეფოს ჩამოყალიბებას ავტორები წინა სახელმძღვანელოს ნარატივის მსგავსად აღწერდნენ. როგორც ზემოთ იყო ნახსენები, სახელმძღვანელო აღნიშნავდა აფხაზი მეფეების მონაწილეობას საქართველოს გაერთიანების პროცესში. ცენტრალური ფიგურა ამ ტექსტშიც დავით III კურაპალატი იყო, რომელმაც გამოიყენა კავშირები ბიზანტიის იმპერატორთან და ქართლის ფეოდალ იოანე მარუშისძესთან და თავისი შვილობილი ჯერ ქართლში (975), ხოლო შემდეგ, აფხაზეთში (978) გაამეფა. ამ მოვლენით საქართველოს გაერთიანების პროცესი დასრულდა.[276] ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაც ისევე იყო აღწერილი როგორც წინა სახელმძღვანელოს ნარატივში.
- **აფხაზები ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში.** ახალ სახელმძღვანელოში გაჩნდა ჩრდილოეთ კავკასიელი ტომების საქართველოში ჩამოსახლების იდეა. ავტორები მიგრაციის პროცესს ოქროს ურდოს კავკასიაში შემოჭრას უკავშირებდნენ. მათი აღწერით,

[275]იქვე, 123-124.

[276]იქვე, 131-133.

ჩერქეზულ-აფხაზურმა ტომებმა, ალანებმა და სხვებმა, სამხრეთისკენ დაიწყეს გადაადგილება და სამხრეთ კავკასიელ ტომებთან შერევა, რომელთა შორის ავტორები მოიხსენიებდნენ აფხაზებსაც. სახელმძღვანელოში ხაზგასმული იყო ისიც, რომ ზოგან შერევის პროცესი ნელა და მშვიდად მიმდინარეობდა, ზოგან კი სწრაფად და მტკივნეულდ, რაც ადგილობრივ მოსახლეობაში დაძაბულობას იწვევდა.[277] შეიძლება ითქვას, რომ ეს მოსაზრება აგრძელებდა აფხაზეთის ტერიტორიის ეთნიკური ნიშნით დაყოფის იდეას, რამდენადაც იგი წარმოადგენდა არგუმენტს ტომობრივი გადაადგილებისთვის თვალის მისადევნებლად. ამ პოსტულატის თანახმად, აფხაზეთის ცენტრალურ ნაწილებში აფხაზთა დასახლება შუა საუკუნეების პერიოდის მიგრაციის პროცესებს უკავშირებოდა.

ეს დებულება ნაწილობრივ ეხმიანებოდა ინგოროყვას თეზისს ჩრდილოკავკასიელი ტომების აფხაზეთში ჩასახლებასთან დაკავშირებით. მასში მიგრაციის პროცესით იყო ახსნილი არა სრულიად აფხაზთა დასახლება აფხაზეთში, არამედ მათი ნაწილის ჩასახლება ცენტრალურ რაიონებში. იყო კიდევ ერთი განსხვავება, ინგოროყვას აზრით, მიგრაციის პროცესი მე-17 საუკუნეში დაიწყო, ხოლო სახელმძღვანელოს ავტორები ხალხთა მიგრაციას მე-13 საუკუნეს უკავშირებდნენ.

საქართველოს სამეფო სამთავროებად დაშლის შემდეგ, აფხაზები დასავლეთ საქართველოს სხვა სამეფოების დაქვემდებარებაში მე-16 საუკუნემდე რჩებოდნენ, მოგვიანებით, აფხაზეთის ფეოდალებმა, შერვაშიძეთა დინასტიის მეთაურეობით, ტერიტორიის სამეგრელოსგან გამოყოფას დაიწყეს. მე-17 საუკუნეში აფხაზეთი დამოუკიდებელ სამეფოდ იწოდებოდა და ავტორები მცირე ინფორმაციას აწვდიდნენ მკითხველს ამ პერიოდის შესახებ.[278]

---

[277]იქვე, 245.

[278]იქვე, 263-271.

ისტორიკოსები აღნიშნავდნენ იმასაც, რომ ოსმალეთის იმპერია ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული ტრადიციების დანგრევას და ღირებულებების აღმოფხვრას ცდილობდა და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია, თუმცა აფხაზები ქართველებთან ერთად საერთო მტრის წინააღმდეგ იბრძოდნენ, რამაც გამოიწვია ქრისტიანობისა და ქართული ენის შენარჩუნება ამ მხარეში.[279] „ხალხთა მეგობრობის“ ტრადიციული კონცეფციის წინ წამოწევით სრულდებოდა თხრობა ამ სახელმძღვანელოში.

ტექსტი მიუთითებდა იმაზე, რომ ქართველმა ისტორიკოსებმა ქართველთა ავტოქთონურობის დაცვა სცადეს აფხაზეთის ტერიტორიაზე. თუმცა, მათ ინგოროყვას მოსაზრებები ნაწილობრივ გაიზიარეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ აფხაზეთის ცენტრალური ნაწილი ქართული ტომებით იყო დასახლებული და მხოლოდ სამეფოს ჩრდილოეთით, მთიან ნაწილში ცხოვრობდნენ თანამედროვე აფხაზების წინაპრები. გეოგრაფიული დაყოფა აჩვენებდა, რომ ამ ნარატივში ავტოქთონურ მოსახლეობად წარმოდგენილი იყო ორივე ერი - ქართველებიც და აფხაზებიც, თუმცა, ტერიტორია ეთნიკური ნიშნით მკაფიოდ იყო შემოსაზღვრული. ამ იდეის შემდგომ გაგრძელებას წარმოადგენდა ტომთა მიგრაციის აღწერაც.

ახალ ტექსტში აფხაზეთის სამეფო ქართველთა და აფხაზთა საერთო სამეფოდ იყო მოხსენიებული, ხოლო ლეონ მეორე ქართული პოლიტიკის გამტარებელ მმართველად, რომელმაც დასავლეთ საქართველო ბიზანტიელთა ბატონობისგან გაანთავისუფლა. ავტორებს არც სხვა აფხაზ მეფეთა მიერ საქართველოს გაერთიანების საკითხში შეტანილი წვლილის ხსენება დავიწყებიათ. ამ გზით, მათ აჩვენეს ქართველთა და აფხაზთა პოლიტიკური ერთიანობა, ამასთანავე მათ კულტურულ-ისტორიულ კავშირებსაც გუსვეს ხაზი.

საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანლო ადასტურებდა, რომ ქართველმა ისტორიკოსებმა სცადეს აფხაზური საჩივრებიდან მომავალი საფრთხის დაძლევა და შექმნეს ახალი ნარატივი, რომელიც კონკურენციას უწევდა აფხაზთა წარმოსახვას

[279]იქვე, 306.

წარსულზე. თუმცა, ეს ტექსტი საერთო წარსულსა და მომავალზე გათვლილი ნარატივი იყო და არ მოიაზრებდა დაპირისპირებას აფხაზებთან.

ქართველი ისტორიკოსების გარდა ინგოროყვას თეორიის გარშემო დაწყებულმა დებატებზე გამოხმაურება აფხაზეთშიც გამოხატეს. „გიორგი მერჩულეში“ მოყვანილი თეზისების საწინააღმდეგოდ ჩამოყალიბდა აფხაზური ნარატივი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც ისტორიის საკითხებს იკვლევდნენ, 1925 წლიდან არსებობდა აფხაზეთში. თუმცა, „გიორგი მერჩულეს“ გამოჩენამდე აფხაზებს არ ჰქონდათ მასტერნარატივი, ანუ ეროვნული დისკურსი, რომელშიც მწყობრი სახით იქნებოდა გადამოცემული სახელოვანი წინაპრების, საკვანძო ისტორიული მომენტებისა და ტერიტორიული საზღვრების შესახებ.

ერთადერთი ისტორიული ტქსტი, რომელმაც სცადა მასტერნატარივის ფუნქციის შეთავსება აფხაზი ლინგვისტის დიმიტრი გულიას ნაშრომი იყო. მაგრამ, თავად ავტორიც აღნიშნავდა, რომ ტექსტი არაპროფესიონალი ისტორიკოსის მიერ იყო დაწერილი და მკითხველს სთხოვდა მკაცრად არ განესაჯათ ავტორი.[280] ამ ნაშრომისგან განსხვავებით 1959 წელს გამოცემული წიგნი „შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან“ წარმოადგენდა მეთოდოლოგიურად გამართულ ტექსტს, რომელიც მრავალფეროვან წყაროებს და კრიტიკულ ანალიზს ეფუძნებოდა. ცხადია ავტორი ბოლომდე თავისუფალი არ იყო სუბიექტური განსჯებისგან, თუმცა ამ ნაშრომმა გაამართლა აფხაზი ისტორიკოსის მცდელობა შეექმნა აფხაზური მასტერნარატივი.

ეს იყო პირველი სამეცნიერო ნარატივი, რომელიც უპირისპირდებოდა არ მხოლოდ ინგოროყვას თეორიას, არამედ საქართველოს ისტორიის ახალ სახელმძღვანელოსაც. მისი ავტორი - ზურაბ ანჩაბაძე, ამ ნაშრომით ქართველთა და აფხაზთა კულტურულ-ისტორიული სიახლოვის წარმოჩენას და აფხაზთა ეთნიკური ინდივიდუალობის დამტკიცებას ცდილობდა.

ამ ტექსტის ქრონოლოგია ზუსტად იმ პერიოდით შემოიფარგლებოდა, რაც ინგოროყვას ნაშრომში იყო განხილული. წიგნი შუა საუკუნეების ისტორიას აღწერდა. შესავალში აფხაზი ისტორიკოსი აცხადებდა, რომ ნაშრომში განხილული იყო შემდეგი

[280]Д. Гулия, *История Абхазии Т. I* (Тифлис: 3-я типография Полиграфтреста ВСНХ Грузии, 1925), 7-14.

საკითხები - აფხაზი ერის ეთნიკური განვითარება და მისი ურთიერთობა ქართველ ერთან, რაც არ იყო შესწავლილი და სამეცნიერო ნაშრომების არარსებობა განაპირობებდა არასწორი ინტერპრეტაციების გავრცელებას: „აფხაზი ერის შესახებ თვითნებურად გამოთქმული დებულებები დაიბეჭდა. კერძოდ, ეს დებულებები გაჩნდა სხვა მოტივით, რასაც არანაირი კავშირი არ ჰქონია მეცნიერებასთან. [...] ეს არასწორი თეორიები პარტიულ ბეჭდურ ორგანოებში კრიტიკის საგანი გახდა.“ [281]

ანჩაბაძე „არასწორ დებულებებში“ ინგოროყვას თეორიას გულისხმობდა და შემდეგ გარემოებას უსვამდა ხაზს: „გიორგი მერჩულეს“ გამოჩენა პოლიტიკის სფეროსთან იყო დაკავშირებული, აფხაზი ისტორიკოსის წიგნი ათი თავისგან შედგებოდა და აფხაზთა ეროვნული განვითარების სხვადასხვა ეტაპებს აღწერდა მარქსისტულ-ლენინისტური თეორიის ჭრილში.

- **აფხაზი ტომების განსახლება და ურთიერთკავშირი ქართველებთან.** ნაშრომის ძირითადი ნაწილი აფხაზთა ეთნიკური ინდივიდუალობისა და თვითმყოფადობის დასაბუთებას ეთმობოდა. ავტორის აზრით აფხაზ ტომებს მიეკუთვნებოდნენ თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები აბაზგები, აფსილები, მისიმიანები და სანიგები. ამასთანავე, ანჩაბაძემ განსაზღვრა ტერიტორიული მიჯნებიც. მისი მოსაზრებით, ლაზები (ანუ ქართველები) თანამედროვე გალისა და ოჩამჩირის ტერიტორიაზე სახლობდნენ, ხოლო აფხაზეთის დანარჩენი ნაწილი აფხაზ ტომებს ეკავათ, რომლებიც მე-6 საუკუნეში ემორჩილებოდნენ ლაზიკის მეფეს.[282]

  ამ ნარატივში, სხვადასხვა პერიოდის ქართველი ისტორიკოსების ტექსტებისგან განსხვავებით, ჩანდა ისიც, რომ აფხაზებს ჰქონდათ საკუთარი ენა, რომლის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა აფსილურმა დიალექტმა და სწორედ აფსილთა ტომის სახელის მიხედვით ეწოდა სახელი დანარჩენ აფხაზ ტომებსაც. ენობრივი არგუმენტის გამოყენებით,

[281]Зураб Анчабадзе, *Из средневековой историй Абхазии* (Сухум: Абхазское госдарственное издательство, 1959).

[282]Анчабадзе, *Из средневековой историй*, 6.

ანჩაბაძე უარყოფდა ქართველ მეცნიერებში დამკვიდრებულ შეხედულებას, თითქოს აფხაზების სახელწოდება აბაზგებისგან წამოვიდა და აღნიშნავდა, რომ აბაგზების სახელწოდება აფხაზური ტომების მხოლოდ ერთმა შტომ - აბაზინებმა შემოინახა.[283]

- **აფხაზეთის სამეფოს შექმნა.** ანჩაბაძე ეთანხმებოდა ქართველ ისტორიკოსთა პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზი ტომების ლაზიკისგან ჩამოშორება იუსტინიანეს გავლენით დაიწყო, რომელსაც საკუთარი პოლიტიკური ინტერესები გააჩნდა ამ მხარეში.[284] აფხაზთა ტომების გაძლიერებამ კი გამოიწვია ის, რომ მე-8 საუკუნის 30-40 იანი წლებიდან აბაზგებმა და აფსილებმა დაიწყეს კონსოლიდაციის პროცესი და დააარსეს ერთიანი აფხაზთა სამეფო.[285] ანჩაბაძის მოსაზრება განსხვავდებოდა ქართველი ისტორიკოსების მოსაზრებისაგან, რომლებიც აფხაზთა და ქართველთა საერთო ქართულ ფეოდალურ სამეფოდ მიიჩნევდნენ. მისი აზრით ეს გაერთიანება დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული იყო.

  ანჩაბაძე ინგოროყვას და ქართველ ისტორიკოსებს დაეთანხმა იმაში, რომ აფხაზთა მეფე ლეონ მეორე ქართულ პოლიტიკას ატარებდა და მერვე საუკუნის ბოლოს მან დასავლეთ საქართველოს სამეფო კი არ დაიპყრო, არამედ გაანთავისუფლა ბიზანტიის ბატონობისგან. თუმცა ამასთანავე, ისტორიკოსმა არ გამორიცხა იმის შესაძლებლობა, რომ ლეონის პოლიტიკურ ნაბიჯს წინაღმდეგობა უნდა მოჰყოლოდა აფხაზი ფეოდალებისგან. ისტორიკოსის აზრით, დამატებითი წყაროების არარსებობა ართულებდა ამ კითხვაზე საფუძვლიანი პასუხის გაცემას.[286] ამ გზით ის აჩვენებდა, რომ ქართველთა და აფხაზთა პოლიტიკური ერთიანობა აფხაზთა მეფის პრაგმატული გადაწყვეტილება იყო და იგი აფხაზი ტომების საერთო თანხმობის შედეგად არ მიუღიათ.

---

[283]იქვე, 69.

[284]იქვე, 32.

[285]იქვე, 66-69.

[286]იქვე, 100-101.

მოვლენების შემდგომი აღწერისას ანჩაბაძე წერდა, რომ აფხაზეთის სამეფო არ იყო ერთგვაროვანი ეთნიკური შემადგენლობით, რამდენადაც მასში ერთიანდებოდნენ აფხაზეთი, ეგრისი და სვანეთი. ხოლო, მოგვიანებით ლეონ მეორემ არგვეთის სამეფოც შემოუერთა საკუთარ სამეფოს. ისტორიკოსი აღნიშნავდა, რომ დასავლეთ საქართველო ამ დროისათვის დასახლებული იყო ქართებით, რამდენადაც არაბთა შემოსების დროს ისინი ტოვებდნენ საცხოვრებლებს და დასავლეთისკენ მიგრირდებოდნენ.[287]

ქართველთა მიგრაციით ახსნა ანჩაბაძემ ქართული ენის დამკვიდრებაც აფხაზეთში: „აფხაზეთის სამეფოში ქართველური ელემენტი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდა. და ამასთანავე, იკავებდა ამ სამეფოს დიდ და მნიშვნელოვან ადგილს ადგილს ტერიტორიულად. გარდა ამისა ქართველური ელემენტი სოციალურ-ეკონომიკურად და კულტურულად უფრო განვითარებული აღმოჩნდა. რის გამოც ქართულმა ენამ ფართო გავრცელება ჰპოვა მთელს აფხაზეთში როგორც დამწერლობის და კულტურის ენამ.“[288]

- **ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა. ზურაბ ანჩაბაძემ** აფხაზების ენობრივ კუთვნილებით ახსნა აფხაზ მეფეთა აქტიური მონაწილეობა ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. იგი მიიჩნევდა, რომ აფხაზი მეფეების მოტივს განაპირობებდა ერთიანი ეკონომიკური და სოციალური სივრცის შექმნისა და პოლიტიკური წესრიგის დამყარების სურვილი.[289]

  ისტორიკოსი ნაწილობრივ ეთანხმებოდა ინგოროყვას ტერმინთან „აფხაზეთი“ დაკავშირებით. იგი მიიჩნევდა, რომ აფხაზეთის სამეფოს

[287]იქვე, 105.
[288]იქვე, 108.
[289]იქვე, 109-121.

ჩამოყალიბების შემდეგ, აბაზგეთის ეთნო-პოლიტიკური წარმონაქმნის სახელი დასავლეთ საქართველოს დაერქვა მთლიანად.[290]

ამასთანავე, მისი აზრით, შეიცვალა ტერმინიც „აფხაზები“. თუკი მე-6 საუკუნეში იგი განსაზღვრავდა აფხაზ ტომებს, ხოლო მოგვიანებით აფხაზ ტომთა გაერთიანებას, ერთიანი აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ სამეფოს მრავალეთნიკური მოსახლეობის აღმნიშვნელი გახდა.[291] თუმცა, ისტორიკოსი მიიჩნევდა, რომ ტერიტორიისა და ეთნიკური ჯგუფის ტერმინებმა შეინარჩუნა პირვანდელი მნიშვნელობა და კვლავ გამოიყენებოდა ვიწრო მნიშვნელობით - აფხაზ ხალხთან (народность) და აფხაზეთის სამეფოსთან დაკავშირებით.[292]

- **აფხაზები ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში.** ანჩაბაძე დაუპირისპირდა ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზი ტომების საქართველოს ტერიტორიაზე მიგრაციის იდეას. მან საჭიროდ მიიჩნია აეღწერა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები აბაზების კავშირი დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ აფხაზებთან. სავარაუდოდ მათი ჩართვა ნარატივში ანჩაბაძემ იმის გამო მიიჩნია საჭიროდ, რომ საქართველოს ისტორიის ახალ სახელმძღვანელოში გაზიარებული იყო ინგოროყვას იდეა ჩრდილოეთ კავკასიიდან ხალხთა მიგრაციის შესახებ.

  ანჩაბაძემ რუსი ისტორიკოსების წყაროებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ აბაზების წინაპრები და აფხაზები ერთი ნაროდნოსტის ნაწილს წარმოადგენდნენ და დასავლეთ კავკასიის ზღვისპირეთში ცხოვრობდნენ, ხოლო მოგვიანებით, ჩრდილოეთ კავკასიაში მიგრირდნენ.[293]

  გარდა აბაზებსა და აფხაზებს შორის კავშირის გამორკვევისა, ანჩაბაძემ საჭიროდ მიიჩნია რამდენიმე სიტყვა ეთქვა აფხაზთა ეთნიკური ინდივიდუალობის შესახებაც: „აფხაზები დამოუკიდებელ ეთნიკურ

[290]იქვე, 111.
[291]იქვე, 118.
[292]იქვ, 176.
[293]იქვე, 205.

ერთეულს წარმოადგენდნენ, რომლებიც განსხვავდებოდნენ კავკასიის სხვა ხალხებისგან, კერძოდ კი ქართველებისგან მთლიანად და მისი ცალკეული ეთნიკური შტოებისგან - ქართების, მეგრელებისა და სვანებისაგან."[294]

ამ საკითხების განხილვის შემდეგ, ისტორიკოსი „გიორგი მერჩულე"-ში მოყვანილ დებულებებს შეეხო და აღნიშნა, რომ ინგოროყვას მიერ გამოყენებული წყაროები - ლეონტი მროველის თხზულება და სომეხ ისტორიკოსთა ქრონიკები, არასწორად იყო ინტერპრეტირებული ლიტერატურათმცოდნის მიერ.[295]

გვიანი შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიას ანჩაბაძე ქართველი ისტორიკოსების მსგავსად აღწერდა, იგი თვლიდა, რომ საქართველოს სამეფო სამთავროებად დაშლის შემდეგ, აფხაზეთი საბედიანოს შემადგენლობაში შევიდა, ხოლო მე-16 საუკუნეში სამეგრელოს მმართველის დაქვემდებარებაში მოექცა. თუმცა, მე-17 საუკუნეში აფხაზები დამოუკიდებელ სამეფოში ცხოვრობდნენ. ანჩაბაძემ ხალხთა მეგობრობის ტრადიციულ ფორმულაც არ დაივიწყა და ოსმალეთის იმპერიის შემოსევაზე საუბრისას აღწერა აფხაზებისა და ქართველების გმირული ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ.[296]

წიგნის დასასრულს ისტორიკოსმა ახსენა ისიც, რომ მიუხედავად პოლიტიკური კავშირების დასუსტებისა, ქართველებსა და აფხაზებს შორის შენარჩუნდა კულტურული ურთიერთობები. ძირითადი დამაკავშირებელი რგოლი ორ ერს შორის სამეგრელოს სამთავრო გახდა, აფხაზი ფეოდალები კი დამწერლობის ენად კვლავ ქართულს იყენებდნენ.[297]

ამასთანავე, ანჩაბაძემ სცადა დაესაბუთებინა, რომ ქართველთა ისტორიულ მეხსიერებაში აფხაზეთი საქართველოს ნაწილად შემორჩა: „ქართული საზოგადოების წარჩინებულმა წრეებმა ცნობიერებაში შემოინახეს

[294]იქვე, 218.
[295]იქვე, 222-229.
[296]იქვე, 252, 258, 271, 275
[297]იქვე, 276-277.

> წარმოდგენა საქართველოზე, როგორც ოდესღაც ერთიან და ძლიერ კულტურულ-პოლიტიკურ ორგანიზმზე და ამ წარმოდგენიდან არც აფხაზები გამოურიცხავთ.“[298]
>
> ამასთანავე იგი აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის წარჩინებულ წრეებშიც შენარჩუნდა კულტურულ-პოლიტიკური ერთობის იდეა საქართველოსთან. ამის შესახებ კონკრეტული წყაროები არ არსებობდა, თუმცა მონაცემები მე-19 საუკუნის პერიოდზე იძლეოდა იმის თქმის საბაბას, რომ აფხაზურ საზოგადოებაში წინა საუკუნეების აფხაზეთი განიხილებოდა, როგორც საქართველოს კულტურულ პოლიტიკური ორგანიზმი.[299]

ამ ნაშრომით ზურაბ ანჩაბაძემ სცადა გაებათილებინა „გიორგი მერჩულე“-ში მოყვანილი სამი ძირითადი არგუმენტი, რითაც ინგოროყვა შუა საუკუნეების აფხაზთა ქართველობას ამტკიცებდა. მან შექმნა საკუთარი ვერსია იმის ასახსნელად თუ რატომ საუბრობდნენ შუა საუკუნეების აფხაზები ქართულად, რატომ ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი საქართველოს გაერთიანების პროცესში და რატომ იწოდებოდა დასავლეთ საქართველო აფხაზეთად, ხოლო დასავლეთის ქართველები აფხაზებად.

ანჩაბაძის ნაშრომი, შეიძლება ითქვას, წარმოადგენდა წინააღმდეგობრივ ტექსტს ინგოროყვას ნარატივისთვის. გარდა ამისა, ეს წიგნი აფხაზეთის ისტორიის მასტერნარატივად იქცა და მისი გამოჩენა მკაფიო სიგნალი იყო ქართველი მეცნიერებისთვის, რომ დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესახებ არსებობდა ორი ვერსია, რომლებიც ასახავდა იდენტობის ორ პროექტს - ქართულს და აფხაზურს. ისინი უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს და საკუთარი ავტოქთონურობის დასაბუთებას ტერიტორიასთან განსხვავებული არგუმენტებით ცდილობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ქართული და აფხაზური ნარატივები აღიარებდა ორივე ერის ავტოქთონურობას აფხაზეთში და გეოგრაფიულ საზღვრებს ეთნიკური ნიშნით ყოფდა. ერთი მხრივ ქართველი ისტორიკოსები ასაბუთებდნენ, რომ

---

[298]იქვე, 279.

[299]იქვე, 280.

თანამედროვე აფხაზებს მათი ტერიტორიის ნაწილი ეკავათ, მეორე მხრივ კი, აფხაზი ისტორიკოსები უარყოფდნენ ამ თეზისს და ამტკიცებდნენ, რომ თანამედროვე ქართველები ცხოვროვდნენ აფხაზების ისტორიულ მიწებზე, რომელზეც შუა საუკუნეებში აფხაზების წინაპრები სახლობდნენ. ეს ნარატივები ასახავდა ერთა შორის არსებულ წინააღმდეგობას ტერიტორიაზე და ერის წარმოსახვის ქართულ და აფხაზურ დაპირისპირებულ ვერსიებს წარმოადგენდა.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოც და აფხაზური ისტორიული ნარატივიც წარმოადგენდა პასუხს ინოგორყვას ნარატივზე და მასთან დაკავშირებით გაჩენილ დებატებზე.

წინააღმდეგობრივი ნარატივების გაჩენა იმის მანიშნებელიც იყო, რომ ისტორიულ საკითხებზე დაწყებულმა დავამ მწვავე ხასიათი მიიღო და ამ საკითხის მარტივად გადაჭრის ალტერნატივა აღარ არსებობდა. ორი ერის დისკურსი წარსულის შესახებ ისეთ საკვანძო საკითხებთან მოდიოდა წინააღმდეგობაში, რომლებიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული არა მხოლოდ წარსულთან, არამედ აწმყოსთან და შეიძლება ითქვას, მომავალთანაც.

3.3. ნარატივების დაპირისპირება 1960-იან წლებში

1960-იან წლებში, წინა დეკადაში დაწყებული დისკუსია გაგრძელდა და ამასთანავე, მნიშვნელოვნად შეიცვალა ქართული და აფხაზური ნარატივები. 1958 წლის ისტორიის სახელმძღვანელომ კრიტიკა დაიმსახურა აფხაზეთის ინტელიგენციის წევრებიდან და კომუნისტური პარტიიდან. კრიტიკის მთავარი ობიექტი კი ის იყო, რომ წიგნში ადრეული და შუა საუკუნეების აფხაზთა ისტორია არ იყო ასახული და ავტორები მხოლოდ ცალკეული ეპიზოდებს შეისწავლიდნენ უფრო გვიანდელი

ეპოქებიდან.[300] სახელმძღვანელოს კრიტიკის შემდეგ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნაზე. გამარჯვებული ნაშრომი ორგანიზაციამ 1960 წელს გამოავლინა და ერთი წლის შემდეგ დაბეჭდა.[301] წინა გამოცემისგან განსხვავებით ტექსტი საგრძნობლად შემცირდა და საქართველოს ისტორიის ბევრი ეპიზოდი საერთოდ გაქრა ახალი გამოცემიდან.

- **აფხაზი ტომების განსახლება და ურთიერთკავშირი ქართველებთან.** ახალ სახელმძღვანელოში ავტორები აღარ საუბრობენ შუა საუკუნეების აფხაზ ტომებზე და მათ ურთიერთობაზე ქართველებთან. ისინი განიხილავენ სამ ქართულ ტომს - ქართებს, მეგრელებსა და სვანებს, რომლებიც, ავტორთა სიტყვით, უცვლელად ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე.[302]
- **აფხაზეთის სამეფოს შექმნა.** აფხაზეთის სამეფოს შექმნას ავტორები არ განიხილავენ ცალკე ეპიზოდად, თუმცა წიგნის სხვადასხვა ნაწილებში ეს სამეფო დასავლეთ საქართველოს ფეოდალურ გაერთიანებად იყო წარმოჩენილი.[303]
- **ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა.** ეს თავი ახალ სახელმძღვანელოში საერთოდ არ ჩანდა. არ იყო ასახული საქართველოს ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხების გაერთიანების პოლიტიკური მნიშვნელობა, არც ელიტებს შორის კონკურენცია ან სურვილი, შეექმნათ ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო.
- **აფხაზები ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში.** ავტორები ამ თემაზე თითქმის არ საუბრობდნენ. გვიანი შუა საუკუნეებს აღწერისას მოკლედ აღნიშნავდნენ, რომ დასავლეთ საქართველოში გავრცელებული

[300]Ш. Д. Инал-Ипа, *Абхазы: Историко этнографические очерки, второе издание* (Сухуми: Алашара 1965), 22.
[301]ვიქტორ გუჩუა, შოთა მესხია, *საქართველოს ისტორია VII-VIII კლასებისთვის* (თბილისი: ცოდნა 1961), 1.
[302]იქვე, 10.
[303]იქვე, 26.

იყო ტყვეთა სყიდვა, რაც ადგილობრივი მოსახლეობის შემცირებას იწვევდა.[304]

სახელმძღვანელოს ტექსტიდან ცხადად ჩანდა, რომ ავტორებმა ბევრ საკითხს აუარეს გვერდი, რაც ქართველებსა და აფხაზებს შორის დებატების შემსუბუქების მიზნით უნდა მომხდარიყო. მათ ისეთი საკვანძო მომენტები ამოიღოს საქართველოს ისტორიიდან, რომელთა გამოტოვებაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა ეროვნულ მასტერნარატივს. თუმცა, ამავდროულად ტექსტში აღარ იყო დარჩენილი საკამათო საკითხები. ეს ნარატივი 1970-იანი წლის ჩათვლით ისწავლებოდა საქართველოს სკოლებში.

1960 წელს გამოიცა აფხაზი ისტორიკოსის შალვა ინალ-იფას ნაშრომი, „აფხაზები: ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები“, რომელშიც ავტორი დაუპირისპირდა პავლე ინგოროყვას თეზისს და 1958 წლის ისტორიის სახელმძღვანელოს ნარატივს. ტექსტის დასაწყისიდანვე მან განაცხადა, რომ აფხაზეთი-აფხაზების ჭეშმარიტი სამშობლო იყო.[305] ამ იდეის გარდა, წიგნში მეორდება ქართველი ისტორიკოსების ბევრი მოსაზრება, რასაც ავტორი გასხვავებული არგუმენტებით ასაბუთებს, მაგალითად ასეთ საკითხებს მიეკუთვნება საქართველოს გაერთიანება და აფხაზი მეფეების პოლიტიკური ერთიანობის სურვილი საქართველოსთან.

- **აფხაზი ტომების განსახლება და ურთიერთკავშირი ქართველებთან.** ავტორი ასახელებდა ოთხ აფხაზ ტომს: აფსილებს, აბაზგებს, მისიმიანებსა და სანიგებს, რომელთაც მისი შეხედულებით მთელი აფხაზეთის ტერიტორია ეკავათ და ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ.[306] ინალ-იფა აღნიშნავდა, რომ მე-4 საუკუნიდან აფხაზი ტომები ლაზეთის მეფეს ემორჩილებოდნენ, თუმცა მე-7 საუკუნიდან მდგომარეობა შეიცვალა და დამოკიდებულება ლაზიკაზე ფორმალური გახდა. ლაზიკას პირველად აბაზგები ჩამოშორდნენ და უშუალოდ ბიზანტიის ვასალები გახდნენ. ამავე გარემოებით ხსნის ინალ-იფა აფხაზეთში ქრისტიანული რელიგიის და

[304]იქვე, 64.

[305]Ш. Д. Инал-Ипа, *Абхазы: Историко этнографические очерки* (Сухуми: Алашара, 1960), 3.

[306]იქვე, 48.

კულტურის დომინაციას.[307] ქართველთა და აფხაზთა დაახლოებას ავტორი არაბთა შემოსევებს უკავშირებდა, რომლებიც მე-7 საუკუნიდან დაიწყო. აღმოსავლეთის პროვინციებიდან შევიწროებული მოსახლეობა კი თავის საშველად დასავლეთისკენ გარბოდა და აფხაზეთს აფარებდა თავს, რომელიც, ავტორის სიტყვით, დაცული იყო არაბებისგან.[308]

- **აფხაზეთის სამეფოს შექმნა.** ავტორი ამ საკითხზე ვრცლად არ საუბრობდა. იგი მიიჩნევდა, რომ სოციალურმა და ეკონომიკურმა ფაქტორებმა საფუძველი ჩაუყარა, ერთიანი აფხაზეთის სამეფოს შექმნას. ავტორი აღნიშნავდა, რომ აფხაზ ტომთა გაერთიანება აბაზგებმა დაიწყეს, რომლის მმართველმაც მე-8 საუკუნის ბოლოს გაანთავისუფლა ლაზიკა ბიზატიის ბატონობისგან და თავი ახლადშექმნილი სამეფოს მეფედ გამოაცხადა. ამ დროიდან, მისი შეხედულებით აფხაზეთი ეწოდა მთელ დასავლეთ საქართველოს.[309]
- **ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა.** სქართველოს გაერთიანებას აფხაზეთთან ავტორი აფხაზთა სამეფოს სიძლიერით და გაფართოების სურვილით ხსნის. ავტორის შეხედულებით მე-9-10 საუკუნეში აფხაზეთის მეფეები აგრძელებდნენ ლეონ მეორის მიერ დაწყებულ გზას საქართველოს და აფხაზეთის გაერთიანების შესახებ. ხელს უწყობდნენ ქართული კულტურის გავრცელებას აფხაზეთში. თუმცა აფხაზეთის წამოწყება დაასრულეს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებმა. აფხაზეთის კანონიერი მემკვიდრის ბაგრატ III -ის ქართლში გამეფებით, შეიქმნა ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფო.[310]
- **აფხაზები ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში.** ინალ-იფა აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის საქართველოსთან გაერთიანება ბევრ აფხაზ ფეოდალს არ მოსწონდა, რის გამოც ისინი იბრძოდნენ ცენტრალური

[307]იქვე, 49-50.
[308]იქვე, 55.
[309]იქვე, 57.
[310]იქვე, 58-59.

ხელისუფლების წინააღმდეგ და ბაგრატ III რადიკალური ზომების გატარება უწევდა.[311] მის შემდგომ ის აღწერს საქართველოს დაშლას სამეფო სამთავროებად და აღნიშნავდა, რომ აფხაზეთი ჯერ საბედიანოს ნაწილი გახდა მე-15 საუკუნიდან,[312] ხოლო მე-16 საუკუნიდან სამეგრელოს სამთავროს დაექვემდებარა.[313] ამავდროულად აფხაზეთში გამოჩდნენ თურქები, რომლებიც სამი საუკუნის მანძილზე მართავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.[314]

აფხაზი ისტორიკოსის ნაშრომი, ძირითადად, აფხაზთა ავტოქთონურობისა და განსახლების საკითხში ეწინააღმდეგებოდა პავლე ინგოროყვას მოსაზრებას და 1958 წლის სახელმძღვანელოს. ასევე, მასში საქართველოს გაერთიანების საკითხი და ქართული კულტურის გავრცელება აფხაზეთში, ახსნილი იყო აფხაზ მეფეთა პრაგმატული მიზნებით. აფხაზეთის დანარჩენ საქართველოსთან გაერთიანების შემთხვევაში, რაც საგარეო საფრთხისგან დაცვას და ძლიერი სახელმწიფოს შექმნას უკავშირდებოდა აფხაზი მეფეები უსაფრთოხების გარანტიას მიირებდნენ. თუმცა, სხვადასხვა საკითხში - როგორიც იყო, ქართველთა და აფხაზთა საერთო სურვილზე დაფუძნებული გაერთიანების ქონა და თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორია - ინალ-იფა იზიარებდა ქართველ ავტორთა შეხედულებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1965 წელს მან გამოსცა წიგნის გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, რომელშიც ძირითადი ნარატივი არ შეცვლილა, თუმცა ცალკული ეპიზოდები დაკორექტირდა და განივრცო. ამ ცვლილების შედეგად იგი უფრო მკვეთრად შევიდა წინააღმდეგობაში ინგოროყვას თეზისებთან. ყურადღებას იმსახურებს ორი ეპიზოდი. პირველი ეხებოდა აფხაზთა ურთიერთობას ქართველებთან ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში. ავტორმა ახსენა, რომ აფხაზები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საქართველოს პოლიტიკურ, სამხედრო,

[311]იქვე, 61.
[312]იქვე, 65.
[313]იქვე, 67.
[314]იქვე, 66, 70.

დიპლომატიურ და კულტურულ ცხოვრებაში. რის გამოც, აფხაზეთის სახელწოდება ასახული იყო ქართველ მეფეთა ტიტულატურაში.[315]

მეორე ეპიზოდი აფხაზთა მიგრაციის საკითხს ეხებოდა. აფხაზეთის ეთოგრაფიული სურათის განხილვისას, მან ახსენა ჩრიდილოეთ კავკასიაში მცხოვრები აბაზას ტომი, რომელიც აფხაზური ეთნიკური ელემენტს წარმოადგენდნენ. ავტორის აზრით, ისინი მე-14 საუკუნემდე „საკუთარ მშობლიურ მიწაზე“ ცხოვრობდნენ, ხოლო მთიან ნაწილში გვიანდელ შუა საუკუნეებში გადასახლდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ მიგრაციის მიზეზი ინალ-იფას არ აუხსნია.[316] ამ მოსაზრებით მან გაიმეორა ანჩაბაძის არგუმენტი აფხაზი ტომების სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ გადაადგილების შესახებ. შესაბამისად იგი დაუპირისპირდა ინგოროყვას თეზისს და 1958 წლის ისტორიის სახელმძღვანელოს, რომელშიც მიგრაციის იდეა საპირისპიროდ იყო გაშუქებული.

ინალ-იფას ნარატივის ცვლილების მიზეზი ის იყო, რომ მიუხედავად ოფიციალური ნარატივის - საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს გადამუშავებისა, აფხაზი ინტელიგენცია და კომუნისტური პარტიის წევრები, კვლავ გამოთქვამდნენ საჩივარს აფხაზური ისტორიის დამახინჯების შესახებ და ეჭვის თვალით უყურებდნენ საქართველოში გამოცემულ საისტორიო ნაშრომებს. 1

967 წელს, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ ჩიქოვანმა, აფხაზეთის ობკომის პირველმა მდივანმა ვალერიან კობახიამ და აფხზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ბაგრატ შინკუბამ საქართველოს სსრ კპ ცკ-ს მიმართეს. ისინი ასაბუთებდენ: “ისტორიული სინამდვილის საწინააღმდეგოდ ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის და ფილოლოგის ნაშრომებში უარყოფილია აფხაზი ერის ეთნიკური კულტურულ-ისტორიული თვითმყოფადობა. მისი ისტორია მთლიანად ქართველი ერის ისტორიაშია ათქვეფილი.“[317] ისინი ქართველ ავტორთა ნაშრომებს - ნ. ბერძენიშვილის „ისტორიის საკითხების III ტომს“, ს. ყაუხჩიშვილის „გეორგიკას“, ნ.

[315]Инал-Ипа, *Абхазы (1965),* 135.

[316]იქვე, 47.

[317]Д. Т. Ачугба, *Из истории грузино-абхазского конфликта : документы и материалы* (Сухум: Абгосиздат 2016), 50.

კეჭაყმაძის „ფლავიუს არიანეს“, ზ. ჭუმბურიძის „რა გქვია შენ“ - ინგოროყვას თეორიის გაგრძელებად მიიჩნევდნენ.

ამასთანავე, უკმაყოფილება ჩანდა შოთა მესხიასა და ვიქტორ გუჩუას ავტორობით გამოცემული ისტორიის სახელმძღვანელოს მიმართაც. წერილის ავტორები აღნიშნავდნენ, რომ მასში „აფხაზ ერს თითქმის არ ეთმობოდა ადგილი, ან არაობიექტურად იყო წარმოჩენილი“. ისინი მოუწოდებდნენ საქართველოს სსრ კპ-ს გაეკონტროლებინა ინგოროყვას ნაშრომების მრავალტომეულის გამოცემის პროცესი, რათა იქ არ შესულიყო აფხაზთა წარმოშობის შესახებ ქართველი ლიტერატურათმცოდნის შეხედულებები.[318] ამას გარდა პროტესტი გამოიწვია აფხაზი ფილოლოგისა და ლიტერატურათმცოდნის ხუხუტი ბღაჟბას მონოგრაფიამ „აფხაზური ენის ბზიფური დიალექტის შესახებ“. აფხაზები თვლიდნენ, რომ ავტორი მასში არასწორად ხსნიდა აფხაზურ გვარებს.[319]

ამ პერიოდში აფხაზეთში მეტად დაიძაბა ვითარება. აფხაზური ნაციონალური სენტიმენტების გამოვლინება საგრძნობი გახდა ახალგაზრდებშიც. აფხაზი სტუდნტების ჯგუფმა, რომელიც 45 პირისგან შედგებოდა, 1967 წლის მარტში მიმართვა გაუგზავნა აფხაზეთის ასსრ პოლიტიკურ ორგანიზაციებს. წერილში ისინი ითხოვდნენ ქართული სახელწოდებების აფხაზურით ჩანაცვლებას. მალევე, მოსახლეობამ ამ გეგმის შესრულება დაიწყო. სოხუმის სატელეფონო სადგურის ტექნიკოსმა და მძღოლმა საგზაო მონაკვეთებზე თვითნებურად გადაშალეს ქართული სახელწოდებები. მათი დაკავების შემდეგ, მოსახლეობამ საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. ესკალაციის თავიდან არიდების მიზნით პოლიციამ დაკავებულები გაანთავისუფლა.[320]

საქართველოს სსრ კომუნისტური პარტია სიფრთხილით უყურებდა აფხაზეთში მიმდინარე პროტესტს. 1967 წლის 14 აპრილს კპ ცკ ბიუროს სხდომაზე განიხილეს აფხაზური საჩივრები ინგოროყვას თეზისების ქართველ ავტორებთან გამოჩენისა და აფხაზეთში დაწყებული მღელვარების შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ნაშრომის რედაქტირებისას დაშვებულ იქნა შეცდომა და

[318]იქვე, 51.

[319]პაპასქირი, *ნარკვევები,* 161.

[320]იქვე, 165-166.

გამოსაქვეყნებელ მასალებს შორის გაჩნდა დანართი წერილი, რომელიც ზოგადად მარქსისტული ისტორიოგრაფიული სტანდარტით იყო დაწერილი, მაგრამ შეიცავდა ხარვეზებს. ეს კი, აფხაზმა ნაციონალისტურად განწყობილმა ჯგუფმა მდგომარეობის გასამწვავებლად გამოიყენა. ბიურომ აღნიშნა, რომ აფხაზეთში შეკრებილმა საზოგადოებამ „გააჟღერა არაკანონიერი მოთხოვნები [აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფა], ითამაშა ხალხის ნაციონალისტურ გრძნობებზე, ზოგ მათგანს მოუწოდა პროვოკაციისკენ, რითაც დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი“.[321]

ამ მდგომარეობის გადასაჭრელად გადაწყდა გაეძლიერებინათ მასების ინტერნაციონალური განათლება. ამასთანავე, სხდომის წევრები შეეხნენ წარსულსაც და ახსენეს, რომ საქართველოს სსრ კპ-მ დაგმო პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“, მათ მიანიშნეს, რომ ეს იყო ოფიციალური განაცხადი პრობლემურ ისტორიულ საკითხებზე პუბლიკაციების აკრძალვის შესახებ, თუმცა ზოგიერთი სამეცნიერო დაწესებულება ამას ვერ ხვდებოდა და ერებს შორის ურთიერთობების დაძაბვას უწყობდა ხელს.[322] ბიუროს წვრებმა გადაწყვიტეს მიეცათ მითითება ისტორიის ინსტიტუტისთვის და პრობლემური საკითხებზე შექმნილი ნაშრომები გამოქვეყნებამდე ფართო აუდიტორიისთვის გაეცნოთ.[323]

გარდა ამისა, ვითარების განმუხტვის მიზნით, აფხაზეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო დირექტორის თანამდებობა დაატოვებინეს ხუხუტი ბღაჟბას,[324] იგივე ბედი ხვდათ წილათ აფხაზეთის ობკომის მეორე მდივანს დამიანე გოგოხიას და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სიმონ ჩიქოვანს.[325]

1960-იან წლებში აფხაზეთში არსებული პროტესტი სქართველოს სსრ კპ ძალისხმევის შედეგად შეჩერდა. ეს მხოლოდ დროებითი ღონისძიება იყო, რომელმაც ცოტა ხნით გაყინა აფხაზთა საჩივრები თუმცა, არ გაუქრია.

---

[321]Ачугба, *Из истории грузино-абхазского конфликта,* 40.
[322]იქვე, 41.
[323]იქვე, 44.
[324]ჯაპასქირი, *ნარკვევი*, 161.
[325]იქვე, 172-173.

3.4. ნარატივების დაპირისპირება 1970-იან წლებში

1970-იან წლებში დაიწყო საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულის გამოცემა. ყოველ ტომს ახალი რედაქტორი ჰყავდა და ავტორთა გუნდიც იცვლებოდა. მესამე ტომის რედაქტორები ვიქტორ გუჩუა და ზურაბ ანჩაბაძე იყვნენ. ეს ტომი1979 წელს გამოვიდა. სწორედ ამ ტომებში თავმოყრილ მასალას ეთმობა ჩვენი კვლევის ინტერესი, რადგან ისინი შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიას ეხება.

1970 წელს გამოცემული წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნული იყო, რომ ისტორიის ნარკვევების სერიას „მეტად მძიმე და საპატიო მოვალეობა“ ეკისრებოდა. ავტორთა სიტყვით, მას უნდა აესახა ქართველი ხალხისა და საქართველოს მოსახლეობის მიერ განვლილი ისტორიული გზა.[326] ისტორიის სახელმძღვანელოებისგან განსხვავებით, ამ ნაშრომებში ჩანდა ავტორთა მიზანი ეჩვენებინათ არა მხოლოდ ქართველი ერის წარსული, არამედ ისტორიის მანძილზე, სხვა ხალხებთან ქართველების ურთიერთობებიც.

წარსულის კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ აფხაზებს. ავტორები ხაზს უსვამდნენ მათ ეთნიკურ ინდივიდუალობას და აჩვენებდნენ აფხაზთა ისტორიულ მეგობრობას და კულტურულ სიახლოვეს ქართველებთან.

- **აფხაზი ტომები და ურთიერთკავშირი ქართულ ტომებთან.** ავტორთა აზრით, აფხაზი ტომები - აბაზგები, აფშილები და სანიგები - კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილში მოსახლეობდნენ, ცენტრალურ ნაწილში მათი ჩამოსვლა კი ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში უნდა მომხდარიყო, რაც კოლხეთის სამეფოს დასუსტებას უნდა გამოეწვია.[327] ტექსტში აღნიშნული იყო, რომ ამავე პერიოდში, სამხრეთ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთიანეთიდან ჩამოსახლება დაიწყეს დასავლურქართულმა ჭანურმა ტომებმა. ავტორთა შეხედულებით, მიგრირებულები - აფხაზი და

[326] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი I. საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე, რედ.: გიორგი მელიქიშვილი* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 1.
[327] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი I,* 370-371.

ქართული ტომები, ადგილობრივ მაცხოვრებლებს ან ერეოდნენ, ან სდევნიდნენ პირვანდელი საცხოვრებლებიდან. მოსახლეობის შერევის მაგალითად მოყვანილი იყო მეგრულ ჭანური ტომების გაერთიანება.[328]

ტექსტში 1958 წლის სახელმძღვანელოს მსგავსად, გეოგრაფიული საზღვრები ეთნიკური ნიშნით იყო დაყოფილი. თუმცა, ამავდროულად, აფხაზ ტომთა გადმოსახლება ცენტრალურ აფხაზეთში ანტიკურ პერიოდს დაუკავშირდა და ისინი ისტორიული ეგრისის კიდევ უფრო ძველ მოსახლეებად ჩაითვალნენ, ქართველ ტომებთან - ჭანებთან ერთად.

ტომთა აღწერის შემდეგ, ავტორები წერდნენ, რომ ჩრდილოეთ კოლხეთის ტომები ლაზებმა მე-4 საუკუნიდან დაიქვემდებარეს და მის გამგებლობაში რჩებოდნენ ორი საუკუნის მანძილზე.[329]

- **აფხაზეთის სამეფოს შექმნა.** ტექსტში აღნიშნული იყო, რომ აბაზგები მე-6 საუკუნიდან გამოეყვნენ ლაზებს და ბიზანტიის ვასალები გახდნენ. დასუსტებულმა ლაზიკამ თანდათან დაკარგა მისიმიანეთი, სვანეთი აფშილეთი და სხვა პოლიტიკური ერთეულები.[330] აბაზგეთმა დაიწყო გაფართოება. შემოიერთა ლაზიკას დაქვემდებარებაში არსებული ტერიტორიები, გაათავსიუფლა ბიზანტიელთა ბატონობისგან და ერთ სამეფოში გაერთიანა. ავტორები ამ პროცესს მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას უწოდებენ, ხოლო ამ პროცესის დამასრულებლად ლეონ II მიიჩნევენ, რომელმაც ერთიანი აფხაზეთის მეფის სტატუსი დაიმკვიდრა.[331] ეს ეპიზოდი თითქმის არ განსხვავდებოდა აფხაზ ისტორიკოსთა ნარატივებისგან, თუმცა, ერთადერთი სხვაობა ის იყო, რომ ქართველი ისტორიკოსები აფხაზეთის სამეფოს ეგრის-აფხაზეთად მოიხსენიებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ მისმა „ეთნიკურმა

[328]იქვე.

[329]იქვე, 384.

[330]*საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი II.* რედ.: შოთა მესხია (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 248.

[331]*საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი II*, 249.

შედგენილობამ განსაზღვრა ამ სახელმწიფოს ქართულობა, ქუთაისის დედაქალაქობა და ის ზოგადი ქართული სახელმწიფოებრივი კურსი, რომელსაც ეს სახელმწიფო ატარებდა საშინაო თუ საგარეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში."[332] ამ გზით ავტორები ხაზს უსვამდენ იმ გარემოებას, რომ ახლადშექმნილი სამეფო მჭიდროდ იყო დასახლებული ქართული ტომებით, რამაც განაპირობა მისი ქართული კურსი. ამასთანავე აღნიშნავენ, რომ სწორედ ამ გარემოებასთან იყო დაკავშირებული აფხაზეთში ქართულ კულტურული გავლენების - ენის, სარწმუნეობისა და ერთიანი ეკლესიის არსებობა.[333] ამ საკითხში ისინი ეწინააღმდეგებოდნენ აფხაზ ისტორიკოსებს, რომლებიც აფხაზურ სამეფოს დამოუკიდებელ აფხაზურ გაერთიანებად მიიჩნევდნენ.

საინტერესოა ისიც, რომ ტექსტი განმარტავდა ცნებებს „აფხაზი" და „აფხაზეთი". ავტორთა აზრით, „ეგრის-აფხაზეთის გაერთიანების შემდეგ, "აფხაზეთის" ცნების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაფართოვდა და ის ეგრისზეც გავრცელდა."[334] ამ გზით ისინი იზიარებდნენ ქართველ ისტორიკოსთა ადრეულ შეხედულებას. ამასთანავე, არც აფხაზი ისტორიკოსის ზურაბ ანჩაბაძის მოსაზრებას ივიწყებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ეს ცნებები, მიუხედავად იმისა, რომ უმეტესად დიდ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ გაერთიანებებს ასახავდა, ზოგ შემთხვევაში ვიწრო მნიშვნელობითაც იხმარებოდა.[335]

- **ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა.** ავტორთა აზრით, ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა მისი ცალკეული სამეფო-სამთავროების ეკონომიკურმა აღმავლობამ და საზოგადოების დარაზმვამ გამოიწვია, რაც „კლასობრივი და ეროვნული მომენტით იყო შეპირობებული."[336] ტექსტში

[332]იქვე, 251.
[333]იქვე, 255.
[334]იქვე, 250.
[335]იქვე, 251.
[336]იქვე, 318.

აღწერილი იყო სამეფო-სამთავროთა ბრძოლა პირველობისთვის, მათ შორის, აფხაზ მეფეთა სწრაფვა ერთიანი და ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით. ავტორები აფხაზი ისტორიკოსების მსგავსად, ამ სურვილს რაციონალური ფაქტორით ხსნიდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ლეონ მეორის შემდეგ საქართველოსთან გაერთიანება ეგრის-აფხაზეთის სამეფოს პოლიტიკურ კურსს წარმოადგენდა.[337] ტექსტში გამოკვეთილი იყო ქართლის ერისთავის იოანე მარუშისძისა და ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ჩამომავალის დავით კურაპალატის როლი საქართველოს გაერთიანებაში. სწორედ ამ ორი ფიგურის ინიციატივითა და მხარდაჭერით ბაგრატ III ბაგრატიონი ეგრის-აფხაზეთის, ქართლისა და ტაო-კლარჯეთის მმართველი გახდა, რითაც საქართველო გაერთიანდა.[338]

ერთიანი სახელმწიფოს შექმნას ავტორები შემდეგი სიტყვებით აფასებდნენ: „საქართველოს მიწა-წყალზე დიდი, თითქმის მთელი ქვეყნის მომცველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებების შექმნით შუა საუკუნეებში დასრულდა ერთიანი ქართველი ხალხის (ეროვნების) ჩამოყალიბების მრავალსაუკუნოვანი პროცესი. "ქართველი" და "საქართველო" ტერმინები ახლა აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად, აგრეთვე დასავლეთ საქართველოსა და მისი მოსახლეობის აღმნიშვნელ ტერმინებადაც იქცა."[339]

- **აფხაზები ერთიანი ქართული სამეფოს შემადგენლობაში.** ავტორები აჩვენებენ, რომ აფხაზები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. აფხაზეთის ერისმთავრები და ეპისკოპოსები წარმოდგენილნი იყვნენ დარბაზის კრებებზე, რომელიც მმართველობის კოლეგიურ ორგანოს

[337]იქვე, 329.
[338]იქვე, 298.
[339]იქვე, 25.

წარმოადგენდა.[340] თუმცა, მე-15 საუკუნიდან ცენტრალიზებული სახელმწიფოს დაშლასთან ერთად აფხაზეთი თანდათან ჩამოშორდა აღმოსავლეთ საქართველოს და დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი პოლიტიკური გაერთიანების საბედიანოს გამგებლობაში მოექცა, რომელიც შედგებოდა სამეგრელოს და გურიისაგან.[341] ავტორები აჩვენებენ, რომ მე-16 საუკუნიდან აფხაზეთი ოდიშის, ანუ სამეგრელოს შემადგენლობაში გადავიდა. ამ პერიოდში მთელი დასავლეთ საქართველო ოსმალთა თავდასხმის კერად იყო ქცეული.[342] ავტორები ხაზს უსვამენ, რომ ოსმალური გავლენების გავრცელების შედეგად აფხაზეთში გავრცელდა ტყვეების გატაცება და ვაჭრობა, რითაც ადგილობრივებიც იყვნენ დაკავებულნი.[343] ავტორთა აღწერით სამეგრელოს სამთავროს დასუსტებამ და შერვაშიძეთა გაძლიერებამ აფხაზეთში ხელი შეუწყო იმას რომ მე-17 საუკუნეში აფხაზეთი დამოუკიდებელი სამთავრო გახდა.[344]

შეიძლება ითქვას, რომ ამ ტექსტებში წარმოდგენილი იყო ქართველ და აფხაზ ისტორიკოსთა შეხედულებები წარსულთან დაკავშირებით არსებულ სადაო საკითხებზე და როგორც უკვე ვნახეთ, ავტორები იზიარებდნენ ცალკეულ მოსაზრებებს ორივე ჯგუფიდან. ტექსტში ასევე აღიარებული იყო აფხაზთა უფლებები აფხაზეთზე და მათი მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ახალმა ტექსტებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ქართულ საისტორიო ნარატივში, 1970-იანი წლების ბოლოს აფხაზებში კვლავ იჩინა თავი პროტესტმა წარსულის რეპრეზენტაციასთან დაკავშირებით. ამ პროტესტს წინ უსწრებდა 1965 წელს აფხაზი

---

[340] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი III*, რედ.: ზურაბ ანჩაბაძე და გიორგი გუჩუა (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1979), 489.

[341] იქვე, 557, 562.

[342] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი, IV*. რედ. მამუკა დუმბაძე (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973).

[343] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV*, 118.

[344] იქვე, 85

ისტორიკოსის შალვა ინალ-იფას წიგნის „აფხაზთა ეთნოკულტურული ისტორიის საკითხები“ გამოცემა. ამ ნაშრომის მიზანს, ავტორის სიტყვით, არა ეთნოგენეზის სრული და თანმიმდევრული შესწავლა, არამედ მისი ცალკეული ეპიზოდების ჩვენება წარმოადგენდა.[345]

ეს წიგნი განსხვავდებოდა ავტორის სხვა ნაშრომებისგან, რამდენადაც მასში მეტწილად ნაჩვენები იყო სხვადასხვა მკვლევართა შეხედულებები აფხაზთა ეთნოსად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით და ნაკლებად იყო ასახული თავად ინალ-იფას აზრი. მიგრაციული თეორიების მხარდაჭერისთვის ავტორის კრიტიკას იმსახურებდნენ ქართველი მკვლვრები პ. ინგოროყვა და გ. მელიქიშვილი.[346] ინალ-იფა უარყოფდა მათ შეხედულებს აფხაზთა ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსვლის შესახებ და ნდობას უცხადებდა აფხაზი ისტორიკოსის ზურაბ ანჩაბაძის მოსაზრებებს მათ ავტოქთონურობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ანჩაბაძის კვლვებს აფხაზი ისტორიკოსი ობიქტურად დაწერილ ისტორიას უწოდებდა.[347] მთავარი აქცენტი აფხაზი ტომების - აფსილების და აბაზგების შესწავლას ეთმობოდა, რომელთაც ავტორი ძირძველ აფხაზ ტომებად განიხილავდა და ავითარებდა მათი კოლხებთან ნათესაობის იდეას.[348] ძირითადად ავტორის ფოკუსში ექცეოდა საკუთრივ აფხაზთა ისტორია, მათი პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება სქართველოსგან განცალკევებით,[349] თუმცა ბოლო თავში ნაჩვენები იყო აფხაზთა ურთიერთობა შუა საუკუნეების საქართველოსთან. ვიდრე ამ ურთირთობის აღწერას დაიწყებდა ინალ-იფა წერდა: “თანამედროვე აფხაზები არიან უშუალო შთამომავლები ადრეული ხანისა და შუა

[345]Ш. Д. Инал-ипа, *Вопросы этно-культурной истории*, 6.
[346]იქვე, 47-48, 51.
[347]იქვე, 51.
[348]იქვე, 201.
[349]იქვე, თავი III, IV, V, VI.

საუკუნეების აფხაზების, და ისინი არავისთან არ იყოფდნენ ეთნიკურ ჰეგემონიას საკუთარი ქვეყნის ძირითად ტერიორიაზე.“[350]

ავტორი იმეორებდა ძველ ნარატივს აფხაზ ტომთა შესახებ და აფხაზეთის სამეფო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად მიაჩნდა, ხოლო საქართველოსთან მისი გაერთიანება კვლავ საგარეო საფრხისგან დაცვას უკავშირდებოდა. ამასთანავე ინალ-იფა ასკვნიდა: „აფხაზები, ეთნიკურად არაქართული ტომი, თამაშობდა მნიშვნელოვან როლს საქართველოს ისტორიაში.“[351] მოგვიანებით ავტორი აღნიშნავდა, რომ ბიზანტიისგან განთავისუფლების შემდეგ, მე-8 საუკუნიდან აფხაზეთი დამოუკიდებელ სამეფოდ ჩამოყალიბდა და გაუჩნდა პრეტენზია უცხო მიწებზე.[352] აფხაზეთის სამეფოს[353] და ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმიწიფოს[354] შექმნას ინალ-იფა წინა ნაშრომების მსგავსად აღწერდა, მისი დანარჩენ საქართველოს გაერთიანების შესახებ კი ქართველ ავტორთა შეხედულებას იზიარებს და ხაზ უსვამს, რომ მე-9 საუკუნიდან, ლეონ მეორის მმართველობის პერიოდში, აფხაზეთი პროქართულ გაერთიანებად, ქართველთა და აფხაზთა საერთო სამეფოდ ჩამოყალიბდა.[355]

შუა საუკუნეების პერიოდთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავდა, რომ ქართველთა და აფხაზთა დაახლოებამ გამოიწვია მოსახლეობის გადაადგილება, როგორც აფხაზთა დამკვიდრება საქართველოს სხვა ტერიტორიებზე, ასევე ქართველთა გადასვლა აფხაზეთში.[356] დასკვნის სახით კი წერდა: „აფხაზური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას დიდი როლი ენიჭებოდა აფხაზი ხალხის [народность] შექმნაში. ეს იყო აფხაზი ერის

[350]იქვე, 393.
[351]იქვე, 411.
[352] იქვე, 398.
[353] იქვე, 399, 408.
[354] იქვე,410-411.
[355] იქვე, 403.
[356] იქვე, 413-315.

აყვავების პერიოდი. ასეთი მსხვილი ნაციონალური სახელმწიფოს წარმოშობა დაეხმარა ეთნიკური გაერთიანების ჩამოყალიბებას, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ საერთო წარმოშობით, ტერიტორიით, ენით, კულტურით".[357]

ინალ-იფას ახალ ნაშრომს კრიტიკით შეხვდნენ ცნობილი ქართველი ისტორიკოსები და ფილოლოგები. ისინი იუწყებოდნენ, რომ ავტორმა დაარღვია წიგნის გამოსცემად აუცილებელი პროცედურები და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გავლით დაბეჭდა ნაშრომი. გარდა ამისა, წიგნის რედაქტორად დანიშნა რუსი მეცნიერი, რომელიც პროფესიით ეგვიპტოლოგი იყო და აფხაზეთის საკითხებში ბევრი არაფერი გაეგებოდა.[358]

ქართვლმა მკვლევარებმა, მათ შორის მარიკა ლორთქიფანიძემ და ოთარ ჯაფარიძემ წარმოადგინეს საკუთარი შეფასებები ინლ-იფას ახალ წიგნზე, თუმცა რესპუბლიკურმა ხელისუფლებამ მათი გამოქვეყნებისგან თავი შეიკავა და წიგნის განხილვა აფხაზეთის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს მიანდო.[359]

აფხაზი ისტორიკოსების ნაწილმა არ გაიზიარა შალვა ინალ-იფას შეხედულებები შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიის, ეთნოგრაფიის და არქეოლოგიის სხვადასხვა ასპექტებზე.[360] 1977 წლის 14 მაისს ინალ-იფას ნაშრომი გააკრიტიკეს ქართულ და აფხაზურ პრესაშიც - „აპსნი კაპშ", „სოვეტსკაია აბხაზია" და „საბჭოთა აფხაზეთი" სარედაქციო წერილით „აფხაზეთის სიღრმისეული სამეცნიერო შესწავლისთვის." კრიტიკის ობიექტი გახდა ცალკული ფრაგმენტები ნაშრომიდან. მათ შორის, აფხაზეთის სამეფოს დამოუკიდებლობა ქართული სამყაროსგან წარმოშობის საწყის პერიოდში და აფხაზი ერის ჩამოყალიბების საკითხი.[361]

პრესაში გამოთქმულ კრიტიკას გამოეხმაურა აფხაზეთის მუზეუმის თანამშრომელთა ნაწილი. მათ წერილის გამოჩენა შეაფასეს, როგორც თბილისის

---

[357] იქვე, 417.

[358] პაპასქირი, ისტორიის ნარკვევები, 178.

[359]იქვე.

[360]იქვე, 179.

[361]Марыхуба, Абхазия в Советскую Эпоху, 198-199

სამეცნიერო წრეების მცდელობა, ზეწოლა მოეხდინათ აფხაზ მეცნიერებზე, რომლებიც, ავტორთა შეფასებით, კეთილსინდისიერ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდნენ. მუზეუმის თანამშრომლები პოლიტიკური მოტივით ხსნიდნენ ინალ-იფას ნაშრომზე პრესის გამოხმაურებას და ამ ფაქტს აფხაზეთის ისტორიის ფალსიფიკაციასთან და წარსულში საქართველოს კომუნისტური პარტიის მიერ აფხაზეთში ეროვნული პოლიტიკის დამახინჯებასთან აკავშირებდნენ.[362] ანუ ისინი ქმნიდნენ ერთიან ჯაჭვს წარსულში და აწმყოში მომხდარი მოვლენებისგან და ამ გზით, აფხაზი ერის დისკრიმინაციის სურათის ჩამოყალიბებას უწყობდნენ ხელს.

1976 წელს გამოვიდა ზურაბ ანჩაბაძის წიგნი „ნარკვევები აფხაზი ერის ისტორიულ წარსულიდან.“ ამ გამოცემაში აფხაზური ტომების აღწერა,[363] აფხაზეთის სამეფოს შექმნა, [364] ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა,[365] და აფხაზთა ცხოვრება ერთიან საქართველოში[366] იგივე დარჩა როგორც ეს 1959 წლის ნაშრომში იყო ნაჩვენები. მაგრამ მასში მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა.

წინა ტექსტისგან განსხვავებით, მკაფიოდ ჩანდა, რომ აფხზთა რეპრეზენტაცია აღარ ხდებოდა ქარველ ერთან კავშირში, არამედ ცალკე. თუკი ადრე ანჩაბაძე წერდა, რომ აფხაზთა ისტორიის გაგება შეუძლებელია მისი მომმე ქართველი ერის ისტორიის გარეშე, 1976 წლის ტექსტში მას მიზნად არ დაუსახავს აფხაზთა და ქართველთა საერთო ისტორია ეკვლია. არამედ, მის მიზანს აფხაზი ერის ისტორიის შესწავლა წარმოადგენდა.

ავტორი შესავალშივე აცხადებდა, რომ აფხაზი სოციალისტური ნაცია „შედგებოდა მხოლოდ აფხაზებისგან, რომლებიც სსრკ-ს მოქალაქეები იყვნენ და მათი უმრავლესობა აფხაზეთის ასსრ-ში ცხოვრობდა.“[367] ავტორი აფხაზებს არ მიმოიხილავდა მხოლოდ ეთნიკურ ჯგუფად, რომლებიც ქართველებთან ერთად საერთო ტერიტორიაზე

[362]იქვე, 189-204.
[363]Анчабадзе, *Очерк этнической истории*, 48.
[364]იქვე, 64-66.
[365]იქვე, 69.
[366]იქვე, 81-85.
[367]იქვე, 7.

ცხოვრობდნენ, არამედ დამოუკიდებელ სოციალისტურ ერად, რომელსაც საკუთარი ეროვნული ტერიტორია და თვითმყოფადი ეროვნული კულტურა ჰქონდა.[368]

ორი გავლენიანი აფხაზი ავტორის განაცხადი დამოუკიდებელი აფხაზი ერის არსებობის შესახებ იმაზე მიანიშნებდა, რომ აფხაზებსა და ქართველებს შორის არ არსებობდა მოლაპარაკება ეროვნულ საზღვრებზე.

აფხაზები საკუთარ თავს ქართველთა თანასწორად, სოცალისტურ ერად განიხილავდნენ და არა ეთნიკურ ჯგუფად მის შემადგენლობაში. ეროვნული სენტიმენტების და აფხაზური ნაციონალიზმის გამოვლინება ჩანდა აფხაზი მოსახლეობის წერილებშიც, რომლითაც ისინი მოსკოვს მიმართავდნენ.

1977 წელს აფხაზ მეცნიერთა ჯგუფმა გააკრიტიკა საქართველოს ცენტრალური ტელევიზია. მათი განრისხება გამოიწვია 1977 წლის 3 ივლისის ეთერში გასულმა სიუჟეტმა საქართველოს ხუროთმოძღვრების ძეგლების შესახებ. „როგორ შეეძლო რედაქციას ასე უპასუხისმგებლოდ მოეწონებინა გადაცემის ტექსტი 'საქართველოს შესახებ', რომელშიც საქართველოს სსრ-ს ხალხების მატერიალური ძეგლები, საბჭოთა მაყურებლების თვალში, გამოცხადებული იყო ქართულად?"[369] - ჩიოდნენ წერილის ავტორები და გულისწყრომას გამოხატავდნენ დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობის ფაქტის არ ხსენების გამო. ისინი გადაცემის ავტორს საყვედურობდნენ აფხაზთა უფლებების უგულებელყოფას საქართველოში არსებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე. ასევე ამტკიცებდნენ: „თანამედროვე მეცნიერებაში აქტუალურია თეზისი იმის შესახებ, რომ კოლხიდური კულტურა აფხაზურ-ადიღურმა ტომებმა შექმნეს. ეს ფაქტი რატომღაც იმალება [...] აფხაზეთი არ არის საქართველო, ხოლო აფხაზები არ არიან ეთნიკურად ქართველები."[370]

1977 წელს აფხაზეთში დაიწერა მორიგი საპროტესტო წერილი, რომლის მიზანსაც აფხაზური ავტონომიის სტატუსის გაზრდა წარმოადგენდა. ავტორები ხოტბას ასხამდნენ საბჭოთა სოციალისტურ წყობილებას და აღნიშნავდნენ, რომ გასაბჭოებამ მათ მოურჩია საქართველოს მენშევიკური მთავრობისგან მიყენებული ჭრილობები

[368]იქვე, 12.

[369]Марыхуба, *Абхазия в Советскую Эпоху*, 221.

[370]იქვე, 222.

[იგულისხმება აფხაზეთის გაერთიანება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან].[371]ისინი ასევე აცხადებდნენ, რომ აფხაზებისთვის ხანმოკლე აღმოჩნდა საბჭოთა ლენინური პოლიტიკით ტკბობა და აღწერდნენ ლავრენტი ბერიას დროს გატარებულ სასკოლო, ადმინისტრაციულ და საკადრო რეფორმებს აფხაზეთში, რაც აფხაზთა ჩაგვრად, ეროვნული ენასა და კულტურაზე თავდასხმად მიაჩნდათ.[372]

დესტალინიზაციის პერიოდის რეფორმებს, რაც აფხაზ კადრების დაწინაურებით, აფხაზური სკოლების გაძლიერებითა და აფხაზურ ენაზე გამოცემების გაზრდით გამოიხატა, ავტორები დადებითად აფასებდნენ, თუმცა სინანულს გამოთქვამდნენ 1954 წელს პავლე ინგოროყვას ნაშრომის გამოჩენის გამო. მათი აზრით, ტექსტის დაბეჭდვა იმის მანიშნებელი იყო, რომ „აფხაზთა პოლიტიკური შევიწროების იდეა, მათი ეთნოკულტურული ისტორიის საქართველოს ისტორიაში ათქვეფა და თვითმყოფადობის უარყოფა - თბილისში არ დავიწყებიათ“ [...] ხოლო „პ. ინგოროყვას წიგნი გახდა თავისებური დასაწყისი მთელი მომდევნო პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის, რომელიც იშვიათი გამონაკლისების გარდა, საქართველოს ცკკპ სიჩუმის გამო, დაადგა ისტორიის უხეში ფალსიფიკაციის გზას.“[373]

ავტორები ასევე წერდნენ, რომ ინგოროყვას გამოუჩნდა მიმდევრები სახელოვან ქართველ მეცნიერებს შორის, რომლებიც მათი სიტყვით, აფხაზეთის ისტორიის „გაქართულებით“ იყვნენ დაკავებულნი და ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ არ არსებობდა საკუთრივ აფხაზეთის ისტორია საქართველოს ისტორიის გარეშე.[374] ავტორები საყვედურს გამოთქვამდნენ სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოების გამო. მათი აზრით, ეს ტექსტები ქართული ისტორიოგრაფიის სტანდარტით იყო შედგენილი და მათში აფხაზეთი საქართველოს „ეთნოგრაფიულ კუნჭულად“ იყო წარმოდგენილი.[375]

---

[371]იქვე, 164-165.
[372]იქვე, 165.
[373]იქვე, 166.
[374]იქვე, 167.
[375]იქვე, 169.

წერილში გაჟღერებული იყო მოსაზრებაც, რომ ტელეგადაცემებს, ჟურნალებს და სხვა მედიას, საქართველოს სსრ თავისი ინტერესებისთვის იყენებდა და საბჭოთა მოსახლეობას არასწორ ინფორმაციას აწვდიდა აფხაზეთის შესახებ. „აი, რატომ არ უშვებს რიგითი ქართველი, რომ აფხაზეთი საქართველო არ არის და აფხაზები ქართველები არ არიან“[376] - ასკვნიდნენ ავტორები. ბოლოს კი, იმასაც აღნიშნავდნენ, რომ თანამედროვე თბილისი აფხაზეთის გაქართველებას ცდილობდა, რისგან თავის ასარიდებლადაც ისინი ლეონიდ ბრეჟნევს „რადიკალური ზომების გატარებას“ და აფხაზეთის რუსეთის ფედერაციაში შეყვანას სთხოვდნენ.[377]

აფხაზი ინტელიგენციის და კომუნისტური პარტიის წევრთა წერილი მოსკოვმა აფხაზეთის ობკომს გაუგზავნა და საქმის შესწავლა ადგილობრივ რაიონულ ორგანიზაციას მიანდო. წერილის 6 ავტორმა მოსკოვის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. მათ ცკ კპსს-ს პოლიტბიუროს წევრებს მიმართეს და აცნობეს, რომ ავტონომიის ხელმძღვანელობა ვერ გადაწყვეტდა აფხაზი ხალხის პრობლემას, მაშინ როცა თბილისი „ძველ გახრწნილ პოლიტიკას მიყვებოდა.“[378] ისინი საერთო საბჭოური სამთავრობო კომისიის შექმნას და მისგან აფხაზეთში არსებულ სიტუაციაზე რეაგირებას ითხოვდნენ.[379]

აფხაზთა მიმართვებიდან აშკარად ჩანდა, რომ ისინი საქართველოს სსრ-ში დარჩენას ეწინაღმდეგებოდნენ და ცდილობდნენ ნიადაგის გამონახვას ავტონომიის საქართველოდან გამოყოფისთვის.

წყაროებიდან ჩანს, რომ ამ მოთხოვნის მთავარ არგუმენტად პოსტ-სტალინურ პერიოდში დაბეჭდილი პავლე ინგოროყვას ნაშრომი და მისი თეზისების ზოგიერთ ქართველ ავტორთან გამოჩენა მოჰყავდათ. ისინი აფხაზთა მიგრაციის თეორიას კვლავ ქართულ ეროვნულ პროექტს უკავშირებდნენ, ხოლო აფხაზთა დისკრიმინაცია ქართული ნაციონალიზმის გამოვლინებად მიაჩდათ.

---

[376]იქვე, 174.
[377]იქვე, 156-177.
[378]იქვე, 189.
[379]იქვე.

ზურაბ პაპასქირი ვარაუდობს, რომ აფხაზთა საჩივრის წერილები დაკავშირებული იყო სსრკ-ს ახალ კონსტიტუციასთან, რომელიც 1977 წლის 7 ოქტომბერს მიიღეს. ქართველი ისტორიკოსის სამართლიანი შეფასებით, აფხაზები ცდილობდნენ საკუთარი უფლებების გაფართოებას და სოციალისტური რესპუბლიკიდან გამოყოფის ნებართვის მიღებას.[380]

აფხაზური საჩივრები არ დაკმაყოფილდა. წერილებზე ხელმომწერი პირები კი, რომლებიც პარტიულ ორგანიზაციებში ხელმძღვანელ პოზიციებზე მუშაობდნენ, თანამდებობიდან გადააყენეს და პარტიის რიგებიდან გარიცხეს.[381] აფხაზებმა ამ რეაგირებას კვლავ საჩივრის წერილით უპასუხეს და ლეონიდ ბრეჟნევს მიმართეს.

ისინი იუწყებოდნენ, რომ აფხაზთა კოლექტიური წერილის შინაარსი არასწორად განმარტა საქართველოს სსრ ხელისუფლებამ და მას ანტისაბჭოური იარლიყი მიანიჭა.[382] ავტორები აღნიშნავდნენ, რომ აფხაზეთის გაქართველება კვლავ მიმდინარეობდა და აფხაზური გამოსვლეების სწორედ ამ პროცესის შეჩერებას ემსახურებოდა მიზნად. ისინი ცენტრალური ხელისუფლებისგან საჩივრის წერილის ავტორთა გამართლებას და აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე რეაგირებას ითხოვდნენ.[383]

აფხაზური პროტესტის ჩაწყნარების მიზნით საქართველოს ცკკპ-მ 1978 წლის 25 აპრილს გამოსცა დადგენილება და დაავალა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს აფხაზეთში სამეურნეო, ეკონომიკური და საკადრო რეფორმების გაუმჯობესება.[384] ამავდროულად მან მოსთხოვა ქართულ და აფხაზურ სამეცნიერო ინსტიტუტებს დაეცვათ პარტიული პრინციპები სამეცნიერო კვლევის პროცესში, ხოლო ცკკპ აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებას ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს მაკეტის მომზადება დაავალა, რომელშიც განხილული იქნებოდა აქართველოს სსრ-ს ყველა ავტონომიის ისტორია.[385]

---

[380]პაპასქირი, *ნარკვევები,* 180.
[381]იქვე, 181.
[382]Марыхуба, *Абхазия в Советскую Эпоху*, 259.
[383]იქვე, 271.
[384]იქვე, 283.
[385]იქვე, 284.

საქართველოს კომუნისტური პარტიის მცდელობის მიუხედავად, აღმოეფხვრა აფხაზეთში უკმაყოფილება და დათმობის გზით დაეშოშმინებინა ამბოხებული აფხაზები, შედეგი ვერ გამოიღო. პროტესტი აფხაზეთში 1978 წლის მანძილზე კიდევ განმეორდა. 25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით აფხაზეთის სხვადასხვა რაიონებში მოეწყო გაფიცვები. ადგილობრივი მოსახლეობა ეწინააღმდეგებოდა ეროვნებით ქართველი კადრის დანიშვნას აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოზიციაზე.[386] მასობრივი გავიცვების, საპროტესტო გამოსვლების და არეულობის გამო, რესპუბლიკურმა მმართველობამ მიიღო გადაწყვეტილება აეკრძალა აფხაზეთში თვითნებური შეკრებები და დაერეგულირებინა ვითარება.[387]

1978 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის ობკომის სხდომაზე, აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურნენ აფხაზეთის ინტელიგენციის წევრები. მათ შორის იყო ისტორიკოსი ზურაბ ანჩაბაძეც, რომელსაც ამ დროისთვის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პოზიცია ეკავა. მან ისაუბრა აფხაზი სტუდენტების შესახებ და გამოსვლისას ახსენა: „როგორც ჩანს ისინი ცრუ ინფორმაციის შხამით არიან მოწამლულები, ცილისმწამლებლური აზროვნებით. მისით არიან გამსჭვალულები და ფიქრობენ, რომ პატრიოტულ საქმეს აკეთებენ [...] საკმარისია ამდენის მოთმენა, გავიდა საყოველთაო პატიების ვადა, დათმობების დრო. მათზე ეს აღარ მოქმედებს. აი ეს 2000 -2500 ადამიანი გვირევს სიტუაციას აფხაზეთში. საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება.“[388]

ანჩაბაძის სიტყვიდან მკაფიოდ ჩანდა, რომ ისტორიკოსი ცდილობდა აფხაზეთში ნაციონალიზმის რადიკალური ტალღის აღზევება შეეჩერებინა, რადგან აცნობიერებდა იმ საფრთხეს, რასაც ეს პროცესი მოიტანდა. იგივე მოსაზრება ჩანდა ისტორიკოს გიორგი ძიძარიას გამოსვლაში, რომელსაც აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ეკავა და წარსულში თავადაც ყოფილა საჩივრის წერილის ავტორი.

---

[386]პაპასქირი, ნარკვევები, 181.
[387]იქვე, 300.
[388]Марыхуба, Абхазия в Советскую Эпоху, 311.

ძიძარიამ სამართლიანად შეაფასა საქართველოს კომუნისტური პარტიის დადგენილება თვითნებური შეკრებების აკრძალვასთან დაკავშირებით და აღნიშნა: „საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხები იმ გზით არ წყდება [...] განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ ამ მოვლენებში ახალგაზრდების ნაწილია ჩართული. ეს განსაკუთრებით გვაღელვებს, რადგან შეიძლება უარყოფითად აისახოს მომავალი თაობის - ჩვენი საზოგადოების ოქროს ფონდის განვითარებაზე. [...] სხდომაზე რასაკვირველია მიიღება დადგენილება, რომელშიც პრინციპულ ასახვას ჰპოვებს ავტონომიაში მიმდინარე მოვლენები და განისაზღვრება კონკრეტული გეგმები აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციებისთვის.“[389]

სხდომის ბოლოს დაასკვნეს, რომ აფხაზეთის პროკურატურამ სათანადოდ ვერ შეაფასა საქართველოს კპ ცკ -ს დადგენილება თვითნებურ აკრძალვებთან დაკავშირებით და სუსტი პოზიცია გამოავლინა. ამასთანავე, მომხდარზე პასუხისმგებლობა დაეკისრათ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებს, რომელთა ნაწილი, სხდომის წევრთა შეფასებით, ხელს უწყობდა უკანონობის გაღვივებას. აფხაზეთის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციებს და პროკურატურას დაევალათ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე თვალყურის დევნება, იდეოლოგიური ფონის „გაჯანსაღება,“ და შრომითი დისციპლინის აღდგენა ავტონომიაში.[390]

მიუხედავად კომუნისტური პარტიის, აფხაზი და ქართველი ინტელიგენციის ნაწილის მცდელობების შეეჩერებინა აფხაზეთში ეროვნული სენტიმენტების რადიკალიზაცია და მისი გამოხატვა ქუჩის გამოსვლებში, მცდელობებმა შედეგი არ გამოიღო. პროტესტის არ განმუხტულა, დროში გაიყინა და სათანადო ფონის გაჩენისთანავე დაიწყო გამოვლენა.

1970-იანი წლების ბოლოს აფხაზეთში არსებული ნაციონალისტური გამოვლინებები მკაფიო სიგნალი იყო იმისა, რომ აფხაზებმა ძლიერი ეროვნული თვითშეგნება გამოიმუშავეს. თუმცა, რადიკალურ პლათფორმაზე იდენტობის კონცეფციის გადატანა ხელს უწყობდა ქართულ ეროვნულ პროექტთან ღია

[389] იქვე, 320, 322.
[390] იქვე, 330.

კონფრონტაციის და შეურიგებლობის ჩამოყალიბებას. აფხაზეთის მოსახლეობის ის მცირე ნაწილი, რომელსაც ზურაბ ანჩაბაძე ახსენებდა თავის გამოსვლაში თანდათან გაიზარდა. მათ უარი თქვეს ქართულ ინტელიგენციასთან მოლაპარაკებაზე და გააგრძელეს საკუთარი იდენტობის პროექტის მხარდაჭერა სხვადასხვა მეთოდებით.

ნაციონალიზმის გადმოსვლამ საპროტესტო აქციებზე არ დაატოვა სივრცე ქართველებსა და აფხაზებს შორის ეფექტიანი დიალოგისთვის და მომდევნო დეკადებში ხელი შეუწყო ცნობილი კონფლიქტის წამოწყებას, რომლის შედეგები არცერთ ჯგუფში საბოლოოდ გადაჭრილი და გადახარშული დღემდე არ არის.

დასკვნა

ნაშრომი მიზნად ისახავდა ეჩვენებინა ქართული და აფხაზური კონფლიქტური იდენტობების წარმოქმნა და განვითარება, 1950-1970-იან წლებში. მასში ვაჩვენეთ, რომ ამ პროცესისთვის ნიადაგი საბჭოთა ეროვნულმა პოლიტიკამ შეამზადა.

ცენტრალურმა ხელისუფლებამ კორენიზაციის პროცესში, 1920-იან წლებში, აფხაზებში დაიწყო ეროვნული ცნობიერების ფორმირება, კორენიზაციის წამხალისებელი ინსტიტუტების გახსნით და ოთხი ეროვნული ფორმის- ენის, ტერიტორიის, ელიტის და კულტურის წახალისებით. ეს პოლიტიკა მიზნად ისახავდა აფხაზი ერის დაწინაურებას და მომზადებას საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოში სხვა ხალხებთან მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის. გარდა ამისა, ეროვნული მისწრაფებების დაკმაყოფილებით საბჭოთა ხელისუფლება გეგმავდა ლოიალურად განწყობილი კადრების შექმნა არარუს ერებში, რომლებიც საბოლოოდ სოციალისტური ტრანსფორმაციისთვის ნიადაგის შემზადებაში უნდა დახმარებოდნენ მას.

ერთი მხრივ, ამ პოლიტიკამ ნაყოფიერი შედეგები გამოიღო. საბჭოთა აფხაზეთში 1930-იანი წლებისათვის არსებობდა ეროვნული ცნობიერება, წინა პერიოდებისგან განსხვავებით. აფხაზეთს ჰქონდა საკუთარი კონსტიტუცია. ამასთანავე რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა ეროვნული ინსტიტუტები, სამეცნიერო და სახელოვნებო დაწესებულებები. აფხაზ ელიტას, ნესტორ ლაკობას ხელმძღვანელობით, წამყვანი ადგილი ეკავა აფხაზეთის კომუნისტურ პარტიაში.

თუმცა, მეორე მხრივ ეს შედეგები არასასურველი აღმოჩნდა ცენტრალური ხელისუფლებისთვის. საბჭოთა აფხაზეთში, სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად, ეროვნული ინტერესები საერთო კომუნისტურ ინტერესებზე წინ იდგა. სოციალიზმი არ წარმოადგენდა წამყვან იდეოლოგიას, ხოლო კლასობრივ იდენტობაზე წინ აფხაზი მოსახლეობა ეროვნულ იდენტობას აყენებდა. აფხაზეთი ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა საერთო საბჭოური სურათიდან, ვინაიდან კორენიზაციის პროცესს მსგავსი შედეგები მოჰყვა სხვადასხვა ეროვნული განვითარების მქონე ხალხებში.

ამ მიზეზის გამო, 1930-იანი წლებიდან მოდერნიზაციის ძველი პროექტი შეიცვალა. საბჭოთა ლიდერები დარწმუნდნენ, რომ ძველი ჩანაფიქრები ეროვნული

საზოგადოებების გაქრობასთან დაკავშირებით არ გამართლდა, ხოლო ეროვნული გაძლიერების პროგრამამ ნაციონალიზმის შესუსტება არ გამოიწვია. ეს დიდი კრახი იყო რომელიც მარქსიზმის თეორიაში ნაციონალური საკითხის გაუთვალისწინებლობით იყო გამოწვეული.

კრიზისის დასაძლევად სტალინმა აღიარა სოციალიზმის გამარჯვება მულტიეთნიკურ საბჭოთა სახელმწიფოში და დაიწყო ალტერნატიული მეთოდების ამოქმედება. პირველ რიგში კორენიზაციის პროცესში დაიწყო სელექცია. მას გამოეთიშნენ მცირე ერები და მათ სხვა ერების შემადგენლობაში გააგრძელეს არსებობა. დიდ ერებს ეს ცვლილება არ შეხებიათ, თუმცა მათ პირველობა რუს ერს დაუთმეს. გაძლიერდა ცენტრალიზაციის ხაზი, რაც რუსოცენტრული თემების წინ წამოწევით გამოიხატა. ამ ტენდენციამ 1940-იან წლებში რადიკალური სახით იჩინა თავი.

სტალინური მოდერნიზაციის პროექტში, აფხაზებმაც დაკარგეს ეროვნული გაძლიერების პროცესში მინიჭებული ძველი პრივილეგიები, რაც გამოიხატა საკადრო, დემოგრაფიულ, ენობრივ რეფორმებში. დაიწყო აფხაზების დაახლოება ქართველებთან, რასაც მოდერნიზაციის პროექტის ცვლილების გარდა, ხელი შეუწყო სტალინის პარადოქსულმა დაინტერესებამ სასაზღვრო პოლიტიკით, პრო-ისლამური და პრო-თურქული სენტიმენტების დევნამ კავკასიაში. მათი ქონა საბჭოთა ხელისუფლებისთვის რისკიანი და საფრთხისშემცველი იყო, ვინაიდან თურქეთი გერმანიის პარტნიორად მოიაზრებოდა და თურქული კულტურის არსებობა საბჭოთა სახელმწიფოში არასასურველად მიიჩნეოდა.

1940-იანი წლების ბოლოს უკვე ჩანდა აფხაზური ნაციონალიზმის გამოვლინება ცენტრის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ. აფხაზი ინტელექტუალები აპროტესტებდნენ აფხაზეთში მიმდინარე რეფორმებს. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ქართველი კადრების გაძლიერების, აფხაზეთში ახალი ჩასახლებების გაჩენის, მეხსიერების პოლიტიკის და ენობრივი რეფორმის გამო. აფხაზურ საჩივარს ჰქონდა ერთადერთი მიზანი - დაებრუნებინა აფხაზეთში კორენიზაციის პროცესში მინიჭებული უფლებები.

ეროვნული პოლიტიკის ცვლილება, რომელიც მოდერნიზაციის პროცესში გაჩენილმა კრიზისმა გამოიწვია, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ახალი ისტორიული ნარატივების შექმნაშიც.

სტალინურმა ხელისუფლებამ ერთი მხრივ ხელი შეუწყო კულტურული ნაციონალიზმის გაძლიერებას რესპუბლიკურ დონეზე, რაც ეროვნული ისტორიების, მითების, გმირების აღორძინებით გამოიხატებოდა. მეორე მხრივ კი, სოციალისტური იდენტების შექმნა დაიწყო, ეროვნულ კუთვნილებასთან კავშირში. იდენტობის ეს უცნაური ჰიბრიდი მიზნად ისახავდა ეროვნული განსხვავებების მიუხედავად, საბჭოთა ხალხებს შორის გამაერთიანებელი ხაზის შექმნას.

ამავე პროცესში ეთნიკური კატეგორია - ისტორიული ნრატივები პოლიტიკური ინსტრუმენტი გახდა. მათი მეშვეობით ხდებოდა ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკური პროგრამების ლეგიტიმაცია.

წარსულის ინსტრუმენტალიზაციამ ხელი შეუწყო ექსკლუზიური ეთნიკური ნაციონალიზმის გამოჩენას საბჭოთა ავტორებშიც. ნაშრომში, ამის მაგალითად განვიხილე პავლე ინგოროყვას ნაშრომი „გიორგი მერჩულე: ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა: ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან.“ სტატიების სახით ეს ნაშრომი 1949 წლიდან 1951 წლამდე გამოცემოდამ ხოლო სტალინის სიკვდილის შემდეგ, წიგნადაც დაიბეჭდა.

ამ ნაშრომში ავტორმა სცადა ეჩვენებინა ქართველი ერის დიდებული წარსული. თუმცა, ამასთანავე ქართველ ეთნიკურ ჯგუფში შეიყვანა აფხაზებიც. დესტალინიზაციის პერიოდში, როდესაც შეიცვალა საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა და საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესი დაუბრუნდა მცირე ერებისადმი, ინგოროყვას დისკურსმა რადიკალური ფორმით იჩინა თავი.

1954 წელს გამოცემულ წიგნში ავტორმა გააძლიერა საკუთარი თეზისები და წინა ნაშრომისგან განსხვავებით შეცვალა აფხაზთა ეთნიკური წარმოშობის საკითხიც. ამ ცვლილებას პროტესტი მოჰყვა აფხაზებისგან.

ინგოროყვას წიგნი კონსპირაციულ თეორიებს დაუკავშირდა. აფხაზებში გავრცელდა მოსაზრება, რომ ცენტრალური ხელისუფლება მათ გადასახლებას გეგმავდა და თეორია, სოწრედ ამ პოლიტიკის გამართლებას ისახავდა მიზნად. ამ წარმოდგენის გაჩენას ხელი შეუწყო იმანაც, რომ სტალინის მმართველობის დროს ხალხთა გადასახლების ლეგიტიმაცია ხშირად ისტორიული არგუმენტებით ხდებოდა.

გარდა ამისა, ინგოროყვას თეზისები, აფხაზებმა ქართულ ეროვნულ პროექტს დაუკავშირეს. ამ წარმოდგენას ხელს უწყობდა ისიც, რომ ქართველი ინტელექტუალების ნაწილი მხარს უჭერდა ლიტერატურათმცოდნის ნაშრომს და საჯაროდ გამოთქვამდა საკუთარ მოსაზრებებს მასთან დაკავშირებით. ამ ფაქტორმა ითამაშა წამყვანი როლი ითამაშა აფხაზური პროტესტის გაძლიერებაში 1950 -იანი წლების ბოლოდან.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ინგოროყვას თეორია არ წარმოადგენდა ქართველთა გაზიარებულ წარმოდგენას. მას ჰყავდა როგორც მხარდამჭერები, ასევე მოწინააღმდეგეები. თუმცა აფხაზურ საჩივრის წერილებში აქცენტი უმეტესად ინგოროყვას მხარდამჭერებზე კეთდებოდა. ასევე, არასწორად იყო ინტერპრეტირებული ზოგიერთი ქართველი ავტორის, მაგალითად ნიკო ბერძენიშვილის შეხედულებები, რომელიც არ ყოფილა ინგოროყვას მხარდამჭერი და ლიტერატურამცოდნისგან განსხვავებულ პოზიციას იკავებდა.

ამ დაძაბულობის ფონზე, 1950-იანი წლების ბოლოს, ქართველმა ისტორიკოსებმა დაიწყეს ეროვნული ტერიტორიის დაცვა ისტორიული არგუმენტებით. მათ საქართველოს ისტორიული ტერიტორია ეთნიკური ნიშნით შემოსაზღვრეს, რითაც დაასაბუთეს ქართველების ავტოქთონურობა აფხაზეთში. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ისინი ორივე ჯგუფს- ქართველებსაც და აფხაზებსაც აფხაზეთის ისტორიულ მოსახლეებად აღიქვამდნენ.

თავის მხრივ, იგივე პროცესი დაიწყო აფხაზეთშიც. აფხაზი ისტორიკოსის ზურაბ ანჩაბაძის მიერ 1959 წელს გამოცემულ წიგნში, აფხაზეთის ტერიტორია ასევე ეთნიკური ნიშნით შემოისაზღვრა. ავტორიც, ქართველი ისტორიკოსების მსგავსად აღიარებდა ორივე ერის ავტოქთონურობას აფხაზეთში და საერთო სახელმწიფოს ქონის მნიშვნელობას უსვამდა ხაზს.

უნდა ითქვას ისიც, რომ ანჩაბაძის წიგნი იყო პირველი მნიშვნელოვანი და წონიანი აკადემიური ნაშრომი, რომელიც ინგოროყვას თეორიის საპასუხოდ აფხაზეთში შეიქმნა. ამასთანავე ის წარმოადგენდა აფხაზეთის ისტორიის მასტერნარატივს აფხაზებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი და აფხაზი ისტორიკოსები ერთმანეთს არ ეთანხმებოდა ტერიტორიის ეთნიკურ განაწილებაში, ისინი მსგავს ინტერპრეტაციებს აჟღერებდნენ ბევრ საკვანძო საკითხზე. მაგალითად, მათ ნარატივებში მსგავსად იყო აღწერილი აფხაზი ტომების ურთიერთობა ქართველებთან, აფხაზეთის სამეფოს შექმნა, საქართველოს გაერთიანება და აფხაზთა თანაცხოვრება ფეოდალურ საქართველოში.

ეს ტენდენცია ნარატივებში 1960-იან წლებშიც შენარჩუნდა. აფხაზი ისტორიკოსის შალვა ინალ-იფას ნაშრომებში გრძელდებოდა ანჩაბაძის ნარატივის ხაზი. თუმცა, აფხაზეთში სიფრთხილით ეკიდებოდნენ ინგოროყვას თეზისებს და თვალყურს ადევდნებდნენ ქართულ სამეცნიერო წრეებში გაჩენილ ახალ ნაშრომებს.

საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები 1960-იან წლებში ინფორმაციისგან დაიცალა და სადაო ეპიზოდებთან ერთად, ბევრი სხვა ისტორიული ფაქტი და მოვლენა საერთოდ გაქრა ნარატივიდან.

1970-იანი წლებიდან, ქართველმა ისტორიკოსებმა კვლავ შემოიტანეს დისკურსში ქართველთა და აფხაზთა საერთო სურვილზე დაფუძნებული სახელმწიფოს იდეა. ამ ნაბიჯის აქტუალურობას განაპირობებდა ის გარემოებაც, რომ ამ პერიოდისთვის აფხაზეთში ვითარება მეტად დაძაბული იყო. იწერებოდა საჩივრის წერილები და იმართებოდა საპროტესტო აქციები აფხაზთა ეთნიკური ინდივიდუალიზმის და უფლებების დაცვის მოთხოვნით.

საინტერესო დინამიკა ჩანდა ამ პერიოდის აფხაზურ ნარატივებშიც. შალვა ინალ-იფას 1975 წელს გამოცემულ წიგნში და ზურაბ ანჩაბაძის 1976 წლის წიგნში შეიცვალა აფხაზთა იდენტობის კონცეფცია და ისტორიის რეპრეზენტაცია. ავტორები აღარ საუბრობდნენ აფხაზ ეთნოსზე ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომელიც ქართულ პოლიტიკას ატარებდა და ესწრაფვოდა გაერთიანებას ქართულ

კულტურლ სივრცეში. მათი კვლევის ობიექტი დამოუკიდებელი აფხაზი ერი და აფხაზეთი იყო.

ამასთანავე, ავტორთა შეფასებით აფხაზებს ჰქონდათ იდენტობის ყველა მარკერი ერად არსებობისთვის. აქცენტი კეთდებოდა ტერიტორიაზე, ეკონომიკაზე, ენაზე და თვითმყოფად კულტურაზე.

ამ პერიოდიდან უკვე მკაფიოდ ჩანდა, რომ აფხაზი ისტორიკოსები დამოუკიდებელი აფხაზი ერის კონცეფციას ქმნიდნენ. ეს კონცეფცია მიმზიდველი იყო რადიკალურად განწყობილი აფხაზი მოსახლეობისთვისაც, რომლებიც ცდილობდნენ აფხაზეთის საქართველოდან განცალკევების იდეისთვის შეექმნათ ნიადაგი. ამ მოთხოვნას გამოხატავდნენ საჩივრის წერილებშიც და საპროტსტო გამოსვლებშიც.

მოვლენების ამგვარი განვითარება არასახარბიელო სიტუაციას ქმნიდა აფხაზეთში. ვინაიდან, 1970-იანი წლების ბოლოდან აფხაზური პროექტი გამორიცხავდა ქართველებთან დიალოგს, ხოლო ქართული ეროვნული პროექტი მტრულად და აფხაზთა მიმართ დისკრიმინაციულად იყო აღქმული.

ამ პროცესების გაანალიზება გვაჩვენებს, რომ 1970-იან წლებში, დასრულდა აფხაზთა ეროვნული იდენტობის კონცეფციის ფორმირების პროცესი, რომელიც წინააღმდეგობრივი იყო ქართული ეროვნული იდენტობის კონცეფციასთან.

ქართველები აფხაზებს ქართველი ერის ნაწილად და დამოუკიდებელ ეთნიკურ ჯგუფად განიხილავდნენ, რომელთანაც აკავშირებდათ საერთო წარსული და ისტორია. ეს მიდგომა აღარ იყო გაზიარებული აფხაზებში. დე-სტალინიზაციის დროს მომხდარმა დებატებმა აფხაზებში გააძლიერა წინააღმდეგობა ქართული ეროვნული პროექტის მიმართ. ეს მკაფიოდ ჩანდა ისტორიულ ნარატივებშიც.

1970 წლებიდან აფხაზები ქართველებს წარმოიდგენდნენ სხვა ჯგუფად, რომელთა კონფრონტაციაშიც საზღვრავდნენ საკუთარ რაობას. მათთვის საერთო სურვილზე დაფუძნებული ქართული სახელმწიფოს ქონა წარსულში აღარ იყო მისაღები, რადგან განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდათ მომავალზე. აღარ განიხილავდნენ საკუთარ თავს ქართული ეროვნული პროექტის ფარგლებში.

ქართველი ინტელიგენციის სურვილი - შეეჩერებინა აფხაზთა სწრაფვა გამოყოფისკენ და შეენარჩუნებინა ეროვნული ტერიტორია ამაო აღმოჩნდა. 1970-იანი წლების ბოლოდან, კონფრონტაციამ სხვა მასშტაბები შეიძინა და შეუძლებელი გახადა მოლაპარაკება ეროვნულ საკითხზე.

შემდგომ დეკადაში ამ პროცესმა ღრმად გაიდგა ფესვები და საომარი კონფლიქტით დასრულდა, რომელიც 1992-1993 წლებში მიმდინარეობდა და დღემდე გაყინულ კონფლიქტად ითვლება. მისი წინაპირობები არა მხოლოდ თანამედროვე ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებში, არამედ წარსულშიც უნდა ვეძებოთ. ამ ნაშრომის მიზანს, სწორედ იმ ისტორიული საკითხების განხილვა წარმოადგენდა, რომელმაც ხელი შეუწყო ერთა შორის დაპირისპირებას და კონფლიქტური იდენტობების ჩამოყალიბებას, რომლებიც დღესაც ინარჩუნებს გავლენას.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

ბერძენიშვილი, ნიკო. *საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი I - ისტორიული გეოგრაფია.* თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, 1964

ბოლქვაძე, თინათინ. *საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი: ნ. მარი, ი. სტალინი, არნ. ჩიქობავა,* თბილისი: უნივერსალი, 2018.

გურული, ვახტანგ. *ჯვარცმულის უკვდავება და ჯვარმცმელთა სირცხვილი. ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების ფურცლები, დოკუმენტური მასალები, 1930-1936*, თბილისი: უნივერსალი, 2011.

გულუა, ნანა. აფხაზეთი - XIX-XX-XXI საუკუნეების პერიოდიკაში. ქუთაისი: პოლიგრაფი 2012.

თოიძე, ლევან. *აფხაზეთის პრობლემები*, მოსკოვი: რუსეთის ქართული საზოგადოება, 1996.

იზორია, ლევან „აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა: 1945-1993.“ სადოქტორო დისერტაცია, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2015.

ინგოროყვა, პავლე „ლეონტი მროველი, ქართველი ისტორიკოსი, „პამბავთა მწერალი“ მე-8 საუკუნისა,“ ენიმკის მოამბე (1941), 93-152.

ინგოროყვა, პავლე. „დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფოს“ დაარსების ისტორიისთვის,“ ჟურნალი მნათობი, no. 4 (1950): 102-131

ინგოროყვა, პავლე. *გიორგი მერჩულე: ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან,* თბილისი: საბჭოთა მწერალი, 1954.

კვარაცხელია, ბორის. რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი“) და საერთაშორისო თანამეგობრობა, თბილისი: უნივერსალი, 2015.

მარქსი, კარლ და ფრიდრიხ ენგელსი, *კომუნისტური პარტიის მანიფესტი.* თბილისი: სახელგამი, 1954.

მარქსი, კარლ და ფრიდრიხ ენგელსი, *რჩეული ნაშრომები: ტომი I* . თბილისი: სახელგამი, 1950.

მეტრეველი, როინ. „მარადისობის გზა,“ ნაშრომში: *მარადისობის გზა- ივანე ჯავახიშვილი 140*, რედაქტორი ნანა ხაზარაძე და ქეთევან ახობაძე. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 2017.

ორაგველიძე, კარლო. *საქართველოს ისტორიის საკითხებისთვის*. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936.

პაპასქირი, ზურაბ. *ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან: 1917-1993*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა, 2007.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი I. რედ.: გიორგი მელიქიშვილი. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი II. რედ.: შოთა მესხია. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV. რედ.: მამუკა დუმბაძე. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი III. რედ.: ზურაბ ანჩაბაძე და ვიქტორ გუჩუა. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1979.

სონღულაშვილი, ავთანდილ. აფხაზი თუ აფსუა? თბილისი: უნივერსალი, 2007.

ჯავახიშვილი, ივანე. *ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი*, ტფილისი: შრომა, 1908.

Anderson, Benedict. Imagined Communities. Reflection on the Origin and Spread of Nationalism. Rvised edition. London and New York: Verso, 2006.
Armstrong, John. *The Soviet Union an Introduction 4th edition*. New York: Praeger publishers 1978.

Armstrong, John. The Soviet Union an Introduction,4th edition. New York: Praeger publishers 1978.

Avalishvili, Levan. “The Great Terror of 1937 -1938 in Georgia. Between two reports of Lavrenti Beria,” *Caucasus*
Analytical Digest 22, no. 1 (2010): 2-6.

Avrich, Paul. “The Short Course and Soviet Historiography,” *Political Science Quarterly 75*, no. 4 (1960): 539-553.

Banerji, Arup. *Writing History in the Soviet Union, Making the Past Work*, New Delhi: Social Science Press, 2008.

Blauvelt, Timothy. 2020. “Language Education and Ethnic Resentment in Soviet Abkhazia, 1939–53.” Ab Imperio 2020(1): 197-219.

Brandenberger, David. *National Bolshevism, Stalinist Mass Culture and the Formation of Modern Russian Identity 1931-1956* . Cambridge and London: Harvard University Press, 2002.

Branderberger, David. „It is Imperative to Advance Russian Nationalism as a First Priority: Debates within Stalinist Ideological Establishment -1941-1945," in *A State of Nations: Empire and Nation Making in the Age of Lenin and Stalin*, eds. Ronald Grigor Suny and Terri Martin, 275-301. Oxford and New York: Oxford University Press, 2001.

Boje, David M. Narrative Methods for Organizational and Communication Research. London, Thousand Oaks and New Delhi: Sage Publications, 2001.

Broers, Laurence. "Unpacking the meta-conflict Claims to sovereignty, self-determination and territorial integrity in the Georgian–Abkhaz conflict" in The Making of Modern Georgia, 1918–2012 The first Georgian republic and its successors, edited by Stephen F. Jones, 563-604. London and New York: Routledge, 2014.

Chandra, Kanchan. Constructivist Theories of Ethnic Politics (United kingdom: Oxford University Press, 2012.

Chikovani, Nino. "The Georgian historical narrative: From pre-Soviet to post-Soviet nationalism," *Dynamics of Asymmetric Conflict: Pathways toward terrorism and genocide 5,* no. 2 (2012): 107-115.

Chikovani, Nino. "The De-Sovietization and Nationalisation of History in Post-Soviet Georgia," in *Myth and Conflict in the South Caucasus, Instrumntalisation of Historical Narratives*, edited by Oksana Karpenko and Jana Javakhishvili, 72-9. International Alert, 2013.

Coppieters, Bruno. In Defense of the Homeland: Intellectuals and the Georgian-Abkhazian Conflict. In *Secession History and the Social Sciences*, edited by Bruno Coppieters & Michel Huysseune, 89-116, Brussels, VUB University Press, 2002.

Dobson, Miriam. "The Post-Stalin Era: De-Stalinization, Daily Life, and Dissent." Kritika: Explorations in Russian and Eurasian History 12, no. 4, (2011): 905-924.

Enteen, George. *The Soviet Scholar-Bureucrat: M.N pokrovskii and the Society of Marxist Historians*, University Park and London: Pennsylvania State University Press, 1978.

Epadze, Ketevan, "Searching for a place, the Case of IDPs of Abkhazia," *Analytical Bulletin*, N10 (2017): 83-106.

Eyerman, Ron „False Consciousness and Ideology in Marxist Theory," Acta Sociologica 24, no. 1-2, (1981): 43-56.

Fitzpatrick, Sheila. *Stalinism New Directions: Rewriting History*. London and New York: Routledge 2000.

Freeman, Mark. *Rewriting the Self: History, Memory and Narrative.* London and New York: Routledge, 1993

Garagozov, Rauf. "Collective Memory and Memory Politics in the Central Caucasian Countries", Central Asia and the Caucasus 6, no. 36 (2005): 51-60.

George Hewitt, "Abkhazia: A problem of Identity and Ownership," *Central Asian Survey* 12, no. 3 (1993), 277-285.

Gellner, Ernest. *Nations and Nationalism*. England: Basic Blakwell Publisher, 1983.

Goltz,Thomas. *Georgia Diary: A Chronicle of War and Political Chaos in the Post-Soviet Caucasus, Expanded Edition*. London and New York: Routldge, 2015.

Gökay, Bülent. *Soviet Eastern Policy and Turkey, 1920–1991*. London and New York: Routledge, 2006.

Gerhard, Simon. Nationalism *and Policy Toward the Nationalities in the Soviet Union: From Totalitarian Dictatorship, to Post-Stalinist Society,* San Francisco and Oxford: Westview Press 1991.

Hall, Stuart and Paul Du Gay. *Questions of Cultural Identity*. London, Thousand Oaks, New Delhi: Sage publications, 1996).

Harwood, Tracy G and Tony Garry. "An Overview of Content Analysis." The Marketing Review, no. 3, (2003).

Heer, W. Nancy. *Politics and History in the Soviet Union*, Cambridge and London: The Mit Press, 1971.

Hewitt, George. "Abkhazia: A problem of Identity and Ownership." Central Asian Survey 12, no. 3 (1993): 267-323.

Hirsh, Francine. 1997. The Soviet Union as a Work in Progress: Ethnographers and the Category Nationality in the 1926, 1937, and 1939 Censuses. Slavic Review 56 (2): 251-278

Hille, Charlotte. *State Building and Conflict Resolution in the Caucasus*. Leiden and Boston: Brill, 2010

Hobsbawm, J.Eric. *Nations and Nationalism since 1870, Programme, Myth, Relity*. Cambridge: Cambridge University Press, 2000.

Jenkins, Richard. *Social Identity*, 3rd edition. London and New York: Routledge, 2008.

Jones, Stephen. "The Establishment of Soviet Power in Transcaucasia: The Case of Georgia 1921-1928," Soviet Studies 40, no. 4 (1988): 616-639.

Jones, Stephen. "Old Ghost and New Chains: Ethnicity and Memory in the Georgian Republic," in *Memory, History and Opposition – Under State Socialism*, edited by Watson S. Rubie, 149-165, School of Santa Fe and New Mexico: American research 1994).

Martin, Terry. *The Affirmative Action Empire. Nations and Nationalism in the Soviet Union 1923-1939*, Ithaca and London: Cornell University Press, 2001.

Kaizer, J. Robert. *The Geography of Nationalism in Russia and the USSR*. Princeton and New Jersey: Princeton University Press, 1994 .

Kemoklidze, Nino. "Georgian-Abkhaz Relations in the post-Stalinist era," in *Georgia After Stalin Nationalism and Soviet Power*, edited by Timothy K. Blauvelt and Jeremy Smith, 129-145. London and New York: Routledge, 2016.

Knight, Amy. *Beria, Stalin's First Lieutenant*, Princeton, New Jersey: Princeton University Press, 1993

Kudaibergenova, Diana. 2013. "Imagining community in Soviet Kazakhstan. An historical analysis of narrative on nationalism in Kazakh-Soviet literature". Nationalities Paper. 41(5): 839-854.

Kuzio, Taras. "Identity and Nation-Building in Ukraine, Defining the Other." *Ethnicities 1*, no. 3 (2001): 343-365.

Lakoba, Stanislav. "History: 1917-1989," In *Abkhazians*, edited by George Hewwit, 89-101. New York: St. Martin's Press 1998.

Laruelle, Marlen. 2008. "The Concept of Ethnogenesis in Central Asia: Political Context and Institutional Mediators (1940–50)," Kritika: Explorations in Russian and Eurasian History 9 (1): 169-188.

Martin, Terry. "Modernization or Neo-traditionalism? Ascribed Nationality and Soviet Primordialism." In. Stalinizm: New Directions edited by Sheila Fitzpatrick, 348-358. London and New York, Routledge, 2000.

McGarry, Aidan and James M. Jasper. *The Identity Dilemma. Social Movements and Collective Identity*. Philadelphia, Rome, Tokyo: Temple University Press, 2015
Pipes, Richard*. Russia Under the Bolshevik Regime*. New York: Vintage books 1995.

Morison, Alexander. "The Russian Empire and the Soviet Union: Too Soon to Talk of Echoes?" in *Echoes of Empire* edited by Berni Sebe, Gabriele Maas, and Calipso Nicolaidis, London and New York: I. B Tauris, 2015.

Pipes, Richard. Russia Under the Bolshevik Regime. New York: Vintage books 1995.

Pundeff, Marin*. History in the USSR: Selected Readings*. San Francisco: Chandler Publishing Company, 1967.

Saparov, Arsene*. From Conflict to Autonomy in the Caucasus*. London and New York: Routledge, 2015.

Roeder, Philip G. "Soviet Federalism, and Ethnic Mobilization", *World Politics 43*, no. 2 (1991), 196-232.

Saparov, Arsene. From Conflict to Autonomy in the Caucasus. London and New York: Routledge, 2015.

Slezkine, Yuri. The USSR as a Communal Apartment, or how the Socialist State Promoted Ethnic Particularism," *Slavic Review 53*, no. 2 (Summer 1994): 414-452.

Smith, D. Anthony. *Nationalism and Modernism. A critical Survey of Recent Theories of Nations and Nationalism*. London and New York: Routledge, 1998.

Smith, D. Anthony. *National Identity.* England: Penguin Books, 1991

Smith, Jeremy."Was there a Soviet Nationality Policy?" Europe- Asia Studies 71, no. 6 (2019): 972-993.

Suny, Ronald. 2001. "Contemporary Issues in Historical Perspective, Constructing Primordialism: Old Histories for New Nations." The Journal of Modern History 73 (4): 862-896

Somers, Margeret. "The Narrative Constitution of Identity: A Relational and Network Approach," *Theory and Society* 23 (1994): 605-649.

Shnirelman,Viktor."Fostered Primordialism: The Identity and Ancestry of the North Caucasian Turks in the Soviet and Post-Soviet Milieu," in *The Construction and Deconstruction of National Histories in Slavic Eurasia* edited by Tadayuki Hayashi, 53–86. Sapporo: Slavic Research Center , 2003.

Tishkov, Valery. *Ethnicity, Nationalism and Conflict in and after the Soviet Union*. London and New Delhi: Sage Publications, 1997.

Tillet, Lowell. *The Great Friendship*. Chapel Hill: The University North Carolina Press, 1969.

Matsaberidze, Malkhaz. "The Democratic Republic of Georgia: forgotten lessons for our democracy." In *The Making of Modern Georgia, 1918–2012 The first Georgian republic and its successors*, edited by Stephen F. Jones, 318-356. London and New York: Routledge, 2014.

White, Hayden. *The Content of the Form. Narrative Discourse and Historical Representation*. Baltimore and London: The John Hopkins University Press, 1984.

Welt, Cory. "A fateful moment: Ethnic autonomy and revolutionary violence in the Democratic Republic of Georgia (1918–21)," in The Making of Modern Georgia, 1918–2012 The first Georgian republic and its successors, edited by Stephen F. Jones, 443-499. London and New York: Routledge, 2014.

Wicke, Christian. "Constructivism in the History of Nationalism Since 1945." In Writing History of Nationalism edited by Stefan Berger and Eric Storm. London: Bloomsbury, 2019.

Wolff, David "Stalin's Postwar Border Making Tactics: East and West," *The Soviet Union and World War Two* 52, no. 2-3 (2011.): 273-291.

Wojnowski, Zbigniew."The Soviet people: national and supranational identities in the USSR after 1945," *Nationalities Papers 43*, no. 1 (2015): 1-7.

Yuval - Davis, Nira. “Belonging and the Politics of Belonging,” in *Contesting Recognition Culture, Identity and Citizenship* edited by Janice McLaughlin, Peter Phillimore; Diane Richardson. Great Britain: Palgrave Macmillan 2011

Yekelchyk, Serhy. *Stalin's Empire of Memory*, Toronto, Buffalo, London: University of Toronto Press, 2004.

Ачугба А., Теимураз. *Этническая история Абхазов XIX-XX вв. Этнополические и миграционные аспекты.* Сухум: Академия Наук Абхазий Абхазский Институт Гуманитарних Иследований им. Д. И. Гулия, 2010.

Анчабадзе, Зураб. *Из средневековой историй Абхазии*. Сухум: Абхазское госдарственное издательство, 1959.

Анчабадзе, Георгий*. Грузины и Абхазы история и современность*. Тбилиси, 2009.

Ахвледиани, Гиорги. ”Ценный труд по историй Грузинской култури,” *Заря Востока*, Июль 9, 1955: 3.

Воронов, Л. *Абхазия не Грузия*. Москва: Верность, 1907 .

Гамахария, Джемал и Бадри Гогия. *Абхазия-историческая область Грузии (историография, документы и материалы, коментарии) с древнейших времен до 30-х годов XX века*. Тбилиси: Агдгома, 1997.

Гулия, Д. История Абхазии. Тифлис: 3-я типография Полиграфтреста ВСНХ Грузии, 1925.

Голцьев, В. Поэты Абхазий. Москва: государственное издательство, 1941.

Гулия, Димитри. *О Моей книге ‘История Абхазии,* Сухуми: Госиздат Абхазской АССР, 1951.

Делба, Михеил. К вопрсу изучения языка и истории Абхазов, Сухуми: Издание Агбиза, 1951.

Инал-Ипа, Шалва. *Абхазы*, Сухум: Алашара, 1960.

Инал-ипа, Ш. Д. Вопросы этно-культурной истории абхазов . Сухуми: Алашара, 1976.

Инал-Ипа, Ш. Д. Абхазы: Историко этнографические очерки, второе издание. Сухуми: Алашара 1965.

Лакоба, Станислав и Хухуты Бгажба, История Абхазии с древнейших времен до наших дней. Сухум: 2007.

Епископ Агаеодор. Успенско Драндский Обшежительный Монастирь в Абхазий. Ставропол: Типография М. Т. Тимофеева, 1894.

Ковалевьский, Евграф. „Очерки етнографий Кавказа,“ *Вестник Европи второи год*, N3 (1867): 75-140.

Кавелин, А. Лев. Абхазия и в ней Ново Афонской Симоно Кананитский Монастырь. Москва: Типография В. О. Рихтер, 1885.

Куправа, Арвелод. *Материалы по Историй Абхазий Советского Периода*, Сухум: Академия Наук Абхазии, Абхазский Институт Гуманитарных Исследований Д. И. Гулия, 2012.

Лежава, Григорий. *Между Грузией и Россией. Исторические Корни и Современные Факторы Абхазо -Грузинского Конфликта (XIX-XX)*, Москва: Российская Академия Наук, 1997.

Ленин, Владимир & Иосиф Сталин, *О Национальном Вопросе*. Москва: Библилтека Отдела по Национальной Политике, 2013.

Марыхуба, Игорь. *Абхазия в Советскую Эпоху и Абхазские Письма (1947-1989) Сборник Документов Том 1.* Сухум: Республика Апсны, 1994.

Сагариа, Баджур и Арвелод Куправа, «Формирование Абхазской Социалистической Наций,“ в брошуре *Абхазскому Институту 50 Лет*, Ред. Шалва Инал –Ифа, 45-53. Тбилиси, Мецниереба, 1985.

Сагариа, Баджур, Теимураз Ачугба, Вианор Пачулия. *Абхазия: Документы Свидетельствуют 1937-1953 гг. Сборник Материялов.* Сухум: Алашара,1992.

ოფიციალური დოკუმენტები

Дзидзария, Георгий. „Доклад Директора Абхазского Института члена корр. АН Грузий ССР Г. А. Дзидзария, в брошуре *Абхазскому Институту 50 Лет*, Ред. Шалва Инал –Ифа, 32-45. Тбилиси: Мецниереба, 1985.

Материалы к Отчету Правительства Асср Абхазий: VII Създу Советов,“ Сухум: ЦИК АССР Абхазии 1934.

ჟურნალები

ანთელავა, ირაკლი და გიორგი ძიძარია, „მასალები აფხაზეთის სამთავროს ისტორიისთვის,“ *საისტორიო მოამბე,* N7 (1953): 229-273.

ახვლედიანი, გიორგი. “აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისთვის,” ჟურნალი მნათობი N2 (1957): 107-114.

ბერძენიშვილი, ნიკოლოზ. „პავლე ინგოროყვას წიგნის ‘გიორგი მერჩულეს’ გამო”, ჟურნალი მნათობი, N12 (1956): 125-131.

კობიძე ,დავით. „ტერმინ ‘აბხაზის’ მნიშვნელობა სპარსული წყაროების მიხედვით,“ ჟურნალი მნათობი, N 2 (1957): 126-128.

ლომთათიძე, ქეთევან. “აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ. პ. ინგოროყვას ნაშრომის ‘გიორგი მერჩულეს’ გამო,” ჟურნალი მნათობი, N12 (1956): 131-140.

ყაუხჩიშვილი, სიმონ. „გიორგი მერჩულეს გარშემო,“ ჟურნალი მნათობი, N 2 (1957): 115-125

გაზეთები

ბაქრაძე, დიმიტრი. „საქართველო: ეთნოგრაფიული და ისტორიული გამოკვლეევა,“ *ივერია* 23 თებერვალი, 1978: 6-11.

ბაქრაძე, დიმიტრი. „საქართველო ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევა“, *ივერია,* 16 მარტი, 1978: 7-11

ბაქრაძე, დიმიტრი. „საქართველო ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევა“, ივერია, 3 ნოემბერი, 1888: 4.

ბაქრაძე, დიმიტრი. *ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე.* ტფილისი: სტამბა ე.გ. მესხისა 1889.

სოხუმელი, „სკოლა, ქართველები და ქართული ენა,“ ცნობის ფურცელი, 1 აპრილი, 1905: 3

ჭავჭავაძე, ილია. „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდან შეშლილის თარგმანზედა,“ ცისკარი N4 (1861): 557-594.

ბიოგრაფიული ლიტერატურა

ასათიანი, გურამ. თანამდევი სულები, ტომი III (თბილისი: ნეოსტუდია, 2002).

ჩხეიძე, როსტომ. ბედი პავლე ინგოროყვასი, თბილისი: კვარი, 1994.

ჩხეიძე, როსტომ. პავლიანური რკალი. ორი თარიღი: პიროვნებისაც და წიგნისაც. თბილისი: ჩვენი მწერლობა 2015.

სახელმძღვანელოები

ბერძენიშვილი, ნიკო, ვალერი დუნდუა, მამია დუმბაძე, გიორგი მელიქიშვილი, შოთა მესხია. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის ბოლომდე (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1958).

გუჩუა,ვიქტორ და შოთა მესხია. საქართველოს ისტორია VII-VIII კლასებისთვის. თბილისი: ცოდნა 1961.

ჯავახიშვილი ივანე, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე.* თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1946.

ჯავახიშვილი ივანე, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე.* თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1943.

ჯავახიშვილი ივანე, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე,* თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა სასწავლო პედაგოგიური სექტორი, 1940.

ელექტრონული რესურსები

გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება,“ *საუნჯე ჯი,* http://saunje.ge/index.php?id=1495&option=com_content&lang=ru (ნანახია 06.07.2022).

პაპასქირი, ზურაბ. “შარვაშიძეთა სამთავრო სახლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურულ-პოლიტიკური იერ-სახის შესახებ,“ http://eprints.tsu.ge/431/1/%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%20%E2%84%96%201%202010-%20zurab%20papaskhiri.pdf (ნანახია 18.06.2020).

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ჟურნალი „კავკასიონი“ http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/5375 (ნანახია 15.02.2018).

Amirejibi -Mullen, Rusudan. “Language Policy and National Identity in Georgia.” Queen Mary University of London, 2011. https://qmro.qmul.ac.uk/xmlui/bitstream/handle/123456789/2679/AMIREJIBI-MULLENLanguagePolicy2012.pdf?sequence=1&isAllowed=y (ნანახია 15.10.2019).

Cornell, Svante. “Autonomy and Conflict: Ethnoterritoriality and Separatism in the South Caucasus – Cases in Georgia”, Uppsala University, 2002. https://isdp.eu/content/uploads/images/stories/isdp-main-pdf/2002_cornell_autonomy-and-conflict.pdf. (ნანახია 03.12.2020).

Kaiser, Claire. “Lived Nationality: Policy and Practice in Soviet Georgia, 1945-1978.” Ph.D diss., Penn State University, 2015. http://repository.upenn.edu/edissertations/1975 . (ნანახია 07.06.2020).

Nodia, Ghia. “Causes and Visions on Conflict in Abkhazia” Berkeley Program in Soviet and PostSoviet Studies Working Paper Series 1997. https://escholarship.org/uc/item/4qr0m8wn (ნანახია 20.11.2020).

Sabanadze, Natalie. Globalization and Nationalism, CEU 2010. https://books.openedition.org/ceup/573 (ნანახია 20.12.2021).

Wsevolod W Isajiw, “Definitions and Dimensions of Ethnicity: A Theoretical Framework.” Library University of Toronto. January 1993, shorturl.at/flmxC (ნანახია 01.07.2022).

საქართველოს კომუნისტური პარტიის არქივი

ფონდი, 14, არქივი 28, საქმე 226, ფურცელი -1-4, 1954.
ფონდი 14, აღწერა 28, საქმე 334, ფურცელი 1-187, 1949.
სკპა, ფონდი 14, აღწერა 30, საქმე 118, ფურცელი 1-7, 1955.
ფონდი 14, აღწერა 31, საქმე 170, ფურცელი 1, 1956.
ფონდი 14, აღწერა 32, საქმე 49, ფურცელი -1-13, 1957.
ფონდი 14, აღწერა 165, საქმე 21, ფურცელი 70-71, 1947

გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი

პავლე ინგოროყვას ფონდი, №27682, 1920-იანი წლები.
პავლე ინგოროყვას ფონდი, №27690, 1920-იანი წლები.
პავლე ინგოროყვას ფონდი, №23559-3, 1948.
პავლე ინგოროყვას ფონდი, №22631, 1955.
პავლე ინგოროყვას ფონდი, №28115-28, 1961.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქივი

ფონდი 1, აღწერა 1532, საქმე 126, ფურცელი 1-31, 1955.